

1958/4



მნათობი

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

2

თბილისი



1958



საქართველოს
საბჭოთა კავშირის

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-საბჭოთა
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 35-ე

№ 2

თებერვალი, 1958 წ.

საქართველოს საბჭოთა მშენებლის კავშირის ორგანო

შინაარსი

61819

ირაკლი აბაშიძე — რუსთაველის ხმა ერთ ტრაპეზებში. ლექსი	33
თეიმურაზ ჯანაშვილი — დღეს ჩემს ქუჩაზე გაიარეს არმიელებმა. ლექსი	3
ხერცო კლდიაშვილი — მყუდრო საფანჯ. დასასრული	4
ნიკოლოზ შანაია — ქუჩებზე ყინულის ხრამები. ლექსი	6
ა. მეტიოფი — ლექსები. თარგმანი გურამ კლდიაშვილის და რევაზ ტიცი- ნაძისა	69
როსტომ ბეგანიშვილი — სამამულე რქა, რომანი. გაგრძელება	76
მედეა კახიძე — ლექსები	73
ფოტულა იანაყაშვილი — ლექსები. თარგმანი ოთარ ტილაძისა	88
ლადო ირემაშვილი — ლექსები	89
იოან ვოლფგანგ ვოეთე — თაუსტი (ნაწვეტი) თარგმანი გერმანულიდან რე ქეთათელისა	90
ილარიონ ზუციშვილი — ოქროს საწმისის მხარეში	91
ა. დუნაევსკი, გ. ნოვოგრუდსკი — თანამებრძოლები	103
თედორე შავიშვილი — ოქტომბრისაკენ მიმავალ გზებზე	108
	118

კულტურის ისტორია

პავლე ინგოროვია — ანტიკური ხანისა და საშუალ-საუკუნეთა ქართული მუსიკალური
დამწერლობის ამოხსნა და ძველი ქართული მუსიკის აღდგენა 124

თბ. მე-2 გვ.

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი



ბესარიონ ქლენტი — „ვაზის ყვავილობა“ — კონსტანტინე გამსახურდიას ახალი რომანი 177

წიგნების მიმოხილვა

გიორგი ნადარეიშვილი — გიორგი ბრწყინვალის სამართალი 188

ნ. რუხაძე — ზღაპრები გერმანულ ენაზე 190

ახალი წიგნები გარეკანის შესაშვ გვ



რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, დ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი),
გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/11-58 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შეკვეთა № 44.
უე 00331. ქაღალდის ზომა 70 X 108. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили 5.



რუსთაველის ხმა ყრუ ტრამალებში

•ციკლიდან: „რუსთაველის
ნაკვალევზე“.

რამ გადმოგხვეწა
ამ ცხარ ალმურში,
რამ აგიყარა მესხეთს კარავი?!
მტრობამ?
მტრად ვინმე გყავდა მამულში?
რუსთაველის ხმა:
— არა, არავინ.

მაშ იქნებ შურმა?
შენთა მოყმეთა
შურს არ ძალუძდა შექი შეეცნო;
შურს, შურს შეეძლო შენი მოკვეთა...
რუსთაველის ხმა:
— შურს არ შეეძლო.

იქნებ ღალატმა,
მოულოდნელმა
ღალატმა შავმა და მუხანათმა
გდევნა, გაწამა, შორს გადმოგდევნა...
რუსთაველის ხმა:
არა ღალატმა.

მაშ ცბიერებამ?
ჭირმა, რომელსაც

ქვეყნად ყოველი ძაგს ძლიერება,
რაც ძღვეს თვით გმირის გულს და
ლონესაც...

რუსთაველის ხმა:
— არც ცბიერებამ.

მაშ, სიძულვილმა?
უსინანულო
მოთხრის. მოსპობის, ალგვის
წყურვილმა?

მაშ, სიძულვილმა?
ვამ, მამულო...

რუსთაველის ხმა:
— არც სიძულვილმა.

მაშ, რამ?
შენს ფრენას ფრთა რამ მოკვეცა.
რა წვამ აშკარამ,
რა წვამ ფარულმა?
რამ დაგამარცხა, რამ გადმოგხვეწა...
რუსთაველის ხმა:

— რამ?
სიყვარულმა.

თეიმურაზ ჯანაშვილი



ღღეს ჩემს ქუჩაზე გაიარეს არმიელეზმა

ჩემი ბავშვები შეფრთხილდნენ ბელურებივით,
შურღულუბივით დაიჯახნენ აივნის კარებს,
ნუ თუ, მამილო, მათი ხმა არ გეყურებაო,
და ყვაეილებმა ყვაეილები ისროლეს გარეთ.

ღღეს ჩემს ქუჩაზე გაიარეს არმიელეზმა.

რეკდა სიმღერა შემმართველი და ვაჟკაცური,
ასე ნაცნობი, მშობლიური ჰანგი მხედრული,
ჩამესმა დროშის ალისფერი კალთის ტყაცუნი
ჩემი უსაზღვრო ქვეყნის გულის ფეთქას შერთული.

ღღეს ჩემს ქუჩაზე გაიარეს არმიელეზმა.

მოდიან. იქნებ ბრუნდებიან მანევრებიდან,
მუზარადებზე დასდებიან მზის სხივთა ჰტვარი,
გამოჰყოლიათ ხეთა სუნთქვა მწვანე მთებიდან,
მინდვრის გზებიდან-ოქროჩაღერილ ყანების ფერი.

ღღეს ჩემს ქუჩაზე გაიარეს არმიელეზმა.

მათი იმეღით მშვიდად შრომობს მშობელი მხარე,
მათ აბარიათ ჩემი ქვეყნის ბავშვების ბედიც...
ყვაეილებმა რომ ყვაეილები ისროლეს გარეთ,
მეზობლის ბიჭმა შეაფრინა ჭაერში მტრედი.

ღღეს ჩემს ქუჩაზე გაიარეს არმიელეზმა.

ყვაელი ნახად დააფრინდა მხარზე ოფიცერს,
მტრედი შეფრინდა და ჩამოჯდა ქვემეხზე შემდეგ.
დიდება მეტროქოს! — მშვიდობიან ხალხის მოფიცარს,
ყველა მეთაურს,

ყველა რიგითს,

სერჟანტს და ზემდეგს.

ღღეს ჩემს ქუჩაზე გაიარეს არმიელეზმა.

დიდება მეთქი —

და გავხედე გ ნვლილ წელს ორმოცს,
მეც ზომ ამ წლების ერთი მცირე ჯარისკაცი ვარ,
ვიცნობდი სანჯარს, ბომბებისგან ამოთხრალი იარაღს,
რომლის ბელტები ღღესაც ისევ ჩემს ლექს აცვივა.



დღეს ჩემს ქუჩაზე გაიარეს არმიელებმა.

მხნედ რომ ვატარებ ქარიშხლების უღელი მწველი
ეს დღე გვეწაროდა სიკვდილშიაც გაუღუნელებს,
ორმოცი წელი —

უთვალავი დიდების წელი
უკვდავი ელვით გააშუქებს საუკუნეებს.

დღეს ჩემს ქუჩაზე გაიარეს არმიელებმა.

დიდება მეთჳი —

და მომავალს გავხედე რწმენით
ორმოცი რაა, — ყველა წლები ჩვენია მხოლოდ.
ვერ გაგეკაროთ ვერასოდეს სიკვდილი ბნელი,
მიწის ზურმუხტო,

ცის ფირუზო,

მდინარის ბროლო!

დღეს ჩემს ქუჩაზე გაიარეს არმიელებმა.

დიდება შენდა!

შენს სიმძლავრეს ვართ მინდობილი,
ჩვენი ფიქრები ხვალის დღეზე წუხილს არ მიაქვს,
ოჲში შობილი, შმაგ ბრძოლებში გამოწრთობილი
შენ ხარ მშვიდობის, ხარ სიცოცხლის დიდი არმია.

დღეს ჩემს ქუჩაზე გაიარეს არმიელებმა.

დიდება შენდა, დევგმირების საბჭოთა ჯარო,
მეც მიგულებდე კვლავ შენს ერთგულ არმიელადა,
შენთვის ჩქეფს ჩემი მოწანწკარე სიმღერის წყაროც,
თუმც სიტყვა ხმლისებერ არასოდეს არ მიელავდა.

დღეს ჩემს ქუჩაზე გაიარეს არმიელებმა.



გყურეო სავანე*

ძალიან ადრე იყო, როცა გაეღვიძა. ჯუბეში შეხუთული ჰაერი იყო და დერეფანში გავიდა. ცისკრის ბინდ-ბუნდში ნისლის სუღარაში გახვეული ჩანდა ველი და შორეული მთების გრეხილი. საღლიც სოფლის თავზე მალლა ცაში მშვიდად აელებდა წრეს საშოვარზე გამოსული ქორი. მატარებელმა ახლოს გაუარა ხრიოკ გორაკს, რომელზედაც განმარტოებით იღვა ნახევრად დანგრეული პატარა ძველი ეკლესია და მის გვერდით ნამეხარი, უსიცოცხლო ხე. ეს სვედიანი გათენება ნალველს გვრიდა. გაჰყურებდა ბევრჯერ ნანახ ნაცნობ ადგილებს და ისე ეჩვენებოდა, რომ მწუხარებაში გარინდულიყო მთელი გარემო.

გუნება უმაღლე შეეცვალა, როგორც კი გამოჩნდნენ მცხეთის ტყიანი მთები და ციკაბოზე ამართული ჯვარი. როგორც ცოცხალი თვალი, დაჰყურებდა ის დამშობილებულ მტკვარსა და არაგვს. აქ ყველაფერი წარსულში იყო და მაინც სიმხნევე შეჰქონდა გულში. ავკალიდან მკაფიოდ გამოჩნდა მთაწმინდა, შვენაბადას შორეული ზურგი და მალე თბილისის გარეუბანიც.

ირინე ხარბი სიხარულით გასცქეროდა ქალაქს და სჯეროდა, რომ ამიერიდან ბედნიერი იქნებოდა.



სადგურის მოედანზე ეტლი დაიჭირავა და მთაწმინდის უბნისაკენ გაემგზავრა.

პირველი დაეკვიანება და შეკრთომა ოგრძნო, როცა სახლის კიბე აიარა და

ბინაში შესასვლელ კარებს მიაღვა. ველარ დინახა სპილენძის ფირფიტა, რომელზედაც მამის გვარი იყო ამოჭრილი. ფირფიტის ნაცვლად მხოლოდ ოთხკუთხედი ფერგადასული ნაკვეთი დარჩენილიყო. შესასვლელი კარი ღია აღმოჩნდა. მეგობრებისაგან პატარხვეში მიღებული წერილებიდან იცოდა, რომელი ოთახი დაეტოვებიათ მათთვის. ოთახი დაკეტილი იყო. დამწვარი ხახვის სუნი იღვა დერეფანში და სამზარეულოდან პრიმუსის შიშინი ისმოდა. ცხადია, ვიღაც იყო ბინაში.

რამდენიმე წუთს გაუბედავად იღვა და უმწეოდ შეჰყურებდა ხან ერთ, ხან მეორე კარს. ის იყო დააპირა დაკაქუნება, როცა სამზარეულოდან გამოჩნდა ხილაბანდით თავწაქრული ძალზე მსუქანი შუახნის ღედაკაცი. ისე ადგამდა ნაბიჯს, რომ თითქოს მოცურავდა. განიერი ხალათი ეცვა და ხელში ტაფა ეჭირა. მან გვერდი აუარა ირინეს და მხოლოდ მაშინ შეხედა, როცა ოთახის კართან დადებულ ჩემოდანს თვალი მოჰკრა.

— თქვენ რაო, ვინ გინდათ? — იკითხა რაღაც დაეკვებით.

ირინემ თავისი ვინაობა უთხრა.

— მაშ ეს თქვენ ხართ? — ღედაკაციმა შეტი აღარაფერი თქვა და თავის ოთახში შეცურდა.

რა იყო, ეს ჩვეულებრივი გულგრილობა და არად ჩაგდებო? საგონებელში ჩავარდნილი ირინე ისევ დერეფანში იღვა და ველარ გაებედნა რაიმე ეკითხა ვეშაპის მსგავსი ღედაკაცისათვის. მაგრამ ის მალე თვითონ გამოჩნდა.

— ჰა წილეთ! — თავისი კარებიდან გაუწოდა გასაღები.

დიდი ხნის დაკეტილ, დარაბებმოხუ-

* გაგრძელება იხ. „მნათობი“, № 1.

რულ ოთახში მძიმე ჰაერი იდგა. სიბნე-
ლში ირინემ ძლივს გააჩნია უწესრი-
გოდ მიყრილი ავეჯი, გაქირვებით მი-
აღწია ოთახის ბოლომდე და ფანჯრები
გაღო. გარშემო ქაოსი დაინახა. სკა-
მები, მაგიდები, რაღაც ყუთები, ქურ-
პელი, წიგნები, ძველი გაზეთების ნაფ-
ლეთები ერთმანეთში არეულიყო.

თავგზაბანეული უმწეოდ აცეცებდა
თვალებს, არ იცოდა როგორ გაერთმია
თავი აქაურობისათვის. პირველად ისიც
კი გაიფიქრა, რომ წასულიყო და რო-
მელიმე შეგობარს შეეკედლებოდა, მაგ-
რამ ბოლოს ისევ დარჩენა ამჯობინა,
სახელოები დაიკარწახა და დალაგებას
შეუდგა.

მოულოდნელად ოთახში ისევ ის დე-
დაკაცი შემოვიდა. მას თან შემოჰყვა
ხახვის და იაფფასიანი ოდეკოლონის
სუნი. შეუბრატივებლად ჩაჯდა საგარ-
ძელში და ძველი ნაცნობივით მაშინვე
საუბარი გააბა.

— ძალიან კი დაიგვიანე, ქალიშვი-
ლო, ძალიან. ზოგიერთები ამბობდნენ,
აღარ ჩამოვლენო. ისეთი ხმაც იყო,
უცხოეთში წავიდნენო.

ლაპარაკობდა მძიმედ და ხანდახან
ძალას ატანდა სიტყვას.

— თუ ავეჯი თვალში გაკლია, ამის
დარდი ნუ გექნება. ზოგი რამ სხვა
ოთახებში გავიტანეთ. უსარგებლოდ
ეწყო და მობინადრეებმა დავიანაწილეთ.

ირინემ დალაგებას ხელი უშვა და
შორიახლოს სკამზე ჩამოჯდა.

— მე ნუ მერიდები, — ღრმად
ამოიოხრა დედაკაციმა. — შენი საქმე
განაგრძე. დაგეხმარებოდი, მაგრამ ჯა-
ნი ნებას არ მაძლევს. ასტმა მაქვს, სი-
ციოტზე გამიძალდა. ხანდახან ისე შე-
მიკრავს სუნთქვას, მგონია ვიღრჩობი-
მეთქი. აი, ახლაც ჰაერი არ მყოფნის.

ამ გაფრთხილების მიუხედავად ლა-
პარაკი არა თუ არ შეუწყვეტია, მეტის-
მეტი ცნობისმოყვარეობაც გამოიჩინა
და კითხვას კითხვაზე აძლედა. გა-
მოიძია ვინ ჰყავდა მამა, აპირებს თუ
არა სამსახურს და ბოლოს მრავალნაირი

რჩევა-დარიგებაც მისცა, თუ სად უფ-
რო აჯობებდა მუშაობის დაწყება.

— სამუშაოს კი ყველგან იშორე, —
დარწმუნებით უთხრა. — ჩემი ქმარი
შოფერი და ორ თვეში უკვე სამი აღ-
გილი გამოიცვალა. ჩემს გარდა ამ ბი-
ნიდან ყველა მსახურობს. პირველ
ოთახში ინჟინერი ცხოვრობს. ჩუმი,
რიგიანი კაცია. ისე შემოვა და წავა,
ფეხის ხმას ვერ გაიგონებ. მისი სახეც
რიგიანად არ მახსოვს, ისე იშვიათად
ვხედავ. საერთოდ, საღამომდე აქ ვე-
რავის ნახავ. მთელი დღე მარტო დავ-
ბორიალებ, ხმის გამცემი არავინ მყავს.
ხანდახან ისე მომენატრება სიტყვის გა-
გონება, რომ საკუთარ თავს ველაპარა-
კები. თუმცა, სიმართლე გითხრა, ერთ-
თავად კმაყოფილიც ვარ, რომ გვიან
მოდიან. აი, მაგალითად, ჩემს გვერდით
კუთხის ოთახში ერთი ქალი ცხოვრობს,
ნეტა სულაც არ ვხედავდე. ძალიან შე-
წუხებული ვარ მისგან. მოვა თუ არა
სამსახურიდან, მთელი სახლი ყირაზე
დგება იმ წუთიდან. მაშინვე სამზარეუ-
ლოში შევარდება, მოუშვებს ონკანს,
წარღვნას დააყენებს ხოლმე, მთელი
საათი ჰყუმიპალაობს, როგორც კობრი
გუბურაში, და თანაც მღერის. ხმა კი
ისეთი აქვს, გულს ავირევს, ტირილი
მოვიწოდება. შენ ვგონია მართლა ემღე-
რება? არა, ალბათ იცის, რომ არ მსიზ-
მოვნებს და მამბრაზებს. ჩემი ქმარი
ერთხელ სამზარეულოში შეუვარდა, ის
ყაჩაღანა კი არ შეეებუა, დგას დედი-
შობილა, არც უფიქრია თავისი უნამუ-
სობა დაეფარა. ჩემი მამაკაცი ლან-
ძლავს, ის კი, ვითომც, აქა არაფერიღო,
იწკუმპლება და ლილინებს. ჰო, რა სა-
წანკლავი ვინმეა! კვირა დღე ისე შე-
მაჯავრა, შინით მოველი მის გათენე-
ბას. კვირაობით ყოველთვის თმის ილე-
ბავს და მთელი სახლში ისეთი იმის სუ-
ნი დგება, რომ მზად ხარ ძენძი ჩაიტენო
ნესტოებში. ამ ბოლო ძენძის სულის
ხუთვამ რომ მიმატა, სულ იმ ოხრის
ბრალია. აი, ახლაც რომ ვიხსენებ,
ყელში მიჭერს და მგუდავს რაღაც... —
ღრმად ჩაისუნთქა და წამოდგა. — ჰე-

რია აქ დახშული, წავალ მე. თუ რამე დაგვირდეს, მომაკითხე, ნუ მომერიდები. ჩემი სახელია ანა, დაიბახსოვრე. ოლონდ ჩუმად მომიკაკუნე კარზე, არ დამაფრთხო, აღელვება მწყენს. — კარებში გასვლისას ერთხელ კიდევ ამოიხზრა და გულნატკენად შესჩივლა: — ჩემდა სამარცხვინოდ იმასაც ანა ქვია, იმ ალქაჯანასაც. ოჰ, მომინელა ქალი იმ საზიზლარმა!

ოთახში საქმიანობით დაღლილ და უძილობისაგან მოთენთილ ირინეს მაშინვე ჩაეძინა, როგორც კი დივანზე მოიკალათა დასასვენებლად.

ნაშუადღევი იყო, როცა გაეღვიძა. მზნედ გრძნობდა თავს. წაუღიღინა კიდევაც, მაგრამ უმაღვე მოაგონდა ასტიმანი დედაკაცი და ჩაჩუმდა.

საჩქაროდ ჩაიცივა და სახლიდან გავიდა. მეგობრების ნახვა ენატრებოდა და ვერ გადაეწყვიტა პირველად ვისთან მისულიყო. ჩქარა მიაბიჯებდა. უხაროდა, რომ სავსებით თავის თავს ეკუთვნოდა. ასეთი თავისუფლება წინათ არასოდეს არ განუღიძა.

პირველი, ვისაც მიაკითხა, შინ არ დაუხვდა. უთხრეს, სამუშაოზე არისო. ჩამოიბრინა კბე და ისევ გაჰყვა ქუჩას.

ყველაფერი ნაცნობი იყო, რასაც გარშემო ხედავდა, და მაინც სხვანაირი და გამოცვლილი ეჩვენებოდა. გულში სიხარული იყო და ამ სიხარულით მიდიოდა ახმაურებულ ქუჩებში.

იმ იმედით, რომ ვინმე ნაცნობს შეხვდებოდა, ჩამოიარა რუსთაველის პროსპექტზე. ყველაზე უფრო ისევ გივის ნახვა უნდოდა, მაგრამ არ იცოდა სად იყო მისი სამუშაო ადგილი და ძალუწუნებურად შეურიგდა იმ აზრს, რომ მხოლოდ შინ თუ მიაკვლევდა საღამო ხანს.

საღამომდე კიდევ საკმაოდ დრო რჩებოდა და მცირე ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა მაშინდა თაფლოსთან მისულიყო ახლა, — დღეს თუ ხვალ ხომ მაინც უნდა ნახოს და ბარემ ახლავე მოიხდის ამ მოსაწყენ ვალდებულებას.

რამდენიმე თვემ განვლო, რაც არ ენახა მაშინდა თაფლო და მისი ქალიშვილი მაგდა, მაგრამ მაინც არ შეუწყვედა მათკენ გული. გულჩათხრობილი და მელანქოლიური მაგდა სრული წინააღმდეგობა იყო სიცოცხლით სავსე ირინესი. ყოველთვის დაკარგულად მიჩნდა ირინეს ის დრო, რომელიც გაუტარებია ხოლმე მასთან. ისინი თითქოს უტბონიც იყვნენ ერთმანეთისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ერთგვარად უყვარდა და თავის თავს ვალდებულად თვლიდა ყურადღება გამოეჩინა მისადმი. ერთხელ წერილიც კი გამოუგზავნა პატარხევიდახ და საკმაოდ გულთბილიც.

რაც შეეხება მაშინდა თაფლოს, ის კი თავიდანვე ათვალისწინებული ჰყავდა. სახით და ხასიათით თაფლო ძალიან მიაგავდა თავის ძმას გიორგის, მაგრამ ირინე მაინც იმ აზრს ადგა, რომ მაშინდა უთვალტანადო იყო და ხასიათითაც უსიამოვნო. სწყინდა კიდევაც, როცა და-ძმის მსგავსებას იტყოდა ვინმე.

ოპერის თეატრს რომ მიუახლოვდა, უეცრად თვალი მოჰკრა ნაცნობ სახეს. ჯერ მოლანდება ეგონა, მაგრამ გადადგა თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, დარწმუნდა, რომ არ შემცდარა. სკვერის წინ გივი იდგა.

გივისათვის იმდენად მოულოდნელი იყო ეს შეხვედრა, რომ პირველ წუთში მან დაეკვებით მიამტერა თვალები. ის თითქოს დაიბნა კიდევ.

— ჰო, მე ვარ! — გაბრწყინებული სახით შეჰყურებდა ირინე. — ველარ მცნობ, თუ როგორაა შენი საქმე?

სიხარულით აღტაცებული აღარ მოერიდა გამვლლებს და ჩაებლაუტა.

ფრთხილად, თავაზიანად გაინთავისუფლა გივიმ თავი, მქალავში ხელი გაუყარა და წელი ნაბიჯით წაიყვანა.

— შენ აქ მგონი ვილაცას ელოდი — შეჩერდა ირინე.

— არავის. მორიგეობის შემდეგ თავისუფალ დღე მაქვს და ქალაქში გამოვედი...

გზა განაგრძეს, გაჰყვნენ პროსპექტს.

ირინე მოუთხოვდა ხევის ქალაქში გატარებულ უკანასკნელ დღეებზე.

გაუარეს ქარვისას, და სიონისკენ მიმავალ ქუჩას ჩაუყენენ.

ირინემ ბოლოს ყურადღება მიაქცია იმას, რომ გივი გაჩუმებული მოდიოდა.

— რას დაიგუბებ პირში წყალი? — სიცილით შეავლო თვალი, — შენ ან სიხარულმა გაგაბრუა, ან ძალიან გეწყინა ჩემი ჩამოსვლა!

გივიმ სიყვარულით გადმოხვდა:

— შენ გისმენ, ქალო, ორივე ერთად ხომ ვერ ვილაპარაკებთ?

ირინემ უაშვო როგორ უეცრად დასტოვა გუშინ პატარხევი, მაგრამ რა იყო მიზეზი, არ უთქვამს.

— ან აქამდე რამ გაგაძლებია იმ მიყრებულ ადგილას, — წაიდუღუნა გივიმ. — ადრეც უნდა დაბრუნებულიყავი.

— ჰო, მართალი ხარ, მაგრამ იცი რა... აი სწორედ დღეს ვფიქრობდი ამაზე... პატარხევიში ყოფნას უქმად არ ჩაუვლია ჩემთვის. იქნებ სასიკეთოც იყოს. ქვეყანას ახლა როგორღაც სხვა თვალთ ვხედავ — უფრო ნათლად, უფრო ფხიზლად. ასე მგონია, რაღაც ძალამ გაიღვიძა ჩემში... შენ არ დამცინო, და, მინდა მეც რაიმე გავაკეთო, გამოვადგე ვინმეს. აქამდე კი რა იყო ჩემი ცხოვრება? თითქოს მზეთუნახავი, ცხრაკლიტულში მჯდომარე. ასეთი ყოფხა შეურაცხყოფელიც არის ადამიანისათვის. ხომ მართალია?

გივიმ არაფერი თქვა.

— ხომ მართალია? — ჩაჰკითხა მეროდ.

— ჰო, რა თქმა უნდა...

— ღმერთო ჩემო, რა უემურად მიპასუხე! შენ, მგონი, დამცინი გუნებაში... არა უშავს რა, მერე დარწმუნდები, რომ მეც მაქვს ძალა და უნარი.

— მჯერა.

— არა, მავას ისე ამბობ, ზრდილობისათვის. ვიცი შენი ამბავი.

— ქალო, რა გაკერპებულხარ იმ პროვინციაში! — გულიანად გაეცინა გი-

ვის. — ეს რა უცნაური ახილება დაგქმებია!

მეტეხის კლდის ძირში ამოთხრილი ნიშნის ჩაუარეს! ნიშნის სიღრმედან ანთებული სანთლები და მუხლებზე დაოქილი შევებში ჩაცმული მლოცველი დედაცაი გამოჩნდა. იქვე, კლდის ძირის სიგრძეზე, ჩამწკრივებულიყო წვრილად მოვაჭრეების ერთმანეთზე მიხურული პატარა ფარდულები, რომლის პატრონები ხმამაღლა უხმობდნენ მუშტარს.

მოედანზე და მის გარშემო ქუჩებში, სადაც ძველიდანვე ქარვასლები და საწყობები იყო მოთავსებული, გუგუნნი იდგა. საბარგო მანქანებით, ფორნებით, ფურგონებით მიჰქონდათ და მოჰქონდათ დაქვდილი ყუთები, ბაწრებით შეკრული საპალნეები, ტომარები, ფუთები. მოტორების ხმაური, საყვირის კიჟყინი, მეფორნეების შეძახილი ერთმანეთში არეულობით იქვე ჩიხებშია ფუსფუსებდა შავი ბირჟა, სადაც ბონებზე ყიდდნენ და ყიდულობდნენ სტერლინგებს, თურქულ ლირებს, დოლარებს, მეფის რუსეთის ასიანებს და ოქროს ფულს.

ვიღაც შუა ხნის მამაკაცი სახელოში წვდა გივის და სტერლინგების დახურდაება შესთავაზა. გივიმ უხეშად ჩამოიცილა მისი ხელი.

— შენი ნაცნობი იყო? — იკითხა გაკვირებულმა ირინემ.

— ნაცნობი კი არა! ალბათ ერთი იმათთაგანია, აქ რომ დამწროან.

— საშინელი შესახედავია, — ზიზღით თქვა ირინემ. — ასეთი სახე, ალბათ, მკვლელებს და ავაზაკებს აქვთ.

— არც ამ საქმეში დაიხვეს უკან. ცხოვრებისაგან გარიყული მანიაკია ვიღაც, მეტი არაფერი.

დერეფანივით ვიწრო ქუჩების ლაბირინტში სპარს მელუქნეებს გარეთ ქვაფენილზე გამოეტანათ გაღვივებული მყალები, ნასიცხარ, დახუთულ პაერში შემწვარი ხორცის მძაფრი, მადის აღმქვრელი სუნი იდგა.

გივიმ დუქანში შეიყვანა ირინე და

საკმელი მოითხოვა. ინით წვერშეღებოლი მოხუცი სპარსელი თავაზიანად მიემსახურა ახალგაზრდა მუსტრებს, მერე კუთხეში მოიკალათა მოფარდაგებულ ტახტზე, გრძელი ყალიონი ააბოლა და, ნირვანაში გადასულმა, თვალი მინაბა. დუქანში მეტი არაფერ იყო, მაგრამ ირინე მაინც ჩურჩულით თუ მიმართავდა ხოლმე გვიცს.

ეს გარემო დღემდე უცნობი და უნახავი იყო მისთვის. ყოველივე ახალი მუდამ ცოცხალ გამოძახილს ჰპოებდა მასში, მაგრამ ის, რასაც ახლა ხედავდა, არაფერს ცნობისმოყვარეობას არ უღვიძებდა. შმორის სუნი სცემდა და ზიზღს გვრიდა.

დუქნის მძიმე ჰაერში უნებურად გაახსენდა პატარხევის ბაღები, ბეროშვილის ქარხნის ეზო, საიდანაც დაუსრულებელი მწვანე სივრცე გადაშლილიყო. მოაგონდა ქეთინო და მერაბიც, იმ ხილადეში გაზრდილი ადამიანები, რომლებსაც სიცოცხლის ძლიერი ხალისი ჰქონდათ.

ამ მოგონებამ სიამოვნება მოგვარა და გაიფიქრა, რომ ახლა მათთან ერთად იქნებოდა, პატარხევეს რომ არ გამოქცეოდა გუშინ.

და უეცრად, თავისდაუნებურად, გაუშხილა გვიცის თუ რატომ დასტოვა იქაურობა.

— უყურე ერთი იმ დათვს, ეგ რა დაუპირებია! — გამოცოცხლდა გვიცი. — რა მაღა გახსნია ევებატონს!

— მართლაც რომ დათვი! — სიცოცხლს იკავებდა ირინე, რომ მიძინებული სპარსელი არ გაეღვიძებია. — რახან ვუღი მამქვსო, წინ რა დამიდგებო. ასე აანგარიშა ალბათ.

ბინდი ეშვებოდა, როცა დუქნიდან გამოვიდნენ და სოლოლაკისაკენ გაემართნენ. გზაში ირინემ დაწვრილებით უამბო ყველაფერი.

— იცი რა, — თქვა გვიცი, — მე მგონია, მაღლობა უნდა შევეუთვალო ბეროშვილს. ეგ ამბავი რომ არა, ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს დარჩებოდი იქ.

— ახლა მამაც უნდა წამოვიყვანო, და რაც შეიძლება მალე.

— ეგ უკვე სერიოზული საქმეა, — ჩაილაპარაკა გვიციმ. ეტყობოდა, ამის გაგონება არ ესიამოვნა.

— რატომ სერიოზული? — გაიოცა ირინემ.

— მაშ როგორ? აქ ცხოვრება ახლა არც ისე უბრალო ამბავია...

— ეხ, რა მძიმე ხასიათი გქონია! ცხადია, უბრალო ამბავი არაა, მაგრამ არც ისეთი საფრთხობელია. გარდა ამისა, აუცილებელია. შენ, ალბათ, ის გაფიქრებს, თუ როგორ ვიარსებებთ ჩვენ. ეგ არ მაშინებს. ვიმუშავებ და...

— შენ? შენ იმუშავებ?

— რამ გაგაკვირვა? ვიმუშავებ ისე, როგორც შენ, როგორც სხვა მრავალი.

— ჰო, მაგრამ, რა შეგიძლია შენ?

— ღმერთო ჩემო, რა უაზრო რაღაცას მეკითხები! დავიწყებ პატარადან და... ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. განა ასე არაა?

გვიციმ მხრები აიჩეჩა. ირინეს ამგვარი იმედიალობა მხოლოდ უნიადაგო უხიაკობად მიაჩნდა.

— არა, შენი ჰირიმე, ეკვს ნუ ჩამაწვეთებ, გუნებას ნუ გამიფუჭებ. ყველაფერი მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული! — ირინეს თვითონაც აღარ ახსოვდა, რომ ქეთინოს სიტყვებს იმეორებდა. — ნუ თუ შენ ფიქრობ, რომ მართლა ბეროშვილს შევეუშინდი და იმიტომ ჩამოვედი? ეს მხოლოდ საბაბი იყო აქ წამოსასვლელად.

რუსთაველის პროსპექტზე გავიდნენ და აქ ისევ იგრძნო ირინემ, რომ დიდ ქალაქში იყო. ძველთაძველი ქალაქი ჰაბუკური ხალისით ცოცხლობდა. სიამოვნებდა ხალხის სიმრავლე, გახათებული პროსპექტი და მისი ნმაური. მოაგონდა ნირვანაში გადასული სპარსელი და ეუცხოვა, რომ ასე ახლოს აქედან სულ სხვა სამყარო იყო, სიზმარული, მომაცქდავი. აქ კი ტრიალებდა ისევ ის უკედავი სული, საოცრად მხნე და სხვიანი გამამხნევებელიც. უხაროდა, რომ ხალხში იყო გარეული და გულში მა-

ტულობდა რწმენა — ამ საყვარელ დედაქალაქში არა თუ რაიმე გაუჭირდებოდა, ადვილად შეაღწევდა თავის ოცნებას.

გვიანი იყო, როცა შინ დაბრუნდა. ბინაში სიჩუმე იყო. სინათლე ჩანდა მხოლოდ ერთ ოთახში, სადაც შოფრის ცოლის მიერ ყბადაღებული ქალი ცხოვრობდა.

დაღლილი იყო, მაგრამ ძილი მაინც არ ეჩქარებოდა. განვლილი დღისა და გივისთან შეხვედრის შთაბეჭდილებით იყო. გრძნობდა, რომ ამიერიდან დაიწყო მისი ახალი ცხოვრება, ჯერ კიდევ გაურკვეველი თავისი მომავლით, მაგრამ მაინც საიმედო. იმის განცდა, რომ საგნებით თავის თავს ეკუთვნოდა, გულს უვსებდა არა მარტო სიხარულით, სიამაყითაც.

კარგზე ვილაცამ დააკატუნა. ირინემ ვერც კი მოასწრო შეხშიანება, კარი გაიღო, გამოჩნდა ახალგაზრდა ქერათმიანი ქალი.

— უკვე დაბრუნდით? — იკითხა მან. — მაშ ყველა შინ არის.

ქერათმიანმა გაბრუნება დააბირა, მაგრამ შენიშნა ირინეს გავიძრება და შეჩერდა.

— იმიტომ გკითხეთ რომ შემოსასვლელი კარი უნდა დავკეტო. ჩვეულებრივად ყველაზე გვიან მე მოვდივარ და ეგ ვალდებულება მე ვიკისრე. ხომ არაფერი გჭირდებოდა?

ირინემ მადლობა გადაუხადა. ქერათმიანი შეტრიალდა, მაგრამ უმაღვე ისევ შემოტრიალდა.

— ჩაი დაღუული გაქვთ? ეს წუთია აღუღდა ჩემთან ჩაიდანა.

ირინემ უარი თქვა.

— ნუ მომერიდებით. მესიამოვნება კიდევაც, თუ მესტუმრებით. სამუშაოდან რომ მოვედი, აქამდე მკვდარივით ვვგდე და თვალს ძილი აღარ ეკარება.

ისე ჩქარა ლაპარაკობდა, თითქოს სიტყვა აზრს უსწრებდა. თვალგებში და მოძრაობაში ემჩნეოდა, ძალიან ოცნხალი და მოუხვენარი იყო.

ირინე უმაღვე მიხვდა, ვინ იყო, თუმ-

ცა ის სრულიად არ გავდა აღქაჯეს, რომელზედაც შოფრის ცოლმა უამბო.

— მე ვიცი ვინცა ხართ, — თქვა ქერათმიანმა და ნაბიჯი გადმოდგა ოთახში. — მაინტერესებდა თქვენი ნახვა. მეგონა, უფრო ხნიერი იყავით. თქვენი სულ ახალგაზრდა ყოფილხართ...

შეათვალაიერა, ახეღ-დახეღა. — და ამასთანავე მშვენიერი ვოგონა! პირდაპირ სასიამოვნოა ასეთი მეზობელი. თქვენი სახელი?

ირინეს არაფრათ ექაშნიკა მისი ამგვარი სითამამე.

— ოი, ღმერთო შემოწყალე, სულ ბავშვი ყოფილხართ! — შესძახა ქერათმიანმა, როცა შეამჩნია, რომ ირინეს ლოყები შეუფაკლდა. — იცით რა, წამოიღოთ ჩემთან ცოტა წავილაყბოთ ძილის წინ.

ჩაკვიდა ხელი და თავის ოთახში გაიყვანა. წინათ აქ ირინეს საძინებელი იყო. წარსულიდან მხოლოდ შპალერი დარჩენილიყო. იმ ადგილიდან, სადაც ირინეს საწოლი იდგა, კედელზე მრგვალი ჩარჩოს ნაკვალევი ჩანდა. ოთახში ახლა ყველაფერი ღარიბულად და უბრალოდ გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც ფაქიზად მორთული იყო.

— მე ანა მქვიან, — თქვა ქერათმიანმა. — ჰოდა, პირდაპირ ასე დამიძახეთ. არავითარი დეიდა ან ბიკოლა არ დააყოლოთ. მართალია, თქვენზე უფროსი ვარ, მაგრამ არც თუ ბევრად და, თქვენი პირივე, ძალათი ნუ დამაბერებთ. მაშ ასე, პირდაპირ ანა.

— მე ვიცი თქვენი სახელი. — საიდან? ჩემმა სენიამ გითხრათ? წარმოდგენილი მაქვს რა კარგ რაიმეს მოგახსენებდათ ჩემზე! საწყალი ქალი, ასტმა აწუხებს და გულის ჯავრს ჩემზე იყრის.

კარადიდან ნამცხვარი და ორი ფინჯანი გადმოიღო. ჩაის ასხამდა, დიასახლისობდა და თან ლაპარაკობდა.

— დღეს ერთი საუცხოო ფირფიტა ვიყიდე. მოგასმენინებთ, მაგრამ მეშინია, იმ უბედურს, ძილი არ დაეუფროთო. გირჩევთ ფრთხილად იყოთ, თო-

რემ პატარა მიზეზი კმარა და თქვენც შეგიძლებოთ. დროებით ჩამოდით?

— არა, დავრჩები, თუ სამუშაოზე მოვეწყვე.

— ოჰ, ეგ ადვილი საქმეა. სადაც არ უნდა მიაკითხოთ, ყველგან სკირდებით მომუშავე. რა სპეციალობა გაქვთ? არავითარი? მამ აქამდე მამის იმედით ცხოვრობდით? არაფერია, მიეჩვიეთ შრომას. სამუშაოს კი ყველგან იშვოვით. იცით რა, ჩემთან მოდით დაწესებულებაში, ქალაქის სალმშენებლო განყოფილებაში. თავსაყრელად გვაქვს საქმე. მადლობასაც მეტყვიან, ისე გვაკლია ხალხი. ეს წიგნი არ წაგიკითხავთ?

საწოლზე იდო გადაშლილი ძველი ტომი.

— აქ ჩემამდე რამდენიმე კვირა ვილაქ ქალიშვილი ცხოვრობდა. ალბად იმას დარჩა.

ირინემ იცნო წიგნი. ის იყო უნდა ეთქვა, რომ მისი პატარა ბიბლიოთეკიდან იყო, ანამ დაასწრო და განაგრძო:

— წარმოუდგენელი სისულელეა, მაგრამ თავის გასართობად არა უშავს რა. განსაკუთრებით ძილის წინ თვალის მოსალღელად. იქ ისე იტანჯება ქალიშვილი სიყვარულისაგან, რომ გული აგერევა კაცს. იმდენს ოხრავენ გმირები, სასწრაფო დახმარების საავედმყოფოში გეგონება შენი თავი. მერე კიდევ რა სიტყვებია სიყვარულის გამოკლავნების დროს! პირდაპირ სილა გინდა სტიკო სახეში. ზოგიერთ ეპიზოდს კი არა უშავს რა. იგრძნობ, ავტორი პროფესიონალია. ამასთანავე ეშმაკია ის გაიძვერა. ბურჯუას სურნელი ასდის, ვითომ გრძნობათა სინატიფეს ამკლავნებს, სანტიმენტებს აფრენს. ოლონდ, ნურას უკაცრავად, ასეთი მანერით ჩემი თვალიდან ცრემლს ვერ გამოსწორავს. ამას იმიტომ კი არ ვაშობ, რომ აქ ძველი ცხოვრებაა აღწერილი. აი, მაგალითად, ამასწინათ წავეიკითხე... რა გვარი იყო... ტფუ, დალანგროს ეშმაკმა, ვერ გაეიხსენე ავტორი... ეხ, როგორ სწერს ის არამზადა! პირდაპირ სულში გვწვდება, თუმცა წარსულს ეხე-

ბა, მაგრამ, უნდა ვითხრათ, არც ჩვენი ნაჩქარევად შეხანხლული პროზანები მზიბლავენ. ხშირად საქმე ისტყუიან. მთავარი კი ისაა, რომ მოსაწყენად სწერენ. ისე მამტქნარებს ხოლმე, მესინია, დრანჭი არ მომექცეს. თითქმის ყოველი წინადადების ბოლოში ავტორი გაკვირვების და აღტაცების ნიშნებს სვამს, მე კი ვკითხულობ და სულ არ ვარ აღტაცებული. აი, მაგალითად, ის წიგნი. ამასწინათ ვიყიდე. კარგ ყდაშია ჩასმული, პირდაპირ არისტოკრატი ქალივითაა გამოპრანჭული, შიგნით კი ძვალი და ტყავია, მეტი არაფერი. გაზეთებში აქებდნენ იმ წიგნს. ჰოდა შემაცდინეს. ჯობდა ერთი კილო ატამი მეყიდა იმის მაგიერ. ჰო, მართლა...

ადგა და კარადიდან პარკი გადმოიღო.

— ჰამეტ, გორისაა. ისეთი სუნი აქვს, დამათრობელი. აბა, დაყნოსეთ!

ერთი ატამი ირინეს შეჩარა ხელში, მეორე თვითონ აიღო და კბილები ჩაასო. კბილები მაგარი და ძალიან თეთრი ჰქონდა.

— ჰოდა, იმას გეუბნებოდით, გაზეთმა შემაცდინა. რატომ აქებდნენ, ვერ გამიგია. იმ ტუტუცს, სიყვარულის სცენის აღწერაც არ ეხერხება. ალერსის დროს პოლიტიკური ლოზუნგებით ცდილობს მოხიბლოს სატრფო. ისე უშნოდ და უხეშად ეალერსება, გეგონება ძროხატლოკავსო თავისი ხაოიანი ენით. აშკარად ჩანს, თვითონ არასოდეს განუცდია სიყვარული. რომ ჰყვარებოდა ვინმე შენისთანა ლამაზი გოგონა, მშინ, ცხადია, სხვა სიტყვებს გამოსტბენდა და ამღერდებოდა. ანდა, ჩემთან სამუშაოზე ერთი ახალგაზრდაა ჩემზე შეყვარებული. ხანდახან ისეთ რაიმეს ჩამიჩურჩულებს, სხვას დაარტყანებდა კიდეცა. მეცოდება, მაგრამ გული არ მიდევს და რა გქნა. აიღეთ, კიდეც აიღეთ ატამი!

ჩაქიჩა, ჩაუღლინა, უეცრად გაუქნდა და შიშით გამოიხედა.

— როგორ ფიქრობთ, გაიგონა?

კარი გააღო და მიაყურადა.

— მადლობა ღმერთს, სიჩუმეა. ეშმაკმა წაიღოს, ჩემს ნებაზე ვერც ამომისუნთქავს! შე კიდევ რა მიშავს, ის ჩემი მეზობელი ინჟინერი, აი იმ ბოლო ოთახში ცხოვრობს, სულ დაიბრძოვა. შეუჩნდა, მძიმე სიარული იცო, იატაკს აჭრატუნებო. ჰოდა, ის საწყალი კაცი შინ სულ ფეხის წვერებზე დადის, აგერაც ბაღურიანად გადაიქცევა. სკანდალის შიშით მეგობრებს ყოველთვის ადრე ვისტუმრებ ოთახიდან. შინ ყოფნა რომ მეზარება, ხან კინოში შევტრავთავს, ხან ქარხნის კლუბში. აგერაა, ჩვენს ახლო. იცით რა, მოდით ხვალ სალამოს ერთად წავიდეთ იქ. საინტერესოა ხოლმე. მოხსენებები იმართება, მერე კამათია. საინტერესოა, როცა უბრალო ხალხი ლაპარაკობს. ხედავ, უჭირს, სიტყვა არ ყოფნის, ბორძიკობს, თითქმის კოლბოხებზე დააბიჯებსო, მაგრამ მაინც სიამოვნებით უსმენ. მართალი გულით ლაპარაკობს და იმიტომ. გუშინწინ ქალაქის სააღმშენებლო გეგმების განხილვა მოაწყვეს. გამოვიდნენ ეს უბრალო მუშები და როგორი კამათი გამართეს! ქვეყნის გულშემბატოვიარი პატრონის ხმა ისმოდა, ნამდვილად! უნდა გითხრათ, რომ თვითონ გეგმებიც ისეთი გრანდიოზულია, თავბრუ დაგესხმება. აი, მესამის ხოლმე, ზოგიერთები როგორ მისტირიან რომანტიზმს და ტრადიციების სილამაზეს. მობრძანდნენ და ეს ახალი რომანტიზმი ნახონ. წაკითხული გაქვთ ანდერსენის „საძაგელი იხვის ბარტყი“? ჰოდა, ვისაც ყველაფერი ეს ახლა საძაგელ ბარტყად ეჩვენება, მოთმინება იქონიოს და მალე ნახავს, რა საუცხოო თეთრი გედი გაიზარდება მისგან. რა იყო, ძლივს ახელთ თვალებს!.. დაღლილი ხართ, გეტყობათ. მეც დაგქანცეთ ლაყბობით. ცუდი ჩვეულება მაქვს, ადამიანი რომ მომეწონება, სულ ქადაგად გადავიქცევი... წადით, დაიძინეთ, წადით. ჩემთან დაწესებულებაში კი აუცილებლად მოდით. ოღონდ ხვალ არა, სამი დღით რაიონში მივდივარ. ჰოდა, მერე!

მეორე დღით ირინემ პატარა რიანად გამოიღვიძა.

ღია ფანჯრიდან მზის სხივი შემოკრილიყო და ქალაქის შორეული ხმაური ისმოდა.

დიდი ხანია ასეთი სულიერი სიმშვიდე არ განიცადა. ახლა მარტო იყო, მაგრამ ამგვარი მარტობა განცხრომას უფრო გავდა.

პატარხევში ყოფნისას თბილისზე ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, რომ წინათ გულლია ეს ქალაქი, ალბათ პირქუში გახდაო და რომ იქ უცხოვდ იგრძნობდა თავს.

ახლა კი ხედავდა, რომ ყველა მისი შიში თურმე უსაფუძვლო იყო, — ქალაქმა არა თუ უცხოვდ ჩათვალა, პირიქით, ალერსით მიიღო.

გივის მოსვლამდე ბევრი დრო რჩებოდა. წუხელ, დამშვიდობებისას, ასე დათქვეს: სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ გივი ირინეს გამოუვლიდა და სასაღილოდ ერთად წავიდოდნენ.

წამოხტა საწოლიდან, ფეხშიშველა გაიარა ოთახში, კედლის სარკეში თავისი თავი შეათვალიერა, იქვე ჩამოჯდა და აუჩქარებლად დაიწყო ჩაცმა. სარკიდან უყურებდა თავისი ორეული, თვალციმციმა, ხალისიანი ქალიშვილი აკოკრებული მკერდით. ირინეს მოსწონდა თავისი თავი.

დერეფნიდან ფეხის ხმა და შემდეგ მამაკაცის ლაპარაკი მოესმა.

მკათიოდ გაიგონა: ვიღაცამ მისი სახელი და გვარი ახსენა. ცხადია, ვინმე ნაცნობთაგანი იყო.

სწრაფად შეისწორა თმა და კარი გააღო.

დერეფანში შოფრის ცოლი და სიმონ ბეროშვილი იყვნენ.

— როგორც იქნა მოვაგენით! — ქალიშვილის დანახვაზე სახე გაუბრწყინდა სიმონს.

მოულოდნელობისაგან ისე დაიბნა ირინე, რომ ოთახში მისი მოწვევაც

ვერ მოესაზრებია, იდგა და გაშტერებული შეჰყურებდა.

ბეროშვილმა შეუპატიებლად მიაშურა ოთახს და ირინემაც გზა მისცა.

— ყველაფერი კარგი ამბავი, ჩემო ბატონო! — შემოსვლისთანავე მიაძახა, თამამად, მოშინაურებული კაცივით მოიჩინა სკამი და დაჯდა. — მამათქვენისაგან მოკითხვა და ეს ბარათიც.

გულჯიბიდან კონვერტი ამოიღო და მაგიდაზე დადო.

— ამ დღით ჩამოვედი პატარხეიდან... კიდეც კარგი, შინ მოგისწარით... უნდა მოგახსენოთ, ნამეტანი სიცხე ყოფილა ჩვენს თბილისში... — ცხვირსახოცით იწმენდა შუბლს, სახეს, ქეჩოს.

ბეროშვილს შავი კოსტუმი ეცვა, ყელსახვევზე დაბნეული ჰქონდა ალშა-სოსთელიანი ქინძისთავი, გულმკერდის მარცხენა მხარეზე პატარა გარეჯიბიდან მოუჩანდა ყვითელარშიანი აბრეშუმის ნაჭერი. პირველად ხედავდა ირინე ასე გამოწყობილ სიმონს და უცბადვე თვალში ეცა ის, რაც იქ პატარხეში შემჩნეული არ ჰქონდა — მისი ჩაცმულობა, ლაპარაკის კილო, წამოჭარხლული მსუქანი სახე და გამოხედვაც კი ღრმა პროვინციელის შთაბეჭდილებას სტოვებდნენ.

ირინემ უხერხულობა იგრძნო, რომ აქამდე ჩუმად იყო და იკითხა მამის ამბავი.

— მშვენივრად, როგორც თქვენს გულს გაუხარდება! — მაშინვე ხალისიანად შეეხმინა ბეროშვილი. — ცოტა მოწყენილად იყო უთქვენოდ, მარა იმედი აქვს, მალე დაბრუნდებით.

ირინეს მეტი არაფერი ჰქონდა საკითხავი, ისევ ჩუმად იჯდა და ერთი ფიქრი უტრიალებდა თავში: რატომ ჩამოვიდა ბეროშვილი, ან რატომ გულდაგულ მას მიაკითხა?

სიმონი ისევ გაბრწყინებული სახით იჯდა და ხანდახან თვალს ავლებდა იქაურობას.

ოთახის მორთულობა არ მოსწონდა ბეროშვილს. მისი მოლოდინი, რომ თუხარელებს ძვირფასი ავეჯი ექნებოდათ

ქალაქში, არ გამართლდა. მოაგონდა თავის სასტუმროში და სასადილოში კედლებზე ჩამოკიდებული მოვარაყებულნი ჩარჩოები, წითელი ხავერდით გადარული რბილი სკამები, ნიკელის საწოლები და იმათთან შედარებით ღარიბად ეჩვენა აქაურობა. ამ გარემოებამ მის თვალში, რამდენიმედ დაამდაბლა კიდეც მამა-შვილი.

— ახლა თქვენ, ჩემო ქალიშვილო, ალბათ, გაგიკვირდათ ჩემი დანახვა, — უფრო თამამად ალაპარაკდა სიმონი.

ირინემ ყური ეკვიტა. ნუ თუ მას კიდეც იმედი ჰქონდა, რომ ცოლად ითხოვდა და ჩამოვიდა პირისპირ მოსალაპარაკებლად?

— თქვენც იცით, ქარხნის ვაფართოებას და შესაფერისადმი მოწყობას ვაპირებ. აქ ერთი კაცი მყავს გაჯულებული, ჩემთვის საპირო მანქანები უნდა მოეძებნა. სწორედ თქვენი წამოსვლის მეორე დღიას დეკემბა მივიღე, საჩქაროდ ჩამოდიო. მეც დაყოვნების თავი არ მქონდა, ასეთ შემთხვევას ვერ გავუშვებდი ხელიდან... მივალ ახლა ვნახვ და, თუ გამოსადეგია, უნდა ვიყიდო.

ირინეს ვერ გაეგო, რა საერთო ჰქონდა მასთან მანქანების ყიდვას და კიდეც უფრო გაუძლიერდა ეჭვი.

კელამ ჩემიანად მიმჩინიხარ და აქ ვის უნდა ვენდო თქვენსავეთ... ახლა ხმადაწეულად დაიწყო სიმონმა და გულჯიბიდან გაზეთის ქალაღში გახვეული რაღაც შეკვრა ამოიღო. — ამაში, ჩემო კეთილო, უცხოეთის ფული ვახლავს... ვალუტა... ათი ათასი მანეთი... მეშინია ქუჩაში ამის თრევა, არ ამომართვან. ვერც სასტუმროში დატოვება გავბედე. ჩვენი ბონები რომ იყოს, არაფრად ჩავაგდედი, მარა... ჰოდა, თქვენი იმედი რომ მაქვს, უნდა მოგაბაროთ... თუ მოვურიგდი მანქანების პატრონს, რამდენიმე საათში უკან წავიღებ. თუ არა და, პატივი მეცით, ხვალამდე შემინახეთ... არ შეგაწუხებდით, თქვენს იქით რომ სხვა გზა მქონდეს...

ირინეს გულზე მოეშვა. დაიჯერა, რომ ბეროშვილი მართლაც თავისი საქ-

მის გამო იყო ჩამოსული, მაშინვე თანხმობა განუცხადა და შეეკრა გამოართვა.

სიმონმა თვალი მიადევნა ირინეს, როცა ის ფულს სდებდა კარადის უჯრაში, კარგად შენახული დათგულა და წამოდგა:

— ახლა ჩემს საქმეზე გავსწევ. უზრდელობაა ასე მალე წასვლა, მარა, რას იზამ, დროით უნდა ვნახო ის კაცი. კართან მისული წუთით შეჩერდა.

— ჰოდა მაშ, თქვენი ჭირიმი, თუ დღეს სადილობამდე ვერ მოვითავე საქმე, ხვალ მოგაკითხავთ რაცხა დრო იქნება, — ერთხელ კიდევ გააფრთხილა და საჩქაროდ გავიდა.

მამის წერილი სასიამოვნოდ არ დაურჩა ირინეს. გიორგი წყენას გამოთქვამდა, მხოლოდ ბავშვურ მოუთმენლობად თვლიდა მის უუცარ წასვლას პატარხევიდან და განსაკუთრებით უსაყვედურებდა, რომ ანგარიში არ გაუწია მოსიყვარულე, მუდამ მასზე მზარუნეელი მამის შეფრთხილებას. — „მთელი დღე შენზე ფიქრში ვარ და ეს ფიქრი წამებდალ მეტყვა, — სწერდა გიორგი. — იმის იმედით ვმხნეობ, რომ მალე გნახავ, მაგრამ სანამ შორს ხარ, არ შემიძლია დამშვიდებული ვიყო. როგორ უნდა იყო მანდ უჩემოდ? ცხოვრება, საერთოდ, მარტივი ამბავი არ არის, განსაკუთრებით კი ახლა, როცა ყველაფერი გართულდა. ჯერ მეც ვერა ვარ ბევრ რაიმეში გარკვეული და როგორ შეგიძლია შენ, სრულიად გამოუცდელ, გულუბრყვილო გოგონას, ამ რთულ პირობებში გაერკვიო? მეშინია, დაიბნევი, გზას აცდები და თავს დაიღუპავ. შენ გჭირდება ხელი წარმმართველი, გამოცდილი ხელმძღვანელი, რომელიც სწორ ხაზზე დაგაყენებს და აგაცდენს იმ მორევში გადავარდნას, რომლის ნაპირზე მალე აღმოჩნდები, თუ განუსჯელად აპყვები ახალგაზრდულ გულისხმას!... პათეტიურად დასკვნისა გიორგი.

„ჩემი შეშინება უნდა!“ — გაიფიქრა ირინემ და უნებურად გაეღიმა.

მოსალოდნელი იყო, რომ ბეროშვილი დღესვე გაბრუნდებოდა პატარხევი და

ირინემ გადასწყვიტა მისი ხელით გაეგზავნა მამისთვის წერილი.

ირინე დაწერილებით აცხოვრებდა რამდგომარეობა დახვდა თბილისში, მაგრამ დაუფარა ზოგი რამ, რაც, მისი აზრით, საწყენად დაურჩებოდა. დაიმედებული, რომ ქერათმიან ანას დაპირება საესებით რეალური იყო, იმასაც ატყობინებდა, რომ ორი დღის შემდეგ დაწესებულებაში სამსახურს უნდა შესდგომოდა. საერთოდ, მომავლის მეტად ხალისიანი სურათი გადაუშალა და, ბოლოს, თხოვდა, რაც შეიძლება მალე ჩამოსულიყო. — „პატარხევთან შენ არაფერი გაკავშირებს. შენ მართლაც ახლა აქ ხარ ჩემთვის საჭირო, რომ შენი გამოცდილებით, სიტყვით და რჩევით დახმარება გაიწიო. ჩემი ოცნება და ნატვრა კი ის არის, — ამას გულწრფელად სწერდა ირინე, — რომ შენს ხანდაზმულ წლებში შენი მტკიცე საყრდენი ვიყო. შეგიძლია საესებით დამენდო და დარწმუნებული იყო, პირნათლად მოვიხიბო ჩემს შვილურ მოვალეობას!...“

შემოვიდა შოფრის ცოლი, შუშიდან რალაც წამლის გადმოწვეთება თხოვა, — ხელები მიკანკალებსო, — იბუზღუნა, იაფფასიანი ოდეკოლონის სუნი დასტოვა და გავიდა.

ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო გივის მოსვლამდე, მაგრამ საქმე რომ აღარაფერი ჰქონდა, ადრევე გამოეწყო მასთან ერთად ქალაქში გასასვლელად.

დრო ნელა მიიწეოდა. მზის სხივი თანდათან ადგილს ინაცვლებდა ოთახში. ახლა ის პატარაო ჩანდა ფანჯრის ერთ კუთხეში და მალე იქაც მიიღია.

სიმონი არ ბრუნდებოდა.

ოთახში ყოფნა და ლოდინი მომაბეზრებელი ხდებოდა.

გადაწყვიტა ქალაქში გასულიყო, დაიხურა ქუდი, გაიკეტა კარი, მაგრამ კიბიდან ისევ უკან დაბრუნდა, — კიდევ ათ წუთს დაუცდის და, თუ აღარც მაშინ მოვიდა, მეტს აღარ დაელოდება.

რამდენიმეჯერ გავიდა და შემობრუნდა, რომ კიდევ ათი წუთი ელოდინა.

მოაგონდა, რომ გუშინაც აპირებდა

ქეთინო თაბაგრისთვის წერილი გაეგზავნა და დაჯდა საწერად. ალერსიანი სტრიქონებით ააგსო რამდენიმე ფურცელი და ბოლოს თხოვედა დახმარებოდა მამას პატარხევიდან მისი წამოსვლისას: „ჩემი მოხუცი ხანდახან ისეთ სასოწარკვეთაში ვარდება უბრალო მიზეზის გამო და იმდენად უმწყო ხდება, რომ დარწმუნებული ვარ, ჩემოდანში ბარგის ჩაღვებასაც ვერ მოახერხებს...“

სათი საათს მისდევდა, სიმონი კი მაინც არ ჩანდა. ის, ალბათ, აღარ მოვიდოდა ხვალამდე. უკვე თამამად შეეძლო წასვლა, მაგრამ ამასობაში გივის მოსვლის დროც მოახლოვდა. მოიხადა ქუდი და დარჩა ოთახში.

მოუსვენრად იყო. ყური გამახვილებული ჰქონდა. როგორც კი ფეხის ხმა შემოესმოდა, წამოხტებოდა და დერეფანში შემოსასვლელ კარს მიაშურებდა. კიბეზე ამოდირდნენ სამუშაოზე დაბრუნებული ვიღაც მამაკაცები და ქალები, გივი კი არსად იყო.

ამ მოლოდინში ზოზინით გადიოდა დრო და შეუმჩნევლად ჩამოხნულდა. გარეთ, მალა ცაში გაჩერებულ ღრუბლის ნაფლეთზე, ჯერ კიდევ ჩანდა ჩამავალი მზის ანაბზინი, მიწას კი მწუსხრი გადაჰკროდა. ბინდი თითქმის ქვევიდან ზევით ადიოდა.

ირინე მოწყენილი იდგა ფანჯარასთან და ქუჩას გადაჰყურებდა, — იქნებ გივი გამოჩენილიყო სადმე. ქალაქში ლამპიონები აინთო. მათი რიცხვი თანდათან მატულობდა. ლამპიონები ციმციმებდნენ ნაძალადევის და მახათას ფერდობებზე, დიდუბის დაბლობში, შავნაბადას ძირში. ქალაქი თანდათან მხრებს შლიდა და ჩორს მიიწვედა.

უეცრად კაქუნი მოესმა და სანამ ოთახს გაივიდოდა, კარი გაიღო და გივი შემოვიდა.

ირინეს მაშინვე შეეცვალა გუნება.

— მადლობა ღმერთს, გელირსა მოსვლა! — მიეგება ხალისიანად. — გული დამელია ამდენ ლოდინში.

გივი მძიმედ დაეშვა დივანზე. სახე ჩვეულებრივზე ფერმკრთალი ჰქონდა.

— რა იყო, რაიმე უსიამოვნება ხომ არ შეგხვდა? — მზრუნველობით იკითხა ირინემ და გვერდით დაუჯდა.

— არაფერია, უბრალოდ დაღლილი ვარ.

ირინეს ღვინის სუნი ეცა.

— რაო, ვაჟბატონო, ნაქეიფარი ხარ?

— ნაქეიფარი კი არა, დილიდან ლუქმა არ ჩამიდევს პირში. სამწყურვალად ერთი ჭიჭა დავლივ ზეზეულად. დავისვენებ ცოტას და წავიდეთ.

მთერალი არ იყო, დაღლილობა კი ძალიან ეტყობოდა.

— იცი რა, — წამოდგა ირინე. — ნურსად ნუ წავალთ. ცოტა რამ საქმელი მომეძებნება შინ და ამით წავიხეხნათ.

მაშინვე შეუდგა დიასახლისობა და საჩქაროდ გააწყო სუფრა. საქმიო გართული კიდევ უფრო გახალისდა.

— მე კი აქ სტუმარი მყავდა, — ეშმაკურად გადახედა გივის. — აბა კინ, თუ მიხვდები?

გივიმ რამდენიმე საერთო ნაცნობი დაასახელა.

— მთელი ღამე რომ იფიქრო, ვერ გამოიცნობ... ვინ და ბეროშვილი! — გულიანად ვაიცინა ირინემ. — დიახ, ჩემი სიმონ ბეროშვილი! ისეთი გამოფრანტული, ავ თვალს არ ენახება! შავი კოსტუმი ჩაეცა, ყელსახვევი ისე უჭერდა, მეგონა, აგერაც დააღრჩობს-მეთქი; ოფლი ღვარად სდიოდა, სახე ჭარხლისფრად უბზინავდა. ისე შემეცოდა, მინდოდა ცივი წყალი შემესხა მისთვის სახეში...

— რაო, გამოგზდი?

— აბა, რას ამბობ! არც უფიქრია. თავის საქმეზე ჩამოვიდა, მანქანებს ყიდულობს ქარხნისთვის. მაგრამ, სიიდან აქვს ამდენი ფული, და მერე რა ფული!

— რა ფული? — გულგრილად იკითხა გივიმ.

— უცხოეთის ვალუტა. მთელი შეკერა გადმომცა შესანახავად. ათი ათასი არისო... ეს ხომ დიდი თანხაა? ძალიან დიდი, არა?

გივიმ ლუქმა გადაეყლაპა და დამცინავად იკითხა:

— ხომ არ იცრუა იმ შენმა ბერო-
შვილმა?

— როგორ თუ იცრუა?

— იქნებ იმ შეკვრაში სულაც არაფე-
რია ისეთი... იქნებ უბრალოდ გაბრყ-
ვებდა, მეტი არაფერი. შენთან მოსვლის
სამაბი გამოუნახავს.

— ეგ შეუძლებელია! — წამოიჭრა
ირინე.

გალო კარადა, ყუთიდან შეკვრა ამო-
იღო და გახსნა. აქამდე არასოდეს არ
ენახა ამგვარი ფულის ნიშნები და იჭე-
ნულად გადაქექა მთელი დასტა.

— შენ ერკვევი ამ ფულში?

გივიმ ერთხანს ათვალეირა ფული,
აუჩქარებლად გადათვალა, შერე ბეჯი-
თად დაალაგა აშლილი დასტა და ისევ
გახვია გახეთის ქალაღში.

— დიდი თანხაა... — ყრუდ ჩაილაპ-
რაჲა და შეკვრა მაგიდის შუაგულისკენ
მისწია, თითქმის ხელი ჰკრა.

ირინემ რომ მისი გაცბუნებული სა-
ხე დაინახა, თვითონაც შეფიქრიანდა.

— შენი აზრით, არ უნდა დამეტოვე-
ბია?

— არა, რატომ, — მშვიდად თქვა გი-
ვიმ. — სხვამ ხომ არავე იცის?

— არავენ.

— ჰოდა, მით უკეთესი. ოღონდ მა-
ლე დაუბრუნე პატრონს.

— დღესაც უნდა წაეღო, მაგრამ აღარ
მოვიდა.

ირინემ აიღო შეკვრა და ისევ ყუთში
ჩადგა.

როცა კარადა მიხურა და გამობრუნ-
და, დაინახა, რომ გივის პურის გული
ეჭირა და აგუნდავებდა. ის ფიქრებში
წასული ჩანდა.

— შენ უსათუოდ რაღაც უსიამოვ-
ნება შეგხვდა დღეს და მე მიმალავ, —
მხრებზე ხელი დაადო და თვალებში ჩა-
ხვდა ირინემ. — მაშინვე მენიშნა, როცა
შემოხველ, რა იყო? არ მეტყვი?

გივიმ მისი ხელი აიღო და აკოცა.

— სრულიად არაფერი, გარწმუნებ.

ირინემ ერთხანს დაეკვებით უცქირა
და შერე უეცრად თავის ქულს წაატანა
ხელი.

2. „მნათობი“, № 2

— იცი რა, მოდი ქალაღში გავიდეთ.
ცხელა ოთახში. მთელი დღე ამ ოთხ
კედელში ვარ დამწყვდეული. სული მე-
ხუთება.

გივი ზანტად წამოდგა.

— ერთ წუთს. დამიცადე, — შეაჩერა
ირინემ, — მეზობელ დედაკაცს გავაფრ-
თხილებ, თუ ენიცობაა მოვიდა ბეროშ-
ვილი, ორი საათის შემდეგ მომაკითხოს.

მაგრამ შოფრის ცოლისგან ვერც ისე
მალე გამობრუნდა, როგორც ეკონა. დე-
დაკაცს ასტმის შეტევა დაწყებოდა და
ირინე იძულებული გახდა ეპატრონებია
მისთვის. მხოლოდ იმის შემდეგ, როცა
ავადმყოფს ესაღაეთა, როგორც იქნა
დაუძვრა ხელიდან და თავის ოთახს მი-
აშურა.

— გივი! — დაუძახა ნახევრად გაღე-
ბულ კარიდან. აბა, წავიდეთ!

ოთახიდან არავენი გამოჩენილა. არც
არავეის უპასუხნია.

— გივი! — უფრო ხმამაღლა მიაძახა
და როცა ახლაც არავენი შეეხმინა, შიგ
შეიხვდა.

ოთახში არავენი იყო.

გაკვირვებით მიმოიხვდა, ისევ დერე-
ფანში ვაეიდა, სამზარეულოში შეიხე-
და, — გივი ვერსად ნახა.

შებრუნდა ოთახში და ლოდინი დაუ-
წყო... შეუძლებელია ისე წასულიყო,
რომ არ გაეფრთხილებინა მანც.

მაგრამ დრო გადიოდა, ის კი არ ჩანდა.
მოწყენილი ჩამოჯდა მაგიდასთან...
რაღაც უიღბლოდ დაიწყო და თავდება
ეს დღე. დილიდან ვერ იქნა და ვერ და-
აღწია თავი ოთახიდან.. ჯერ ბეროშ-
ვილმა იძულებული გახდა შინ მჯდარი-
ყო, ახლა გივიც ალოდინებს... ეს რა მო-
ეპრიანა ასე მოულოდნელად საღდაც
წასვლა? ამ საღამოს ის თითქოს ვერ
იყო გუნებაზე...

— იქნებ ისევ სამუშაოზე შეემთხვა
რაიმე? — გაუელვა ფიქრმა.

უეცრად მისი ყურადღება კარადამ
მიიპყრო. კარადის კარი, რატომღაც, გა-
მოღებული იყო.

„ნუ თუ არ მიმიხურავს?“ — გაიფიქ-
რა დაეკვებით, თუმცა კარგად ახსოვ-

და, რომ რამდენიმე წუთის წინათ თავისი ხელით მიხურა.

გაუკვირდა, მაგრამ არაფერი მნიშვნელობა არ მისცა ამ ამბავს. თვალის კი მოაშორა კარადს, გვივზე ფიქრს დაუბრუნდა, მაგრამ მხოლოდ წუთით, — უნებურად ისევ კარადის ღია კარი მოხვდა თვალში.

აღმა, მივიდა, მიხურა. მიხურა და ანგარიშმიუცემლად უმაღვე გამოალო, ყუთი გამოსწია, ჩაიხედა.

ყუთში ფულის შეკვრა ვერ დაინახა. გადაქექა, ვაღმოაჩინა ყუთი. შეკვრა მაინც ვერ იპოვა.

„სხვაგან რომ არ შევიწინა“ — წამით დაიძებდა თავი და ისევ შეუდგა ძებნას.

ყველაფერი გადმოაღაგა რაც კარადში იყო, იატაკზე დაჰყარა და სათითაოდ ათვალიერა კოლოფები, ტანსაცმელიც კი, მაგრამ ვერსად ნახა.

ჯერ კიდევ ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ ფული დაკარგულიყო. იმედი ჰქონდა, სადმე იპოვიდა და ისევ ეძებდა ყუთში, კარადის თაროებზე, იატაკზე გაფანტულ ნივთებში.

„იქნებ გვიმ იხუმრა და ვადამიძალა?“ — ეს აზრი როგორც სიძარტლესთან დაახლოებულად ეჩვენა. მხოლოდ ამით შეეძლო აეხსნა ფულის გაქრობის ამბავი. რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე, მით მეტი იმედი ეძლეოდა, რომ ეს გვიმს იმედი ეძლეოდა, ამითვე ახსნა მისი უცარი წასვლა... ცხადია, ის მალე მოვა და სიცილს დაიწყებს, მაგრამ საკვირველია, რატომ არ იფიქრა, რომ ამგვარი უხეში ხუმრობა დიდ აღელვებას გამოიწვევდა?! ან რად დასჭირდა, რომ ასე მოიქცა? იმტომ რომ არა, რომ იეჭვიანა და გაბრაზებული იყო ბეროშვილზე?

ეს იყო ირინეს უკანასკნელი იმედი და, ამით გამხსნელებული, ელოდებოდა ახლა გვიმს მოსვლას.

მაგრამ დიდხანს მოუხდა ლოდინი. დრო თითქოს გაჩერდა, ისე ნელა გადიოდა. ორი საათის დამტანჯველი მარტობის შემდეგ ისევ გაიღვიძა შიშმა, შემფთობამ მოიცვა და, ბოლოს, მოთ-

მინებადაკარგულმა, ვაღაწყვიტა ქალაქში გასულიყო გვიმის მოსაძებნად.

ჯერ ბინაზე მიაკითხა, ოთახი დაკეტილი დახვდა. შეზობელმა მობინადრეებმა უთხრეს, დილიდან შინ არ დაბრუნებულაო.

ჩამოირბინა კიბე და ქუჩას გაჰყვა. უეცრად გაახსენდა, რომ გუშინ დატყეული ჰქონდა ამ საღამოს ერთად მისულიყვნენ მამიდა თაფლოსთან, წინათ იქ ხშირად ხედებოდა გვიმს და, ვინ იცის, იქნებ ახლაც ენახა.

მაშინვე მიაშურა ქუჩის კუთხეს, სადაც ტრამვის გაჩერება იყო, და ვერაზე მიმავალ ვაგონს დაუწყო ლოდინი.

•••

მამიდა თაფლო და მაგდა სიხარულით მიეგებნენ. მაგდამ შორიდანვე გაუწოდა თავისი გამხდარი ხელები და მოეხვია.

როგორც ყოველთვის, თაფლო ახლაც ლაპარაკის გუნებაზე აღმოჩნდა და მაშინვე თავისებურად გრძელი სიტყვა გააბა. ირინეს ბევრი რამ არც კი ესმოდა, რას უამბობდა ხანშესული მამიდა. და არც იმას შეუძინებია, რა უგულისყუროდ უსმენდა და რა ნაღვლიანი სახე ჰქონდა ძმისწულს.

— ახლა კი, ღვთის მადლით, არა გვიშავს რა, — რომელიღაც თავის ამბავს განაგრძობდა თაფლო. — ჩემი მაგდა ხელსაქმეს გაეჩვია და ამით გაგვაქვს თავი. ენაცელოს დედამისი, ერთხელაც საყუდლური არ უთქვამს, რომ ბევრი შრომა უხდება... აი, ნახე, რა სუფთა ნახელავია! — ვადაიხარა, რაღაც ტიკინა აიღო და ირინეს ხელში შეაჩენა.

ღედის შექებას გულგრილად შეხვდა მაგდა. ეტყობოდა, მრავალჯერ გაგონილი და მობეზრებულიც ჰქონდა. სიტყვით, რომ ვერ გაუბედა, მან მხოლოდ ისე მოკრძალებულად შეხვდა, თითქოს თხოვდა მეტი არაფერი ეთქვა. ირინემ შენიშნა, რომ მის ბუდეშურ თვალებს ისეთივე ბედის მორჩილი ადამიანის გამომეტყველება ჰქონდათ, როგორც ყოველთვის წინათ.

ოთახში, საიდანაც დიდი ხანია გატანილი იყო ძვირფასი ავეჯი, ახლა ადგილი ეკავა უბრალო საწოლებს, ნოხით გადაფარებულ ტახტს და ძველიდან დარჩენილ, მინანქრით შემოვლებულ ჩარჩოში ჩასმულ კედლის საარქეს. ოთახის კუთხეებში, თაროებზე, მაგიდაზე ეყარა გამზადებული და ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ტიკინები.

მაგდას თითქოს კიდევაც უყვარდა თავისი საქმე. ის ოსტატურად აკეთებდა ქართული სოფელი გოგო-ბიჭების, ეზიდი დედაკაცების, ჯამბაზების, ცხოველების ტიკინებს და სათამაშოებს. ხელსაქმით გართული, მთელი დღე იჯდა ოთახში და ამ პატარა თავის სამეფოში თვითონაც ტიკინად ჩანდა, ოღონდ უფრო დიდ ტიკინად. იშვიათად თუ გავიდოდა სახლიდან, და თუ გავიდოდა, ცდილობდა მალე დაბრუნებულიყო შინ, — ქუჩაში ხალხის სიმრავლე და ქალაქის ხმაური არ სიამოვნებდა და ღლიდა.

მაგდა ბავშვობიდანვე უცხოობდა ხალხს და ქალიშვილობაშიც ასეთივე ხასიათი შერჩა. ის ფარულად იტანჯებოდა იმისგან, რომ კურდღელივით ტუჩგაბობილს, დაუშნობელი სახე ჰქონდა, ზშირად შეუნიშნავს ხან დაცინვით და ხან როგორი შეცოდებით თვალი გაუყოლებია მისთვის ვინმე გამულელს. ასეთი შეხედვა ყოველთვის აკრთობდა და აღელვებდა, და ამიტომ იყო, რომ განმარტოებდას და შინ ყოფნას რჩეობდა.

წარსულიდანვე მაგდა დაჩვეული იყო, რომ ირინე დაუჯდებოდა გვერდით და უამბობდა ხოლმე თეატრის, კინოს, ნაცნობების შესახებ, — თუ რა მოხდა ამ დღეებში ღირსშესანიშნავი, ვის შეხვდა, რომელ ოჯახში იყრიან თავს ახალგაზრდები. მხოლოდ ამ ამბების მოსმენა აკავშირებდა მას გარე ქვეყანასთან და მეგობრის მოსვლაც ყოველთვის ამიტომ უხაროდა. განსაკუთრებით ის უყვარდა, როცა ირინე რომელიმე თავის საიდუმლოს გაანდობდა, — საკუთარი ვნებები და საიდუმლო რომ არ გააჩნდა, ამიტომ

იმიტაც კმაყოფილდებოდა, და დიდძალ სიამოვნებდა, როცა სხვისას მაინც მოისმენდა.

როგორც ყოველთვის, მაგდა ახლაც უცდიდა როდის დაილაპარაკებდა ირინე. რამდენი ხანია ერთმანეთი არ უნახავთ და რამდენი რამ ექნება საამბობი...

ირინეს ჩუმად ყოფნამ თავლოს საშუალება მისცა შეუჩერებლივ ელაპარაკა. თავლო დაფუსფუსებდა ოთახში, რაღაცას ამზადებდა სავაზშმოდ და თან განუწყვეტლივ ჭაქანებდა. პატარა ტაფაზე, რომელზედაც აცხელებდა სადილზე მორჩენილ ხორცს, შიშინებდა ერბო და გამაღიზიანებელი სუნი დგებოდა.

— ყოველგვარად ვცდილობ კარგად ვკვებო ჩემი მაგდა. ძალიან იღლება შენც შეამჩნევდი, ფერმკრთალია. ჩაეჩინებ, თავს ძალა დაატანოს და მეტი ჭამოს, მაგრამ არაფერი გამიღის, ვერ შევაგნებთ. თუ ერთხელეც უარზე გადავართავ, ვეღარაფრით დაითანხმებ. მისთვის კი კვება პირველი საქმეა. შადლობა ღმერთს, ჩვენი საქმე ახლა უკეთესად წავიდა. წინათ მხოლოდ ნაცნობები გვაძლევდნენ შეკვეთებს, ახლა უცნობებიც მოდიან. ზარმაცობსო, ამაში ვერ დავემდურები ჩემს გოგონას. თავდაპირველად შეშინოდა, საბრალო მამამისის დაუდევარი ხასიათი არ გამოჰყოლოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩემსკენ გადმოიხარა. მამამისს, შვილო, უფლებაც ჰქონდა ისე ეცხოვრა, როგორც უნდოდა. ან კი რა გვიჭირდა, თითქმის ორი სოფელი ჩვენი იყო...

წარსულის გახსენებაზე თავლომ ამოიოხრა.

— მაგრამ ღმერთი მოწყალეა, იქნებ მალე ისე გვექნეს საქმე, რომ ჩემს მაგდას საშუალება მიეცეს რამდენიმე თვით დაისვენოს. შემდეგ კი...

გადმოიღო ტაფა, მაგდას წინ დაუდო და თვალი ჩაუკრა ირინეს:

— შემდეგ კი ჩვენ იმაზედაც ვიზრუნებთ, რომ სრულიად აღარ დასჭირდეს თითების ჩხელტა და სხვისი ბავშვების

სახალისოდ ტყინების კეთება... აღბათ, შეამჩნევს ღირსეული ვინმე ჩემს ლამაზ გოგონას და... — თავლომ შეიღს გადახედა და ყრუდ ჩაილაპარაკა: — მე კიდევაც მყავს სათვალავში მისთვის შესაფერი...

მაგდას ლოყები შეუფაქლდა და უკმაყოფილოდ წამოიძახა:

— რამდენჯერ გთხოვე თავი დაანებო მაგაზე ლაპარაკს!

თაფლოს მაშინვე ეცვალა გუნებასაყვედურით თვალი შეაფლო და მერე ირინეს შეხედა ისე, თითქოს მისგან თანაგრძნობას ითხოვდა:

— სულ ასე, მუდამ ასე... ჩემისთანა მზრუნველ დედას იმის უფლებასაც არ მაძლევს, რომ მის მომავალზე ვიფიქრო...

რამდენიმე წუთის სიჩუმე ისევ თავლომ დაარღვია:

— თქვენ ჯერ ბავშვები ხართ და მრავალი რამ არ გაგეგებათ. დიახ... გამოცდილება თქვენ ვინ მოგცათ, რა იცით თქვენ ცხოვრებისა, მით უფრო დღევანდელისა?...

აღუღებულმა თქვა ეს, და შემდეგ ირინეს მიმართა უფრო მშვიდი კილოთი:

— სურათერი გეწყინება, შვილო, ჩემგან. შენ რომ მაშიდა თავლო ვახსოვს, ის აღარ ვარ. ნერვების მაგიერ ძაფები-ლა შემჩა.

„როდის გათავლება ეს უაზრო ბუნღუნნი!“ — ვაიფიქრა ირინემ.

— მაგრამ მე ჩემს თავზე არ ვდარდობ, — მიძიმედ ამოიოხრა თაფლომ. — მე თქვენი ბედი მაწუხებს. დალხინებაში იზრდებოდით და უკულმა წაივდა ყველაფერი. — თქვენ კიდევ რა გიმავთ... აი, მაგალითად, იმ ჩემი უბედური ქმრის დისწული ავილოთ...

ირინე უცბად გამოცოცხლდა, ველარ მოითმინა და კითხა:

— ვინ, გივი?

— მე ის დაღუპულად მიმაჩნია, — ხელი ჩაიქნია თაფლომ. — და მერე რატომ? იმიტომ, რომ პატრონი და მრჩეველი აღარავინ ჰყავდა...

გვერდით დაუჯდა ირინეს და თითქმის ჩურჩულით განაგრძო:

— ჩვენი ხარ და რა დავიქნებით ვიცი, შენ დაახლოებული იყავი გივისთან და გული გეტყინება, მის ამბავს რომ გაიგებ... ბოლო ხანს კაზინოში სიარულს დაეჩვია, იქ აღამებდა და ათენებდა. ბოლოს ისიც გაიგე, დაახლოებოდა ერთ ხანშიშესულ ბერძნის დედაკაცს, კაზინოს მეპლთეტეს. ქალს, თურმე, ფული არ ეზოგებოდა მისთვის. სხვა თუ არაფერი, იმ ოხერ დედაკაცის მიხრწნილი სახე მაინც როგორ არ ეზიზღებოდა? ერთხელ ჩემთან მოვიდა ის ქალი. ჩხუბი დამიწყო, გივი ყოველგვარ წრეს გადადის, შემიძულა, აღარ ვეცოდებო. შემდეგ იმ მეზუფეტესაც მოსწყენოდა მექთაბორაზე ზრუნვა და რა მოიმოქმედა მაშინ გივიმ, როგორ გგონია?

ირინეს არ გაუმტლანებია მღელვარება, უძრავად იჯდა და უსმენდა.

— ის, რაც მან ჩაიდინა, სათქმელადაც სირცხვილია... ბოლოს მან —... თავლო წუთით ჩაჩუმდა, თითქოს გადაიფიქრა ეთქვა დასასრული.

— ბოლოს რაო? — ველარ მოითმინა და ჩაჭკობა ირინემ.

— არამზადა ის რა კეთილშობილი გვარი შეარცხვინა! როინიშვილთა მთელ გვარეულობას თავი მოსქრა... ბოლოს ის იყო, შვილო, რომ იმ ბერძნის დედაკაცს ძვირფასი ნივთები მოსტაცა...

ირინეს უეცრად მაგდას ხმაც მოესმა:

— ვახსოვს, შენ მწერდი, გივის მომავალი საკვირველად ბრწყინვალე მეჩვენებო. რაღაც გმირად გყავდა წარმოდგენილი.

ირინეს არ შეუხედავს მაგდასთვის, მაგრამ გრძნობდა, რომ ამ წუთში ის ღიმილით შეჰყურებდა.

თავზარდამცემი იყო ყველაფერი, რაც ახლა გაიგონა. ბურანში მყოფს აღარც ესმოდა, კიდევ რას ამბობდა მაშიდა თაფლო. დიდხანს მდუმარედ ოჯდა, თითქოს სიკალიერში იყო, ისე მიმოაელო თვალი იქაურობას და უეცრად ადგა.

საით, გეთაყვა, რა დროს წასვლაა? — გაიოცა თაფლომ.

ირინემ რაღაც წაიდუღუნა, აკოცა და კარს მიაშურა.

კბეზე მაგდამ ჩააცილა. ის ხედავდა, რა აფორიაქებული იყო მეგობარი, გრძნობდა რა იყო მიზეზი და თავის თავს უსაყვედურებდა, რომ დედას არა თუ ხელი არ შეუშალა გივის შესახებ ჩამოგდო სიტყვა, თვითონაც მხარი აუბა.

— ვიცი, შენთვის ძნელი იყო ამის ვაგონება, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა გცოდნოდა სიმართლე, — შეეცადა მაგდა გაემართლებია დედა და თავისი თავიც.

ირინემ თავი ველარ შეიმავრა, მოეხვია და უეცრად ატირდა.

— არა, არა, ნუ, ნუ! — სხვა სანუგეშო ვერაფერი მოეხერხებია შემოთვებულ მაგდას.

— ახ, რა სისულელეა! — თავს ძალა დაატანა და თვალები მოიწმინდა ირინემ. — ყურადღებას ნუ მაქცევ... ეს ისე... თვითონაც არ ვიცი რატომ...

ერთხელ კიდევ გადაეხვია და ქუჩაში გავიდა.

მთელი გზა სახლამდე თითქოს სიცალიერეში და სიბნელეში გაიარა და, მოულოდნელად, კბეზე შესასვლელ კარს რომ მიუახლოვდა, მესამე სართულზე თავისი ოთახის ფანჯრები განათებული დაინახა. ოთახში ვიღაც იყო... თუ არა ვინმე მახლობელი, ასე გვიან ღამით სხვა ვინ ელოდებოდა? ნუ თუ გივი? დაბრუნდა და...

— რა თქმა უნდა, იხუმრა... ცხადია, იხუმრა, თორემ რა წარმოსადგენია, რომ მართლა გაიტაცა... იქნებ იქვე ოთახში უჩინარ ადგილას გადაშალა და ახლა სიცილით დაუბრუნებს... მეტიმეტად უხეში, ავი ხუმრობა კი გამოუვიდა და დიდ საყვედურს ეტყვის, რომ ააფორიაქა და შეაშფოთა... და მერე როგორ შეაშფოთა! მაგრამ არა, არავეითარ საყვედურს, რაღაც ყველაფერი კარგად დამთავრდა... ის ახლა თვითონაც სინანულს გამოთქვამს...

რატომ უთხრა მამიდა თავილომ, რომ მუდამ არამზადად თვლიდა გივის? რა-

ღაც არ ახსოვს, რომ წინათ ვთქვას მსგავსი რამ. პირიქით, მისგან ყოველთვის ის სმენია, დიდი მოშავილე ვქვსო... იქნებ გივიმ რაიმე აწყენია და თავილომ, რომელიც გულმოსულობის დროს ადვილად იმეტებდა ადამიანს და ათასგვარ არნახულს და გაუგონარს მიაწერდა ხოლმე, გივიც აღარ დახოვავ?... სწრაფად აირბინა კბე.

ოთახი განათებული იყო, შიგ კი არავინ. არც რაიმე ნიშანი, რომ მისი შინ არ ყოფნისას ვინმე შემოსულიყო.

უმწეოდ მიმოიხედა გარშემო და მძიმედ ჩამოჯდა დივანზე. მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ წასვლისას ელექტრონი არ გამოუთიშავს...

წუთიერი აღმოჩნდა იმედი და სიხარული, რომ გივის ნახავდა ოთახში... არა, ყველაფერი სიმართლეს გავდა, რაც მამიდა თავილომ უთხრა. ცხადია, სიმართლე იყო იმ ვიღაც ურცხვი ბერძნის ქალის ამბავიც...

ფულის დაკარგვაზე უფრო ახლა ეს ამბავი გადაეჭვა წამებად. ფიქრები არეულიყო და იმ დედაკაცის გარშემო ტრალებდნენ, მისი საშინელი სახე ებლანდებოდა თვალბეში... გივი მისი ხასა იყო, ფულისთვის უაღერსებდა ვიღაც ხნიერ, ავზორც დიაცს...

პირველად იყო, რომ უბედურ ადამიანად გრძნობდა თავს. საღდაც შორს გადაიწია წარსული. უცნაური იყო ფიქრი იმაზე, რომ ოდესღაც უყვარდა გივი. წარსულის ეს გახსენებაც სამარცხვინოდ მიიჩნია ახლა.

დაღლილობა წაართმევდა ხოლმე თვალს, მაგრამ შემკრთალი უშალვე ასწევდა თავს და შემოთვებით მიმოიხედავდა გარშემო. ფანჯრიდან ჩანდა ცის ნაქერი, უსიცოცხლო შავი სიცალიერე. სიჩუმეში მოისმა დაგვიანებულ ტრამვაის შორეული რახარახი, საღდაც ეზოში ხრინწიანად დაჰყვება ძაღლი.

დაბინდული თვალებით მისჩერებოდა ირინე ფანჯარას, გულში აღარ იყო სევდა, აღარც მოგონებათა სიმწარე, მხოლოდ დაღლილობა და სიცალიერე.

ამ სიცალიერეში ჩათვლიმა ბოლოს...

თითქოს სიზმარში, იგრძნო ვიღაც იყო მის გვერდით და უეცრად გამოეღვიძა.

ოთახში მზის სხივი შემოჭრილიყო. ჰერზე ელნათურა ისევ ენთო.

მაგიდასთან იჯდა სიმონ ბეროშვილი და უცნობი მამაკაცი.

მაპატიეთ უზრდელობა, დაუკითხავად შემოვედით, — გაღიშებული სახით წამოღდა სიმონი. — დაეკაკუნე, შემოვიხედე და, ჩაცმული რომ დაგინახეთ, შემოსვლა გავბედე. კი ხანს კი ვიცადეთ, სანამ გავგეღვიძებოდათ.

ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად, მაგრამ პაერში შეჩნა. ირინემ მხოლოდ შიშით შეაღწო თვალი ორივეს, უეცრად დახარა თავი და სახე ხელებით დაფარა.

სიმონი დაიბნა. გაკვირვებით მიაჩერდა, ფრთხილად ჩამოჯდა დივანზე და მზრუნველობით იკითხა:

— რა მოგივიდათ? ავად ხომ არ ბრძანდებით?

ირინე ისეთი ფერმკრთალი იყო, რომ მართლაც ავადმყოფს გავდა.

რამდენიმე წუთი ღრმა სიჩუმეში გავიდა.

— ბარემ მოვითავოთ ჩვენი საქმე, — გულგრილად დაარღვია სიჩუმე უცნობმა მამაკაცმა. მას თავისი საბრუნავი გააჩნდა და არავითარი საქმე არ ჰქონდა იმასთან, ავად იყო თუ კარგად ვიღაც ქალიშვილი.

სიმონმა მორიდებულად, ხმადაბლა დაიწყო:

— ეს პატივსაცემი უნდა გავისტუმრო და... თუ შეიძლებოდეს...

ირინეს თავი არ აუღია.

— ხომ იცით რას ვთხოვთ? — ისევ მორიდებით მიმართა ბეროშვილმა. — ჰოდა, თუ შეიძლებოდეს...

პასუხს ვერც ამის შემდეგ ეღივსა. დაინახა მხოლოდ ის, რომ ირინეს, რატომღაც, მხრები აუცახცახდა. უხმოდ, მაგრამ თითქოს სტიროდა კიდევაც.

იგრძო ბეროშვილმა — ირინეს ავადმყოფობა აქ არაფერ შუაში იყო, თვითონ მის თავზე იყო რაღაც ცუდი ამბავი და შემეფოთებით დაილაპარაკა:

— ვთხოვთ გაისარჯოთ და ჩემი მობარებული მომცეთ... ამ უცხო აღამიანს ვაყოვნებთ და მეც მიგვიხსნებთ.

ირინემ ოდნავ ასწია თავი, ძალა მოიკრიბა და ძლივს შესძლო ხმის ამოღება:

— მე თქვენი ფული აღარ მაქვს... მომპარეს...

სხვა დროს, ალბათ, ძალიან სასაცილო შესახედადი იქნებოდა სიმონი, ისე დაეღრიცა სახე ამის გაგონებაზე.

— როგორ თუ მოგპარეს?! — მოულოდნელობისაგან გამწარებულმა ამის თქმა-ლა შესძლო.

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სიტყვა არ ემორჩილებოდა.

— როგორ და, უბრალოდ... როგორც ხდება ხოლმე... — ჩაბუზღუნა მანქანების გამყიდვამა ქალარა კაცმა და დამცინავად გადახედა ირინეს: — მამ მოგპარეს, მოგპარეს... ა? ვითომ დავიჯეროთ? აიდა, ქალიშვილო, ავთი აბაღაზრდა და უკვე კარგად გამოჯაგული ბრძანებულხარ...

— როგორ ბედავთ! — წამოიჭრა ირინე.

მამაკაცმა ოდნავი ყურადღებაც არ მიაქცია და სიმონს მიუბრუნდა:

— მეტი ფული თან არ გაქვთ? სიმონი პასუხს უგვიანებდა.

— თუ არა და... რას იზამ, — ქული ჩამოიფხატა და ოთახიდან გავიდა.

სიმონი დიდხანს იჯდა ხმაამოუღებლად.

— რაღა ვქნა ახლა მე?! — ავერ როდისღაც ადგა და მოუსვენრად იწყო ოთახში სიარული. — ფული ფულად და მანქანებიც წამოვიდა ხელიდან.

ხანდახან შეჩერდებოდა და გაბრაზებით გადავლებდა თვალს ირინეს, რომელიც თავდახრილი იჯდა დივანზე.

— როგორ მოხდა ეგ? როდის მოხდა? ირინემ სცადა ეამბნა მისთვის, მაგრამ ისე უთავებოლოდ და არეულად ლაპარაკობდა, რომ ისედაც გონებაამღვრულმა სიმონმა ვერაფერი ვერ გაიგო.

— ჩმახავ რაღაცას! — უეცრად გულჯავრიანად გადასძახა და მუშტი დაახა-

ლა მაგიდას. — ეგ ზღაპარი სხვას უამბე, მე ვერ მომატყუებ!

რაც დრო გადიოდა, მეტი და მეტი მღელვარება ემჩნეოდა და ძლივს იკავებდა თავს, რომ არ სცემოდა. ისიც კი აბრაზებდა და მოთმინებას უკარგავდა, რომ ირინეს ჩუმი ტირილი ესმოდა.

იბორკა, იბორიალა ოთახში, ბოლოს ჩამოჯდა, ერთხანს ჩუმად იყო და მერე ყრუდ, მაგრამ გაბრაზებით თქვა:

— არ გიშველის, ქალიშვილო, ეგ ცრემლები... შენს თავს დააბრალებ, რაც მოგივიდეს... მაგ ფულის დაკარგვა არ დამლუპავს მე, მაგრამ... შენგან კი არ მოველოდი ამას. პატროსანი მეგონე...

ირინეს ყველაფერი ესმოდა, მაგრამ თავის თავს დამნაშავედ თვლიდა და მორჩილად იტანდა შეურაცხყოფას. ახლა მხოლოდ იმას ნატრობდა და მოუთმენლად ელოდა იმ წუთს, როცა სიმონი წავიდოდა და მარტო დასტოვებდა.

ორი დღის შემდეგ ირინემ წერილი მიიღო ფოსტით.

წერილი გვიისაგან იყო. მას არ დაუფარავს, რომ ფული წაიღო.

„... როცა მიზეზს გაიგებ თუ რამ მაიძულა, იქნებ მაპატიო და კიდევაც გაამართლო ჩემი საქციელი. წარმოდგენილი მაქვს, რა მიძიმე მდგომარეობაში

ჩაგაგდე. ჩემი გულისათვის შენ უნდა აიტანო ყველაფერი და, თუ საჭირო იქნა, მსხვერპლიც გაიღო. შენ დიდხანსაა ვოცნებობდი მეშოვა უცხოეთში ვასაქცივად საჭირო ფული. მე არ მინდა და აღარ შემიძლია აქ დარჩენა. ვეპკობ, რომ ოდესმე კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს. მე მივდივარ დიდ რისკზე და, შესაძლოა, უეჭველ სიკვდილზე. მაგრამ ეს არ მაშინებს, სხვაგვარად მოქცევა აღარ შემიძლია. არ დაგიფარავ, არაფრის რწმენა აღარ მაქვს. მე დაკარგე არა მარტო რაიმე რწმენა, საკუთარი სულიც... ფულის პატრონი, ალბათ, დაგემუქრება, დაშინებას დაგიწყებს, მაგრამ შენ არ შეშინდე, ვერაფერს ვერ გიზამს. ის იძულებული იქნება შეუთიადეს ფულის დაკარგვას. ვერც გაბედავს განუცხადოს ხელისუფლებას, რომ უცხოეთის ვალუტა ჰქონდა“...

წერილი ხელმოუწერელი იყო,

— არამზადა, თავის მართლებასაც ცდილობს! — თვალამღვრეული დაძყურებდა ირინე წერილს. — რა მსხვერპლს მოითხოვს კიდევ ჩემგან? მან ყველაფერი გააკეთა, რომ უბედური გავხადე. ის კიდევ ბედავს და პატიებას ითხოვს!

იმავე ღამით ირინე პატარხევი გაემგზავრა.

ნაწილი მეორე

I

კორსაველი უჩვეულო გუნებაზე ბრუნდებოდა თავის სახლისკენ.

რაც იმ დღეს მოხდა, სრულიად მოულოდნელი იყო მისთვის და ახლა, ქუჩაში მიმავალს, კიდევ დიდხანს ისე ეჩვენებოდა, თითქოს ყველაფერი მხოლოდ სიზმარში ჰქონდა გაგონილი.

დილით კორსაველს ქალაქის საბჭოში გამოუძახეს. სოფიო, მისი ცოლი, ცოტა არ იყოს, კიდევაც გააკვირვა ამ უეცარმა მსწვევამ.

— უმნიშვნელო საქმეა, ალბათ. მივალ გავიგებ, — ცოლს უთხრა ელიზბარმა, უნდომლად ჩაიკვა და აუჩქარებლად გაუდგა გზას.

ნართლაც და, ვის რა უნდოდა, ვის და

რად მოაგონდა მისი არსებობა? ის ზომ დიდხანსაა ჩამოშორებული იყო ქვეყანას, მრავალი წელი გავიდა რაც არავის მიუკითხავს და თვითონაც არავისთვის არ შეუხსენებია თავისი თავი. განდგომილივით ცხოვრობდა კოშკისებურ სახლში, გულს იყოლებდა ხოლმე ბაღში მუშაობით, წიგნების კითხვით და რაღაც ფანტასტიკური შენობების ხატვით. დიდი სახლები, შადრევნები მოედნებზე, მდიდრულად მორთული თაღები ქუჩებზე, რომლებსაც კვირაობით და თვეობით გულმოდგინედ ხაზავდა, აშენებულ იყვნენ და ცოცხლობდნენ მხოლოდ ქალღმერთზე, შემდეგ კი უერთდებოდნენ სხვა ფურცლებს, რომლებიც მტკვრდაყ-

რილი ეყარნენ კაბინეტში თაროებზე. უმთავრესად ამ ოთახში ატარებდა კორსაველი თავის დღეებს, აქ დაიამა ყველა ძველი ტყვილი, მოიპოვა სულიერი სიმშვიდე, და, ბოლოს, ყველაფრისადმი გულგრილად გახდა.

იყო დრო, როცა ათასგვარი ფიქრი უტრიალებდა თავში და, ბუნებით ისედაც მოუსვენარს, მხოლოდ ის აწუხებდა, რომ თავისი ძალა ვერ გამოეყენებია იმგვარად, როგორც თვითონ ოცნებობდა. არ ასვენებდა ეს დაუხარჯველი ენერჯია, სამოქმედოდ მიუღწევდა და თანაც გულს სევდით უკსებდა, რომ ვერ აკეთებდა საყვარელ საქმეს.

მაგრამ ყველაფერი ეს წინათ იყო, დიდი ხნის წინათ. იმ დღიდან, რაც კორსაველი საბოლოოდ გადმობარგდა პატარხეშში, დაიწყო მისი მეორე ცხოვრება. ახლა, უკვე ქალაქამორეულს, დავიწყებული ჰქონდა ის დრო, აღარც ძველი ოცნებები აფორიაქებდნენ და გაუქრა ის სევდაც, რომელიც ოდესღაც დიდი ქალაქიდან გამოჰყვა.

საბჭოს თავმჯდომარის მდივანმა, ახალგაზრდა ქალიშვილმა, რომელსაც საოცრად ჰრელი ქაბა ეცვა, უკმაყოფილოდ ახედა კორსაველს, როცა მან გამოძახების უწყება წარუდგინა.

— რატომ დაიგვიანეთ, მოქალაქე? თქვენ დიდი ხანია გელით ამხანაგი სამადაშვილი! — მკაცრი კილოთი უთხრა ქალიშვილმა, შავი ყალამქარით შეფუთვნილი კარები შეაღო და შეუძღვა: — შემოდით!

დიდ ოთახში კორსაველმა დაინახა მარტოდ მჯდარი ჯერ ახალგაზრდა კაცი. კაბინეტი ყოველგვარ კომფორტს მოკლებული იყო — საწერი მაგიდა და რამდენიმე სკამი. კედლებზე ეკიდა პორტრეტები, რომელთა შორის ელიზბარმა მხოლოდ ლენინის სახე იცნო.

სამადაშვილის სახეს კმაყოფილების ღიმილმა გადაჰკრა, როცა მასთან შესულის ვინაობა გაიგო.

— ძალიან მოხარული ვარ, ამხანაგო ელიზბარ, რომ მოხვედით! — ხალისი-

ანად მიეგება და შემდეგ მდივანს მიმართა: — ნურავის შემოუშვებთ, ჩემთან!

აღბათ იმისათვის, რომ უფრო ინტიმური ხასიათი მიეცა განზრახული საუბრისათვის, სამადაშვილი მოშორდა თავის სამუშაო მაგიდას, ფანჯარასთან სკამები დადგა და ორიენი იქ დასხდნენ.

კორსაველს გაუჭვირდა, რომ თავმჯდომარემ სახელით მიმართა. ამაზე უფრო კი ის ამბავი ეუცხოვა, რომ კაბინეტში სხვისი შემოსვლა აკრძალა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არ აღძვრია ცნობისმოყვარეობა, გულგრილად იჯდა და მოთმინებით ელოდებოდა გაეგორატომ იყო გამოძახებული.

სამადაშვილი არც თუ მოკრძალებული კაცი აღმოჩნდა. მან, რატომღაც, მეტისმეტი ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა და უცბადვე შეუდგა იმის გამოტყვევას, თუ როგორ გრძნობდა თავს და როგორ ცხოვრობდა კორსაველი, ამგვარი სითამამე, რომელსაც დღემდე უცნობი ეს კაცი იჩენდა, არ სიამოვნებდა ელიზბარს, მის სულში ხელების ფათურად მიიჩნდა და ამიტომ იყო, რომ ძუნწად და გულცივად აძლევდა პასუხს.

— თქვენ კარგი სახელი გაქვთ როგორც არქიტექტორს, — უცერად სხვა საგანზე გადაიტანა საუბარი სამადაშვილმა. — ვიცი, წინათ დიდ ქალაქებში მუშაობდით და თქვენი პროექტებით აგებული სახლები ახლაც ყურადღებას იპყრობს...

მას, რა თქმა უნდა, ფიჭრადაც არ მოსვლია, რომ ამ სიტყვებით ქალარა არქიტექტორის ძველ იარაგ შეეხო.

— დაწმუნებული ვარ, გიყვართ თქვენი მშობლიური პატარხევი... ხომ ასეა?

კორსაველმა პასუხი არ გასცა და სამადაშვილი იძულებული გახდა თვითონვე დაედასტურებია:

— რა თქმა უნდა, გიყვართ. ასე რომ არ იყოს, არც იცხოვრებდით აქ. ამიტომ, ვფიქრობ, მოწადინებული იქნებით, რომ უფრო კეთილმოწყობილს და

გლამაზებულს ხედავდეთ ჩვენს ქალაქს. ამის შესაძლებლობა კი არსებობს...

მან შენიშნა, რომ კორსაველი უკვე გულისყურით უსმენდა. ამიტომ კიდევ უფრო თამამად და დარწმუნებით უთხრა:

— დიახ, არსებობს! ქონშახების და ფიცრული დუქნების ნაცვლად აშენდეს ქალაქისათვის შესაფერი სახლები, გაფართოვდეს ქუჩები და მოედნები. ალბათ, კმაყოფილი იქნებით ასეთი პატარხევით?

ელიზბარი ისევ მდუმარედ შეჰყურებდა.

— ცხადია, ხელის ერთი დაქნევით ეს არ გაკეთდება. ამისათვის წლებია საჭირო, მაგრამ ამ მომავალს ხომ ახლავე უნდა ჩაეყაროს საძირკველი. ჰო და...

სიტყვა შეწყვიტა და კორსაველს გამოძვლად ჩახედა თვალებში.

— მე ვფიქრობ, რომ ჩვენს ქალაქს აქვს მომავალი. ჰო და, რას იტყვით იმის შესახებ, რომ თქვენც მხარში ამოგვიდგეთ და ერთად ვაშენოთ ეს მომავალი?

კორსაველს ეოცა ამის გაგონება. ისე შეაელო თვალი, თითქოს არ სჯეროდა გაგონილი, წუთით კიდევ დუმდა და მერე გაუბედავად დაიწყო:

— თქვენ თქვით... თქვენ ამბობთ, რომ მე...

— რომ თქვენი გამოცდილებით შეუძლებელია თქვენი ხელი მოჰკიდოთ, სათავეში ჩაუდგეთ ამ საქმეს, — კორსაველის მაგიერ დაბოლოვა სამადაშვილმა. — მაშ რას იტყვით, ვიმუშაოთ ერთად?

ელიზბარს უნდოდა უტბალვე ეპასუხნა, რომ თანახმაა, მაგრამ ისევ არაფერი არ თქვა, მხოლოდ ხელი დაადო მუხლებზე და თავშეკავებული მღელვარებით მიამტერდა. დღემდე უნახავი და უცნობი ეს კაცი ძალიან მახლობელი ეჩვენებოდა ახლა.

— იქნებ თქვენ გინდათ დაფიქრდეთ ამ ჩემს წინადადებაზე. აგრე იყოს. ასწონ-დასწონეთ ყველაფერი... მე არ ვაჩქარებ... — ყრუდ ჩაილაპარაკა სამადაშვილმა, თითქოს ნაწყენმა, რომ კორსა-

ველი აქამდე დუმდა. — იქნებ თქვენ ხელს გიშლით და...

— არა, არაფერი! — წამოიჭრა ელიზბარმა. — მე მხოლოდ ის მინდა ვითხრათ, რომ სრულიად არ მოველოდი ამას, როცა აქეთ მოვდიოდი. მე არც კი მინდოდა თქვენთან მოსვლა. ახლა კი...

— ახლა კი? ჰო, რაო ახლა? — შეეკითხა სამადაშვილი, რადგან ელიზბარმა სიტყვა არ დაამთავრა.

— ახლა კი მინდა ბევრი რამ ვითხრათ...

ისეთი გულწრფელი მღელვარებით იყო ეს თქმული, რომ სამადაშვილს უნებურად გაელიმა.

— ჰო და, დარჩით. მეც ბევრი რამ უნდა ვითხრათ.

ისინი კიდევ დიდხანს ლაპარაკობდნენ, ერთად დადიოდნენ ოთახში, ისევ ფანჯარასთან ჩამოჯდებოდნენ ხოლმე და საუბარს აგრძელებდნენ. ფანჯრიდან მოჩანდა ტყიანი გორაკები, პატარხევის მალლობი უბანი, რომლის ამწვანებულ ეზო-ბაღებში ჩადგმული იყო ცისფრად შეღებილი ოღები. მოჩანდა კიდევ ერთი ქუჩა ქალაქის ცენტრში, სადაც ყავრით დახურული სავაჭროები ჩამწყრივებულყო. და როცა ერთხელ კორსაველმა იმ ადგილს გახედა, უეცრად იგრძნო, რომ უბრალოდ კი არა, უკვე მუშტრის თვალთ მისჩერებოდა იქაურობას.

სამადაშვილი კი უფრო შორს იყურებოდა. ოცნების თვალთ ხედავდა ახლო და შორეულ სოფლების ფერდობებზე გაშენებულ ზერებს, რომელიც უხვ ნედლეულს აწვდიდა პატარხევის ქარხანას, ხოლო ამ ხრიოკ უშენ ადგილზე, ქალაქს რომ დასავლეთით ემიჯნებოდა, ბოლავდა ბრძმელები...

— რას იზამ, კაცის გული გაუმაძღარია, — გაელიმა სამადაშვილს. — ქონშახებზე ვლაპარაკობდით და, ხედავთ, სანამილი მივედი! მაგრამ თქვენ ეს ფუჭოცნებად არ ჩათვალთ. ყველაფერი ასე იქნება. აი, ნახათ თუ არა! ჯერჯერობით კი მცირედით დაკმაყოფილდეთ, ჩვენს უახლოეს საქმეს შევუდგეთ. ასე, არა, ამხანაგო ელიზბარ!

ფანჯრიდან დაინახა მზე დაღვრილი-
ყო ქალაქზე, მთებზე. ხელი ჩაჰკიდა
კორსაველს და გულის სითბოთი თქვა:

— რა დღეა, რა მადლიანი! მამაჩემი
იტყოდა ხოლმე, უფლის თვალი ტრია-
ლებს ქვეყანაზეო...

ნაშუადღევი იყო როცა კორსაველი
ქალაქის საბჭოდან გამოვიდა. პატარ-
ხევის თვითეული კუნჭული კარგად
ნაცნობი იყო მისთვის და ხშირად ისე
ჩაუვლია, არც კი შეუხედავს იქაურო-
ბისათვის — თითქოს სიცალიერეში მი-
აბიჯებდა.

ახლა განზრახ გაიგრძელა გზა. იმ ქუ-
ჩებით წავიდა, სადაც დიდი ხანია ფეხი
არ დაედგა. ხიღს რომ უახლოვდებოდა,
მისი ყურადღება ერთმა პატარა შუკამ
მიიპყრო. შუკა ვავერანებულ, მიტოვე-
ბულ ადგილს ვავედა. რამდენიმე ნასახ-
ლარი, აგურისა და ქვის კედლების ჩონ-
ჩხები. გამურულ კედლებზე ცეცხლის
კვ-ლი. ზოგან ნაეზოვარში სიმინდი და
მზესუმზირისა ეთესა, სხვაგან კი ეკალსა
და სარეველას დაეფარა მიწა.

მთელი თავისი საშინელი სიცხადით
წარმოუდგა კორსაველს ეს ადგილი და
უნებურად მოაგონდა ის დღეები, როცა
ნახევარი პატარხევი უდაბნოდ იქცა... ეს
იყო თხუთმეტი წლის წინათ. გაბორო-
ტებულმა მეფის გენერალმა ცეცხლით
და მახვილით ჩამოიარა მაშინ საქართ-
ველოს სოფლები, დაბა-ქალაქები და
გზად პატარხევიც მოინადირა. ღვინით
ვალეშილი სალდათები დაერივნენ ქა-
ლაქს, განურჩევლად მუსრავდნენ მდი-
დარსა და გლახას, დიდსა და პატარას,
არბევდნენ სავაჭროებს და, ბოლოს
ცეცხლს მისცეს იქაურობა. რამდენიმე
დღე მძვინვარებდა ხანძარი და მთელი
გარემო კვამლში იყო ვახვეული.

პატარხევი ამის შემდეგ დიდი ხნით
ჩაკედა, მაგრამ აღამიანის უნარი და
სიცოცხლის ხალისი სიკვდილზე და გა-
დაშენებაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა.
ქალაქი ნელინელ წელში გასწორდა,
ნაცრად ქცეულ ქუჩებზე ალაგ აგურის,
უმეტესად ხის პატარა სახლები ააგეს და
ცხოვრება ისევ ძველ კალაპოტში ჩადგა.

მხოლოდ აქა-იქ ჩანდა ნამუსრევის კვ-
ლი და ის შუკაც იმ შავბნელი წარსულის
ცოცხალ მოწმედ დარჩენილყო.
კორსაველის კომკამდე ცეცხლს არ
მიუღწევია მაშინ, მაგრამ თვითონ მაინც
ვახდა იმ დღეების მსხვერპლი — ხალ-
ხის აწიოკებით აღშფოთებულმა, ხმა
აიმაღლა ბოროტების წინააღმდეგ და
შურისძიებაც მოითხოვა. ეს კი არ ავა-
ტიეს, ჩამოაშორეს თავის საყვარელ საქ-
მეს და იძულებული გახადეს საცხოვ-
რებლად სადმე ყრუ ადგილას გადასე-
ლიყო.

მიაბიჯებდა ელიზბარი და თითქოს
პირველად ყოფილიყო აქ, გარშემო ისე
მიმოავლებდა ხოლმე თვალს. ბუკინის-
ტის სავაჭროს რომ გასცდა, გიორგი
თუხარელი შემოეფეთა. წინათ მასთან
შეხვედრისას არ უგრძენია ხოლმე სიხა-
რული, ახლა კი ისე შეეგება, როგორც
უგულითადეს სანატრელ მეგობარს.

— რა ყოჩაღად გამოიყურებით, პირ-
დაპირ ქაბუკის შთაბეჭდილებას სტო-
ვებით! — მიეხალისა ელიზბარი.

თუხარელი მართლაც იქცევდა ყუ-
რადლებას თავისი გარეგნობით. საუკე-
თესო ტანსაცმელში გამოწყობილი, მია-
ბიჯებდა ისე გამართულად, რომ რაც
იყო, იმაზე მაღალი ჩანდა.

— ეგ მხოლოდ მოჩვენებითია, ჩემო
კარგო, — ხელი ჩაიქნია გიორგიმ. —
აი, გული კი, გული...

— თქვენ აგრე იცით წუწუნი. დამი-
ჯერეთ, ახალგაზრდა ხართ! გამიგონეთ,
ახალი ამბავი უნდა ვითხრათ, — მკლავ-
ში ხელი გაუყარა კორსაველმა და შე-
აბრუნა. — იცით რა, ვაგუაროთ თქვენს
ქალიშვილს და ჩემთან წავიდეთ სამი-
ვენი!

— ჩემი ირინე, ხომ, თბილისშია, —
ნაღვლიანად ჩაილაპარაკა თუხარელმა.

— ჰო, მართლა, სულ დამევიწყდა, —
ისე თქვა ელიზბარმა, თითქოს გაუხარ-
და, რომ ირინე შორს იყო. — მაშ პირ-
დაპირ ჩემთან. დღეს ჩემი სტუმარი
ხართ. არა, უარი არ მითხრათ. ისეთი
რამ უნდა ვითხრათ, ვაგვიკვირდებთ, ვა-
გებხარდებთ!

საილის დროს და შემდეგ ბაღში, როცა ტალავრის ჩრდილში დასხდნენ, კორსაველი უამბობდა გაჩირალდნებულ პატარხევის ქუჩებზე, ფართო მოედნებზე, მრავალსართულიან შენობებზე.

— ვერ გავიგე, რომელ ქალაქზე ლაპარაკობ, — გაკვირებული იყო გიორგი. — თქვენ რაღაც ვერცეათ. აგეთი პატარხევი არ არსებობს.

— აბა რას ამბობთ! — არ ცხრებოდა კორსაველი. — არსებობს, ნამდვილად არსებობს!

შელამებული იყო, როცა თუხარელი შინ წავიდა. რამდენიმე საათის წინ ის სიხარულით გაჰყვა ელიზბარს, ახლა კი უკმაყოფილო ბრუნდებოდა მისგან.

იმ დღიდან, რაც ირინე თბილისში წავიდა, გიორგიმ მოსვენება დაჰკარგა. რა მოხდა, რამ აიძულა, რომ ასე უეცრად აიწყვიტა? ბევრს ფიქრობდა ამაზე, მაგრამ ვერაფერი გაერკვია. ერთადერთი ის იყო აშკარა, რომ ირინე უბრალოდ არ წასულა. ის აფორიაქებული იყო იმ დღეს, ახლოსაც არ გაიკარა მამა სალაპარაკოდ და თითქმის გულცივად დაემშვიდობა, როცა მატარებელში ჯდებოდა. უეპველია, მას რაღაც სერიოზული მიზეზი და განზრახვა ჰქონდა. აქი ერთხელ კიდევაც გადაუკრა სიტყვა, რომ სურდა ახლად მოეწყო მათი ცხოვრება... რა თქმა უნდა, ამაზე ზრუნვა საჭირო იყო. მაშ საშუალოდ ხომ არ დარჩებოდნენ პატარხევიმ ბეროშვილის ხიზნებად! მაგრამ რატომ არაფერი უთხრა, რატომ არ გაუშვილა გულისნადები, რატომ რჩევა-დარიგება არ თხოვა?!
გრძნობდა გიორგი, რაღაც ღრუბელი ჩამოწვა მის თავზე და ეს გამოუცნობი საიდუმლოება გულს უკლავდა. ყოველ დღე ელოდა შვილის წერილს და სანამ ამბავი არ გაეგო, ვერ დამშვიდებულიყო. თბილისში სიმონის წასვლის შემდეგ შინ ხმის გამცემიც აღარაინ ჰყავდა და, თავის ფიქრებთან დარჩენილს, კიდევ უფრო უმძიმდა მარტოობის ატანა. გულის გადასაყოლებლად ნაცნობებთან სიარული დაიწყო. მოინახულა ბეგლარი,

მთელ საათებს ატარებდა ბუკინისტან და თაბაგრებთანაც ასეა არ დაიზარა.

გიორგიმ არ დაუფარა ქეთინოს თქვისი ფიქრები, მაგრამ შემდეგ დაინახა კიდევაც, რომ გაუზიარა. ქეთინო არა თუ არ შეეცადა მის დამშვიდებას, რაღაც დანაშაულიც მიაწერა და პირდაპირ, დაუბრუნებლად უთხრა:

— თქვენ უკვე განვლეთ თქვენი ცხოვრება, ირინესი კი ახლა იწყება და რატომ ელოდებით მის მომავალს?

ისე გამოდიოდა, რომ გიორგი ხელს უშლიდა შვილის ბედნიერებას და ცხოვრებაში გზის გაკვლევას. მაშ ახლა ის სრულიად ზედმეტია ირინესთვის, მხოლოდ მძიმე ტვირთი, სხვა არაფერი... ასე გაიგო ქეთინოს მიერ, ცოტა არ იყოს, უხეშად თქმული და გულს მწარედ მოხვდა გაგონილი.

როცა გიორგი დღით ელიზბარს გაჰყვა კოშკში, იმის იმედი ჰქონდა, რომ გაუზიარებდა მას თავის ფიქრებს. ელიზბარი განათლებული და გულისხმიერი კაცია და, რა თქმა უნდა, გულდასმით მოუსმენს, ყველაფერს უცბადვე მიუხვდება და, იქნებ, სანუგეშო რაიმეც უთხრას. მაგრამ რამდენჯერაც არ დააპირა გიორგიმ ეთქვა, მასპინძელმა უბრალო თავაზიანობაც არ გამოიჩინა, — დალაპარაკების საშუალებაც არ მისცა. როგორც კი ხმას ამოიღებდა, ელიზბარი მაშინვე სიტყვას ბანზე აუგდებდა და ისევ იმ არარსებულ პატარხევეზე დაიწყებდა ლაპარაკს. სტუმარს ვერ გაეგო მასპინძელი რას ეუბნებოდა, მასპინძელს კი სტუმრის არაფერი ესმოდა. — „ჩვენ იმ ორ ყრუს ვგვეართ, რომლებსაც ერთმანეთის ხმაც არ ესმით და მიიწე ელაპარაკებიან ერთმანეთს,“ — ფიქრობდა ელიზბარის უყურადღებობით ნაწყენი გიორგი.

ამიტომ იყო, რომ უკუნებოდ ბრუნდებოდა შინ. მარტო მიდიოდა. ქუჩაში აქა-იქ ბეუტავდა სანათურები. სიბნელეში კიდევ უფრო მარტო გრძნობდა თავს. სირუმიც სევდიანი იყო. საბრალო შესახედავი ვჩვენებოდა ერთმანეთს მიხურხლული პატარა სახლები. ასეთი იყო

მატარებევი და, ცხელია, კორსაველი დასცინოდა აქაურობას, როცა დიდ მოედნებზე და გაჩირაღდნებულ ქუჩებზე უმბობდა, რა თქმა უნდა, დასცინოდა, მაგრამ რა საკადრისია აბუჩად აივლო მშობლიური კუთხე, სადაც პირველად დაინახე და სადაც უკანასკნელად თვალს დახუჭავ?... საოცარია, დღეს ელიზბარო სხვანაირი იყო, სულ არ გავდა თავის თავს...

სახლში ნესტორი დახვდა. ის შუშაბანდში იჯდა და ყვინთავდა. ფეხის ხმაზე მან ფეხლები გამოაყიჭა, შეშინებულივით მიმოიხედა და წაიბურტყუნა: — თქვენ ხართ? მე კი მეგონა, სიმონი დაბრუნდა სადგურიდან...

გიორგიმ იფიქრა, მოხუცს ნამძინარეზე მოეჩვენაო, ყურადღება არ მიიქცია და გვერდი ჩაუარა.

— გააცილეთ? წავიდა, ხომ? მეგონა, დაავიანა... — ძილმღვიძარი ჯუჯღუჯნობდა ნესტორი. — ან ჩამოსვლა რა იყო, ან ასე უცბად გაბრუნება. ატრუებულია რაღაც...

როგორც ბოლოს გამოირკვა, მოხუცი არ ბოდავდა. სიმონი ნაშუადღევის მატარებლით ჩამოსულიყო და ნახევარი საათის წინ ისევ თბილისში გამგზავრებულიყო.

— ახ, რა-საწყენი ამბავია! აზრადაც არ მოსვლია, თორემ სახლიდან ფეხს როგორ გადაედგამდი! — თავის თავზე ჯაერობდა გიორგი. — ჰო, მაგრამ რა ჰქონდა ასე საჩქარო?

— რას გაუგებ იმას კაცი. ჩემთვის არაფერი უთქვამს. დღით რამდენიმე წუთით შემოირბინა, შერე სადღაც წავიდა, ამ ერთი საათის წინ ისევ დაბრუნდა სახლში, გადაიკვა, ჩემოდანში ფული ჩაყარა და სადგურზე გასწია. მხოლოდ ის გადმომძახა, თბილისში მივდივარო.

გიორგი დარეტყინებული, გაბრუებული იდგა.

— ეგ რაღაც საოცარია... არ ჰკითხეთ რა მოხდა?

— როგორ არა, კი ბიჭი იყავი და გაუბრედელი სიტყვის თქმას! — ჩი-

ქირქილა ნესტორმა. — ისეთ გურტებაზე იყო, სათოფეზე ვერ გაეკარებოდი...

— მე არ ვუკითხავარ? — ნესტორი რილი არ დაუტოვებია?

სიმონს არც უკითხავს, არც წერილი დაუტოვებია.

ამ ამბავმა კიდევ უფრო გააოცა გიორგი. წარმოუდგენელი იყო, სიმონს ირინე ენახა და მისა წერილი არ ჩამოეტანა.

ბოლოს იმით დაიიმედა თავი, რომ სიმონმა, ალბათ, ირინეს ნახვა ვერ მოასწრო... რა თქმა უნდა, არ უნახავს, თორემ შეუძლებელია შვილს წერილი არ გამოეგზავნა. ცოტა ადრე რომ მოსულიყო, მაშინ ბეროშვილს შინ მოუსწრებდა და ახლა ამ გაურკვეველ მდგომარეობაში აღარ იქნებოდა. ნეტაც დღეს სულაც არ შეხვედროდა კორსაველს! რა სიამოვნება მიიღო მასთან ყოფნით? მხოლოდ კიდევ უფრო აუშალა ნერვები მისმა უთავბოლო ლაყბობამ, მეტი არაფერი!

II

ირინე ორი დღის შემდეგ ჩამოვიდა. შვილის დანახვამ ძალიან გაახარა გიორგი. მაგრამ სიხარული უმაღლესე გაუქრა. ამ ერთ კვირაში ირინე სიხითაც შეცვლილიყო, ავადმყოფს დამსგავსებოდა. ალბათ, მგზავრობამ დაღალაო, ჯერ ასე იფიქრა გიორგიმ, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მიზეზი უფრო ღრმა იყო, ირინე მოტეხილი ჩანდა, მამასთან ლაპარაკს გაუბრბოდა, თვალს არიღებდა, უნდობლად აძლევდა ერთსიტყვიან პასუხს, ცდილობდა დაემალა თავისი შწუხარება, ის კი უნებურად მელანდებოდა ხმაში, გამოხედვაში, ნოძრობაშიც. გიორგი გრძნობდა, შვილის თავზე რაღაც უბედურება იყო.

— შენ არავითარ ანგარიშს არ მიწევ მე! — ბოლოს მოთმინება დაჰკარგა და აღშფოთებით შესძახა. — უნდა ვიცოდეთ თუ არა?

მეტი დაფარვა შეუძლებელი იყო და ირინემ ყველაფერი უამბო, რაც მოხდა.

აქამდე გიორგის ყველაზე მეტად თავი იმით მოჰქონდა, რომ პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა. ჭორადაც ვერაინ იტყოდა მის აუტს. ამის გრძნობა ერთგვარად კიდევაც უადვილებდა ცხოვრებაში ათასგვარი უსიამოვნების და გასაჭირის ატანას. თავის ნაცნობებსაც იმ საზომით უდგებოდა, თუ ვინ რა სინდისის მქონე იყო. და აი, როცა სიცოცხლის დასასრულს მიუახლოვდა, მისი ცხოვრების ყველაზე უფრო მტკიცე ციხე-სიმაგრე დაინგრა და მტვრად იქცა... მეტე რა სამარცხვინოდ! სხვისი ფულის მითვისება, ქურდობა, დიახ, ქურდობა, უსაშინელესი საქციელი, რომელსაც კი ჩაიდენს ადამიანი! ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოეფინება და როგორ უნდა დააჯერო ხალხი, რომ მისი შვილი უბრალოა და ისეთივე უხადო, როგორც ყოველთვის!

— გამოსავალი ვერ მიპოვია, — სასოწარკვეთილი იყო თუხარელი. — ჩვენ დავკარგეთ არა მხოლოდ სხვისი ფული, რაც მთავარია, ჩვენი პატიოსანი სახელი!

ყველაზე უფრო ეს გადაქცეოდა სატანჯველად.

— არ ვიცი როგორ დავაღწიო თავი ამ სირცხვილს. რა თქმა უნდა, ჩვენ ვალდებული ვართ ვადაუხზადოთ ბეროშვილს მთელი თანხა. მაგრამ სახელი? როგორ გინდა შეინარჩუნო ის?

თავისთავს ვალდებულად რაცბდა ვალაება და ფული და რაც შეიძლება მალე, სანამ ქურდობის ამბავი ხალხის ყურამდე არ მისულა. ყველაფერს აჯობებდა, როგორმე ახლავე ეშოვა მთელი თანხა და სიმონისთვის დაეხვედრებინა.

— არაფერს დავზოგავ, უკანასკნელ პერანგს ვაყვიდი და სახელს კი არ შევიტყვენ. უკანასკნელ პერანგს! — მიმოდოდა ოთახში და ჯიუტად იმეორებდა ერთსადაიგივეს.

ბოლოს, მგონი, თვითონაც დაიჯერა, რომ გამოსავალი იპოვა და ირინეს გამხნეებაც მოინდოდა:

— შენ არ შეშინდე, შვილო, დავიხსნი ვასაჭირისგან. დიახ, უკანასკნელ პერანგს!...

მაგრამ ირინეს კარგად ესმოდა, რომ ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვები, თავის მოტყუება იყო. მას გული არცინა ქალაქი მაშის ამგვარმა მიამიტობამ.

ირინე შიშობდა, რომ ბეროშვილი უხეშად მოექცეოდა, შეურაცხყოფასაც მიაყენებდა მას, ურჩია დღესვე დაეტოვებიათ ეს სახლი და თბილისში წასვლამდე სხვაგან გადასულიყვნენ საცხოვრებლად.

— არავითარ შემთხვევაში! — მტკიცე უარზე დადგა გიორგი. — ეგ ხომ გაქცევას უდრის! რას იფიქრებს ის კაცი? გაიქცენ, დამემალნენო? ამით მხოლოდ გავიორკეცებთ ჩვენს დანაშაულს, საშუალებას მივცემთ ღვინით მოვაჭრე ვიღაც მდაბიოს კიდევ უფრო დაგვამტროს. არავითარ შემთხვევაში!

მდაბიო! ამ სიტყვამ პირველად გაუელვა თავში და ახლა პირველად წარმოუდგა ბეროშვილი ამ სახით, — უჯიშო, გაუთლელი გლეხი, მოხერხებული მოსაქმე, ხარბი და გაუმაძლარი, რომელიც მშვიტი მგლის ვააფთრებით ეცემა ყველაფერს, სადაც კი ხელი მიუწვდება.

სიმონი რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა პატარხეში. შეუმჩნეველად შემოვიდა სახლში, ორიოდვე წუთი დაჰყო, გადაიკეცა და მაშინვე სადღაც გასწია.

გიორგიმ ნესტორისაგან ვაიგო მისი ჩამოსვლის ამბავი, მთელი დღე და საღამო უდარაჯა, მაგრამ ლოდინმა ამაოდ ჩაუარა.

ვერც მეორე დღით ნახა. სიმონი აღრიანად წასულიყო.

იმის შემდეგ, როცა თუხარელი თვითონაც დარწმუნდა, რომ აქ ხელს ვერ მოიმართავდა, ფულის საშოვნელად თბილისში წასვლა გადასწყვიტა... იქ გაჰყიდის ნივთებს, ავეჯს, ყველაფერს, რაც აბადია და თუ მინც დააკლდა, მეგობრებს დაესხება. მანამდე კი აუცილებელია ბეროშვილს მოელაპარაკოს. უკვე მოფიქრებული აქვს რა და როგორ უთხრას. მრავალსიტყვიანობა საჭირო

არაა. მოკლედ, მაგრამ საქმიანად. ისე ეტყვის, რომ არც თავის ღირსებას დაამტკიცებს და ბეროშვილიც კმაყოფილი იქნება.. მან, ძველმა, ნაფიცმა ვეჟილმა, იცოდა რა ძალა ჰქონდა სიტყვას და ისე იანგარიშა, რომ ახლა მის მდგომარეობაში მხოლოდ ეს ერთადერთი იარაღი იყო საიმედო.

ამ ფიქრით გატაცებულს, მოთმინება აღარ ჰყოფნიდა სანამ სიმონს ინახულებდა. თვალი სულ ჭიშკრისკენ ექირა, რომ მისი მოსვლა არ გამოპაროდა.

ბეროშვილს მანქანები ეყიდა თბილისში და კიდევაც ჩამოეტანა. სადგურიდან ურმებით გადავიდნა ქარხანაში და ახლა თვალუფრს ადევნებდა ადგილზე მათ დადგმას. ეს საქმე არც თუ იოლი აღმოჩნდა, — გამოუცდელ მუშებს ნაწილები ერთმანეთში ერეოდათ, უძნელდებოდათ მათი მორგება, ხან კიდევ რაიმე შეცდომის გამო უკვე აწყობილი მანქანა სიცოცხლის ნიშანს არ იძლეოდა და საჭირო ხდებოდა ისევ დაშლა და ხელახლად აწყობა.

მთელი დრო დილა აღრიან გვიანღამემდე ამ მუშაობას მიჰქონდა და ბეროშვილს შინ მისასვლელად არ ეცალა. არც აგონდებოდა სახლი, ისე იყო გართული. საჭიროება არ მოითხოვდა ასეთ სულმოუთქმელობას, მაგრამ ეჩქარებოდა თავისი ქარხანა ახალ ყაიდაზე გამართული ენახა და ამიტომ იყო, მუშები და თავისი თავიც აღარ ეზოგებოდა. აქამდე სხვის ხელში მრავალი წლის ნამსახური მანქანები, მართალია ძველი იყო, მაგრამ სიმონი თვალუბგაბრწყინებული შეკეთებდა და თითქმის სასწაულად მიაჩნდა, რომ მათ თავის ქარხანაში ხედავდა.

როცა, ბოლოს, საქმეს მორჩინენ, ბეროშვილმა იქვე საამქროში სუფრა გაუწყო მუშებს და პატარა ნაღიმი გადაიხადა.

მხოლოდ ამის შემდეგ მიეცა თუხარელს სიმონთან შეხვედრის საშუალება. ერთ საღამოს, როცა ის აღრიანად შინ დაბრუნდა, გიორგი შუშაბანდში შეეგვი-

ბა და რაშდენიზე წუთით მიღება ითხოვა. ბეროშვილი გულცივად შეხვდა, მაგრამ მაშინვე სასტუმრო ოთახში შეუძღვა.

— ჩემმა შვილმა ყველაფერი მითხრა, — დაიწყო თუხარელმა სწორედ ისე, როგორც მოფიქრებული და გონებაში მრავალჯერ განმეორებული ჰქონდა. — ეს ამბავი ჩემთვის თავხარდამცემია. თქვენ ადვილად წარმოიდგინეთ იმ ადამიანის სულიერ მდგომარეობას, რომელმაც თავისი ცხოვრება პატიოსნად გაატარა, რომლის სახელს არასოდეს ოდნავი ჩირქი არ მოსცხებიდა და უეცრად კი ასე უდანაშაულოდ, მისგან უნებურად, რისხვა თავს დაატყვალა...

სიმონი მოთმინებით უსმენდა.

— ჩემი ირინე თავის გამოუცდელი ბის გამო მსხვერპლი გახდა კაცისა, რომელსაც დიდად ენდობოდა. მე ახლოს ვიცნობდი იმ ჰაბუკის ოჯახს და ფიქრადაც არ მომსვლია, რომ იქ აღზრდილი ახალგაზრდა არამზალა იქნებოდა. მან თქვენ კი არა, მე მომტაცა ის ფული...

ვერ ამჩნევდა, თორემ იმ სპეციფიკური, ძველიდანვე შესისხლხორცებული იერით ლაპარაკობდა, როგორც ოდესღაც სასამართლოში, როცა ბრალდებულს იცავდა.

— ჩვენ მზად ვართ პასუხი ვაგოთ თქვენს წინაშე. მე მოვალე ვარ ავინახლდურით დაეარგული. მენდეთ, სრულიად მიიღებთ თქვენს ფულს. მე დღესვე მოვცემთ თამასუქს...

თვალი მიაშტერა ბეროშვილს. უნდოდა მის სახეზე ამოეკითხა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა დაპირებამ. სიმონმა ერთი წამით აღმაცერად ახედა, თავი დახარა და შეუმჩნევლად დაამთქნარა.

თუხარელმა ღრმად ამოიოხრა და განავრძო:

— მე მაშინებს არა ის, რომ დიდი თანხა უნდა გადავიხადო. არა, სულ სხვა რამე.. როგორ დავიხსნა ჩემი შვილი და ჩემი თავი სირცხვილისაგან? რას იტყვის ქვეყანა, როცა ამ ამბავს გაიგებს?

ჩვენ, უდნანაშაულონი, ყველას თვალში ავაზაკები უნდა გავხედეთ? ყველამ უნდა თქვას, რომ ჩვენ...

— კი მარა, თქვე კი ეყო, — სიტყვა გააწყვეტია სიმონმა, — რა საჭიროა ქვეყანამ გაიგოს? სხვას რა ესაქმება ამ ჩვენს ამბავთან? ნურსად იტყვიოთ და არავის ეცოდინება.

გიორგის ჯერ იმის მესამედიც არ ეთქვა, რაც განზრახული ჰქონდა. სწორედ ახლა იწყებოდა ის მთავარი, რასაც განსაკუთრებული ზემოქმედება უნდა მოეხდინა ბეროშვილზე. მაგრამ იმის შემდეგ, რაც სიმონისაგან გაიგონა, უეცრად თავში ყველაფერი აებურდა და ისიც კი ეჩვენა, რომ ისე არ ლაპარაკობს, როგორც საჭიროა.

მაშ ბეროშვილი არც აპირებდა საქვეყნოდ გაეტანა ამბავი უმთავრესად ამას ესწრაფოდა, ეს უნდოდა ეთხოვა მისთვის და უეცრად სწორედ ამის შესახებ მიიღო დამამშვიდებელი პასუხი, და მერე კიდევ ისე, რომ თხოვაც არ დასჯირვებია.

გულზე მოეშვა. თითქოს დიდი სიმძიმე ჩამოაშორეს. აღტაცებულმა თავი ვერ შეიკავა, აიღო მისი ხელი და ღონივრად ჩამოართვა.

— თქვენ კეთილშობილი აღამიანი ხართ. მე ვიცოდი ეს, ყოველთვის მწამდა. თქვენ ბევრი რამ გააკეთეთ ჩვენთვის, ჩვენ კი... მაგრამ ჩვენ ყველაფერს გამოვისყიდით, ყველაფერს...

წუთით გაჩუმდა.

— ამ სამწუხარო შემთხვევის შემდეგ... — გულაჩუყებულნი ვეღარ მალავდა მღელვარებას. — იმის შემდეგ, რაც მოხდა, ცხადია, თქვენთვის სასიამოვნო არაა ჩვენი აქ ყოფნა... ჩვენ სხვაგან გადავალთ საცხოვრებლად... ხვალვე... დღესვე...

— კი ბატონო, როგორც გერჩიოთ, — წაილღლღლდა ბეროშვილმა და მერე დაატანა: — მე არ გდენით.

— დღესვე, დიახ, დღესვე. ჩვენ უფლება არ გვაქვს თქვენი სულგრძელობით ვისარებლოთ და შეგაწყუხოთ. რამდენიმე ხანი სხვაგან ვიცხოვრებთ, მერე

კი თბილისში წავალთ, თუ... თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ.

ბეროშვილმა არაფერი არ თქვა, მხოლოდ მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

საუბრის გაგრძელება სამძიმო ხდებოდა. ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოეარდა.

თუხარელმა მიღწია თავის მიზანს. მისთვის ყველაფერი გარკვეული იყო. როგორც ჩანდა, ბეროშვილი დააწყაოფილა და დაამშვიდა დაპირებამ, რომ დანაკარგს აინაზღაურებდა. ცხადია, მისთვის მთავარი ეს იყო, თორემ აბა რა ესაქმებოდა იმ ამბავთან, რომ ვიღაც შემთხვევითი ხიზნები სულიერ ტანჯვას განიცდიდნენ. ახლა ის თავჩაქინდრული იჯდა და ამით, რა თქმა უნდა, ანიშნებდა, რომ სალაპარაკო აღარაფერი აქვთ.

— მაშ მეტს აღარ შეგაწყუხებთ, — წამოდგა გიორგი. — მინდა მხოლოდ ისევ მადლობა გითხრათ. თქვენ ერთხელ კიდევ გამოიჩინეთ ჩვენდამი გულისხმიერება. ეს კი ორკეცად მავალდებულებს პირნათლად გამოვიდე თქვენს წინაშე.

უეცრად მოაგონდა და იკითხა:

— თამასუკი ახლაც შევადგინოთ, არა? ხომ გაქვთ დრო?

— ხვალ იყოს, — ყრუდ თქვა სიმონმა.

ის იყო კართან მივიდა გიორგი, როცა ხმა მოესმა:

— თქვენი ქალიშვილი შინ არის? შეიძლება ენახო?

— მობრძანდით, — შესთავაზა თუხარელმა.

— ოღონდ... ოღონდ ცალკე.

ამის გაგონება არ ესიამოვნა გიორგის: ხომ ყველაფერი გაიკრევა და რალა საჭირო იყო ირინესთან ლაპარაკი? მით უფრო ცალკე! აღბათ, ისევ დაიწყებს გამოკითხვას, გამოძიებას. ამით მხოლოდ გაანერვიულებს ისედაც გაწამებულ ქალიშვილს. მაგრამ რას იზამ, ახლა ბეროშვილის ხელთაა და იძულებულია მის სურვილს ანგარიში გაუწიოს. საბრალო გოგონა, როგორ აადლებებს ეს შეხვედრა!

ყოველგვარი მოლოდინის გარეშე, ირინე მაშინვე დათანხმდა. ოდნავ უკმაყოფილებაც არ გამოუჩენია. ის მზად იყო ყველაფერი უსიამოვნება აეტანა, ოღონდ მამა დამშვიდებულიყო. პატარხევშიც ახლა მხოლოდ იმიტომ იყო ჩამოსული, რომ დაეცვა ის მოულოდნელი განსაცდელისაგან, თორემ თავის თავზე ხელი უკვე ჩაქნეული ჰქონდა.

გიორგის აღარ დაუყოვნებია, მიიპატივა სიმონი და თვითონაც შემოჰყვა. ბეროშვილმა მხოლოდ ერთხელ შეაელო თვალი ირინეს და შორიახლოს დაეშვა იატაკს დაშტერდა.

თუხარელი მოუსვენრად მისჩერებოდა ხან სიმონს, ხან ირინეს და, ეტყობოდა, რაღაც უნდოდა ეთქვა. უკანასკნელად ისევ შვილს გადახედა და გავიდა.

— რა თქმა უნდა გასახარელი არაფერი მომხდარა... — ხმადებლა დაიწყო ბეროშვილმა, როცა ოთახში ორნი დარჩნენ. — არ გადანაშაულებო, ვერ ვიტყვი ამ ტყუილს. სხვისთვის არ უნდა გჩვენებია. მაცდურია ფული. უცოდველ ანგელოზსაც შეაეცდნენ.

ასწია თავი და შეხედა. ირინე თვალდახუჭული იჯდა საეარქელში. ნაცრისფერი კაბა კიდევ უფრო აძლიერებდა მისი დაღლილი სახის სიმკრთალეს, მაგრამ მაინც ისევე ლამაზი იყო, როგორც ყოველთვის.

— რაც მართალია, ცუდი საქმე მიყავი, მარა... არ დავიღუპები მაგის გამო. ჩემს თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ სხვა არაფერი დამკლებია. აგრე ადვილად ევრაფერი შემაშინებს. დრო იყო, არაფერი მებადა, მერმედაც ჩამვარდნია ხოლმე საქმეზევს ეგონა, გათავდა ბეროშვილიო, მარა ისევე დავმდგარეარ ფეხზე...

გვერდით მყოფ ადამიანის ხმა ირინეს სმენამდე თითქოს სადღაც შორიდან აღწევდა. ის ყურს უგდებდა მხოლოდ რმ ნაბიჯებს, რომელიც გარკვევით ესმოდა შუშაბანდიდან და თვალწინ ეხატებოდა ნერვიულად მოსიარულე მამა.

სიმონი ლპარაკს ვანაგრძობდა:

— ფული, მოგეხსენებათ, მოგებას

საქმეა. დღეს გაქვს, ხვალ აღარ, ზევორჯერ მეტს მოხვეტავ. კლმერცეა... ისეთი რამაა, ხან ჯუღრღმულში შეგაგდებს, ხან მალა ავაფრენს. კაცის ბედზეა დამოკიდებული, ვის რა უწერია...

ბოლოს თვითონაც მიხვდა, რომ არ ღირდა ახლა ამაზე მსჯელობა, ოდნავ შეყოყმანდა და მერე ყრუდ თქვა:

— თბილისში თქვენი წასულის საწინააღმდეგო მე რა უნდა მქონდეს... მამა თქვენმა მითხრა და იმიტომ მოვახსენებთ...

„მამას გამგზავრების ნებართვა უთხოვია, — ნაღვლიანად გაიფიქრა ირინემ. — საბრალო, როგორ დაუმცირებია თავი!“

— პო და... არც ვეჭილი მინდა თქვენი და არც... — კინალამ წამოცდა, რომ მათგან თამასუქის მიღებას აზრი არა აქვს, ცარიელი ქალაღი იქნება, მეტი არაფერი, და რომ, ასეც და ისეც დაკარგულია ფული. — სხვა ჩემს ადგილზე არ დაგზოგავდათ, მარა, ღმერთმა იცოდეს, არ ვარ მე აგეთი კაცი...

ირინეს გულზე მოხვდა ეს სიტყვები, მაგრამ თავი შეიმაგრა და ისე ჰკითხა, რომ აღეღება არ გაუმკლავებია:

— რას მოითხოვთ ჩემგან?

სიმონმა მაინც იგრძნო ქალიშვილის გულისწყრომა. ერთი ამას უყურეთ! იმის მაგიერ, რომ მორჩილად უსმენდეს და მადლობას ეუბნებოდეს, აქეთ უტევს კიდევაც. ამას არ მოელოდა და ნაწყენი დარჩა. მაგრამ ამავე გრძნობამ გაბედულება შემატა და ერთბაშად მიახალა:

— აბა, ქალო, პირდაპირ გეტყვი... გამომევი ცოლად.

ირინემ ფართოდ გახელილი თვალებით შეხედა. მიაჩერდა ისე თამამად და დაყინებით, რომ სიმონი გაცბუნებული დარჩა. მას ვერ გაეგო, რას ნიშნავდა ეს გამოხედვა, — უბრალო გაკვირებას, თუ შეშფოთებას? მაგრამ უკვე ყველაფერი თქმული იყო და უკან დასევა აღარ შეეძლო.

— მეგობარი გეყოლები... საიშედო... ჩემს ხელში, ქალიშვილო, ცხოვრება

ვერ დაგჩაგრავეს... შენგან შეტს არაფერს ვითხოვ, ოჯახის უფროსი იყავი მხოლოდ. შენ რომ გვერდით მეყოლები, ჩემი ცხოვრება უკეთ წაება, მეც ავმალდელები... მამა შენს ჩემს მამად ჩავთვლო, მოხუცებულობას სიამეში გავატარებდებ. გამგონე ვიქნები თქვენი, ყველაფერში დამჯერე... ჰო და, რაც მოხდა, მოხდა, ნულარც გავიხსენებთ...

ბეროშვილმა უფრო თავისუფლად ამოიღვა ენა და თამამად იგრძნო თავი იმის შემდეგ, რაც გულსინადები გამოუტყბადა.

— თავი დაანებეთ თბილისზე ფიქრს! — თანდათან თითქმის ბრძანების კილოც შეეპარა ლაპარაკში. — რა დავგრძობ იქ, რას გამოვლით? აქ კი ასე გატარებთ, პა, ხელის გულზე. მე ვიცოდე და ჩემმა კაცობამ!

ირინე ისევ ხმაგაკემნდილი შეჰყურებდა.

დიდხანს უცადა სიმონმა პასუხს, ბოლოს მოთმინება დაელია და წამოიღვა.

— მე ყველაფერი გითხარი და აწი შენ იცი! — ყრუდ თქვა და გავიდა.

ირინე საუსებით გამოერკვა და მის შეგნებაზე ბეროშვილის სიტყვებმა მხოლოდ იმის შემდეგ მიადრწია, როცა მარტო დარჩა. ერთი კვირის წინათ, როცა წისქვილთან ტყეში და შემდეგ მამასთან საუბარში სიმონმა თავისი საწადელი გაამქლავნა, ირინე პატარხევიდან გაიქცა. მამის შეშინებული იყო და თავის თავს შეურაცხყოფილად თვლიდა, რომ ბეროშვილმა ფიქრად გაიღლე მისი ცოლად შერთვა. ახლა კი არც შიში, არც შეურაცხყოფა უგრძენია, მხოლოდ გაუკვირდა გავიწილი. ნუ თუ ფულზე დახარბებულმა ვაჭარმა ანაზღაურებაზე უარი თქვა და არა თუ შეურიგდა დიდი თანხის დაკარგვას, იმ შემთხვევის დავიწყებაც კი თხოვა და მეგობრობა შესთავაზა? ნუ თუ ამ უხეშ, დათვის მსგავს მამაკაცს მართლა უყვარდა?

გიორგიმ ფრთხილად შემოაღო კარი. მღელვარება ემჩნეოდა. კარგს არაფერს გამოვლოდა სიმონისა და ირინეს საუბრიდან და თავისი თავისთვის ვერ ეპა-
3. „წათობა“, № 2

ტივბია, რომ დათანხმდა მათ შეხვედრას.

— ისევ ფულის გამო გველაპარაკებ? ირინემ თავი დააქნია.

— უხეშად ხომ არ მოგეჭია? ნუ დამიმაღლე.

ირინე ისე შუეილად იყო, რომ გიორგის მალე გულზე მოეშვა.

— მამ რაო, რა მინდაო?

— თბილისში ჩვენი წასვლის წინააღმდეგი არაა. თამასუხედაც უარს ამბობს...

— უარს ამბობს? სამაგიეროს რას მოითხოვს?

ირინემ პასუხი დაუყოვნა.

— რას მოითხოვს?

— ეგ არ უთქვამს. მითხრა მხოლოდ, რომ უარს ამბობს.

გიორგიმ ოთახში გაიარა. დადიოდა მღუმარედ. ხანდახან შეჩერდებოდა ირინეს გვერდით, თითქოს უნდოდა რაღაც ეთქვა, მერე ისევ სიარულს იწყებდა.

— როგორც ჩანს, საქმარისად ჩათვალა ჩემი სიტყვიერი დაპირება... — გიორგის ეტყობოდა, კმაყოფილი იყო. — მდა... რაც გინდა თქვი და, ბეროშვილი კეთილშობილი ადამიანია. უეჭველად კეთილშობილი...

თანდათან გამოცოცხლდა, ხალისი მიეცა.

— მამ ჩვენ დაგბრუნდებით თბილისში და...

სწრაფად შემოტრიალდა და იკითხა:

— როგორ გეონია, როდის გავემგზავრებით?

— ხელს მოვიწყობთ და... — გულგრილად თქვა ირინემ.

— რა თქმა უნდა, ხელს მოვიწყობთ და წავალთ, — მაშინვე დაუდასტურა გიორგიმ. — მეც სწორედ აგრე ვიფიქრე!

საღამოს, მზე ის იყო ჩადიოდა, ირინე თაბაგრებთან ავიდა. შეაღო თუ არა მათი ეზოს კიშკარი, ორივე დაინახა. მერაბი ვაზის ძირში მიწას აფხვიერებდა, ქეთინო ყვავილების კვალს რწყავდა. გაბადრულ ბაღში დანამულ მიწის და მცენარის სუნი დგა. ორივემ მაშინვე

ხელი აიღო სამუშაოზე, როგორც კი შემოსულს თვალი მოჰკრეს. ქეთინო ისეთი სიხარულით მიეგება, რომ ირინეს, აქამდე შეზღვაუხსნელს, სახე გაუუნათდა.

— აი ახლა ნამდვილად კარგი ხარ! — ეხვეოდა ქეთინო. — მე კი შეგონა, სამუდამოდ დაგვტოვე. ყოველდღე გიგონებდი და გნატრობდით!

მერაბიც, რომელსაც საერთოდ არ ეხერხებოდა თავისი სიხარულის თუ წყენის გამოჩენა, თვალებგაბრწყინებული შეჭყურებდა და თავისი გრძნობის გამოხატველი სიტყვა რომ ვერ მოეძებნა, ცოლის ნათქვამს იმეორებდა:

— ჰო, ყოველდღე გიგონებდით და გნატრობდით!

მასპინძლებმა სახლში მიიწვიეს ირინე, მაგრამ მან გარედ ყოფნა ამჯობინა.

— შენ პირდაპირ ტყის კაცს გეხარ, — ქმარს გადახედა ქეთინომ. — არ დამიფრთხო სტუმარი!

ირინემ მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ მერაბი მკერდმოღვდილი იყო და ქუდად თბილის შტო ეხურა.

— ვმუშაობდი და რა შექნა, — გულუბრყვილოდ თქვა მერაბმა, თავზე ჩამოფხატული შტო გადააგდო და ჩასაცემელად სახლში შესვლა დააპირა.

— არა, დარჩით, მე გთხოვთ! — შეაჩერა ირინემ და ისევ თავის გვერდით დასვა.

სითბოს და სიმშვიდეს ასხივებდა ქეთინოს და მერაბის თვალები, ხმა. ჯანმრთელი, ხალისიანი, გულით წმინდა ეს ორი ადამიანი უცხო სამყაროს არსებებდად ეჩვენებოდა ირინეს და შევებას გრძნობდა, რომ ახლა მათ შორის იმყოფებოდა.

ქეთინო ეკითხებოდა თბილისში გატარებულ დღეებზე, მაგრამ ირინე გაურბოდა იმ უსიამოვნო მოგონებებს და მხოლოდ ერთსიტყვიან პასუხს თუ აძლევდა ხოლმე.

ქეთინოს რომ ახალი კითხვები აღარ მოეცა, ირინემ ეზოს დათვალეირება მოინატრა:

— თურმე რა მშვენიერი ბაღი გქონიათ, მე კი ჯერ არ მინახავს!

— ყოველთვის ღამით მძლიოდით ჩვენთან და იმიტომ, — თქვა მერაბმა და შესთავაზა დაევილოთ იქაურობა.

ერთის შეხედვით, გაველურებულის შთაბეჭდილებას სტოვებდა ბაღი, მაგრამ დაკვირვებული თვალი მალე შეამჩნევდა, რომ აქ მკაცრი წესრიგი სუფევდა. გარშემო ხარობდა რამდენიმე დიდი ხე და მრავალნაირი პატარა მცენარე — ნიგოზი, ცაცხვი, თუთა, სხვადასხვა ჯიშის ხეხილი, კაქტუსი, ალოე, ასტრა, არაბული ვარდის ბუჩქები. ყვავილები იზრდებოდნენ გატეხილ ქოთნებში, დოქებსა და ჯამებში, რომლებიც ბილიკების ნაპირებზე და ეზოს ყოველ კუთხეში იყო მიმოფანტული. ყვავილები ხარობდა აგრეთვე უჩვეულო და მოულოდნელ ადგილებშიც — ხეების ფულუროში, ქვების გროვაში, ხელოვნურ მღვიმეში. ღობის სიგრძეზე ჩაკლებული იყო მწვანე მტევნებით დახუნძული ვენახი. ბაღის ეს ნაწილი ყველაზე უფრო საყვარელი იყო მერაბისთვის და თავისუფალ დროს უმეტესად მის მოვლას ანდომებდა.

— ერთი ახირებული ფიქრით არის შეპყრობილი ჩემი მერაბი, — ქეთინომ თვალი ჩაუკრა ირინეს და აღერსიანი დაცინვით ქმარს გადახედა. — უნდა მთელი ქვეყანა ვენახად აქცოოს. სადაც კი მზიან ფერდობს თვალს მოჰკრავს, ოცნებით ყველგან ვაზს რგავს. მას რომ ნება მისცე, დედამიწას დაუსრულებელ ზვართ დაფარავს.

— ნუ ამეტებ, ჩემო კარგო, ნუ ამეტებ, — ჩაიღუღუნა მერაბმა. — არც აგრეა საქმე.

— გამოტყდი, რომ მართალს ვამბობ, — არ ეშვებოდა ქეთინო. — შენ ხომ ვაზის გარდა სხვა არაფერი გწამს!

— შენ ჯიბრზე, ჩემო კარგო, შენ ჯიბრზე! — გაელიმა მერაბს და მერე ირინეს მიმართა: — ქეთინოს სურვილია აქაურობა ინდუსტრიის კუთხედ იქცეს, მე კი მინდა ვენახი გაშენდეს. სიცოცხლე — ეს მცენარე და ბაღია

და არა რკინა და ბეტონი. ახლა თქვენ თქვით, რომელი სჯობს?

ირინემ თქვა, რომ ორივე საჭიროა.

— არა, არა, თქვენ არცერთს არ გვაწყენინებთ, თუ სიმართლეს იტყვიან. რომელი გირჩევენათ?

— ბალი, — გაუბედავად თქვა ირინემ.

— აი, ხომ გესმის! — გახარებულმა მერაბმა ნიშნისგებით უთხრა ცოლს. — ცხადია ბალი! რა იქნება იმაზე უკეთესი, როცა მთელი ქვეყანა აყვავილდება? მერწმუნე, ასეც იქნება მომავალში. რა თქმა უნდა, ქარხნები საჭიროა, მაგრამ იმ ადგილს, რომელიც ბუნებას ვაზის გასახარებლად გაუჩენია, სხვას ვერაფერს ვერ დავუთმობ.

— შენ ისე მსჯელობ, როგორც, ალბათ, ოდესღაც პაპა შენი, — ხელი ჩააქნია ქეთინომ.

— რას იზამ, იქნებ მართლაც ძველი ნირი გამკრავს ხოლმე. ბარაქაა ჩვენს წინაპრებს, თუ ამაზე ოცნებობდნენ. მაგრამ ჩვენს შორის ის განსხვავებაა, რომ ისინი თავის ოცნებას ფრთას ვერ ასხამდნენ, მე კი, ვგრძნობ, საშუალება შეძლევა ჩემი ნატერა სინამდვილედ ვაქციო.

მერაბი შეჩერდებოდა ხოლმე რომელიმე პატარა მცენარესთან და ისე დაწვერილებით უამბობდა ირინეს თვითუფლის თავისებურებაზე და ჩვევაზე, თითქოს მათი სიცოცხლის მთელი საიდუმლო მათგანვე გაგონილი ჰქონდა.

იმ დამეს ირინე დიდხანს დარჩა თაბაგრებთან. ემძიმებოდა აქაურობის დეტოვება. აქ ამოვიდა იმ განზრახვით, რომ მეგობრისათვის თავისი ნაღველი გაეზიარებია. მაგრამ ახლა ვერც გაებდნა ეთქვა რაიმე, — ქეთინო და მერაბი ხალისით სავსე იყვნენ, სიცოცხლე უხაროდათ, მათი გული წმინდა იყო და რა უფლება ჰქონდა დაელონებია ისინი თავისი სამარცხვინო ამბავით.

ისე წავიდა, გაკვრითაც არაფერი უთქვამს.

შინ დაბრუნებულს მთელი სახლი გაჩაღებული დახვდა. ჯერ კიდევ ეზო-

დან თვალი მოჰკრა, მის ოთახში ეღიაც უცხო იყო. აუჩქარა ნაბიჯს. მოუსვენრად გაიარა შუშახანდი და როცა ოთახში შევიდა, ბეროშვილი და უცნობი მაგაკაცი დაინახა. ისინი თავზე დადგომოდნენ გიორგის. ის გაუხდელი იწვა, ფერმკრთალი იყო და თითქოს შეშინებულიც.

— ფიქრი ნუ გაქვთ, ყველაფერმა გაუარა, — შემფოთებულ ირინეს დამშვიდება სცადა უცნობმა, რომელიც ექიმში აღმოჩნდა. — გულის უმნიშვნელო შეტევა ჰქონდა. როგორც მითხრა, წინათაც ჰქონია ხოლმე. ახლა მამათქვენისთვის საჭიროა მხოლოდ დასვენება და სიმშვიდე. პირობას გაძლევთ, მალე ფეხზე დადგება.

ნაშუალამევს სიმონმა ისევ მოიკითხა ავადმყოფი.

— მადლობა ღმერთს, უკეთაა. ხომ ხედავთ, მშვიდად სძინავს. თქვენც მოისვენეთ, ტყუილად რად იკლავთ თავს, — ჩურჩულით ეუბნებოდა ირინეს. — თუ საჭირო იქნეს, გამალვიძე, ნუ მომერიდებათ.

III

აფთიაქში შესასვლელ კარებთან ბეგლარს მერხი ჰქონდა დადგმული და თავისუფალ დროს იქ უყვარდა ჩამოჯდომა. აქედან ის ქუჩაში გამვლელ-გამოვლელს თვალს ადევნებდა, ზოგიერთს კიდევ მოიხმობდა ხოლმე და მასთან საუბრით გულს იყოლიებდა. ბოლო ხანს ისეთი მისატყუებელი შეიშინა, რომ ამის შემდეგ აღარც დასკირებია დაძახება — უცნობიც გვერდს ისე ვერ ჩაუვლიდა, რომ ერთ-ორი წუთით მაინც არ შეჩერებულყო.

ეს მისატყუებელი გახლდათ—თუთი-ყუში.

ბეგლარმა ის აისორის ბიჭისაგან იყიდა. პატარებში საშოვარზე ჩამოსული ბიჭი ერთხანს ეზოებში და ბაზრობაზე დაატარებდა გაწვრთნილ ფრინველს, რომელსაც ყუთიდან ნისკარტით ამოქონდა ბედის მაუწყებელი ბარათები. პირველ დღეებში ამ ბარათებს ბავშვე-

ბი და ზოგჯერ დიდებიც იძენდნენ, მაგრამ მალე ისე შემცირდა მათი რიცხვი და ამის გამო ისეთ გაჭირვებაში ჩაეარდა თუთიყუშის პატრონი, რომ თავის მარჩენალისათვის საკვები ვეღარ ვეიდნა. სხვა გამოსავალი რამ ვერ იპოვა, გაიმეტა ფრინველი, ყუთი ბარათებით და გაშორდა პატარხევს.

აფთიაქარი კმაყოფილი იყო შენაძენით. მოწყენილობის დროს იმით ერთობოდა, რომ თავის სახელს ჩასჩიინებდა ფრინველს და უბრძანებდა ბედის ბარათი ამოელო ყუთიდან. გადაიკითხავდა გულდასმით და ბოლოს ყოველთვის ღრმა ამოხვრით დააყოლებდა: „ისემც დაგასხი თავსლადი!“

ამას იმიტომ ამბობდა, რომ წაიკითხულის არც ერთი სიტყვა არ სწამდა — ისეთ დიდ ბედნიერებას უჭაღდა ახლო მომავალში, ძალიან გულუბრყვილო კაციც არ დაიჯერებდა.

ყოველთვის, როცა სუფთა ჰაერის სასუნთქავად გარედ გამოვიდოდა, თავის ფრთოსან მეგობარსაც იქვე კარებთან მილურსმულ ჯოხზე დასვამდა. ადამიანთან ცხოვრებას შეჩვეული ფრინველი მდუმარედ იჯდა და, თითქოს რაღაცაზე ჩაფიქრებული, საათობით ერთ წერტილს მიშტერებოდა.

იმ საღამოსაც თავის საყვარელ მერხზე ისვენებდა ბეგლარმა, როცა ქუჩაში ლენტორი გამოჩნდა, ლენტორი სადღაც მიიჩქაროდა, მაგრამ თვალი მოჰკრა თუ არა თუთიყუშს, მაშინვე შედგა გაკვირვებული.

— შენია? საიდან, კაცო?

— მოფრინდა, — ჩაიბურტყუნა აფთიაქარმა.

— არა, მართლა, საიდან, როგორ?

— გუბნები და დაიჯერე, თავისით მოფრინდა.

ლენტორი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა ფერადებით აკრულებულ თუთიყუშს.

— დაიცა, დაიცა... ეს ის ხომ არაა, ქე რომ... — ყოველი მხრიდან შეათვალიერა და წამოიძახა: — კი ბატონო, ნამდვილად ისაა!

— ჰო, ის არის და შეეშვი ახლა, —

უმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ბეგლარმა. არ ესიაზოვნა, რომ ლენტორმა ანსორის ბიჭი მოაგონა, ამით, ცოტა აწიქუნეს, აუბრალოებდა ასეთი იშვიათი ფრინველის შეძენის ამბავს.

— კი მარა, გალაში მაინც ჩასვი, არ გეშინია, გაგიფრინდეს?

— მაგის დარდი ნუ გაქვს შენ. იცის მაგან ვისთან იყოს და ვისთან არა.

— ჭკვიანი კი ჩანს, კაცმა რომ თქვას, — აღარ შეედავა ლენტორი, — ბრძენივით იყურება.

— ზოგერთს აქაურს კიდევაც გაუსწრებს ჭკუაში, — ირიბად გადახედა ბეგლარმა.

თითქოს არ გაუგონიაო, წაუყრუა ლენტორმა — ის საერთოდ ყურს არიდებდა საწყენ სიტყვას და ხელი გაიშვირა, რომ თუთიყუშისთვის ფრთაზე გადაესვა.

— რას შევები, ადამიანო? — მიაყვირა ბეგლარმა. — შენი თავი მაინც შეიცოდე. რალას იზამ რომ გიკორტნოს?

— რაეა, ასეთი ღონიერი ნისკარტი აქვს?

— ღმერთს მადლობა შესწირე, რომ გადარჩი. გაღმა გაიგონებდნენ შენს ბლაეის.

— გახელემა იცის? — უკან დაიხია ლენტორმა. — ვერ ჰქონია კარგი ზნე.

— გახელემა აბა რა, თუ ყველაშ უტუნტურა ხელი. პატივისცემას ნაჩვენია, არ უყვარს ღლაბუცი. შენ ეგ უბრალო თუთიყუში არ გეგონოს, კაკაღუ გახლავს! დიახ!

— აუიჰ! — უეცრად წამოიძახა ლენტორმა და შეტრიალდა. — ღმერთო მომკალი, როგორ შევრჩი ლაპარაკს!

— რამ მოგარა, ვეეო? — გაოცებით შეხედა აფთიაქარმა. — სად მიიჩქარი?

— მომკლეს, აღარ ვარ კაცი. უჩემოდ ვერაფერი გაუყეთებიათ. ყველას ვემუღარები — ნამეტანს ნუ მიზამთ, მარტო ჩემი იმედით ნუ ხართ, თქვენც გაანძრიეთ ხელი. შენც არ მომიკვდე, ვინ ზოგავს! ვარ ოჩანი ცხენივით გაბმული, ხან იქით მიკრავენ თავს, ხან აქით. ყველასთან მოციქულად მე, ყვე

ლა მე უნდა მომადგეს: ამასთან მიმეგზავნო, იმასთან ეს საქმე გამოკეთო. ყველაფერი მე? აღარ შემძლია, ბატონო!

ბეგლარი სახელოში წედა.

— აქ დაჯექი, ვის უნახავს, ბიჭო, შენი გაკეთებული საქმე? ტყუილად გლეჯავ, ბიძია, ფეხსაცმელს ამდენი სირბილით.

— რომ დამკლა, არ შემძლია! — მიიწევედა ლენტორი. — მიცდის ერთი კაცო, დაელუპავ თუ არ მივედი.

— ვინცხაა მართლა დალუპული ყოფილა, თუ შენი იმედით არის, — ხელს არ უშეებდა ბეგლარი. — რომ გეუბნები, დაჯექი. საქმე მაქვს შენთან.

ამის გაგონებაზე ლენტორი შეჩერდა. ბეგლარმა ოთახიდან ლეინო გამოიტანა ღოჭით.

— რაო, მართალია ის ხმები? — იკითხა, როცა მერხზე ჩამოსხდნენ და თითო ჭიქა გადაჰკრეს.

— რა ხმები?

— დღეს ასე მოვარი ყური, სიმონი დაქორწინებას აპირებს.

— რაა, აქამდე არ გაგიგონია? ერთი კვირაა, შე კაცო, მაგაზე ლაპარაკობენ.

— თუხარელის ქალიშვილზე?

— ასე ამბობენ. ქუდბედიანი ვარო, სიმონმა უნდა თქვას. ქვეყანა გადატრიალდა, ის კი ყელამდე აივსო. ცოლი აკლდა და იღბალმა, მგონი, ისიც კარზე მიაცენა. ვინ აღირსებდა უჯიშოს ისეთ ქალს? წინათ კატოს უთვალთვალებდა და ისიც ცხვირაწევით უყურებდა.

— არ მჯერა, რაცხა, — დაეკვებულ იყო ბეგლარი.

— ბატონო, შენ ფული მომეცი და ინგლისის პრინცესას ჩამოვიყვან. იმ ოხერ ოქროს ყველაფერი შეუძლია.

— ეგ კი, მარა... არ მჯერა, ქალი დათანხმდეს.

— ასე გამოვიდა ხმა და, რა ვიცი...

— ბიჭო. დღე და ღამე სიმონის სახლში ტრიალებ და შენც თუ ნამდვილი არ იცი, სხვამ საიდან უნდა იცოდეს?

— ასეა და, რა გქნა. ერთი-ორჯერ სავსე გულდაგულოდ მივედი ამბის გასაგებად და მაინც ვერაფერი შევეტყვე; ეგ კი არა, ვერც იფიქრებ, რომ სამხიარულოს მოლოდინში არიანო. თვითონ ქალიშვილია და, მისი შემხედვარე ასე იტყვი, დამწუხრებულები კი არისო. ისეთი სახე აქვს, შეგეკოდება. მთელი დღეობით ოთახში ზის, ხმას არ იღებს. გაოგნებულს გავს, თითქოს ურო დაარტყეს თავში. ცხადია, რაღაც მოხდა იქ, მაგრამ რა, ვერ იქნა და ვერ გამოვარკვე.

— მაინც რა უნდა იყოს?

— ასე მგონია, ან მამა ეწინააღმდეგება შეილის სურვილს, ანდა ქალიშვილი უარზეა და მამამისი ძალას ატანს...

— რატომ გგონია?

— ცხადია, ამ ორში ერთია სწორი. აბა ტყუილად ხმა არ დაირხეოდა. მე უფრო იმას ვფიქრობ, რომ მამა ძალას ატანს. ხედავს, სიმონი ფულით გატენილია, სახლი გამართული აქვს. თვითონ კი გახრეკილია, თბილისშიც აღარაფერი გააჩნია. სად დაბრუნდეს? შიმშილით სული ამოხდეს? მე გეტყვი, რაიმეს გაკეთება შეუძლია! წიგნის წაკითხვის მეტი არაფერი. მე რომ მკითხო, ის წინათაც არაფრის გამკეთებელი არ იყო და ახლა ამ დროში სულ ზედმეტი ბარგია და ისაა. მოჭამა იმან თავისი წუთისოფელი.

ბეგლარმა ცალი თვალით გადახედა.

— ვეუო, შენც გაკომუნისტდი, გაგიწყრა ღმერთი?

— რატომ, ვითომ? კომუნისტის გარდა სხვას არავის შეუძლია მართალი თქვას?

— ისე სიმართლით იარე შენ, როგორც ისინი სიმართლით დადიოდნენ! — გულმოსულად ჩაილაპარაკა ბეგლარმა. ლენტორის გაეცინა.

— აგიწევს კული? აქამდე ვერ მოიქარვე აფთიაქის ჩამორთმევა?

— არავინ გეკითხება ჩემი კულის ამბავს, — მოიჭმუნა ბეგლარი. — ეგ დღე, გირჩევნია.

— არა, ისე, სიტყვას მოჰყვა, შე კაცი კაცო, თორემ საწყენად კი არ მითქ-

ვამს, — შერიგება სცადა ლენტორმა, აუცსო ჭიქა და თავისთვისაც დაისხა.



იმ ამბავმა, რომ ბეროშვილი ცოლას შერთვას აპირებდა, კატოს ყურამდინაუ მიალწია. ბეროშვილი სახარბილო საქმროდ ითვლებოდა პატარხევეში, არა ერთ ქალიშვილს ეჭირა მასზე თვალი და აქამდისაც ბევრჯერ თქმულა მსგავსა რამ, მაგრამ თუ ახლა კატოს გულს მოხვდა, ეს იმიტომ, რომ ირინეზე იყო ლაპარაკი.

სიმონი რომ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა თუხარელებისადმი, კატოს ადრევე შემჩნეული ჰქონდა და მის ეჭვიანობას იწვევდა. დაუჯერებელი იყო, რომ ყველაფერში ანგარიშის მოყვარული ეს კაცი უანგაროდ ელოლიაებოდა მათ. სიმონი და, სხვისი ბედით შეწუხებული და შეჭირვებული? სიმონი და, ზრუნვა იმ ადამიანზე, რომელიც მისი ვაქრული ოცნებების განხორციელებისათვის გამოუყენებელი და უსარგებლო იყო? არა, რაღაც არ ებუებოდა მის ხსიათს.

კატომ თვითონ გიორგისაგან იცოდა, რომ თბილისში ირინეს წასვლის შემდეგ ისიც მალე გამგზავრებას აპირებდა და, რა თქმა უნდა, გახარებული იყო — ბოლოსდაბოლოს აქაურობას მოსცილდებოდნენ ეს შემოტმანებული მამაშვილი და სიმონის ცხოვრებაც ძველ კალაპოტში ჩადგებოდა. მაგრამ ირინეს უეცარმა დაბრუნებამ და ამის შემდეგ გავრცელებულმა ხმამ, ძველი ეპკები გაუღვიძა და საგონებელში ჩააგდო.

რამდენიმე დღის წინათ კატომ მუშაობა განაახლა სადგურის ბუფეტში და მოცალეობა აღარ ჰქონდა ხშირად ევლო ბეროშვილის სახლში. ერთ საღამოს მაინც იხელთა დრო და საგანგებოდ მონახულა თუხარელები. თავი ისე დაიჭირა, ვერავინ მიხვდებოდა რა განზრახვით მისულყო; გადაკრულადაც არაფერი უთქვამს, გიორგის თვითეულ სიტყვას კი გულისხმიერად აკვირდე-

ბოდა, — იქნებ ნართაულად დასცდუნოდა ისეთი რამ, რაც გაგონილის სიმართლეს დაადასტურებდა.

ხელმოსაკიდებელი ვერაფერი გაიგო, მაგრამ მაინც ვერ დამშვიდდა. — „ვინ იცის, იქნებ დიდ საიდუმლოდ ინახავენო“ — გაუელვებდა ხოლმე ფიქრი.

ერთხელ ქუჩაში შემთხვევით დაიჭირა სიმონი და ვითომ ხუმრობის კილოთი ჰკითხა, იცის თუ არა რას ამბობენ პატარხევეში?

— ყბას ვერ აეუბამ ხალხს და რა ექნა. მოიქაონ ენა, რა მენაღვლება, — ჩაიციხა სიმონმა და დაატანა: — უნდათ, ალბათ, შემართონ. ცუდი სასიძო ვარ, თუ?

ბეროშვილმა სამასხროდ აიგდო და ჭორად ჩათვალა ყველაფერი, ამით საშუალება მოუსპო ირინეზე ლაპარაკი გაეგრძელებია, მაგრამ ქალს მაინც ეჩვენა, რომ ის გულწრფელი არ იყო და რაღაცას უმაღავდა.

ყველაზე უფრო კატოს ის აღიზიანებდა, რომ მიტემა-მოთქმა არა თუ არ მიჩუმდა, პირიქით, მატულობდა. თუ ხმები უსაფუძვლო იყო, მხოლოდ მორიგი ჭორი და სხვა არაფერი, რატომ ასე დაჟინებით ავრცელებდნენ?

ბოლოს, სხვა რომ ვერაფერი მოისახრა, გადაწყვიტა ნესტორი მოეხირობია და მისი საშუალებით თვალყური ედევნებია, თუ რა ხდებოდა სიმონის სახლში.

ერთ დღეს სადგურში იხმო მოხუცი და ცალკე შეიყვანა ბუფეტის უკან საკუქნაოში, სადაც გრძელ მაგიდაზე დახვებულნი იყო ძებნები, ყველი, დამაშხული თევზი, ხოლო გარშემო ჩანდა სასმელებით სავსე ბოთლების გროვა.

— აქ დაჯექი, — მაგილის ყურე გაანთავისუფლა კატომ და იქვე სკამი დადგა ნესტორისათვის.

ხორცის ნაჭრებით, მწვანილით აუცსო საინი და არყიანი პატარა ბოთლი გაუხსნა.

ოთახში საკმელების მძაფრი სუნით იდგა და ჰაერი შეხუთული იყო. კატომ მოხურა კარები, მოიშლიდა ხალათი

და, თითქმის პერანგისამარა, მოქუცის გვერდით ჩამოჯდა.

— აჰა, რამდენიც შეიძლო ქაშე და დალიე. სხუმისაც, როცა მოგინდეს, მოდი ხოლმე ჩემთან.

უჩვეულო იყო ნესტორისათვის ასეთი ყურადღება. გადავიწყებულოც ჰქონდა ის დრო, როცა პატივისცემით ეპყრობოდნენ. მით უფრო უეკირადა, რომ ეს დედაკაცი, რომელიც აქამდე წარამარა უჩიჩინებდა, ახლა ალერსიანად ექცეოდა.

— რას გაჩერებულხარ, მიირთვი, — საინი ახლო მოუჩოჩა კატომ.

ნესტორმა არაყი გადაჰკრა და პირველი ლუკმა ხარბად ჩაიდო პირში.

— მეცოდები, შე უბედურო, მშვიერ-მწყურვალ ადინხარ, მიმხედავი არავინ გყავს, — ამოიოხრა კატომ. — რაც შენ სიმონზე ამავი გაგიწვია, ეგ გეკადრება მისგან?

ისევ აუესო ჰქია.

— ბევრჯერ გაწყენიე, მარა, იცის ჩემმა გამჩენმა, ბოროტებით არ მომდიოდა. შენც მაპატიე და ნულარ გაიხსენებ. ღმერთია მოწმე, გული შემტყვივა შენთვის. ახლა საშუალება მაქვს და, თუ ქალი ვარ, ხანდახან მაინც მოგიმართავ ხელს.

მოხუცს გული აუჩუყა კატოს სიტყვებმა, მაგრამ მხოლოდ წამით. მაშინვე გაიფიქრა, რომ გულკეთილობით არ უთქვამს — რალაც საფარი იყო, რომლის უკან სხვა რამ იმალებოდა.

მადლობელი ვარ, ღმერთი სიკეთით გადაგიხდის, — თავაულებლად წაიდუღუნა ნესტორმა.

ასეთი პასუხი მხოლოდ უბრალო თავზიანობას წარმოადგენდა და კატომაც უტბადვე იგრძნო, რომ არც ისე ადვილად შეძლებდა მის გაბრიყვებას. ისინი ძალიან კარგად იცნობდნენ ერთი-მეორეს და ამიტომ იყო, არ ენდობოდნენ ერთმანეთს.

კატო ერთხანს ისევ უფერებდა, სასმელსაკმეღს აწოდებდა. ნესტორიც უარს არ ამბობდა, რამდენიმე ჰქიქის შემდეგ ჩალამებულ თვალებს გამოცოც-

ხლება დაეტყო და, ბოლოს, ლაპარაკის გუნებაზედაც მოვიდა.

— კარგი ადამიანი ყოფილხარ, არ შეგონა. აქამდე კი, ვიცი, გეზარებოდი. ერთხელ ისიც მითხარი, შენი ნასვამი ფიალა ცალკე შეინახე, შეტდომით სხვამ არ აიღოსო. გეზიზღებოდა, თითქოს ჩემს ნატუჩარზე მოუშორებელი ზითხი ან ლოკოკინის ლორწო დარჩენილიყო.

— ალბათ, გაბრაზებულმა გითხარი, შე კაი კაცო. რა მოხდა მერე...

— არა, სხვაც თავს მარიდებს. ყველა! პოდა, რატომ? მეც ღეთის გაჩენილი ვარ, თუ არა? მეც კაცი ვარ, ხომ? დაისხა და გადაჰკრა.

— დრო იყო, ქუჩაში შემხვედურს თავისდაყვარას ვერ დავასწრებდი. ახლა კი ცხოვრებამ წამაქცია, მაგრამ ლოკოკინა მაინც არ ვარ. ყველა სტაჰნიდან დავლეე და ლორწოს არ დაეტოვებ. ამიტომ რომ ლოკოკინა მატლია, მე კი ადამიანი. ვარ, თუ არა? ა?

ჯერ ბოთლის მესამედი არ დაელია და უკვე მთვრალი იყო. ხელები აუკანკალდა და ჰქიქიდან არაყი ეღვრებოდა.

კატომ ბოთლის წაღება დააპირა.

— მივაქვს? — აიმრიზა ნესტორი.

— თუ გონება დაჰკარგე, რალად მიწლებხარ.

— არა, იყოს, იყოს. დავლეე, უფრო მოვალ აზრზე. ღეინო და არაყი ტეინს ამუშავენს. მე უკეთ ვიცი ჩემი ამბავი... აი აგრე, მადლობელი ვარ შენი. თუ კაცი ვარ, პატივისცემას არ დავივიწყებ. ნუ მკრავ ხელს და მეც გამოგადგები.

— გახსოვდეს შენი სიტყვა, — გადახედა კატომ. — თუ გამომადგები და, სამაგიერო ჩემზე იყოს.

— ბევრს არაფერს გთხოვთ. შემეცოდე. მეტი არაფერი მინდა. მწარე მოხუცებულობა მაქვს. უარესი მელის. მაინცდამაინც ჩამაღლიო და, თუ არ ვკვდები რა გქნა? სიმონმა სულ აიღო ჩემზე ხელი. გინდ მე ვყოფილვარ გინდ ძალლი. მე კი შეგონა, შეილად გავზარდე...

— ცოლი მოჰყავსო, მართალია? — მოხერხებული დრო იშოვა და იკითხა კატომ.

ნესტორმა რაღაც წაიღულღულა გაურკვეველად.

— რა ჰქუაზეა? მართლა თუხარელის გოგოს ირთავს?

თითქოს არც გაუგონიაო, წაუყრუა ნესტორმა.

— რაო, ჯიბე რომ გავისქელო, სიყვარული მეწვიაო? დაუდგეს თვალები, უკეთესი ვერაინ ნახა?

კატოს ხმა თანდათან ამღვანებდა დაფარულ მღელვარებას. ის ამბავი, რომ ნესტორი პასუხს არ აძლევდა, ცუდად ენიშნა, თავი ვერ შეიმაგრა და მიაძახა:

— რას ჩაყლაპე ენა? ასე დაგარიგეს, არაფერი თქვაო? შენც გამცალე იმ გამწლულ გომბიოში?

არაყი მოწრუბა ნესტორმა და უეცრად გაიცილა.

— რას იჯღანები! — გულმოსულობას ველარ ფარავდა კატო. — სასაცილო და მასხარად ასაგდები სახლში გყავს!

— მართლაც რომ გამწლულეია, — ისევ იცინოდა ნესტორი და თან გული აგჯებოდა ხელებისაგან. — ქალი კი არა, ლანდია!

ჩაიხიბხითა, უცბადვე გაჩუმდა და მუშტი ჩაირტყა მკერდში.

— გული მეწვის, დამიჯერე. ჰქუა არ ჰქონია სიმონს. სად შენ, სად ის გოგო.

— რაეა, გადაწყვეტილია ეგ საქმე, თუ? — შეშფოთდა კატო.

— გადაწყვეტილია. დღეს ხელი მოაწერეს... ისე, შინაურულად ჩაატარეს.

მოულოდნელად გაგონილმა გაარეტა ქალი. მიშტერებოდა ნესტორს და თითქოს ბინდი გადაკვროდა თვალზე, ველარ არჩევდა მის სახეს.

— ახლა მეუბნები მაგას? — წამოვიარდა უეცრად. — არაყი რომ ჩაეცხლმე, მამინ მოგაგონდა?

ნესტორი ხმაგამენდილი იჯდა.

— რას გაჩუმდი? მუცელში ჩაივიარდა ეგ გასახმობი ენა? — შეიხჯღრია

და ბოთლს წამოავლო ხელი. — გაგიხეთქე მაგ დასამიწებელ თავს! ზომ იცოდი რას აპირებდნენ? ჰოდა, დროით ველარ გამაფრთხილე, შე სულწაწყმედილო?

შეხუთულ ოთახში ჰაერი არ ყოფნიდა და შფოთავდა.

— ჩემი ქალობა შეეწირე, ქვეყანას გაგებული ჰქონდა ჩვენი ამბავი და სირცხვილით საღდა გამოვეყო თავი? ცეცხლს მივეცემ იქაურობას, ამ ხელეზით დაეღარჩობ! — მობღუჯა სუფრა, ჩაპოტნა მაგიდა და, გაბოროტებულმა, სხვა ვერაფერზე რომ ველარ იყარა ჯავრი, მოფლითა კარი, მხრებში წვდა ნესტორს, წაათრია და ისე ჰკრა ზურგში, რომ უღონო მთერალი მიხუცი ბუფეტის დახლთან იატაკზე გაიშხლართა.

სადგურის დარბაზიდან ხმაური შემოიქრა. მხრებტიტველმა ქალმა რომ ვილაე მამაკაცი გამოაგლო, მგზავრებმა ამას თვალი მოჰკრეს და სიცილი ატყდა. კატო მაშინვე მიიმალა და ჩაიკეტა.

დიღბანს არ გამოსულა ოთახიდან და ყურადღება არ მიუტყვევია, რომ გარედან ეძახდნენ და კარებზე ურახუნებდნენ.

სიმონმა შეასრულა ირინეს თხოვნა არ გადაეხადათ საქორწილო ნადიმი, მაგრამ მათ ცხოვრებაში ამ ღირსშესანიშნავი ამბავის ყრუდ ჩატარებაც შეუძლებლად ჩათვალა — რას იტყვის ხალხი, გლოვა აქეთო? — და დაითანხმა იმაზე, რომ სახელდახელოდ პატარა წვეულება მაინც გამართულიყო. იმ დღეს ფანჩატური მოაწყო თავისი ქარხნის ეზოში და აქ გაშალა სუფრა. მოპატივებული ბევრი არავინ ჰყავდა, — მხოლოდ ისინი, ვისაც თუხარელებთან ახლო ნაცნობობა ჰქონდა.

სტუმრებს შორის კატოც იყო. ჯერ მან ცივი უარი თქვა მისულაზე, თავისი დამცირებლად და ერთგვარ დაცინვალად მიიჩნია მიწვევა, მაგრამ ბოლოს იმ აზრს დაადგა, რომ მისი მოუხეველობა სალაპარაკო მასალას მისცემდა ხალხს და, თუმცა ძალიან უშიშმდა,

ამჯობინა მცირე ხნით მაინც გამოჩენილიყო შეკრებილთა შორის. ირინეს თაივლიც კი მოართვა, მიულოცა, მაგრამ სუფრაზე არ დარჩენილა, — სამსახურის საქმეები მოიმიზეზა და წავიდა.

სადილის დროს ირინე მოთმინებით უსმენდა მისადმი მიმართულ სიტყვებს, რომელიც ასეთ საზეიმო ვითარებაში წარმოითქმება ხოლმე და ბოლომდე ისე იჯდა, რომ მისი ხმა არავის გაუგონია. სტუმრები ამას პატარძლისათვის სავალდებულო და ჩვეულებრივ მორცხვობად თვლიდნენ და ყურადღებას არ აქცევდნენ. სიმონი კი გრძნობდა, რა იყო ირინეს სიჩუმის ნამდვილი მიზეზი და რომ ქალის უგუნებობა სხვას არავის შეემჩნია, ცდილობდა რაც შეიძლება მეტი მხიარულება შემოეტანა სუფრაზე, თამადათ არჩეულ ბეგლართან ერთად სცლიდა ჭიქებს, სხვებსაც აძალებდა და წარამარა ამღერებდა ლენტორს. როცა დაბინდა, ფანატურის სიგრძეზე ჩამოკიდებული ფერადი სანათურები აანთეს. ხეატის შემდეგ ამოვარდნილი ჭვენა ქარი არხვედა სანათურებს, ჩრდილი ირწეოდა სუფრაზე, შეზარხოშებულ გიორგის ეჩვენებოდა, რომ გარშემო ყველაფერი ქანობდა და ამის გამო კიდევ უფრო ესხმოდა რეტი.

ნადიმი, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ წვიმა არ დაწყებულიყო. შექვიფიანებული სტუმრები მხიარული შეძახილთაც კი შეხედნენ პირველ წვეთებს და გრუხუნს, მაგრამ როცა ჭექა-ქუხილი გახშირდა და ცამ პირი მოხსნა, ერთბაშად აიყარნენ, ეტლებს გამოუძახეს და დაიშალნენ. ყველაზე ბოლოს ახალნაქორწილენი და გიორგი გაემგზავრნენ.

სიმონი მოღუშული იყო, როცა ეტლში ჯდებოდა. აქამდე ის თავს ძალას ატანდა, არ იმჩნევდა წყენას, მაგრამ როგორც კი თავისიანებში მარტო დარჩა და ნიღბის ტარება აღარ დასჭირდა, მისი ნამდვილი გუნებაც მაშინ გამოჩნდა.

— ასე უნდა ჩატარებულიყო ეს დღე? — უკმაყოფილოდ მიმართა გიორგის. — ქორწილი ასე მჩუქმავთებულად უნდა გადამეხადა? *ჩატარა!*

პასუხი რომ ვერ მიიღო, უფრო აბუზღუნდა.

— ჰო, რატომ? ძალიან მიეჭარე, რომ დაგიჯერეთ და ხალხი არ მოვიწვიე. თქვენ თუ არ გესმით, მე გეტყვით — ჩემი საქმისთვისაც საზიანოა ეს. არ გცოდნიათ რა ძალა აქვს პურმარილს!

წვიმა ძლიერდებოდა და გადმოხურულ ეტლში ზოგჯერ მთელი კაძარა შემოჰქონდა ქარის ქროლვას.

— ბეგლარისა და მისი მსგავსი წვრილფეხობის გარდა არავინ იყო ჩემი ღირსი? ასე თქვას ხალხმა, სიმონ ბეროშვილს დრო წაუვიდა და ფასი აღარ აქვსო? ვაი ღედასა?

მოავონდა ის ზეიმი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ქარხნის გახსნის დღეს გადაიხადა. მაშინ მის სუფრას პატარხევის ბობოლეები ამშვიდებდნენ და ძმობას უცხადებდნენ. იმ ნადიმის ამბავი დიდხანს ჰქონდათ სალაპარაკოდ მთელს პატარხევეში და ქარხნის პატრონის სახელიც ერთბაშად გახმაურდა ამ დღიდან.

ყველაფერი ეს გაახსენდა ახლა სიმონს და უეცრად ამ ფიქრამაც გაუელვა, რომ მგონი, მართლაც წაუვიდა დრო და რომ ვეღარც მიაღწევს იმას, რაზედაც წინათ ოცნებობდა.

წვიმა შხაპუნით მოდიოდა. უკაცრიელ ქუჩებში ბნელოდა. სანათური აქაიქ ბეთუტავდა. სინათლეც სველი და ძალამილეული იყო. ეტლში შებშული პატარა ცხენები გზას გაჰიჭრებოდათ შიიკვლევენ.

— რას მოლოდავ, დაჰკარი, გააქანე! — ყვიროდა ეტლიდან სიმონი.

ხანდახან ელევა გაანათებდა და შხუილით მიმავალ ღელეებს გამოაჩენდა. ეტლს ქარი ეჰიჭრებოდა, საფარს აგლეჯდა.

— გარეკე, გარეკე! — არ ცხრებოდა სიმონი.

მეტლეს ესმოდა, როგორ ხენე-
შოდნენ ლონემხილი ცხენები და
მანც დაუზოგავად უტლაშუხებდა.

სიმონმა გაიხადა პიჯაკი და სველ
ფეხებზე შემოახვია ირინეს.

— ცინდალივით ხარ, შე საწყალო! —
უეცრად გაეცინა და მუხლებზე მოუ-
თათუნა. — მე შემხედე, ასეთი უნდა
იყო. ხორცი უნდა გესხას, ძალა უნდა
გქონდეს. ამაზე უარესი წარღვნა იყო
იმ დღეს, ჩემი ქარხნის ბალავარს რომ
გვკრიდი. მუხლამდე წყალში ვიდექი. სა-
ხეში წვიმა მირტყავდა და მანც არ
შევეპუე, ხელი ვერ ამალდებინა. თვითონ
ღრუბელი დაიწრიტა და გაიფანტა, მე
კი ჩემს საქმეს არ მოვეცილებივარ.
შენ გგონია ღვინოსანსუამი ვარ და
ვტრაბახობ? არ გცოდნია ჩემი ამბავი.
რამდენ ქარიშხალს ჩემს თავზე გადა-
უვლია, ვინ დათვლის! ჩემთან შენ ნუ-
რაფრის დარდი და შიში ნუ გექნება.
ამ შხაპში კი არა, აღიდებულ მორეე-
ში გაგიტან. გარეკე!

ჯიბიდან ამობლუჯა ქალაღის ფუ-
ლი და ქუჩაში გადაყარა.

— იპოვის ვინმე, გაუხარდება. ვინც
ქვეინია, მიხვდება, რომ ეს სიმონ ბე-
როშვილის ნაწყალობებია. ბავშვი იპო-
ვის — ტუბილს იყიდის, უფროსი იპო-
ვის — ოჯახს მოახმარს. ცოტა ხნით
სხვაც ბედნიერი იყოს. სიცოცხლე კარ-
გი ყოფილა. წვიმამ და ბნელმა როგორ
უნდა შეგაშინოს? ოცდაათი წელიწადი
ბნელ სარდაფში ვეგდე. მზეს გადავეჩ-
ვე, სოროში მერჩიენა და შიგ მივძე-
რებოდი. მორჩა, აღარ ჩამერები! ეს ღა-
მე იმის ნიშანია, რომ ხვალ მზე იქ-
ნება. დაგროვდა წვიმა, უნდა ჩამოიტი-
როს ცამ. ეს ღამე კი არა, ნათელია, ნა-
თელი! სიმონ ფაბრიკანტი, დღეს ასე
მიცნობს ქვეყანა. ახლა შენც ჩემი ხარ.
ერთხელ ჩემი დროც აყვავილდა. აყვა-
ვილდა და არ დეაქცნობ. გარეკე!

ეტლი გაჩერდა. გადმოხურულიდან
თავი გამოჰყო სიმონმა და მისმა აძღუ-
რეულმა თვალებმა დაინახეს კოფოზე
წამოძვდარი კაცის მსგავსი მოჩვენება,
რომლისგანაც წყალი ჩამოდიოდა.

— მივედით! — ჩამოსძახა მოჩვენე-
ბამ. კიდევ რაღაც უთხრა, მაგრამ სიტყ-
ვები ქარმა გაიტაცა.

შინ სიმონი ერთხანს ისევ დაბოროგავ-
და, ხელობელში გაეყარა ირინესათვის
და ოთახებში დაატარებდა.

— რასაც ხედავ, შენია ახლა ყველა-
ფეოი. შენ ხარ ამის ბატონ-პატრონი.
თუ კიდევ რაიმეს მოინატრებ, მოგიკვ-
დეს ჩემი თავი, თუ მაშინვე არ გავაჩი-
ნო. ოღონდ გაიხარე და გამახარე, მეტო
არაფერი მინდა შენგან.

ირინე ჯერ მორჩილად დაჰყვებოდა,
მაგრამ როცა სიმონმა მიიზიდა დაკოცა
დაუპირა, ფრთხილად მოარიდა თავი
და გულცივად უთხრა:

— დაღლილი ხარო, დაიძინეთ.
სიმონი მოიღუშა და უმაღლე ხელი
უშვა.

— ეგ ჩემი ნებაა, როდის დავიძი-
ნებ, — მკვებედ ჩაილაპარაკა. — ჰკუის
სწავლება არ მჭირდება მე!

განაწყენებულმა თვალი გააყოლა
ირინეს, როცა ის კარებისაკენ გაემართა
და გულღვარძლიანად გაიფიქრა: „არა
უშვავს, მოვიტონე ცოტას. მაგისტანები
მომითმენია? მოგთოკავ, დაგაიწყებ
მაგ აზნაურულ მამლაყნწობას!“.

ხმაურით გაალო ფანჯარა და იქვე ჩა-
მოჯდა. დიდხანს იჯდა და თვლემდა.
ქარს შიგნით შემოჰქონდა წვიმის წვე-
თები და თავზე აშხეფებდა.

ძლიერი მუხის დაკემაზე გამოერკვა
და საძინებელ ოთახისაკენ წაბარბაცდა.

ირინე იწვა. ღამის ნათურა მქრქალად
დანათოდა. ეძინა, სახეზე კი დაღლილო-
ბა და თითქოს სევდაც ემჩნეოდა, უეც-
რად სხვისი სუნთქვა და ღვინის სუნი
იგრძნო, შეშინებულმა გაახილა თვლები,
აღვომა დააპირა, მაგრამ სიმონმა
ლონიერად მოხვია მკლავები და ჩაიკრა.

IV

შემოდგომა დაიწყო და სიმონი ახლა
მთელ დღეებს ქარხანაში ატარებდა.
რთველი მოახლოვებული იყო. ამ საპა-
სუხისმგებლო დროს ქარხანა ყოველმ-
ხრივად შემზადებული უნდა დახვედ-
როდა.

ბეროშელი მუდამ ეჭვის თვალთ უყურებდა თავის მუშებს და ამიტომ ყოველივე წვრილმან საქმეში ერეოდა, ყველაფერს ჩაპყრიკიტებდა. ერთხელ კიდევ გულდასმით შეამოწმა მანქანები, ლაბორატორია, ეზოც კი მოასუფთავა და ამის შემდეგ სოფლებში გაემგზავრა ყურძნის შესასყიდად.

მუშაობდა ბევრს და ხალისით. დარწმუნებული იყო, რომ ახლებურად გამართულ ქარხანაში საქმე უკეთესად წავიდოდა და დიდ სარგებლობასაც ნახავდა. წარმტაცი ფიჭვიც გაუღვებდა ხანდახან და იწყებდა ოცნებას იმ მომავალზე, როცა მისი ფირმის ნიშნით გამოშვებული ლენო სახელს მოიხვეჭდა და შორეულ მაოიდანაც დაკვეთებს მიიღებდა. ეს ოცნება თავის აგრონომსაც გაუზიარა. მერაბმა მოუსმინა და, ბოლოს, მისთვის ჩვეული სიმშვიდით უთხრა:

— ვნახოთ რა იქნება. აქედანვე ნუ დავიწყებთ მარჩიელობას.

— ეხ, შენ ყოველთვის ასე იცი. უსათუოდ ცივი წყალი უნდა გადამასხა, — ხელი ჩაიჭინა გულგრილი პასუხით გულნატკენმა სიმონმა. — არ გიყვარს ჩემი საქმე და ამიტომაც არც გჯერა რაიმე.

ის მყუდროება, რომელიც შინ მეფობდა, ამხნევებდა ბეროშელს და ცხოვრების ხალისს მატებდა. არ მოსწონდა მხოლოდ ის ამბავი, რომ ირინეს როგორღაც გარინდებულად ეჭირა თავი და საზოგადოებაში ყოფნას გაურბოდა. სიმონი ფიჭვობდა, რამ გიორგი და ირინე ნაცნობობას გააბამდნენ და დაიახლოვებდნენ პატარხევის ცნობილ ოჯახებს. ეს ხომ მისი ძველი და აქამდე აუსრულებელი ნატვრა იყო! როცა ერთ საღამოს ირინემ ჩაიზე მოიწვია კორსაველები, სიმონმა სიხარულით დაუჭირა მხარი და სურვილი გამოთქვა მკიდრო კავშირი დამყარებია მათთან. ელიზბარ კორსაველთან ურთიერთობა ხელსაყრელად მიაჩნდა იმის შემდეგ, რაც მან ქალაქის საბჭოში მუშაობა დაიწყო და, როგორც ამბობდნენ, სამადაშვილის პა-

ტივისცემა და ნდობა დაიმსახურა. ასეთ პიროვნებასთან მეგობრობა, ცხადია, გამოსადეგი იქნებოდა რაიმე საქმეების დროს.

მაგრამ ირინე არ იჩენდა ახალი ნაცნობების შეძენის სურვილს. სიმონიც ძალას არ ატანდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან გარემოება თითონ უჯარნახებდა მის ცოლს როგორ ემოქმედნა ოჯახის სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ.

თავის ნებაზე მიშვებული ირინე დღეებს ისე ატარებდა, როგორც თვითონ უნდოდა. მაგრამ ასეთი განუსაზღვრელი თავისუფლება მინც არ ახარებდა, — ძალიან ბევრი ცარიელი დრო რჩებოდა და არ იცოდა რითი შეეესოს ის.

ბოლოს აზრად მოუვიდა სამსახურობი ჩამდგარიყო. ჯერ კიდევ წინათ ურჩია ქეთინომ რაიმე საქმისათვის მოეკიდა ხელი. ქეთინო თავი ქვის მრეწველობაში მუშაობდა. მარგანეცის მადნის ამოღება, რაც უკანასკნელ წლებში დაქვეითებული იყო, ისევ იზრდებოდა, ძველი კუსტარული წესი იცვლებოდა, განზრახული იყო ახალი მახტების გაყვანა, იწვევდნენ სპეციალისტებს და დღითიღე გამოცოცხლება ემჩნეოდა საქმეს, რაც თვითონ ქალაქსაც სახარბიელო მომავალს უქადდა. მრეწველობა საქმეობდა უბრალო ტექნიკურ მომუშავეებსაც და ხალისით იღებდა ხალხს სამსახურში.

თავისი განზრახვა ირინემ ქმარს გაუზიარა და სიმონმა გულიანად იცინა ამის გაგონებაზე.

— რა გაგიჭირდა, შე ქალო, ამის ფასი? იმ ჩემი თაბაგარის ქვეიანმა ცოლმა ხომ არ ჩაგაგონა? ერთი შენ კიდევ, იმას აპყოლიხარ! შენი სამსახური აგერ ამხელა სახლია და ამას მოუარე, ის აჯობებს. გაკლია რაიმე თუ? შენ მხოლოდ ისურვე და მოითხოვე რაც დაგჭირდეს, მოტანა კი ჩემს კისერზე იყოს. ისე რავე უნდა წავხდე, ცოლი სამსახურში ჩაეყენო! სირცხვილით საღლა გამოვეყო თავი! რაღაც გროშების

გულისთვის თავი უნდა დაიკლუქო? არა, შენი ჳირიმე, ხელი აიღე მაგ უხეირო ფიქრზე!

ირინეს რომ რაიმეს უქონლობა არ ეგარძნო, სიმონი ყიდულობდა ხოლმე პატარხევის მალაზიებში ხან ვერცხლულს, ხან ისეთ სამკაულს, რაც, მისი აზრით, ქალს სასიამოვნოდ დაურჩებოდა. იშვიათი დღე გამოერეოდა, რომ შინ ხელცარიელი დაბრუნებულყო, — სხვას თუ არაფერს, ყვავილებსა და ტბილუელს მაინც მოიტანდა. სიმონი გრძნობდა, რომ ირინე ჯერ კიდევ უცხო სახლით უყურებდა ქმარს, ამიტომ ყოველნაირად ცდილობდა მოეგო მისი გული და დაეახლოვებია. როცა ერთხელ საყვედური უთხრა მისი გულგრილობისათვის და ხმასაც აუმაღლა, მერე ძალიან ინანა, რომ თავი ვერ შეიკავა. იმ დღეს დაიარა პატარხევის სავაჭროები და შეეცადა საჩუქრად ისეთი რამ ეყიდა, რაც უმკველად ასიამოვნებდა ირინეს და გულფიცხად წამოსროლილ ქმრის სიტყვებს დაავიწყებდა. საამისო რომ ვერაფერი იპოვა, ბეგლართან წასვლა დააპირა თუთიყუშის გამოსართმევად, როცა უეცრად ერთმა საიმედო აზრმა გაუღელვა. ან აქამდე როგორ ვერ გაიხსენა?! ამაზე ხომ აღრევე უნდა ეზრუნა! მაშინვე მიამურა მოხუც მევახშეს და ირინეს დაგირავებული ნივთები გამოსისყიდა.

მათი დანახვა მართლაც გაუხარდა ირინეს და სიმონმაც კმაყოფილება იგრძნო, რომ იმედმა ფუქად არ ჩაუარა.

ირინე ხედავდა, რომ ქმარი უმეცარი იყო. მან ხეირიანი წერა-კითხვაც არ იცოდა. ფიქრობდა ამაზე, სწუხდა და, ბოლოს, მისი აღზრდა გადასწყვიტა. რახან ბედმა ბეროშვილი არაგუნა მუდლელდ, იმდენად მაინც უნდა გაწერთნას, რომ მასთან ერთად საზოგადოებაში გამოჩენა არ ეჩოთიროს!..

სიმონიც ნებას დაჰყვა. სალამობით ირინე თავის გვერდით დასვა მდა ხოლმე მას და უკითხაუდა საგანგებოდ შერჩეულ წიგნებს: მოგზაურთა თავგადასავალს, პოპულარულ ასტრონომიას და

უფრო ხშირად იმ რომანებს, სადაც აღწერილი იყო მაღალი წრის საზოგადოების ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, მეჯლისები, ჩაცმულობა. მათი ფუქსავატი შინაარსი ირინეს ხშირად ზიზღსაც გვრიდა, მაგრამ ღვინის სარდაფში გაზრდილ კაცისათვის მაინც სასარგებლო იქნებოდა — სხვა თუ არაფერი, მაგალითს მისცემდა როგორ დაეჭირა თავი და გემოვნებასაც განუფითარებდა.

მოგზაურთა ამბავი ცნობისმოყვარეობას უღვიძებდა ბეროშვილს, თუმცა ზოგჯერ გაუგებარი იყო მისთვის — რატომ გაეწირათ სიცოცხლე, როცა არავითარი პირადი სარგებელი არ ჰქონდათ. რომანები კი მის გულს არ ეკარებოდა, ლიღია მათი მოსმენა, უნებურად მოქნარება აუფარდებოდა ხოლმე. მაგრამ ხათრს არ უტეხდა ირინეს და თავს ისე უჩვენებდა, თითქოს დიდად დაინტერესებული იყო.

აღმზრდელის საამებლად და იმ შთაბეჭდილების შესაქმნელად, რომ წიგნის ხალისი მიეცა, თვითონაც გამოიჩინა თაოსნობა, მიაკითხა ბუკინისტს და იყიდა მისგან „ბუენიანი“, „ქალუაიანი“ და „ყარამანიანი“. ეს წიგნები რომ ცოლმა დაუმჯუნა, სიმონი გაცბუნებული დარჩა. რატომ, რით ჯობდა ის ტომები, სადაც მისთვის უცხო ცხოვრებაზე ეწერა რაღაც?

ირინე მიხვდა ბოლოს, რომ მისი ცდა უნაყოფო იქნებოდა და გული აივორა თავის განზრახვაზე.

მაღე თავისთავად შეწყდა მეცადინეობა. როგორც კი დაიწყო რთველი, სიმონი შინ მისასვლელადაც ვეღარ იცლიდა. მთელი დღეები ქარხანაში ტრიალებდა და ხშირად ღამესაც იქ ათევდა. ქარხანა სრული დატვირთვით მუშაობდა, საქმე ულევი იყო. სოფლებიდან გლეხები ყურძენს ეზიდებოდნენ და ეზოში ნიადაგ იღვა რამდენიმე დატვირთული ურემი, რომელიც თავის ჯერს ელოდებოდა. დიდი დრო მიჰქონდა აწონვას, ანგარიშის გასწორებას. ამის შემდეგ გაჩაღდა მუშაობა საამქროში და იქ კიდევ უფრო მეტი საზრუნავი გაჩნ-

და. ყურძნის დაწურვა, ქვევრებში ჩასხმა, ტბილის დუღილი — ყველაფერი ეს ფხიზელი თვალის მიდევნებას საჭიროებდა.

შინაურები სრულიად არ განიცდიდნენ იმ ამბავს, რომ იშვიათად ხედავდნენ სიმონს. გიორგიმ რამდენჯერმე ინახულა ის ქარხანაში, ერთი-ორჯერ ირინეც აიძულა გაკყოლოდა, ყოველდღე უგზავნიდნენ საკმელს და ამით თავდებოდა მასზე ზრუნვა და ფიქრი.

ზამთარი მოახლოებული იყო და უმეტესად ცივი ქარი ქროდა. გამეჩხერდა ბალი, დაქნა და ჩაწვა ბუჩქები, შემოიძარცვა ხეები. მოძალებული ნისლი ბურავდა ულნო მზეს და ისიც შალე ჩადიოდა. ისევე იწყებოდა პატარხევის გრძელი, მოწყენილი ღამეები. საღამოობით მოდიოდნენ ხოლმე ლენტორი და ბეგლარი, ჩამოჯდებოდნენ ბუხრის წინ და გიორგისთან საუბრით ერთობოდნენ. გიორგიმ ბევრი რამ უამბო მათ თავისი წარსულიდან და თუმცა ის არც თუ საგულსხმოდ ეჩვენებოდა სტუმრებს, მაინც ყურადღებით უსმენდნენ.

— ახლა ვაპირებ მეშუარები დაეწეო, — თქვა ერთხელ გიორგიმ. — ჩემი ცხოვრება, როგორც ხედავთ, არც თუ უფერული იყო. მრავალი რამ გადამხდა ისეთი, რისი დაიწყოება დანაშაულად მიმაჩნია და ჩემს თავს ვალდებულად ვრაცხ შთამომავლობას გადაეცე.

— ეგ აქამდისაც უნდა გაგმკეთებიათ, — შენიშნა ბეგლარმა.

— სიმართლეს ბრძანებთ, ჩემო მეგობარო, — დაეთანხმა გიორგი. — მაგრამ, მოგხსენებთ, ასეთ საქმეს თუ გულდასმით არ ჩავუჯექი, ისე არაფერი გამოვა. დიდ ქალაქში წერა ძნელია. ცხოვრება ვიტაცებს, იძულებული ხარ სულ იმ ორომტრიალში იყო. შენს თავს არ ეკუთვნი ადამიანი. აქ კი, ამ მყუდროებაში, თვითონ მიგიწევს გული სამუშაოდ.

— ცხადია, როცა მოსვენებული ხარ, ტვინიც შენს ნებაზე მოძრაობს, აზრი აღარ იფანტება, — უდასტურებდა ლენტორი.

ასე აუშფოთველად გადიოდა დრო, დღეისდღე გავდა გუშინდელს, გუშინდელი გუშინწინდელს.

ეს სიმშვიდე ცოტა ხნით დაარღვივდა თათლოს წერილმა — მავდა ავადმყოფობდა, პაერის გამოცვლას საჭიროებდა, სამისო ფული კი არ მოეძებოდათ და სასოწარკვეთას გამოთქვამდა.

ირინეს ახლა სამუალება ჰქონდა დაბმარებოდა მავდას, ვალდებულადაც ჩათვალა თავისი თავი, მაშინვე შეუთვალა ჩამოსულიყო და მალე ისიც პატარხევაში გაჩნდა.

V

იმედი, რომელსაც ბეროშვილი ახლად გამართულ ქარხანაზე ამყარებდა, არა თუ მართლდებოდა, ყოველგვარ მოლოდინს აკარბებდა.

წინა წლებთან შედარებით საქონელი ბევრად მეტი დამზადდა და, რაც მთავარი იყო, უფრო იაფი დაჯდა. ზერელე გამოანგარიშების მიხედვითაც დიდი მოგება რჩებოდა.

ქარხნის აღფრთოვანებულმა პატრონმა თავიდანაც ზომები მიიღო, რომ საქმე წარემართა და ზოგ რაიმეში რისკზედაც წავიდა. დაიწყო იმით, რომ თავის ძველ აგენტებს პირობები გაუუმჯობესა. ამ გარემოებამ მალე გამოიღო ნაყოფი — სწრაფად გაიზარდა მოთხოვნილება. შეკვეთების დროით შესასრულებლად საჭირო შეიქნა დამატებით მუშების დაქირავება. გართულდა ანგარიშწარმოებაც. უბრალო დაუთრის და ხელწერილების სამუალებით შეუძლებელი გახდა ამ საქმის გაძლოლა და ბეროშვილი იძულებული გახდა ბუღალტერი მოეწვია. ზედნადები ხარჯი, მართალია, მატულობდა ამის გამო, მაგრამ მოგების მაინც უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდა.

არ დანანებია აგრეთვე ფულის გაღება რეკლამისათვის. გააკეთებინა პლაკატები, გააკრა ქალაქის ყველა თვალსაჩინო ადგილზე და აგენტებსაც დაუგზავნა. რესტორანებში, რკინიგზის სადგურში, მაღაზიებში — ყველგან მოფენილი იყო ფერადებით დაბეჭდილი ეს პლაკა-

ტები. ბოთლებს რომ უფრო მიმზიდველი გარეგნობა ჰქონოდა, ისეთი ჭრელი ეტიკეტებით შეამკო, უცბადვე თვალს ხედებოდა და ყურადღებას იქცევდა.

ბეროშვილი ფრთაშესხმული იყო. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ ფიქრიც არ შეეძლო ამგვარ წარმატებაზე. თუ კი ამ მოკლე დროის მანძილზე ასე ბევრს მიიღწია, რაღა იქნება მომავალში, როცა უფრო გაზრდის თავის წარმოებას! კიდევ სამი-ოთხი წელიწადი და, ალბათ, ისე წინ წაიწევს, ისეთ ნახტომს აიღებს, რომ ამის ვარაუდი ჯერჯერობით შეუძლებელიცაა. თავბრუ დაგვსხმება კაცს, ამაზე ფიქრს რომ გაჰყვე! ერთი რამ კი ახლაც ცხადია — იძულებული იქნება გააფართოოს ქარხანა, ანდა, იქნებ ახალიც ააშენოს. ძველ შენობას მაშინ სხვა რაიმედ გამოიყენებს. აი, თუნდაც კასრების სახელოსნოდ ან ლენინან ბოთლების საწყოხად. ეხ, ეს ბოთლები! უკვე ახლავ იგრძნობა მათი ნაკლებობა და რამდენიმე წლის შემდეგ, ხომ, ერთი-ათად მეტი დასჭირდება. პატარა შუშის ქარხანა რომ გამართოს? მგონი, ურიგო არ იქნეს. ასეთი ქარხანა საკუთარ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს და, შესაძლოა, მცირეოდენი მოგებაც დატოვოს, თუ გარეშე შეკვეთას აიღებს. ყოველშემთხვევაში, ის თავის თავს გამოისყიდის... დაღაზვროს ეშმაკმა, ბედმა თუ არ უმუხთლა, სახარბიელო მომავალი იშლება და, ვინ იცის, იქნებ შორს აღიარა ის დრო, როცა ხელთ იგდებს მთელი რაიონის ღვინით ვაჭრობის საქმეს, ხოლო შემდეგ...

ეს საინტერესო ოცნება დაუბურა ერთმა ამავემა, რომელიც, პირველი შეხედვით, თითქოს არ ღირდა იმით, რომ ყურადღება მიექცია. მერაბ თაბაგარმა, სრულიად მოულოდნელად, განუცხადა, რომ თავს ანებებს ქარხანაში მუშაობას.

— რა იყო? — გაიკვირვა სიმონმა. — გაწყენიე რამე, თუ? აბა რა მოხდა?

ქალაქის საბჭო ერთი წლით თბილისში გზავნიდა თაბაგარს კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

— საბჭო გზავნის? — ამის გაგონება კიდევ უფრო ეოცა ბეროშვილს. — საბჭოს რა უნდა შენთან? რაში იმართები? შენ ითხოვე?

— თვითონ გამომიძახეს და შემომთავაზეს.

— კი მარა, მე არ უნდა გამაგებინონ? მკვდარი ვარ, ცოცხალი ვარ, არ კითხულობენ?

მერაბმა არ უპასუხა.

— ჩემთვის ზრუნავენ ისინი, თუ? დიდება შენს სახელს, ღმერთო! საბჭოს ვინ კითხავს ჩემს საქმეში ჩარევას? — უკვე ცხარობდა სიმონი. — არ მჭირდება მე შენი კვალიფიკაცია. მე კმაყოფილი ვარ. ტყუილი ამბავია, აქედან ფეხს ვერ მოიკვლი!

— ეგ გადაწყვეტილია, — მშვიდად თქვა მერაბმა.

— ვინ გადაწყვიტა? ვის რა ხელი აქვს ჩემს მომუშავესთან? მაგაზე ფიქრიც ზედმეტია. მე მჭირდები და ვერ გაგოშვებ. მიდი და უთხარი, გადავიფიქრე-თქვა.

— მთელი ჩემი ცხოვრების ოცნებაზე უარი ვთქვა? რისთვის? — წყნარად იკითხა თაბაგარმა. — მე უკვე თანხმობა განვაცხადე, ასე რომ...

სიმონი აინთო.

— შენი თანხმობა ფეხებზე მკიდია მე. მიდი და ასე მოახსენე იმ შენს საბჭოს. ამ გაცხარებულ მუშაობის დროს ლაბორატორიის კარზე ბოჭლომი ჩამოვკიდო? როგორ არა, მაგ ჭკუაზე ვარ სწორედ!

— მე რაც შევალბა, ყველაფერი გაკეთებულია, — ჩაილაპარაკა მერაბმა.

— ვინცობაა, დამპირდე? რა ვქნა მაშინ? ამაზე არ უნდა იფიქრო? — ეგ მეკადრება შენგან? — არ ცხრებოდა სიმონი. — ფეხზე დაგაყენე, ადამიანი გაგზადე, ქვეყანაში გამოგაჩინე და ამდენი სიკეთე წყალში უნდა გადამიყარო? გამომიყენე ყველაფერად და ახლა სინიღისზე ხელი აიღე? ტფუ შენს კაცობას!

თაბაგარი აიმრიზა და წამოღდა.

— ჩემს სინიღს, თუ შეიძლებოდეს,

ნუ შეეხებოდა. ნურც ანგარიშს მოვ-
თხოვთ ერთმანეთს. ვინ ვის იყენებდა,
ჩემზე უკეთ მოგეხსენება. წასვლით კი
უნდა წაივად. ამას წინ არაფერი დაუდ-
გება.

ბეროშვილმა კარგად იცოდა თავისი
აგრონომის ამბავი და ისევ დაყვავებით
ლაპარაკი არჩია.

— დაიცა, ერთი-ორი სიტყვა გითხრა,
კი ბატონო, წადი, მე შენი გამჩერებუ-
ლი არ ვარ. მაგრამ, არ უნდა ვიცოდე
ნამდვილი მიზეზი? რა გაკლია ჩემთან?
ჯამაგირი გეცოტავენ? მითხარი, გამა-
გებინე, იქნებ მოგიმარტო. ჩემს ზურგს
უკან რომ საქმეს იკეთებ, მე არ უნდა
გამაფრთხილო?

— მე არაფერს არ ვაკეთებ ზურგს
უკან, — ჩაბურტყუნა მერაბმა.

— აბა რა იყო, რა მოხდა? თავსაყ-
რულადაა საქმე. ასეთ დროს მე ჩემიანი
მინდა გვერდით მყავდეს. ყველას ხომ
ვერ ვენდობი. შენ კი სწორედ ახლა მლა-
ლატობ, ნამდვილად ყელს მჭრი, და-
ღუპვა ვინდა ჩემი.

თაბაგარი ჩუმად იჯდა.

— მერაბ, ნუ დამიკარგავ ამავს,
წიხლს ნუ ჰკრავ მოკეთეს. შენთვისაც
სჯობს, დარჩი. შენც იცი, ქარხნის მო-
მავალს ისეთი პირი უჩანს, რომ... მალე,
ალბათ, ერთი ადამიანი ველარც გავწე-
დები ყველაფერს. საჭირო რომ გახდეს
და ვინმე შევიამხანაგო, შენზე მახლო-
ბელი ვინ ვნახო მე? გესმის რას გეუბ-
ნები? დაუფიქრდი ამას.

გამომცდელი თვალთ მიაშტერდა,
დიდხანს უცქირა, მაგრამ საიმედო ვე-
რაფერი ამოიკითხა მის სახეზე.

— არა, რაღაცას მიმალავ. ვერძნობ
ამას. რაში დაჭირდა საბჭოს შენი გაგ-
ზავა? რაღა შენ ამოგილო თვალში?

— სხვებსაც გზავნიან, — ისე თქვა
მერაბმა, ეტყობოდა მისი ყბედობა მო-
სწყენოდა და მალე წასვლა უნდოდა.

— იმათაც ამ საქმეზე? მერე და, ისი-
ნი სად იმუშავენ? იმათაც მე შემაჩე-
ჩებენ, თუ?

— ეგ მე არ შეიკითხება.

— სად, რომელ ქარხანაში? ქარხანა

აქ ერთია მხოლოდ, ჩემი. ახალის აშენე-
ბას ხომ არ აპირებენ?

თითქოს თაბაგარს მიმართავდა, წამ-
დვილად კი თავის თავს ეკითხებოდა.
თაბაგარი თუ წაევა, წაივად, ჯანდაბას
მისი თავი. ამ დანაკლისს ადვილად
აინაზღაურებს, სხვას მოიწვევს და ამით
გათავდება საქმე. სხვასაც გამოსძებნის
ასეთ ვირივით მომუშავე და უნდა კაცს.
მაგრამ თუ ამის უკან სხვა რაღაც იმა-
ლება? მერაბის და სხვების გაგზავნა
იმის მომასწავებელია, რომ საბჭოს რა-
ღაც განზრახვა აქვს. სად უნდა ამუშაოს
მერე ისინი? რაიონში? მაშ პატარხეში
ხომ არა! აქ რა ხეირს მისცემთ მეორე
ქარხნის აშენება?... ცხადია, სადმე რაი-
ონში. მაგრამ ასე იქნება თუ ისე, სასი-
კეთო არცერთი არაა. იძულებული გახ-
დება მთელი ძალ-ღონე დასკიმოს და
ისევ ხარჯი გასწიოს თავისი ფარმის
შდგომარეობის განმტკიცებისათვის.
არა უშავს, არც ამის წინაშე დაიხვეს
უკან...

— ეგ ყველაფერი იმ სამადაშვილის
ფანტაზიებია. გახსოვდეს ჩემი სიტყვა,
არაფერი არ გამოუვათ, — თქვა ბოლოს
სიმონმა. — შენ კი, ჩემო ძმაო, თავს
ნუ ისულელებ, ნუ დაკარგავ ამ თბილ
ადგილს. ინანებ შემდეგ, მარა გვიან იქ-
ნება. წადი ახლა, დაფიქრდი და ხვალ
უფრო გულდასმით მოვილაპარაკოთ.
ღმერთმა იცოდეს, სიკეთე მსურს შენთ-
ვის. არ მინდა დაიღუპო.

მერაბი ამის შემდეგ აღარ მოსულა.
მალე ის კიდევაც გაემგზავრა. სიმონი
გაგულისებულ იყო თავის აგრონომზე
და ყველას შესჩიოდა — აი რა უმადუ-
რია ხოლმე ადამიანი! ტალახიდან ამო-
ათრია, კაცად გახდა და რით გადაუ-
ხადა!

ნამდვილად კი სხვა რამ უფრო აფიქ-
რებდა ბეროშვილს: რა იყო, რატომ
გაგზავნეს თაბაგარი? მისი თვალები მო-
ეწონათ და იმიტომ? მართალია, ჯერ
საფუძველი არა აქვს რაიმე განსაკუთრე-
ბული მნიშვნელობა მისცეს ამ ამბავს,
მაგრამ მიზეზის გაგება კი მინც საჭი-
როა...

მიაკითხა ქალაქის საბჭოში, მაგრამ გარკვეულად ვერაფერი გაიგო. დაუდასტურეს მხოლოდ, რომ თბაგართან ერთად სხვებიც იგზავნებოდნენ, ხოლო შემდეგ სად იმუშავენ იხინი, ამაზე არაფრის თქმა არ შეუძლიათ. იქნებ სადმე რაიონში? შესაძლოა, რაიონში. რაც შეეხება ქარხნის აშენებას, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი რამ შეუძლიათ უთხრან: ასეთი აზრი არსებობს, ხოლო სად, საკითხი გადაწყვეტილი არაა...

სიმონი დაშვიდდა. ყველაფერი ეს, ცხადია, სამადაშვილის ფანტაზიები. მის ადგილზე სხვა ვინმე, პრაქტიკულად მოაზროვნე კაცი რომ იჯდეს, ასეთი რამ ფიქრადაც არ მოუვიდოდა. როგორც ჩანს, სამადაშვილს ჰგონია, რომ ქარხანა ერთი სულის შეგბერვით შენდება. მამა უცხონდება! რომ იცოდეს, რამდენი ოფელი დაღვარა სიმონმა სანამ თავის ქარხანას გამართავდა! მაგრამ რა მოეთხოვება კაცს, რომელსაც კომერციაში იწიბინი არ გაეგება! ეთქვათ, მაინც გადაწყვიტეს ააშენონ... სად, ქალაქში? ეს შეუძლებელია! ყველა ჰკუამყოფელი იტყვის, რომ სისულელეა. არც თუ ისე ბრყვები სხედან საბჭოში, რომ ვერ მიხედნენ ამის უაზრობას. რად უნდათ პატარა ქალაქში მეორე ქარხანა, როცა უკვე არსებობს ძველი და სახელმოხვეჭილი? რაიონში? ან იქ რა ხელს მისცემთ? მომხმარებელმა, შემკვეთელმა, რატომ უნდა იტანტალოს შორეულ, გადასაკარგავ ადგილებში, სადაც მხოლოდ ჩიტს შეუძლია მიაღწიოს? მერე კიდევ, რითი უნდა გადმოზღონ დამზადებული პროდუქცია? ურშებით? რაო ვითომ, მფრინავი ხარები ჰყავთ, თუ? ერთი სცადონ ბოთლების თრევა მთებზე, ოღრო-ჩოღროებზე და ნახავენ სერის. ნახევარს გზაში დაამსხვრევენ და დაღვრიან. რატომ უნდა გაწვალდეს შემკვეთელი და გასწიოს რისკი, როცა ავერ ქალაქში, სადაც რკინიგზა გადის, მისი ქარხანა ლანგარით მიაართმევს ყველაფერს! არა, ნამდვილად ფანტაზიორია ის სამადაშვილი! ხე, ხე, მოვა დრო

და გულიანად იცინებს მის მეტრობაზე!

იმ ზამთარს ბეროშვილს წინანდელზე ბევრად მეტი სამუშაო გაუჩნდა. ზმირად იძულებული ხდებოდა პატარხევიდანაც გამგზავრებულყო. გარდა იმისა, რომ თავს აბეზრებდა ხეტილი, ხანდახან ოჯახზედაც დარდიანობდა. მან უკვე იგემა ოჯახური მყუდროების სიტკბო, ბოლო დროს ცოლი თითქოს აღარ უდგა განზე, ყოველ შემთხვევაში სიმონი აღარ გრძნობდა თავის თავს განაპირებულად და ამიტომ შინ ყოფნა კიდევაც ენატრებოდა.

მაგდას ჩამოსვლა სასიამოვნოდ დაურჩა სიმონს. ის დარწმუნებული იყო, რომ ირინე უფრო მოიგუნებირებდა, თუ მახლობელი ადამიანი და მეგობარი გვერდით ეყოლებოდა.

ამ ჩუმმა, უსიტყვომ, მეტისმეტად მოკრძალებულმა ქალიშვილმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა და ბეროშვილმა თავიდანვე კეთილი გული გამოიჩინა მისდამი. მაგდაც მალე შეეჩვია და უხერხულობას აღარ გრძნობდა იმის გამო, რომ დიდხანს სტუმრობდა მის სახლში.

— შენ ბედნიერი ხარ ასეთი ჰმარი რომ გყავს, — უთხრა მან ირინეს. — ყველას შეეხარბება შენი ბედი!

ამის შემდეგ მაგდამ გვიი ასხენა. აპირებდა ეთქვა, რომ ირინეს ბედი ეწია, როცა მას დაშორდა, მაგრამ ირინემ მკვანედ მოუტრა სიტყვა:

— გაჩუმდი! არასოდეს, გესმის, არასოდეს არ ასხენო ჩემთან მისი სახელი!

მაგდამ ეს თავისებურად გაიგო: ირინეს ისე უყვარს ჰმარი, რომ არ უნდა შეურაცხყოფა მიაყენოს თავისი წარსული გატაცების მოგონებით. კარგადაც იქცევა. სიმონი ღირსია იმისა, რომ დაცული იქნეს მისი სულიერი სიმშვიდე.

ხედავდა მაგდა, რომ აღერსიანად ეპყრობოდნენ და ამით გახარებული იყო. ნესტორსაც კი, რომელიც ჯერ კუშტად უყურებდა, მალე გული შემოუტრიალდა მისკენ, მაგდას ეცოდებოდა ეს მარტოხელა დავრდომილი მოხუ-

ცი, დაუზარებლად მიაკითხავდა ხოლმე იაფფასიანი თამბაქოთი გაბოლოლ სოროს მსგავს მის ოთახში, მოთმინებით ისმენდა ცხოვრებაზე გულალრენილ კაცის ჩივილს, თანაგრძნობას უცხადებდა და კიდევაც ზრუნავდა მასზე. ამ პირქუშ, გამბორბტებულ, ყველაფერზე ხელჩაქნეულ მოხუცში, რომელსაც აღარც ახსოვდა როგორი იყო ადამიანის გულთბილობა, გაიღვიძა შორეულმა, დიდი ხნის წინათ ჩაფერვლილმა ხალისმა და მის უსიცოცხლო სახეზე ღიმილის მსგავსი რაღაც გაივლებდა ხოლმე, როგორც კი მაგდას თვალს მოჰკრავდა. ახლა მას ფიქრიც აწინებდა იმაზე, რომ ეს კეთილი გოგონა ოდესმე წავეიღოდა აქედან.

ხანგრძლივი წვიმების შემდეგ უცბადვე თოვა დაიწყო. რამდენიმე დღე განუწყვეტლივ ბარდნიდა და მერე ხორხოშელა დააყარა. გარემო თეთრად შეიშოსა.

ირინე და მაგდა ხშირად გადიოდნენ ქალაქში და ქალაქგარედაც, სადაც ველი ღრმა თოვლით იყო დაფარული. ამ თეთრ უდაბნოს, რომლის სიჩუმეს არავითარი ხმა არ არღვევდა, ადამიანის სულში სიმშვიდე შეჰქონდა. მეგობრები დიდხანს ხეტიალობდნენ აქ. უკან წასვლისას მაგდას ყოველთვის ისეთი გრძნობა მიჰყვებოდა, თითქოს განახლდა და გარდაიქმნა. სიცოცხლის შემდეგ შინ დაბრუნებაც სასიხარულო იყო, — ბუხარში ჯიჩკი გიზგიზებდა და მთელ ტანში სითბო შეჰქონდა.

განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ის საღამოები, როცა ვინმე მოვიდოდა. სტუმარი და მასპინძელი ბუხრის წინ მოიკალათებდნენ, გულითად საუბრით ერთობოდნენ, ანდა უსმენდნენ ლენტორს, რომელსაც ქალაქში გაგონილ ახალი ამბავის ულევე მარაგი ჰქონდა ყოველთვის.

თავდაპირველად მაგდა გაუბრბოდა სტუმრებს. როგორც კი უცხო გამოჩნდებოდა, მიაშურებდა თავის ოთახს და კარჩაკეტილში იჯდა, სანამ ირინე გამოსვლას არ აიძულებდა. მაგრამ თანდა-

თან, როგორც იქნა გაეხვია ხალხში ყოფნას, — ჯერ ლენტორმა მოიშინაურა, მერე ეანსაც ისე დაუყვარავდა, რომ გაუქრა ის გამტანჯველი დამპირება და უხერხულობა, რომელსაც მუდამ გრძნობდა ახალგაზრდა ლამაზი მამაკაცის წინაშე.

ბოლოს მოხდა ის, რასაც აქამდე თვითონ მაგდაც ვერ წარმოიდგენდა — ეანის მოსვლა ყოველთვის სიხარულს გვრიდა და ამას არა თუ ფარავდა, აშკარად ამქლავებდა. ის წუთები, როცა ისინი ბუხრის წინ ჩამოჯდებოდნენ და საუბარს იწყებდნენ, ყველაზე უფრო სასიამოვნო დრო იყო მაგდასათვის. ეანი, მართალია, უმეტესად ჩუმად იყო, ანდა ორ-სამ სიტყვას იტყოდა და ისევ დადუმდებოდა, მაგრამ იმისათვის, რომ ადამიანის სულის სიღრმეს ჩაწედე, განა გაუთავებელი ტირაღებია საჭირო? მერე კიდევ, როგორი თავაზიანი და ყურადღებიანი, როგორ უფროთხილდებოდა ყოველთვის!.. ერთხელ, როცა ქალაქგარედ გაისეირნეს, მაგდა უცხადად ჩავარდა თოვლით ამოვსებულ ღრმა ორმოში. ეანი უმაღვე გადავარდა საშველად. როცა ამ დროს ეანმა თავისი ხელები შემოხვია და სამშვიდობოში ამოჰყავდა, მაგდამ მისი გულისფეთქა იგრძნო და ისიც შენიშნა, რომ ეს ლონიერი ვაჟკაცი გაფითრებული იყო. რამ გამოიწვია მისი მღლევარება? გულგრილი არ იყო მისდამი? ო, არა, ვერც ვაბედავს ამაზე ფიქრს, ეანი მხოლოდ პასუხისმგებლობას გრძნობდა ქალიშვილის წინაშე, რომლისათვის პატრონობა უნდა გაეწია გზაში. და შეშინდა, რომ მას ზიფათი ელოდა. მერე კიდევ, მაგდა ხომ ირინეს სტუმარი და მეგობარია. ცხადია, ამიტომ ელოლიავენ... მაგრამ იქნებ.. არა, სხვა რამ წარმოუდგენელი. კარგს იზამს ეანი თუ მომავალში აღარ გამოიჩენს ამგვარ ყურადღებას, მაშინ მაგდასაც აღარ გაუეღვებს უცნაური ფიქრები. ჰო, შორს უნდა დაიჭიროს მისგან თავი...

მაგრამ ყოველთვის, როგორც კი გა-

მოჩნდებოდა ეანი, მაგდა თვალბგაბრწყინებული ეგებებოდა.

ერთხელ ეანი თავის მუდმივ ოცნების საგანზე ალაპარაკდა — თეატრზე, პიესებზე, სადაც შესაძლოა მისთვის შესაფერი როლები გამოიძებნოს. მაგდამ მაშინვე იფიქრა, რომ უნდა დაეხმაროს ამ საქმეში, მეორე დღესვე გასწია ბუკინისტთან, გადაქეჭა თაროები, ამოარჩია რამდენიმე წიგნი და ეანს გადასცა.

ირინე ამჩნევდა თავისი სტუმრის განსაკუთრებულ განწყობილებას ეანი-სადმი და გულში ეცინებოდა. მაგრამ როცა ერთ საღამოს ეანს ელოდნენ და ის არ მოვიდა, ხოლო მაგდამ ძალიან მოიწყინა, ირინემ ნახევრადხუმრობით უთხრა:

— ვხედავ, სულ ეანი გელანდება. ჭკუით იყავი, სერიოზულ რაიმედ არ გადაიქცეს ეგ ამბავი. ის არ ღირს ამდ.

ასეთი გაფრთხილება, რომელშიაც საყვედურიც ისმოდა, გულს მოხვდა მაგდას. მაგრამ ირინე, იქნებ, სხვა განზრახვითაც ეუბნებოდა? იქნებ იმას ფიქრობს, რომ მომავალში მეგობარი დაეჩაგრება, თუ ახლაც არ ჩამოაშორა ეანს? ვინ იცის, იქნებ ირინე მართალიც არის. განა მაგდა არ ხედავს თავის თავს სარკეში? ასეთი გონჯი ქალი, დე ის დიდად ჭკვიანიც იყოს, არასოდეს არ ხიბლავს მამაკაცს.

მარტის დამდეგს თოვლი აიღო. დროდადრო ისევ ქროდა ცივი ქარი, მაგრამ უკვე იგრძნობოდა მზის შემოტრიალება. მალე თბილი დღეებიც დაიჭირა. ბევრი ჯერ კიდევ გაძარცული იყო და მაინც ემჩნეოდათ, რომ სიცოცხლეს უბრუნდებოდნენ. თანდათან ფერს იცვლიდა მიწაც, აქა-იქ ამოსულიყო ბალახი, თავწვეტიანი და ბაცი მწვანე, გაზაფხულის პირველი მაცნე.

მაგდას ცხოვრებაში ეს იყო პირველი გაზაფხული, რომლის მსგავსი აქამდე არ განეცადა. მხოლოდ წიგნებში თუ წაეკითხა ასეთი რამ. თითქოს სხვა თვალთ ხედავდა ახლა მინდვრებს, მთებს,

ცაზე მიმოფანტულ ღრუბლებს. მდინარის ჩქრიალში უჩვეულო ხმა ესმოდა, ღელის წანწყარი რაღაც საიდუმლოს უმტლავნებდა. უმიზეზო მღელვარება შეიპყრობდა ხოლმე.

ირინესგან დაფარულად ის ხშირად ნახულობდა ეანს. მოიმიზეზებდა რაიმეს, გასწევდა ქალაქში და, ვითომ შემთხვევით, ქუჩაში ხვდებოდა.

პატარხვევლებს არაერთხელ დაუნახავთ ეს წყვილი მატარებლის მოლოდინში პერონზე ან სანაპიროზე მოსეირნენი და ორახროვანი ღიმილით გაუყოლებიათ ხოლმე თვალი, განსაკუთრებით კი ეანისათვის რომელიც ყოველთვის თავმომწონედ მიყვებოდა კარგად ჩაცმულ თბილისელ ქალიშვილს.

იმ ამბავმა, რომ ეანი და მაგდა ქალაქგარედაც მარტო დადიოდნენ, სიმონის ყურამდისაც მიიღწია.

ერთხელ მას კატო შეხვდა ქუჩაში.

— კმაყოფილი ხარ შენი ბედით? — ღიმილქვეშ დაფარული გულისტკივილით იკითხა კატომ. — გისათუთებს შენი მზეთუნახავი? მამა ვაცბონე მისი, ხომ გიგდო ხელთ, ხომ წამოგაჯდა კისერზე? თვითონ რომ კუჭი გაიძლო, აღარ იქმარა და სარჩენად თავისი ნათესავებიც თავზე მოგახვია?

— ვინ, ქალო? — ჯერ გაეცინა სიმონს.

— ვინ და, ის დრუნჩიანი გოგო. შენს ადგილზე იმას სახლშიაც არ შემოვუშვებდი.

— შენი ავად სახსენებელი არაა ის, — უკვე განაწყინებულად უთხრა სიმონმა. — თავი დაანებე მაგისტანა ლაპარაკს.

— შენთვის ვამბობ, შე ლორო, თორემ მე რა. რატომ ალანძღვიებ ოჯახს იმ თავქარიანი გომბიოს გამო?

— რას ქვია ვალანძღვიებ? — გაიკვირვა ბეროშვილმა.

კატომ იმაზე მეტიც უამბო, რაც სათქმელი ჰქონდა: ეანი აღარ კმაყოფილება მაგდასთან შინ მისვლით და საიქვო ყრუ ადგილებში დაჰყავს, ირინეც ხელს უწყობს მათ სატრფიალო შეხვედ-

რებს, პატარხევეში სალაპარაკოდ იქცა ეს ამბავი.

— შენ, დედაკაცო, თავი დაანებე მაგ სისულელეს, — გაგულისდა სიმონი. — მოგლანდებია რაღაც და ატარტალებ ენას. არ ვიცი შენი ამბავი, თუ?

— დაგიდგა თვალები, — ზიზღით გადახედა კატომ, როცა იგრძნო, რომ სიმონმა გულთან ახლო არ მიიღო ვაგონილი. — ქვეყნის სასაცილოდ იხდი თავს. ამაზე შეტსაც ამბობენ, მარა არ მინდა დაეიჯერო. შენ ვინ გეტყვის პირში? ეს მე ვარ სულელი, რომ გეუბნები. ღირსი არ ხარ, მაგრამ მაინც შემტყვი შენთვის ვული.

სიმონმა ყურადღება არ მიაქცია კატოს სიტყვებს, უბრალო ჭორიკანობად ჩათვალა, მაგრამ მაინც გულნატყენი და ოდნავ დაეჭვებულიც დაშორდა: ამდენ პატრეს სცემს მაგდას და სხვას რატომ უნდა მისცეს საბაბი დაცინვით ილაპარაკონ მის ოჯახზე!

ადრე გაზაფხულიდანვე დაეტყო ქალაქს გამოცოცხლება. ვანსაკუთრებით შესამჩნევი იყო ეს ნახანძრალის უბანში, — ქუჩას ასუფთავებდნენ ხავსმოკიდებულ ნანგრევებისგან, თხრიდნენ მიწას, ზიდავდნენ აკურს, მთელი დღე ხმაურობდა ქვისამტკრევი მანქანა.

აქ გავლისას ერთხელ კორსაველს შეხვდნენ ირინე და მაგდა.

— სულ მალე პატარხევეში აღარ მოგეწყინებათ, — უთხრა მან ირინეს. — შემოდგომაზე ისეთი თეატრი უნდა გაეხსნათ, ყველას გაუევირდეს!

კორსაველმა ჩაჰკიდა მათ ხელი და აჩვენა ის ადგილი, სადაც შენობა უნდა ამართულიყო. თეატრის წინ განზრახული იყო სკერის გაშენება, ხოლო პირდაპირ, სადაც ფიცრული პატარა დუქნები ჩამოჭრივებულიყო, ფართო მოედანი გაიშლებოდა.

ეს ამბავი შინ თქვეს მაგდამ და ირინემ, რაზედაც სიმონმა მხოლოდ ჩაიცინა:

— ჰო და, სამახარობლო მოთხოვეთ ენას. იქამდე მივიდა საქმე, რომ ამისთა-

ნა ლაყინტარა ბიჭებზედაც ზრუნავს ჩვენი საბჭო? მე და ჩემმა ღმერთმა, ერთობ გულკეთილი ხალხი, ჰალაქების ეს ახალი მესვეურები!

ქანი მართლაც გახარებული იყო. საათობით იჯდა ხოლმე მშენებლობის ადგილზე და თვალს ადევნებდა როგორ ამოჰყავდათ კედელი. უყურებდა და ოცნებას ეძლეოდა — აი დგას ის სცენაზე, ხოლო დარბაზიდან ხალხი აღტაცებით ტაშს უკრავს... მაშ სინამდვილედ იქცა მისი ძველი ოცნება? ახლა საშუალება ეძლევა ფრთა გაშალოს და აიძულოს პატარხეველები, რომლებიც აქამდე ეჭვის თვალთ უცქერდნენ, მისი ნიჭის დამფასებლები და პატრესმცემლნი გახდნენ...

შემთხვევით ბეროშვილმაც გაიარა ერთხელ იმ ადგილას და გაკვირვებული დარჩა, რომ ასე მოკლე დროში და ასე შეუმჩნეველად უკვე ბევრი გაკეთებულიყო. ჯერ კიდევ ჩონჩხი ჩანდა, მაგრამ ამის მიხედვითაც აღვილად გამოსაცნობი იყო, რომ დიდი შენობა წამოეწყობა. არაფრად ექაშნებოდა ამის დანახვა, მაგრამ მაინც კმაყოფილება გამოთქვა:

— ყოჩაღ, მე და ჩემმა ღმერთმა. რაც მართალია და, უმარჯვიათ.

ეს თავისი გაცემა იქვე მყოფ კორსაველს გაუზიარა და რომ მისთვის ესამოვინებია, ქალაქის დიდი ტაძრის ამბავი მოიგონა: ოცი წლის წინათ დაიწყეს მისი აშენება და საბოლოოდ მაინც არ დაადგა საშველი, ჯერაც არ უწირავთ შიგ, ერთი მხარე დღემდე დაუმთავრებელია, კორსაველმა კი ამ ორ თვეში იმოდენა საქმე გააკეთა რომ...

— მე რა შუაში ვარ, ჩემო კარგო, ქალაქი აშენებს, — აიცილა მან შექება. — მე თუ არა, სხვა გააკეთებდა.

— შემდეგშიაც თუ ასეთი მარიფათი გამოიჩინეთ, — თავისი განაგრძო სიმონმა, — ჩვენს პატარხევს რამდენიმე წლის შემდეგ ველარც კი იცნობს, რაც...

— აგრეც იქნება, რა თქმა უნდა! — მაშინვე დაეთანხმა ელიზბარი, დარწმუნებული, რომ ამით ამებდა სიმონს. — თქვენ ახალგაზრდა ხართ და

მოესწრებით იმ სხვა პატარაზე. თუ ვაინტერესებთ, მოდიტ ჩვენთან სააღმშენებლო განყოფილებაში და რამდენიმე ახალი უბნის მაკეტს გაჩვენებთ.

სიტყვას მოჰყვა და კორსაველმა უამბო, თუ რისი ვაკეთება იყო განზრახული ახლო მომავალში: წყალგალმა დასავლეთით, სადაც ველი იწყებოდა, ქალაქს შემოემატებოდა ახალი სამრეწველო უბანი, სადაც, სხვათაშორის, ღვინის ქარხნის აშენება იყო დაპროექტებული. ბეროშვილმა ყური ცქვიტა.

— ღვინის ქარხანა? აჰ, პატარხევი? კორსაველმა დაუდასტურა.

ბეროშვილი იმდენად გაცხებულ იყო, რომ მხოლოდ ამის თქმა მოახერხა:

— ჰო, მაგრამ... ქალაქში?

კორსაველს საჩქაროდ დაუძახეს და მათი საუბარი შეწყდა.

სიმონი აზრდაზნეული იდგა. მაშ მან აპირებენ ააშენონ? ისე გამოდის, რომ სამიღამივილი ფანტაზიორი არ ყოფილა?!

მოთმინება აღარ ეყო და იმავე დღეს წავიდა საბჭოში კორსაველის სანახავად, რომ უფრო დაწვრილებით გამოეკითხა ყველაფერი. ნახა კიდევაც, მაგრამ ეღობარს არ ეცალა, ვილაც თანამშრომელი იხმო განყოფილებიდან და დაეაღა ეჩვენებია სიმონისთვის ახალი უბნის მაკეტა.

თანამშრომელმა, რომელიც არც თუ კმაყოფილი იყო იმით, რომ თავის საქმეს მოაქვნიეს, უფროსის დავალებაზე უარი ვერ თქვა და ბეროშვილს შესთავაზა გააყოლოდა.

ოთახში, სადაც ერთიმეორეზე მიღგმულ მაგიდეზე თავდახრილ ვაეებს და ქალებს კალკის ფურცლები გაეშალათ და ხაზადნენ, ვიწროობა იყო.

— თქვენ მაკეტი ვაინტერესებთ, არა? — იკითხა მსლებელმა და მიიყვანა ფანჯარასთან მიღგმულ დიდ მაგიდასთან, რომელზედაც ხის ჩარჩოთი შემოვლებული მაკეტი იდგა.

ბეროშვილი ცნობისმოყვარეობით დაამტკრდა მისთვის ჯერ უნახავ იმ

საგანს. დაინახა პაწაწინა, სათამაშოს მსგავსი რაღაც სახლები, რამდენიმე მათგანს სახურავზე საკვამლე მიწები ჰქონდა გაკეთებული. შენობებსა და შენობებს შორის გადიოდა ქუჩა, რომლის ნაპირებზე მწვანედ შეღებილი კარტონის ხეები იყო ჩარჭობილი, ესეც პატარა და სათამაშოს მსგავსი. უყურებდა და ვერ ერკვეოდა რას ხედავდა — გონება ვერ ურიგდებოდა იმას, რომ ეს კოლოფები იმ რაღაც ახალ რაიონის გამოსახულება იყო.

— რომელია აქ ღვინის ქარხანა? — იკითხა ბოლოს.

— აი ეს ვახლავთ, — მიათითა თანამშრომელმა.

სიმონი კიდევ დიდხანს იდგა, მღუმა რედ დასჩერებოდა და თვალს ვერ აშორებდა. ის კოლოფი, რომელიც ახლა უჩვენეს, წარმოადგენდა ორსართულიან დიდ შენობას რამდენიმე სამქროთი.

— ხოლო, აჰ, ეზოში, სადაც ამ პატარა პირამიდებს ხედავთ, ქარხანას ექნება რამდენიმე დამხმარე მეურნეობა...

ბეროშვილი თითქოს უსმენდა, მაგრამ უფრო საკუთარი ფიქრებით იყო გართული. თვალწინ გაუელვებდა ხოლმე თავისი ქარხანა, რომლითაც აქამდე დიდად ამაყობდა და რომელიც ახლა რაღაც საცოდავ ფარდულად ეჩვენებოდა.

— მაშ ყველაფერი ეს ერთ ქარხანას ეკუთვნის, — წაიღუღუნა მან. — ჩინებულია... კერძო მწარმოებელი კი ვერ შესძლებს ამდენ ამბავს.

სიმონი თავისთავს გულისხმობდა.

— ჰო, რა თქმა უნდა, — გულგრაოდ დაუმიწმა თანამშრომელმა.

ეს დამოწმება სიმონის გულს ლახვარივით მოხვდა და გუნებაში გაბრაზებით შეაგინა მთქმელს, თითქოს ის რაიმეში დამნაშავე ყოფილიყო.

— საბჭომ დაამტკიცა პროექტი?

— ხვალ განიხილავენ და, ვნახოთ, დაამტკიცებენ თუ არა, — ისევე გულგრილად თქვა განყოფილების მუშაკმა.

— ხვალ... — უნებურად გაიმეორა სიმონმა და მცირე სიჩუმის შემდეგ

იქითხა: როგორ ფიქრობთ, თუ დაამტაცეს, მალე დაიწყება მშენებლობა?

— რა თქმა უნდა.

— დაახლოებით რამდენ წელიწადში დამთავრდება?

— არა, რას ბრძანებთ, დიდხანს არ მოგიწევთ ცდა, — თანამშრომელს, როგორც ჩანს, უნდოდა ესამოვნებია ამ უცნობ მოქალაქისთვის. — წლის ბოლოს უნდა მოვრჩეთ.

ბეროშვილი აფორიაქებული წავიდა საბჭოდან.

შინ არაფერი უთქვამს. აქ ყველაფერი უცვლელი დახვდა. ისევ სიმშვიდე და უღარდებლობა, როგორც გუშინ, გუშინწინ.

ეუცხოვა და გააღიზიანა კიდევაც ამ მყუდროებაში, ცოტა ხანს თავის ოთახში იჯდა და მერე ქარხანაში წავიდა.

დაბრუნდა გვიან, როცა ყველას ეძინა. თითონაც დაწვა, მაგრამ მოსვენება აღარ ეღირსა. თვალწინ ედგა ის პატარა, სათამაშოს მსგავსი, ორსართულიანი სახლი, რომელიც მალე ქარხანად უნდა ქცეულიყო. ვერ იქნა და ვერ მოიშორა თვალთავად. ამართულიყო მის წინ და ახელდება... აი, თურმე, რატომ გავგზავნათ მერაბ თაბაგარი! ის მათხოვარა ახლა იქ იპარპაშებს და ინებებურებს!... ბოლო ეღება ყველა ოცნებას მომავალზე, ყველაფერი ოხრად უნდა წავიდეს... კიდევ რამდენიმე თვე და, იძულებული იქნება დახუროს თავის ქარხანა. შემდეგ? ეშმაკმა იცის შემდეგ რა მოხდება... წარსულს დაუბრუნდეს? მაგრამ რომელს, როცა იმ წარსულისკენ მოსაბრუნებელი გზაც გამქრალა! სხვა რაიმე საქმე წამოიწყოს? ტყუილი იმედია, ვერაფერსაც ვერ წამოიწყებს, მათ ხელთა ახლა დიდი ბაღები, მადარობები, ფაბრიკები... კიდევ ცოტა და, ალბათ, ყველაფერს დაეპატრონებიან... მაშ ხვალ გამოირკვევა საბოლოოდ... რომ მოხდეს სასწაული და უარი თქვან?

საღაღაც კედელში ჭრიჭინა შემძვრალიყო და თავისი მზიარული გაუთავებელი ჭიჭინით დალაგებულად ფიქრის საშუალებასაც არ აძლევდა... რა შეუ-

წუხა გული, ანახვა მინც სად შემადგულა ის საზიზღარი რომ გასრისოს და დაადუმოს! დასწყევლოს ღმერთმა, როგორ მოაბეზრა თავი!

VI

იმ დილით სიმონი ჩვეულებრივზე ადრე წავიდა სახლიდან. როგორც ყოველთვის, სადილის დროს შინ ელოდნენ, მაგრამ ისე დაღამდა, არ მისულა.

სიმონი დიდხანს არ დაჩენილა ქარხანაში, რაღაც დავალებები მისცა მუშებს და ქალაქში გასწია. რამდენიმე საათის შემდეგ დაბრუნდა საოცრად დაღვრემილი, არავისთვის არ გაუცია ხმა, ჩაიკეტა კანტორაში და მარტო იჯდა იქ იმის შემდეგაც, როცა მუშები და ბუღალტერი წავიდნენ. მხოლოდ დაბინდებისას დასტოვა იქაურობა, თავდაპირველად თავის სახლს მიამუშრა, მაგრამ როცა გზად მიმავალმა აღთქამან ჩაიარა, ანგარიშმიუცემლად შიგ შევიდა.

ბეგლარმა შეხედა თუ არა, მაშინვე შეამჩნია უგუნებობა.

— ნურაფერს მკითხავ, შენი ჭირიმე! — უცბადვე მოუჭრა სიმონმა, როგორც კი დააპირა ბეგლარმა მიზეზი გამოეკითხა. — ლაპარაკის თავი არ მაქვს. ცოტა ხნით შენს ოთახში მოვიცვენებ და წავალ მერე.

ბეგლარი რეცეპტების შემოწმებით იყო გართული და კმაყოფილიც დარჩა, რომ საქმეს არ მოცდა. შეუძღვა ოთახში და მარტო დატოვა.

სიმონიც კმაყოფილი იყო იმ მარტობით. ახლა მას ხმის ამოღებაც უმძინოდა და არც დალაგებულად ფიქრი შეეძლო. თავში ყველაფერი აბურღულიყო. მოაგონდა მხოლოდ, რომ სადილის დრო გადასულიყო და დიდი ხანია შინ ელოდებოდნენ. მაგრამ არც განუზრახავს წასვლა. პირიქით, ისიც კი ვაიფიქრა, რომ ნეტავ სულაც აღარ მისულიყო სახლში. ახლა მის გულში ბოლბო ტრიალებდა და, რატომღაც, შორეულად და უცხოდ წარმოუდგა თავისი ოჯახი, სადაც ყველა უღარდებლად და უზრუნველად ცხოვრობდა.

საშინელ უმწეობას გრძნობდა. თუ წინათ ისე ეგონა, რომ ბევრის შემძლე იყო და მისი სურვილების განხორციელებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა, ახლა, პირიქით, თავისი თავი ეჩვენებოდა პატარა, უღონო არსებად, რომელსაც გულშემატკივარი და თანამგრძობელიც აღარ გააჩნდა.

ერთ ხანს ბორჯავდა, მერე ტახტზე მიწვა, პიჯაკი თავზე წაიხურა და გაინაბა.

როცა მუშაობის დამთავრების შემდეგ ბეგლარი ოთახში შევიდა, სიმონი ჩაძინებული დახვდა. ფრთხილად, რომ სტუმარს არ გაღვიძებოდა, აფთიაქარმა განჯინიდან გადმოიღო საინი, კერძი და მარტოხელა კაცის ღარიბულ სადილს შეუდგა.

შუა ქამაში იყო, როცა სიმონს გაეღვიძა.

— დამეწვიე, — შესთავაზა ბეგლარმა უფრო იმისათვის, რომ მასპინძლის მოვალეობა მოეხადა.

სიმონმა უარი თქვა. აფთიაქარმა მაინც მოიტანა მეორე საინი და ლეინიანი ბოთლი დადგა სუფრაზე.

— აბა ეს მაინც მიირთვი, — დაუსხა ჭიქაში. — ჩემი დაყენებულია, ბოცაში. შენ რომ მიჩიე, ისე.

ერთხანს მდუმარედ ისხდნენ.

— გატყობ, რალაც უსიამოვნება შეგხვდა, — გაუბედავად დაარღვია სიჩუმე ბეგლარმა.

სიმონმა ჯერ წაუყრუა, დაცალა ჭიქა და წამოიღულღულა:

— წაიდა ყველაფერი...

— ოჯახში ხომ არაფერი მომხდარა? ცუდი ამბავია რაიმე? — ისევ ფრთხილად ჩაპკითხა ბეგლარმა.

ის დარწმუნებული იყო, რომ აქ იმალებოდა სტუმრის უგუნებობის მიზეზი.

— ოჰ, ოჯახი! — სახე დაეღრიჭა სიმონს. — ოჯახი კი არა, ვათავდა ჩემთვის ყველაფერი. ვიღუპები, ბეგლარ, და საშველი არსაიდანაა. აქამდე კიდევ მჭონდა იმედი, დღეიდან კი...

არ დაამთავრა, დადუმდა.

ბეგლარმა ერთხანს იცადა, ბოლოს მოთმინება დაჰკარგა.

— რაო, რა ლეთის წყრანმაა! შენს თავზე? აღარ იტყვი?

სიმონმა თითონ დაისხა და სულმოუთქმელად გადაჰკრა.

— წაიდა ყველაფერი... აშენებენ ლეინის ქარხანას... ქალაქი აშენებს, სახელმწიფო...

— მაგაზე რამდენი ხანია ხმა დაჰყარეს, მარა, ვინ იცის, მართალია თუ ტყუილი, — სიმონის დამშვიდება მოინდომა ბეგლარმა.

— აქ აშენებენ, პატარხევში. დანამდილებით ვიცი. ქალაქის საბჭოში ვიყავი დღეს.

— შე კაი კაცო, იქ ვინცა რაცხას წაიბუტურებდა, ყურადღებას რავა მივაქცევდი!

— ვინცა კი არა, თვითონ თავმჯდომარე ვნახე... ჰო, სამადაშვილი... მიმიღო.

— ამბობენ, თავაზიანი კაციო.

სიმონმა რალაც ჩაიბუტურყუნა გულმოსულად.

— არა, მაინც... ზრდილობიანად რომ შეგხვდება იმხელა კაცი, ეგექ კარგია.

— ჰო, მართალია, გულდასმით ვისმენს, პასუხს გაძლეეს, ხანდახან კიდევაც გაგიღიმებს, მარა...

— რა მარა?

— აბა რა? საფლავს მითხრი და პირში მივინი? რა თავში ვიხლი ასეთ თავაზიანობას!

— შენ საქმე თქვი, რა ვითხრა?

— ნამდვილიო, ვაშენებთო. კი მარა, მე რალა ვქნა, მე რას მიპირებთ-მეთქი?

— მერე რაო? რა გიპასუხა?

— რაო და, მასხრად ამიგლო... შენთან რა ხელი გვაქვსო, შენ შენთვის იქნები, ჩვენ ჩვენსას გავაკეთებთო... გესმის შენ რა მითხრა? მასხარად აგდებია ეს, აბა რა! სახელმწიფოს შევეჯიბრო?

— სხვა ვაა არაა...

— კი მარა, როგორ? ლოცვით და კურთხევით? სად მაქვს ერთ კაცს ამის ძალი? გავუძლებ მე ასეთ კონკურენტს?

— ძნელი საქმეა, — ჩაილაპარაკა ბეგლარმა.

— ძნელი კი არა, შეუძლებელია ბოლოს კი, იცი, რა მითხრა? თუ ისურვებ, ჩვენთან მივიღებთო სამუშაოთ. გამოცდილება გაქვს და გამოგიყენებთო.

— არ დათანხმდი?

— ჩემი ხელით გამოვიჭრა ყელი? იმას საქმე გავუყუეთო და ჩემი დავდუპო? მისმა თავის გახეთქამ!

— რას იზამ, თავს ზევით ძალა არაა. ხომ ხედავ, ვმუშაობ აგერ ჩემს ყოფილ ადრთაქში.

— შენი ამბავი მე არ მეკითხება, — კუშტად გადახედა სიმონმა. — მე კი ასე იოლად ვერ დავთმობ. ხომ გესმის რას გუუბნები?

ბეგლარმა ხელი ჩააქნია.

— ტყუილად ბაქიბუქობ, ვერადფერს ვერ იზამ. შენ შეაშინებ ქალაქს? უნდა შეურიდდე ამ ამბავს, სხვა გამოსავალი არაა.

— რას შეევურობდე? ჩემი სიკვდილის განაჩენს ხელი მოვაწერო? კარგ რჩევას მაძლევ. მოგიკედეს მაშინ სიმონ ბეროშვილი, თუ ავრე ადვილად წამომაჩოქონი არ გცოდნია ჩემი ამბავი!

ბეგლარმა დაინახა, რომ ბოთლი ცარიელი იყო, განჯინიდან სველ ტილო შემოხვეული დოქი გამოათრია და სუფრაზე დადვა.

სიმონი ხარბად სვამდა.



დალაშქდა. შუშაბანდში ლამაზა აინთო. კიბის თავში ირინე გამოჩნდა.

— მამა!

— აქ ვარ! — გაისმა ბალის სიღრმოდან.

გიორგი თავის საყვარელ ადგილას ვაშლის ძირში იჯდა მაგდასთან ერთად.

— აღარ აპირებთ შინ შემოსვლას?

— ცოტა ხანს კიდევ ვიქნები გარედ! — მაგდას ხმა გაიგონა ირინემ. — ისეთი დამეა, რომ...

— შართლაც საუცხოოა! — ნეტარე-

ბით ამოისუნთქა გიორგიმ. — ასეთ დამეში რა დაგაძინებს აღამიანს...

ირინეც ბაღში გამოვიდა, თითონაც მერხზე ჩამოჯდა და მამას ჩაეხუტა.

— ასეთი მთვარე არსად მინახავს, — ოცნებიანად ცას შეჰყურებდა გიორგი და თან ირინეს უაღერსებდა თავზე. — ასეთ მთვარეს მხოლოდ სადმე პრავინციაში თუ ნახავ. დიდ ქალაქში კი სულ სხვაა...

სიჩუმეში ნელი სიმღერა და გიტარის აკომპანიმენტი მოისმა.

სიმღერა თანდათან ახლოვდებოდა. ერთი უკრავდა გიტარაზე, მეორე მანდოლინაზე. რამდენიმე კაცი ხმაშეწყობილად ღიღინებდა.

მომღერლებმა გადმოუხვიეს დიდი ქუჩიდან და სიმონის ბაღის წინ ჩაიარეს.

მაგდამ ნაცნობ ლანდს თვალი მოჰკრა და მაშინვე ღობის წინ გაჩნდა.

ახალგაზრდების გუნდს ეანი მოუძლოდა. როგორც კი მაგდას გაუსწორდნენ, სიმღერა შეწყვიტეს.

— საღამო მშვიდობისა! — მიესალმნენ ერთხმად.

მაგდას უნდოდა თავისი აღტაცება გამოეთქვა მათი სიმღერის მოსმენით, მაგრამ ამის ნაცვლად მხოლოდ იკითხა:

— სეირნობთ?

ყველას მაგიერ ეანმა უპასუხა:

— არ გვეძინება. მთვარე ისე აჭყეტს თვალებს, რომ სახლებიდან გამოგვრეკა. ჩავივლით, ჩავიღიღინებთ...

ახალგაზრდებმა გზა განაგრძეს. ისევ მოისმა ჩუმი სიმღერა და გიტარა.

ეანი მაგდასთან შერჩა.

— ეანი! — გაისმა ქუჩის ბოლოდან. წინ წასული მეგობრები ეძახდნენ.

— მოვდივარ! — მიამახა ეანმა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

მაგდას ესიაშოვნა, მაგრამ მაინც იკითხა:

— რატომ ჩამორჩით მეგობრებს?

ეანმა მეტისმეტი თავაზიანობით დაუკრა თავი და წასვლა დააპირა.

— არ მეგონა თუ ჩემი დარჩენა შეგაწუხებდათ. ბოდიში მომიხდია...

— გითხარით იმიტომ, რომ თქვენს მეგობარს არ ეწყინოს, — თავი იმართლა მაგდამ.

ქანმა ნერვიულად გააბოლა თამბაქო.

— ჯანდაბას მათი თავი, თუ ეწყინებათ... მათი ცქერით აგერაც თვალეში მომებრია...

გადახედა ბაღს, მიაჩერდა მთვარეს და, თითქოს სივრცეს მიმართავდა, ჩუმად თქვა:

— ძალიან სასიამოვნო საღამოები დაიკავა...

მაგდა: ძია გიორგი ამბობს „ასეთი მთვარე მხოლოდ პროვინციაში იცის. მეც იმ აზრის ვარ, რომ მთვარე პროვინციისათვის არის გაჩენილი.

ქანი: რატომ, ქალბატონო? თბილისში ვყოფილვარ და იქაც მინახავს.

მაგდა: თქვენ, ალბათ, შეჩვეული ხართ და ვერ გრძნობთ მის თავისებურებას. აქაური მთვარე მთელ ჩემს არსებას იტაცებს.

ქანი: სიმართლე გითხრათ, მეც გამიტაცებს ხოლმე. მართლაც სულში ჩაძრომა იცის.

მაგდა: ძია გიორგიმ ისიც თქვა, პროვინცია რომ არ ყოფილიყო, შესაძლოა მთვარე საჭიროც არ იქნებოდათ.

ქანი: მაგაში კი, ნება მიბოძეთ, დავეშვებ. საზღვარგარეთის წიგნები წამიკითხავს, იქაურ პიესებში მითამაშვნი და მთვარის ხსენება ხშირად შემხვედრია. როგორც ჩანს, იქაც საჭირო ყოფილა.

მაგდა: მთვარე, რა თქმა უნდა, ყველგან არის, მაგრამ არა ასეთი. აქ, ასე მგონია, განსაკუთრებული სურნელებაც აქვს. მთვარიან ღამეში ყველაფერი სხვა სახეს ღებულობს. ადამიანიც სხეულისა ჩანს, სახლიც, ხეც, ასე მგონია, თითქოს უცხო, ზღაპრულ მხარეში იყო. პროვინცია თუნდაც თავისი მთვარით მიიზიდავს და მოხიბლავს ადამიანს.

ქანი: ეხ, ვაი რომ ბოლო ეღება მგ დალოცვილს. მაღე, ალბათ, აქაც ქარხნების ბოლი გაჰკვარტლავს ცას...

შორიდან ისევ მოისმა:

— ქანი ქანი!

ქანმა უკმაყოფილოდ იბრუნა პირი იქითკენ, საიდანაც ხმა მდგომარეობდა...

— გააკვირვეს საქმე, ერთ წუთს ვერ ძლებენ უჩემოდ!

ქუჩის მეორე მხარეს ბაღის პირდაპირ სახლში ოთახი განათდა. თანჯარა გაიღო და კატომ გადმოიხედა. დიღბანს უყურა ღობესთან მდგარო, მაგრამ სიბნელეში ვერ გაარჩია ვინ იყო.

— ვერ გვიცანი? — ხმა მიაწვდინა ქანმა.

კატომ ხმით იცნო, მაგრამ მაინც იკითხა:

— რომელი ხარ?

— ქანი ვარ. ქალბატონი მაგდაც აქ გახლავთ.

— დაგვიანებული ვიზიტი მოგსვლია, ყმაწვილო.

— რას იზამ, შემთხვევის ბრალია. გზად გავიარე და შევჩერდი. სიტყვამ მოიტანა და მთვარის შესახებ ვსაუბრობდით.

— მთვარემდე მივიდა თქვენი საქმე? — ჩაიქირჩილა კატომ.

მაგდამ იგრძნო გადმოსროლილი ვესლი, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია და მშვიდად უთხრა:

— ქანი არ ეთანხმება ძია გიორგის, რომ მთვარე პროვინციის საკუთრებაა.

— შენ ამახინჯებ ჩემს ნათქვამს, — მოისმა ბაღის სიღრმიდან გიორგის ხმა. — მე ვთქვი, რომ მთვარეს პროვინციაში უფრო ძლიერად ვგრძნობ, ვიდრე დიდ ქალაქში.

რამდენიმე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. შორიდან ძაღლის ყეფა ისმრდა. ქანმა ისევ გააბოლა.

სახლიდან ნესტორიც გამოვიდა, ბალი მოიარა და მაგდას მახლობლად ჭევაზე ჩამოჯდა.

— მგონი ფხიზელი ხარ... რა ღმერთი გაგიწყრა დღეს? — ჩაიხითხითა ქანმა.

ნესტორმა, თითქოს არც გაუგონია, მაგდას მიმართა:

— სიმონი კიდევ არ დაბრუნებულა?

— სიმონი ქუჩაში დავინახე წებან, ვილაცის ელაპარაკებოდა. — მაგდას მ-

ვიერ ენმა ვაცა პასუხი. — ისე შევატყვე, ნასვამი უნდა ყოფილიყო.

— შენ კი აქეთ გამოსწიე? — ვადმოსძახა კატომ.

ენმა დამცინავი ღიმილით ახედა.

— როგორც ხედავთ, ჩემო ძვირფასო.

— რაო, არც შენ გაძინებს მთვარიანი ღამე? შენ მაინც არ მოსულხარ უცხო მხრიდან. მთვარე თბილისელებს უფროთობს ძილს, შენ კი ჩვენი ხარ, ჩვენი.

ენმა დააპირა მოსწრებული სიტყვით ეპასუხნა, მაგრამ ვერაფერი მოისახრა და გაჩუმება არჩია.

ნესტორმა, რომელიც ისევ სიმონზე ფიქრობდა, შეფიქრიაანებულად ჩაილაპარაკა:

— სად დადის ის კაცი ამ ღამეში... აღარ აპირებს სახლში მოსვლას?

იმის შემდეგ, რაც ნესტორი მაგდას ახლო ჩამოჯდა, ეანი შებორკილად გრძნობდა თავს და ამით უკმაყოფილო რომ იყო, აღარ მოერიდა და უკმეხად უთხრა:

— შენ თვითონ რაღას დაძვრები ამ ღამეში? ვერ წახვალ, ვერ მოისვენებ?

— არავინ გეკითხება შენ! — შეუტია ნესტორმა. — კი არ დაძვრები, დავდივარ. დაძვრებიან მხოლოდ ხელიკები. იმათაც სძინავთ ახლა. დიახ!

მოხუცი გააბრაზა ეანის უდიერმა მოქცევამ. მაგრამ ახლაც გაუჩუმდა და მერე მაგდას მიმართა:

— ამ სიტყვაზე გამახსენდა, ქალიშვილო... ამასწინათ ბაღში მწვანე ხელიკი დაეინახე. ერიდე, შხამიანია და კბენა იცის. თუ გიკბინა, ვერცხლის ორშაურიანი დაიდევინ ნაკბენზე, სხვა არაფერი გიშველის.

— ზღაპარია ეგ, — ხელი ჩააქნია ეანმა, — არც ერთ მეცნიერს არ დაუწერია.

— მეცნიერებმა მხოლოდ ცისა და მნათობების ამბავი იციან. ის კი, რაც დედამიწაზე ხდება მე უკეთ ვიცი! — გულმოსულად შეეხმინა ნესტორი.

მაგდამ მოხუცის დამშვიდება მოინდომა და ისე მოაჩვენა თავი, თითქოს დააფიქრა მისგან ვაგონილმა:

— კიდევ კარგი, რომ გამაფრთხილებთ. ღამითაც აგრე საშიშია, ძია ნესტორ?

ნესტორი მართლაც ნასიამოვნები დარჩა, რომ ქალაქელმა ქალიშვილმა უყურადღებოდ არ დასტოვა მისი რჩევადარიგება და დინჯად აუხსნა:

— ღამე ხელიკს სძინავს. ქვის ქვეშ შეძვრება, ან ჩირგვში. ღამე ხელიკი განაბულია.

— ღამით ორფეხა ხელიკებია უფრო საშიში — ვადიკისკისა კატომ.

ენი მიხვდა ვის გულისხმობდა კატო, იცოდა მისი ამბავი, რომ მეტის თქმასაც არ მოერიდებოდა, ამიტომ წაუყრუა და მაგდას დაუწყო ლაპარაკი:

— ვადავიკითხე თქვენ მიერ ვადმომცემული პიესები. ზოგიერთს არა უშავს რა. ერთი ისეთი როლიც ვიპოვე, რომელიც შეიძლება ითამაშოს კაცმა. მაგრამ, სამწუხაროდ, იმ პიესაშიც მოღუნებული მოქმედებაა. პიესას, დამეთანხმებით, მეტი სიცოცხლე და მოძრაობა სჭირდება. მაყურებელი უნდა გაიტაცოს. თუ სამი-ოთხი გმირი მაინც არ მოკვდა და მაყურებელმა არ იტირა, ყველა მოწყენილი წავა დარბაზიდან. გამომიცდია და ვიცი, — როცა მსახიობის თამაშს უყურებ, ერთნატილმა ხშირად უნდა დაგიაროს ტანში. სულ იმისი შიში უნდა გქონდეს, აი ახლა მოხდება დიდი უბედურებაო... ვითამაშნიათ სცენაზე?

— არა. ალბათ, ძალიან ძნელია.

— ძნელი არაფერია, თუ ნიჭი ხელს გიწყობს. როლს, მოგვსენებათ, ღრმად უნდა ჩაწვდე. ისე არაფერი გამოვა. მრავალი ვინმე ჩამოსულა ამ ჩვენს პატარხეში სათამაშოდ. აფიშები ისეთი გაუკრავთ ხოლმე, წვიმიან ღამეშიც მოზღვავებულა ხალხი. გამოჩენილი არტისტებიც გვესტუმრებიან, მაგრამ... თავისებოდ ნუ ჩამომართმევთ და, იმათ შემდეგ რომ იგივე როლი მე შევასრულე, მეტი თუ არა, ნაკლები შთაბეჭდილება არ მომიხდენია.

— თქვენ უნდა გეცადნათ დიდი ქალაქის სცენაზე გადასვლა, — უთხრა მაგდამ.

— ეგ ყოველთვის შემძლეა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, აქაურობის მოშორება მეძნელეა. არ მინდა შეჩვეულ ბუდეს მოვწყდე. რატომ გავექცე მშობლიურ კუთხეს?... ზო და, იმას მოგახსენებდით, გამოჩენილ არტისტებს არ ჩამოვრჩენილვარ. ერთხელ, მახსოვს, ქალაქიდან მთელი თეატრი ჩამოვიდა. მსახიობი აედ გაუხდათ და მე მთხოვეს მის მაგიერ მეთამაშნა. უარი ველარ ვთქვი და, თუ ჩემსას არ დაიჯერებთ, შევიძლიათ აქტიორებს ჰკითხოთ და ისინი დამიმოწმებენ, პირდაპირ ჩემს ზეიმად იქცა ის საღამო. ერთობ უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენეს, ყველაზე უფრო ხალხი ტაშს მე მიკრავდა. იმ მიზანსცენაში კი, როცა ჩემს შეყვარებულს წითელი ვარდი მივართვი და ამით უსიტყვოდ გავუმხილე, რომ მისგან გული მაქვს დამწვარი, ისეთი ოვაციები გამიშართეს, კელამ დარბაზი დაინგრა...

— განა ვარდს ასეთი დანიშნულება აქვს? — გაითცა მაგდამ.

— სასაცილოდ არ მითქვამს, ამაზე რომანებშიც ხშირად სწერია, — ოდნავი წყენით თქვა ენმა, როცა ღიმილი შენიშნა მაგდას. — წითელ ვარდს თავისი დანიშნულება აქვს, ჩაის ვარდს კიდევ თავისი... როგორ გეტყობათ გამოუცდლობა! აი, ვთქვათ, გიყვართ ვინმე და გინდათ გრძნობა გაუმტლავნოთ. თუ წითელი მიართვით, ეს იმას უდრის, რომ უკვე ყველაფერი თქმულია. იმ შემთხვევაში, თუ თქვენმა სატრფომ მიიღო ყვავილი, გულზე დაიბნია და კოკორს პირი ზევით უქნა, ეს ამბავი უტყუარი ნიშანია, რომ იმასაც უყვარხართ. მაგრამ თუ თავდაუკუღმა დაჰკიდა, ამით განიშნათ, — ჩემი გული სხვას ეკუთვნისო. რაც შეეხება ჩაის ვარდს, მას მიართმევენ ხოლმე სამუდამოდ განშორების ეამს.

— შენ რა ფერის ვარდს მიართმევდი მაგ ქალიშვილს? — იკითხა კატომ და

ხმამალალი სიცილი დააყოლა. — ზო, თქვი პირდაპირ, რას იწმავნებ!

ლამის სიჩუმეში კატოს სიცილი ისე ძლიერად გაისმა, რომ მეზობელ სახლიდან რამდენიმე კაცმა გადმოიხედა. პირველი სართულის ფანჯარაში ლენტორიც გამოჩნდა. ის თეთრეულში იყო.

— შენ შეგაჩვენა ჩემმა გამჩენმა, რავა მოჩვენებასავით გამოგვეცხადე! — მიაძახა ენმა.

ძილდამფრთხალი ლენტორი ერთხანს გაოგნებული იდგა, ვერ გაეგო რა ხმამ წამოაგდო საწოლიდან, რა დრო იყო, სად იმყოფებოდა და შეშინებულივით აცეცებდა თვალებს. როგორც იქნა, გამოერკვა, ყრუდ აღმოხდა ღმულის მსგავსი რაღაც, იცნო ყველა, მაღიანად დაამთქნარა და, დამშვიდებულმა, ხმის ამოღებაც შესძლო:

— ბიჟოს, რა სიმპათიური საზოგადოება შეყრილა!

დააპირა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ, გონსმოსულმა, დაირცხვინა რომ შილიფად იყო, მოიბოდიშა და სწრაფად მიიშალა. მალე ისევ გამოჩნდა უკვე ჩაცმული და საბოლოოდ გამოფხიზლებული.

— საღამო მშვიდობისა, ბატონებო! — მიესალმა შეკრებილთ. — რას ვიფიქრებდი, თუ ამ დროს აქ განახადით, თორემ...

— რას იზამ, მთვარე არ ამინებს ხალხს! — ჩამოსძახა კატომ.

— ჰაერიც შეხუთულია... — თქვა ლენტორმა. ის ვერ მიმხვდარიყო, რომ მოიარებით ლაპარაკობდა მეზობელი და გულუბრყვილოდ განაგრძო: — ნიავი რომ დაუქიქინებდეს, ნამდვილი სამოთხე იქნება. ეს მთვარე კი, მართლაც, საუცხოოა. პირდაპირ სიყვარულს მიღვიძებს გულში, მოუსვენარ სიყვარულს! ხა!

ბოლო სიტყვები მან სიცილით დაიწყო და მთქნარებით კი დაამთავრა.

როცა არავინ გამოეხმაურა და სიჩუმე ჩამოვარდა, ისევ ლენტორი ალაპარაკდა:

— უნდა მოგახსენოთ, ნამეტანი დაღლილი ვიყავი. რაც მე დღეს ვირბინე

ხან აჟ, ხან იქ. ხომ იცით, ყველაფერი ჩემს კისერზეა. მერე, ააშენა ლმერთმა, სადილად ბეგლარმა მიგვიწვია...

— ეინ ბეგლარმა? — გამოცოცხლდა ეანი, რომელიც აქამდე მოწყენილად იყო და გულს იმით იყოლიებდა, რომ ფეხსაცმელის წვერით მიწას ჩიჩქნიდა და კენჭის ამოგდებას ცდილობდა. — ჩვენმა აფთიაქარმა?

— არა, მეორემ. ბითურამ... იცოცხლეს მასპინძელი ის იყო! რა არ ჰქონდა სუფრაზე! მაგრამ სად მეცალა ჰამისათვის. უჩემოდ სიმღერა არ ვარგოდა, შაშვივით დაღებული მქონდა პირი და ვართობდი საზოგადოებას. თვითონ ბეგლარმა კი, როცა გამოსისტიკინდა, წამოიყრანტალა: — აბა, ბიჭებო, ახლა წამოვიდა ლბინიო! — მისთვის იცოცხლეს, წამოვიდა, მარა მე კი მეტი ჯაფა დამადგა. რას იზამ, როცა კაცს მომლხენის სახელი გაგივარდება, ბოლომდე უნდა ზიდო ეს უღელი. თუ ერთხელე მოიწყინე და ცხვირი ჩამოუშვი, მეორედ აღარავინ დაგიძახებს. ამის შიში მაქვს, თორემ ხანდახან სულაც არ მინდა თავი შევიწუხო. აი, თქვენ რომ ბრძანებულიყავით იქ, ქალბატონო მაგდა, მართლაც თავს აღარ დავზოგავდი და ისეთ აღფრთოვანებაში მოვიდოდი, ყველას საუკუნოდ დაამასხვარებოდა ჩემთან გატარებული დრო!

— შენ როგორ მოგწონს, ეან, ლენტორის ასეთი გულახდილობა? დამშვიდებული ხარ, თუ?... — ახლაც გამქირდავი კილოთი იკითხა კატომ.

— ეანმა პასუხის ღირსად არ ჩათვალა და, მისგან თავემობეზრებულმა, მხოლოდ ზიზღით ახედა.

ლენტორმა კედლიდან გიტარა ჩამოხსნა, რაფაზე გადმოჟდა და ჩუმი ხმით დაამღერა.

— ეანმა გააბოლა და ისევ აამუშავა თავისი ფეხსაცმელის წვერი. კატომ რამდენიმეჯერ დაამთქნარა ყველას ვასაგონად. სიჩუმეში მკათიოდ ესმოდა გიტარის ნაზი ხმა და ლილინი.

— ლენტორი მღერის? — იკითხა გი-

ორგიმ, ადგა და ირინესთან ერთად ლობესთან მივიდა.

— მე გახლავარი — სიმღერა შეწყვიტა ლენტორმა.

— ბედნიერი კაცი ხარ... ყოველთვის მზიარული, მუდამ ხალისიანი...

— დარდს თავი არ უნდა დაუდო, ჩემო ბატონო, თორემ... ხომ არ შეგაწუხებთ ჩემი უშნო ყიყინით?

— პირიქით, პირიქით! ძალიან მსიამოვნებს!

— ეგეც ჩემი ბედი! ქვეყანაზე არავის ვაწუხებ, ხელს არავის ვუშლი, ყველა მადლიერი მყავს. მსუბუქად დამატარებს მიწა... — ლენტორმა რატომღაც ამოიხიზრა და ისევ დაუკრა გიტარაზე.

ქუჩის დასაწყისში სიმონი გამოჩნდა. ის მძიმე ნაბიჯით მოდიოდა თავის სახლისკენ.

— შემავიანდა, — თქვა ეანმა და ჩუმად განაგრძო, რომ ლენტორის ლილინი არ დაეფარა. — თქვენთან ყოფნა ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ არ მინდა თავი შეგაწყინოთ. ამ ჩვენს მთვარესაც, სამწუხაროდ, ღრუბელი წამოეპარა.

დამშვიდობა ყველას და ის იყო რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, როცა ბერთშვილი შემოხვდა.

— დაიცა, — შეაჩერა სიმონმა და გამოაბრუნა. — მათთან ყოფნა თუ გსიამოვნებს, მე რა დაგიშავე, შე კაი კაცი? მე დამინახე და ამიტომ აუჩქარე? ჩემი მოსვლა გეწყინა?

ლენინონასამის ხუმრობად ჩათვალა ეანმა ეს სიტყვები და გაუღიმა:

— ეგ რა სათქმელია, როგორ გეკადრება!

— უკადრისად სწორედ შენ იქცევი. დიას, შენ!

— რითი, ბატონო? — გულუბრყვილოდ იკითხა ეანმა.

— რაეა მართალი კაცივით მიყურებს! — გამომწვევად შეათვალა სიმონმა.

— ეანს ენიშნა, რომ სიმონი აღარ ხუმრობდა, მიზეზი ვერ გაეგო და გაოცებული შეპყურებდა.

— რა დაგიშავე, რატომ მილანძლავ, ბიჭო, ოჯახს? აქამდე თუ არაფერი მითქვამს, შენ გგონია არ ვიცოდი? მე ჩემი საღარღებელი მეყოფა და შენ კიდევ ლაფს მასხამ თავზე? სხვა ქალი და სხვა ადგილი ვერსად ნახე? ამისათვის დაეთრეოდი ჩემს სახლში? რად ჩამავდე ხალხის ყბაში? შენის წყალობით ყველას სამასხაროდ უნდა გავხდებ?

— რას ჩმახავ, ადამიანო? — ელდა ეცა ენას. — მოვლანდებია რაღაც!

სიმონი შემოტრიალდა და მალლა აიხედა.

— კატო!

— მე არაფერი არ ვიცი, მე ნუ გამრევთ მაგ ბინძურ საქმეში! — ხელეზი გაასავსავა კატომ, მაშინვე მიხურა ფანჯარა და მიიმალა.

— წადი ახლა და დაიძინე, ხვალ ვილაპარაკოთ როცა გამოფხიზლდები, — ბრძმორეულად თქვა ეანმა. — მთერალს რა ჰქუა მოგთხოვო!

ზურგი შეაქცია სიმონს და წასვლა დააპირა, მაგრამ ის უეცრად წვდა და ერთი დარტყმით ფეხქვეშ მოიგდო.

მამაკაცები და ირინე მივარდნენ სიმონს, სცადეს მისი შეკალება, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

ეანი ხმაგაკმედილი ფართხალობდა მიწაზე.

შეშინებულმა მაგდამ ოთახს მიაშურა. აღარ დაუნახავს რა ხდებოდა ქუჩაში. ესმოდა მხოლოდ ხმამაღალი ლაპარაკი და ბეროშვილის დაურიღებელი გინება.

ლენტორმა და ხმაურზე გაღვიძებულმა მეზობლებმა, როგორც იქნა, დაითრეეს ეანი და აიძულეს წასულიყო.

— მოშშორდით, ყველა მოშშორდეს! — ყვიროდა სიმონი და ახლოს არ იკარებდა გიორგის, რომელიც მის დაშოშმინებას ცდილობდა. — სახლი საროსკიპოდ გამიზადეს, კურო ბიჭები შემომისიეს. მთელ ქალაქში თავი მომჭრეს, კახა ჩამომიყვანეს თბილისიდან!

ღრიალებდა და ვილაცას ეძებდა ბნელში.

— წაიყვანეთ! — მამაკაცებს მიმართა ირინემ. — ხომ ხედავთ, გონზე არ არის.

— გირჩევნია ჩუმიდ იყო! — ცოლს შეუტია მისი სიტყვებით გაბრაზებულმა სიმონმა. — გონზე მაშინ არ ვიყავი, როცა გითხოვე. შენც ისეთივე ნამუსდაარგული ხარ, უარესიც. ქურდი ხარ შენ, ღელაკაცო! შენი წაღებულია ის ფული, სხვისი არავისი!

— თქვენ მთერალი ხართ! — შიამხა მოთმინებიდან გამოსულმა გიორგიმ, ხელი მოხვია ირინეს, გაქვევებული ძლივს დასძრა ადგილიდან და საბლისაკენ წაიყვანა.

გამზავებლები შემორტყმოდნენ სიმონს და არ სცილდებოდნენ. აქამდე ეკვიც არავის შეპარვია, რომ მისი ოჯახური ბედნიერება უღრუბლო იყო. ის, რაც ახლა ესმოდათ, სრულიად მოულოდნელი იყო მათთვის, გაოცებულნი შეჰყურებდნენ ერთმანეთს და ხმა ვერ ამოეღოთ.

ბევრს ეცადნენ იქ შეკრებილნი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაამშვიდეს სიმონი. თავის გულს ასკდებოდა ის, წყევლიდა ადამიანის გაჩენას, მთელ ქვეყნიერებას, იმუქრებოდა, რომ გადწევიდა სახლს და იმათაც, ვინც შიგ იყო.

ასე იბორცა ერთხანს, სანამ თავი არ მოაბეზრა ყველას და სათითაოდ არ შემოეცალნენ. ბოლოს, როცა ერთადერთი ღენტორი შერჩა ხელში, მძიმედ ჩამოჯდა ლობის ძირში დაგდებულ ქვაზე, ჩაქინდრა თავი და გაისუღრა. მხოლოდ დროდადრო თუ ამოიოხრებდა.

ლენტორი თავზე ადგა დარაჯად და მოთმინებით იცდიდა. ასე სიჩუმეში გავიდა ღიღი ხანი.

— სიმონ, თუ ჩემი ძმა იყო, — ფრთხილად მიმართა ღენტორმა, რომელსაც უკვე ძილი ერეოდა. — კძარა ახლა, შენი თავიც შეიბრაღე, შე კაი კაცო. რაც მოხდა, მოხდა. ხვალ მოვილაპარაკოთ, ხვალ უფრო გუნებებოდა მოვიფიქროთ რა ექნათ, როგორ მო-

ვიქცეთ. წამობრძანდი ახლა, მოისვენე.

წამოაყენა, სიმონიც მორჩილად შექყვა ქიშკარში, მაგრამ აქ უცბად გამოტრიალდა და ისევ ქუჩაში გავიდა.

— ლენტორ... —

— ბატონი ბრძანდები!

— ხომ გაქვს ჩემი პატივისცემა? გაქვს თუ არა?

— ბატონო, ეგ რა საკითხავია! ღმერთმა იცოდეს, რომ...

— ჰო და, აბა, გამოიწიე ხათრი, წამომყევი. სმა მინდა ამაღამ. წადი, გაღვიძე ბეგლარი, ვარდენი. სხვაც თუ ვინმე ნახო, წამოიყვანე. ყველას უთხარი, რომ მე ვპატივობ. აბა, გასწი ახლა!

სიმონის დეალებმა, რომელიც ბრძანებას უფრო გავდა, ლენტორმა სიტყვის შემოუბრუნებლად შეასრულა.

ნახევარი საათის შემდეგ რესტორანის წინ მოედანზე თავი მოიყარეს და პატივებულებმა და ათამდე მამაკაცი სარდაფში ჩავიდა.

— აბა, სწრაფად! — მოაძახა სიმონმა ძილღვიძარ მეღუქნეს. — უნახავი გაჩინე აქ! ხომ იცი, მე ვარ, მე ვხარჯავ ფულს!

ლენტორისგან უკვე გაგებული ჰქონდათ თუ რა მოხდა ახლახან, ხედავდნენ, რომ სალხინოდ არ იყენენ მოწყვეული, მაგრამ სიმონისათვის ხათრი ვერ გაეტეხნათ და იძულებული ხდებოდნენ მასთან ერთად ღამე ეთათ.

— მშიერი არ უნდა გააძლო. გაძღნა და თავზე დაგაჯდება, თავლაფს დაგასხამს, ქვეყანაში შეგარცხენს. შეუბნებოდნენ, მაფრთხილებდნენ. არ მკეროდა მე უბედურს. დიახ, მშიერი არ უნდა გააძლო, მშიერი მშიერად უნდა მოკვდეს! — სუფრაზე ისევ ამორგდა სიმონი.

ლენტორი ცდილობდა ხალისი შეეტანა, სიმღერაც წამოიწყო, მაგრამ არავინ აპყვა.

— გაჭირებული კაცის ალაპმიც არ მინახავს ასეთი მოწყენილობა. — ჯავრობდა ის, მაგრამ არაფერს იკლებ-

და და მარდად ასუფთავებდა ხორავით სავსე საინებს.

უხალისოდ სვამდნენ. ბეგლარის ძილი ერეოდა და ხელსაყრელ დროს უცდიდა ამდგარიყო და გაელოდა იქაურობას.

— ამეხილა, ქეშმარიტად ამეხილა თვალეში! — ბობლინობდა სიმონი, — თურმე საქვეყნოდ ნამუსს მხლიდნენ, ძირს მითხრიდნენ და მე კი ბედნიერად ეთვლიდი ჩემ თავს. აქამდე ასე მეგონა, ჩემთვის ანათებდა მზე. კისერში ხელი წამოჭირეს. მაგრამ ვერა, თქვენ არ მომიკვდეთ, ვერავინ შესძლებს ჩემს წახდენას და დამორჩილებას. ისეთი კაცი არ ვახლავს სიმონ ბეროშვილი, რომ ვინმეს წინაშე წამოიჩიოქოს!

შინ მომხდარი უსიამოვნება და ის ამბავი, რამაც დილიდანვე ააფორიაქა, არეულიყო მის თავში და ახლა ყველაფერზე ერთად ანთხედა ნაღველს.

მოიტიანს ჩუმად ანიშნეს მოეტანა ღვინო. ამან კიდევ უფრო გაახელა სიმონი. გაბრაზებულმა ისროლა საინი და კედელზე მიაფშენა. მერე ბოთლსაც წვდა, მაგრამ ბეგლარმა ხელიდან გამოსტაცა.

სიმონი ბავშვივით დაემორჩილა, უეცრად დაემხო სუფრაზე და ატირდა.

ამის დანახვამ ყველა გააოცა. სიმონი და ამგვარი გულწვილობა. — რალაც წარმოუდგენელი და შეუესაბამო ამბავი იყო.

— ჰო, კმარა ახლა, დამშვიდდი, — მიუალერსა ბეგლარმა. — თუ დაფიქრდები, სისულელეა. ქალსაც ტყუილად ჩირქს სცხებ. მოგვლანდა, სხვა არაფერიია...

სიმონი ერთხანს კიდევ სტიროდა. მერე უეცრად ასწია თავი, თვალეში შეიმშრალა და ჩაილაპარაკა:

— მართლაც სისულელეა, ყველაფერის სისულელეა... ჩემი ჭალი აქ არაფერ შუაშია. თქვენ არ იცით, რა ბოლმია ამ გულში!

აღგა და ყველა წამოჰყარა სუფრიდან.

— გამიწიეთ ეს ძმობა, წამოდით ჩემთან. ყველა ჩემთან! — პირველმა მიაშურა კარებს და დანარჩენებიც ამოჰყვნენ სარდაფიდან.

აფთიაქთან რომ მივიდნენ, სიმონმა შეაჩერა ბეგლარი და თხოვა:

— თუთიყუში უნდა მომცე. შერიგების საჩუქრად მივუტან ცოლს. არ დაგენანოს!

ბეგლარმა შეორედა აღარ ათხოვინა. მას იმედი ჰქონდა, რომ გამოფხიზლებულ სიმონს ხვალევე უკან გამოართმევდა თავის საყვარელ ფრინველს. გალიით გამოიყვანა თუთიყუში და გადასცა.

— აბა, ახლა ჩქარა ჩემთან! არავინ ჩამომარჩეს! — გაუძღვა სიმონი შეგობრებს.

მოედნის ბოლოს ქუჩის კუთხეში მოულოდნელად ეანს შეეფეთნენ. ყველა დაიბნა და ყველაზე უფრო ეანი. ელდანაცემმა პირი იბრუნა, ჯერ მარჯვნივ გადადგა ნაბიჯი, მერე მარცხნივ შემოტრიალდა. აღარ იცოდა საით წასულიყო.

— ეანი — მიაძახა სიმონმა.

ეანი მონუსხულივით დადგა.

— თუ ჩემი პატივისცემა გაქვს! — გადაეღობა ბეგლარი სიმონს. — არ გეკადრება! იყო მაგას თავისი!

— რას დაბორიალობ, შე ღმერთგამწყრალო! — ეანს მივარდა ლენტორი. — აბა თავს უშველე, მოქუხლე ახლავე!

ეანი არ იძროდა.

ყველა შეეცადა სიმონის შეკავებას, შუაში ჩადგნენ და კედელი გამართეს.

სიმონმა გაარღვია წრე და ეანთან მიიჭრა.

— არ გესმის რომ გეძახი?

ეანი ხმას არ იღებდა.

უეკრად სიმონმა ხელი მოხვია და გადაჰკოცნა.

— შევრიგდე სისულელეა, ყველაფერი სისულელეა! რა იცი შენ, რა ბოღმა ტრიალებს ამ ოხერ გულში! — მკერდზე მუშტი დაიხალა სიმონმა. — ჰო, და, შევრიგდე!

ისევ მოეხვია და გადაჰკოცნა.

— ახლა კი პირდაპირ ჩემთან! აბა, ეანი, გაგვიძახე!

ფინალმა ყველა გაახარა, გალია თუთიყუშით ეანს მიაჩერეს, წინ გააგდეს და გაჰყვნენ.

ცოტა ხნის შემდეგ მთელი კამპანია ხმაურით შევიდა ბეროშვილის სახლის შუშაბანდში.

ბეგლარის რჩევით სიმონი ბოდიშის მოსახდელად შევიდა ცოლთან. ოთახში გიორგი და მადგაც აღმოჩნდნენ. ტახტზე მიწოლილ ირინეს მაშის კალთაში ჩადო თავი და გასუდრული იყო.

— პირველი შეცდომა ყველას ეპატიება, — გაუბედავად, ენის ბორძიკით, დაიწყო სიმონმა. — მით უფრო მახლობელს...

გიორგიმ ცივად შეავლო თვალი მოსაწყულბულად მდგარ სიძეს და უნებურად მხარზე ხელი შემოხვია შვილს, თითქოს მისი დაფარვა უნდოდა.

სიმონმა თავს ძალა დაატანა და ნაბიჯი გადადგა.

— ირინე, ღმერთთა მოწამე, რომ...

ისევ ჩაუწყდა ხმა, გაჩუმდა, უძწეოდ მიმოიხედა, მძიმედ შეტრიალდა და გავიდა.

— ფიქრი ნუ გაქვს, ახლავე მოვავარებ სჯემს! — ცოლქმრის მორიგება თავს იღვა ლენტორმა და თამამად შევიდა ირინესთან.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისიც უშედეგოდ დაბრუნდა.

უკანასკნელი იმედი სიმონმა აფთიაქარზე დაამყარა. ის დარწმუნებული იყო, რომ ირინე და, განსაკუთრებით, გიორგი მოიხათრებდნენ და არ გააუბილებდნენ.

ვილაცას რჩევით ბეგლარს გააყოლეს ეანიც და დაეაღეს ეთქვა, რომ ამ სალამოს მომხდარი უსიამოვნო შემთხვევა გაუგებრობით იყო გამოწვეული და თუ სიმონმა შეურაცხყოფა მიაყენა, ამაში თვითონ ეანი იყო დამნაშავე — ამხანაგებში ჩემს მიერ ხუმრობით ნათქვამი გაზვიადებულად გადაუციათ და გაუხელებიათ.

ბეგლარი და ჟანი დიდხანს იყვნენ ოთახში. ბეროშვილმა ეს ამბავი კარგის მომასწავებლად ჩათვალა და მოუთმენლად ელოდა, რომ აი აგერ სხვებთან ერთად ირინეც გამოვიდოდა.

შედინიანებული სტუმრები მათ მოლოდინში თუთიყუშით ირთობდნენ თავს. გალიიდან გამოშვებული თუთიყუში ხან სკამზე შეფორთხდებოდა, ხან ფარდაზე ჩამოეკიდებოდა, ანდა დაბაჯბაჯებდა შუშაბანდში და ფეხებზე კორტნიდა მამაკაცებს, რაც საერთო ხარხარს იწვევდა.

კარი გაიღო და ზღურბლზე გიორგი გამოჩნდა. მან გზა უთავაზა ბეგლარს და ჟანს.

— ჩემი ცოლი?! — სახეწამონათებული მივარდა სიმონი და ირინესთან შესვლა დააბირა.

— მე ნებას არ გაძლევთ! — გადაელობა გიორგი, ცივად შეხედა, შებრუნდა ოთახში და კარიც შეიხურა.

სიმონი სახტად დარჩა. ვეღარც შეგ შესვლა შეებედა, ვეღარც იმ ადგილს მოშორდა. გაქვავებული იდგა. ახლა მას ყველაზე უფრო თავისი შეგობრების წინაშე რცხვენოდა. ყველამ გაიგონა და დაინახა მისი დამცირება. გრძნობდა, რომ ისინი მას მისჩერებოდნენ და ძალა არ ყოფნიდა მოტრიალებულიყო და თვალი გაესწორებინა მათთვის. შუშაბანდში მყოფნიც უხერხულად გრძნობდნენ თავს. ისეთი სიჩუმე ჩამოედგა, თითქოს გარშემო აღარავინ იყო.

ამ სიჩუმეში უეცრად თუთიყუშის ჭყვილი გაისმა. ხმა ისეთი მძაფრი და შემზარავი იყო, რომ სიმონი შემკრთალი შემოტრიალდა. გახელებულმა, სხვაზე რომ ვეღარ დააცხრო ჯავრი, დაითრია ფრინველი და, ყველასთვის მოულოდნელად, თავი წააწყვიტა.

— რა ჭენი, შე უღვთო! — იყვირა ბეგლარმა და მივარდა სიმონს, რომელსაც ჯერ კიდევ ხელში ეჭირა გასისხლიანებული თავი. — რას ერჩოდ, შე წყეულო, რა დაგიშავა! ადამი-

ნი ხარ შენ ამის შემდეგ?! ტფუი შენს კაცობას!

გამწარებულმა აფთიაქარმა ნერწყვილი კიდევ გულისტკივილით გადახედა იატაკზე დაგდებულ მკვდარ თუთიყუშს და დასტოვა იქაურობა.

დანარჩენებიც მაშინვე გაჰყვნენ.

მთელი გზა სახლამდე ბოლქას ანთხევდა ბეგლარი, სწყევლიდა ბეროშვილის გაჩენის დღეს, მისი აკვნის დამწვევს. გამწარებულმა თუხარელებიც ზედ მიატანა და განსაკუთრებით აღარ დაინდო ირინე, რომლის სიკერბეს თვლიდა მიზეზად, რომ დაკარგა მართობაში მისი გამართობი საყვარელი ფრინველი.

VIII

მთელი ღამე ფხიზლად გაატარეს თუხარელებმა. მაგდაც მათთან იყო შერცხვენილი. საწოლზე დამხოზილი, ის ჩუმად სტიროდა. წუთით მიწყნარდებოდა ხოლმე და შემდეგ ისევ ისმოდა მისი დაყრუებული ქვითინი.

ირინეს შეუძლებლად მიაჩნდა ბეროშვილთან ერთგერქვეშ ცხოვრება. ასეთივე აზრის იყო გიორგი და გადაწყვიტეს ხვალვე დაეტოვებინათ აქაურობა.

გიორგი მხოლოდ გათენებისას დაჟვავა შეიღის ნებას და დაწვა, მაგრამ აღელვებულმა და თავის ფიქრებში წასულმა, კიდევ დიდხანს ვერ დაიძინა.

ირინე მათზე უფრო მარჯვედ გამოიყურებოდა.

— შენ ნუ სწუხარ, — უფერებდა ის მამას, — მოულოდნელი აქ არაფერი იყო. ადრე თუ გვიან, ჩვენი ამბავი ასე უნდა დამთავრებულიყო. მით უკეთესი, რომ ადრე მოხდა.

მამის დასამშვილებლად ისიც კი თქვა, რომ გახარებულა ამ შემთხვევით, — ამიერიდან გზა გახსნილი აქვს და შეუძლია ისე მოაწყოს თავისი, ცხოვრება, როგორც თვითონ სურს.

ისე დაიჭირათავი, თითქოს მართლაც გადაჰყროდა გულიდან ყოველივე დარდი. მაგდასაც მიუაღერსა, და-

შოშინა, მერე მის გვერდით მოიკალათა და ჩათვლია.

გიორგის და მაგდას ეძინათ, როცა ირინემ დილით გაიღვიძა. მამის სახე ძალიან მკრთალი და ნაწამები ეჩვენა, — მამ რა იქნება, წუხელ, საწყალმა, საშინელი წუთები განიცადა!

აღგა, ხილაბანდი მოიხურა თავზე, ფეხაკრფით გავიდა ოთახიდან და ქეთინოსთან გასწია სამსახურში, რომ ღმის ამბავი ეთქვა და თანაც გამოთხოვებოდა. ყრუ ქუჩებით წავიდა, რომ ხალხი ნაკლებად შეხვედროდა. ასე ეგონა, ყველას გაგებული ჰქონდა რა გადახდა ღამით.

მართლაც, ქეთინოს უკვე სტოდნოდა. დილით ღენტორს გაველო და ეამბნა დაწვრილებით.

— ჰო და, ჩემო კარგო, თავი დაახეზე ახლა ყოველგვარ სანტიმენტალობას. ცხადია, უნდა გაეცალო! — ქეთინომ მოიწონა ირინეს გადაწყვეტილება. — მაგრამ, იქნებ, იმის შიში გაქვს, რომ წინ მრავალი სიძნელე შეგხვდება? შენი ჰირიმი, თავი ნუ მოგაქვს სეფექალით, რომელიც ათი ლეიბის ქვემოლ დაგდებულ ცერცველას შეუწუხებია. შენს ასაკში ცხოვრების ვის შეშინებია? მერწმუნე, ცხოვრება ზურგს არავის შეაქცევს, ვინც გულკეთილად მივა მასთან. პირიქით, დასავით მოგიფერებს. მაშ დღეს, არა? კარგი, მოვალ მერე შენთან.

ირინეს გულზე მოეფინა, რომ ქეთილისმოყოფელმა მეგობარმაც საკიროლ სენო პატარხევიდან მისი წასვლა გამოხვედრული და ძალაშემატებული გამობრუნდა სახლისაკენ. ახლა უფრო გაბედულად მოაბიჯებდა და ისე აღარ ერიდებოდა ხალხს. ხილზე რომ გამოდიოდა, პირველად შენიშნა, — მდინარე აღიდებულოყო, კალაპოტი ამოვესო და ხმაურით მოაგორებდა მღვრიის ტალღებს. ნაპირზე თავმოყრილი ბავშვები წკრიალა ხმით გადასძახონდნენ ერთმანეთს და ქოგრებით იჭერდნენ ფიჩხს, რომელსაც წყალი უხვად მოაკურებდა.

— მთებში თოვლის დნობა დაწყებულია, — თავში გაუეღვა ირინეს და თითქოს ამ ამბავს რაიმე კავშირი ჰქონდა და მასთან, კიდევ უფრო მხნედ წავიდა.

გადმოღმა ისევ ყრუ ქუჩებით წავიდა. ერთ შესახვევთან უეცრად გამოჩნდა მისკენ მომავალი ეანი. ალბათ, ესამაც თვალი მოჰკრა, — ირინემ დაინახა, რომ ის წამით შეჩერდა, ერთბაშად შეტრიალდა და ჩქარა გასწია.

ირინემ მაშინვე დაადევნა ხმა.

— ჩემთან შეხვედრა არ გინდოდათ? — აღერსიანად მიმართა და ხელი გაუწოდა. — ნაწყენი ხართ ჩემზე, არა? თუმცა მე დანაშაული არ მიმიძღვის თქვენს წინაშე, მაინც მინდა ბოდიში მოვიხადო. მერწმუნეთ, აღშფოთებული ვარ ბეროშვილის საქციელით.

გზა განაგრძო და ეანიც გაჰყვა.

— კიდევ კარგი, რომ გნახეთ. დღეს ეტოვებ პატარხევის. მამაც მიმყავს.

ეანი მდუმარედ მიაბიჯებდა. ერთხელაც არ შეუხედავს ირინესათვის.

— მინდა ისევ მეგობრებთან დავრჩეთ. მე ბევრი კარგი რამ მახსოვს თქვენგან...

ირინეც გაჩუმდა. ერთხანს უსიტყვოდ მიდიოდნენ.

— მეც ვაპირებ, — დაილაპარაკა ბოლოს ეანმა ოდნავ გასაგონად. — იძულებული ვარ. იმ ამბავის შემდეგ აქ აღარ დამედგომება.

ეს სიტყვები ირინემ საყვედურად ჩათვალა და ამიტომ გაუბედავად ჰქითხა:

— საით აპირებთ?

— ვცდი სადმე სხვაგან, იქნებ მეც შეეძლო და გავაეთო რაიმე.

— სცადეთ, — ისევ გაუბედავად თქვა ირინემ. — ეგ ცუდი აზრი არაა. აქ მაინც არ გწყალობდათ ბედი.

— ბედი არაფერ შუაშია, — ხელი ჩააქნია ეანმა. — აქ, რატომღაც, ბრიყულად მიდიოდა ჩემი ცხოვრება.

პირველად შეხედა ირინეს და განაგრძო:

— ამას იმიტომ გეუბნებით, რომ თქვენ გამიგებთ ყველაფერს. დიახ, სულელურად. თქვენ გგონიათ, მე არ ვიცოდი? მაგრამ რა შექნა. თითქოს ვიღაცას გადაგრული ვყავდი, ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევდა. დიდი ხანია ამას ვგრძნობ. რამდენს არ ვეცადე, ვერ ავიშვი თავი. ხანდახან, ჩემს თავზე რომ დაფეიქრდები, ისე შემრცხვება, ტანში დაძუნძგლავს. არ დავიფარავთ, ბევრ სხვა ჩემს ტოლს რომ ვუყურებდი, შურით ვივსებოდი. ხამდვილი ცხოვრება მენატრებოდა, ვერ ველირსე და გულს იმით ვიყოლიებდი, რომ სხვასაც თვალს ვუხვევდი და თავის თავსაც ვატყუებდი...

ირინეს არასოდეს არ უნახავს ქანი ასეთი. ვერც წარმოედგინა, რომ იმ ქანს, რომელსაც აქამდე იცნობდა, შეეძლო ამგვარი რამ ეთქვა და სევდა ჰქონოდა. ახლაც ხომ არ პოზიორობდა? მაგრამ ის გულწრფელი ნაღველი, რომელიც თითოეულ სიტყვაში ისმოდა? იქნებ ახლა მას პირველად გადაეშალა გული, აქამდე გაუმხელ საიდუმლოს პირველად ანდობდა სხვას?

ირინე გაკვირვებით და თანაგრძნობითაც უსმენდა. ქანი უფერად გაჩუმდა და შერე, თითქოს სინანულით ჩაილაპარაკა:

— მგონი არ უნდა მეთქვა... ან რა საჭირო იყო...

— არა, მე გისმენთ! — ხელი ჩაკიდა ირინემ. — თქვენ ეგ აღრევე უხდა გეტქვით ჩემთვის.

ქანმა იგრძნო მისი გულწრფელობა.

— ჰო, უნდა წავიდე, მეტი არაფერი გამეწყობა. ეცდი მაინც. ქვეყანა დიდია, იქნებ სადმე ჩემთვისაც მოიძებნოს პატარა კუთხე. ისე რავე გაწყურება ღმერთი, ერთხელ მეც არ ვივარგო...

ქუჩის კუთხესთან რომ მივიდნენ და ბეროშვილის სახლი გამოჩნდა, ქანი შედგა.

— ნურას უკაცრავად, იქით ნუ წამიყვანთ... მშვიდობით მენახოთ. ვინ იცის, იქნებ ოდესმე გაიგონოთ ჩემი სახელი და ისევ გაგახსენოთ ჩემი თავი.

დაემშვიდობა, შეუხვია ყრუ გუჯაში და ნაბიჯს აუჩქარა.

ირინემ, კიშკარი შეაღო თუარა, თვალი მოჰკრა მამის ოთახში მყოფ მამაკაცს, რომელიც პატარხვეში კარგად ცნობილ ექიმს გავდა.

არ ეჭაშნიკა მისი დანახვა, მოუსვენრად გაიარა ბალი, შუშაბანდი.

კარებში მაგდა შემოეგება. როგორც კი შეხედა, მაშინვე იგრძნო, რომ ფარცავი არაფერი იყო.

— რა ამბავია? — იკითხა შეშფოთებით, აღარ დაუცადა პასუხს და ოთახში შევიდა.

ბალიშზე მისვენებულ გიორგის ფართოდ გაეხილა ჩაღრმავებული თვალები და ერთ წერტილს მიშტერებოდა. სახეზე ნაერისფერი ედო. ამ რამდენიმე საათის მანძილზე ის ღრმად მოხუცებულ იყო.

ექიმი, მორჩილი ტანის წითური კაცი, რომელსაც პატარხვეში ქერუბინა შეარქვეს იმის გამო, რომ ბავშვივით ვარდისფერი მსუქანი ლოყები და მოთაფლული გამოხედვა ჰქონდა, და რომელსაც მოთმინება ყოფნიდა პაციენტის პირისუფლების გაუთავებელი შეეითხებები მოესმინა, ღოლო პასუხის დროს ხანდახან გრძელ საუბარსაც იწყებდა მედიცინის წარმატებებზე, ამ ჯერად ლაპარაკის გუნებაზე არ იყო.

— რა დაგიმალო, კირიმე, მძიმე მღვომარეობა აქვს. ხომ იცით, სათუთი რამაა გული. ძალიან საჭირო მანქანა კი გახლავს, ის დალოცვილი, — წასვლისას უთხრა ირინეს და ერთი წამით ისევ მოთაფლულად გამოიხედეს მისმა მოკუტულმა თვალებმა. — იმედს ნუ დაკარგავთ. აგეთები გადაგვირჩენია ოღონდ, სულიყო, ახლა მისთვის მთავარია სრული სიმშვიდე. არავითარი მღვლეარება, ღმერთმა დაიფაროს!

მამის ავადმყოფობამ მით უფრო დააღონა ირინე, რომ იძულებული ხდებოდა დაჩენილიყო პატარხვეში და, შესაძლოა, დიდი ხნითაც. ვარდა ამისა, სრულიად მარტო რჩებოდა — იმავე საღამოს მაგდა თბილისში გაემგზავრა.

როცა ბეროშვილმა გაიღვიძა, ბინდ-ბუნდად მოაგონდა წუხანდელი სკანდ-ლი... საჯაყი ჩვეულება აქვს, დათვრება და აღარ იცის რას სჩადის! საწყენია, რა თქმა უნდა, მაგრამ არა უშავს რა, როგორმე გამოასწორებს შეცდომას. ბოლოსდაბოლოს რა მოხდა ისეთი... სად ნახულა ოჯახი, რაიმე უსიამოვნე-ბა არ მომხდარიყო. წაქინკლავდებიან, შერიგდებიან...

ჯერ უმნიშვნელოდ ჩაითვალა ის ამ-ბავი, მაგრამ უეცრად მოაგონდა რა უთხრა ირინეს და სახე დაეღრიჯა. რამ ათქმევინა, მერე ისიც ხალხში! ვერ მოუვიდა კარგად... იმის შემდეგ, რაც ირინე შეირთო, ერთხელაც სიტყვა არ დასცდენია ფულის მოპარვაზე, ისე იქ-ცეოდა, თითქოს აღარც ახსოვდა. ჰო-და, ახლა რა ავი სული შეუჯდა! და-ლახეროს ეძმაკმა, რას არ ჩავადებიებს ღვინო! სხვა გზა არაა, მოთმინება უნდა მოიკრიბოს, როგორმე შეირიგოს ცოლი.

ამ დღილით ისე გაიპარა სახლიდან, არავის უნახავს: მხოლოდ საღამოს, რო-ცა დაბრუნდა, ნესტორისაგან გაოგო გი-ორგის ავადმყოფობის ამბავი. შაშინვე წავიდა მის სანახავად, მაგრამ ირინემ არ შეუშვა ოთახში.

იმის შიშით, რომ ამ უხეშ კაცს ისევ არ დაეწყო ყვირილი და ავადმ-ყოფი არ აფლავდებოდა, ირინემ წყნარად, საქმიანად აუხსნა თუ რატომ არ შეიძ-ლებოდა მამის ნახვა.

— ასე ცუდად არის? — შეწუხებუ-ლი გამომეტყველება ჰქონდა სიმონს.

მაგრამ სახე მაშინვე გაუბრწყინდა, როგორც კი თავის ოთახში შევიდა. მშვიდი ტონი, რომლითაც ცოლი დაე-ლაპარაკა, გულზე მოეფინა. რახან ქას არავითარი საყვედური არ უთქვამს, ერთი სიტყვითაც არ უხსენებია წუხან-დელი, მაშასადამე, ის ამბავიც, რომ ხალხში უდიერად მოექცა, არაფრად ჩაუგდია. ჰკვიანი ქალია, იცის, რომ მოერაღს ჰკუა არ მოეთხოვება. შამის მდგომარეობამაც, ალბათ, ისე იმოქმე-და, რომ უსიამოვნება მალე დაავიწყე-ბინა. რაც მართალია და, იღბალი ეწია,

რომ ჩაწვა სიმამრი. ააშენა ღმერთმა, პირდაპირ სულზე მოუსწრო მისმა ავადმყოფობამ!

სიმონმა ერთხელ მაინც ინახულა გიორგი, როცა ირინე ქალაქში გასული-ყო. მოიკითხა და სიხარული გამოთქვა, რომ საშიშროებას გადაურჩა. მაგრამ გიორგიმ თვალი მოარიდა და ხმა არ გაუცია მისთვის.

შინ დაბრუნებულ ირინეს რომ შამა აღლევებული დაუხვდა, მივიდა სიმონ-თან და ისევ წყნარად, ისევ საქმიანად თხოვა აღარ შესულიყო სანახავად.

— კი ბატონო, ფეხს არ შევადგამ. მეგონა ვასიამოვნებდი, თორემ როგორ გავეკარებოდი, — მოიბოღიშა სიმონმა და როცა ირინე წასასვლელად მოემზა-და, შეაჩერა: — რა მოხდა, ქალო, ამ-დენი უბრობა ჩემმა მტერმა თქვა. შეც-დება ხოლმე კაცი, მარა ამის გამო ჯვარს კი არ უნდა აცვა. ჰო და...

— შემდეგ მოვილაპარაკოთ, — ახ-ლაც მშვიდად, მაგრამ ცივად თქვა ირი-ნემ და გავიდა.

სიმონმა უცმაყოფილოდ გააყოლა თვალი... მაშე ჯერ კიდევ გულიდან არ გადაეარღნია წყენა. მოცილილია შავ დალოცვილი, ასე გაახელა ერთმა სიტ-ყვამ? აბა სიმონს რალა ეთქმის, ამო-დენა დარდი რომ აწევს?! რას იზამ, ჯერჯერობით უნდა ითმინოს, უნდა შეეგუოს მარტო ყოფნას.

მაგრამ ეს მარტობა, როცა თავში ათასგვარი შავი ფიქრი უტრიალებდა, აუტანელი იყო მისთვის. ქარხანაში მუ-შაობდა თუ ქალაქში დადიოდა, მარ-ტობის მძიმე გრძობა ვერსად მოე-ქარებოდა. განსაკუთრებით სიძლიერით განიცდიდა მას შინ, სადაც ახლა სიჩუ-მე გამეფებულიყო და სადაც თავის ოთახშიაც დაყრუბული ნაბიჯით მი-მოდიოდა, მიუსაფარი და მიტოვებული.

რამდენიმე კვირის შემდეგ ექიმმა გიორგის ნება დართო მცირე ხნით ამდგარიყო. იმ წუთებში, როცა ირინე მხარში შეუდგებოდა, ფრთხილი საბი-ჯით მიიყვანდა ფანჯარასთან და იქვე სავარძელზე დასემდა, ბავშვით გა-

ხარებული იყო. დახარბებული გასცქეროდა ამწვანებულ ბაღს, ცას. ყველაფერი, რასაც აქამდე მხოლოდ წუთიერ ყურადღებას აქცევდა, ახლა ეჩვენებოდა შეუდარებლად წარმტაცი, სასწაულის მსგავსი. გესმოდეს ფოთლების შრიალი, ყნოსავდე მიწის სურნელს, გრძნობდე მზის სითბოს, ხედავდე დაუსრულებელ ცის სიღრმეს, — ამაზე მეტი რა ინატროს ადამიანმა! მხოლოდ ეს არის მისთვის საჭირო, სხვა ყველაფერი კი წარმავალია და უმნიშვნელო...

ავადმყოფობის განმავლობაში გიორგი შეურიგდა იმ აზრს, რომ ვეღარ აღგებოდა, გაუქრა ის მტანჯავი პირუტყველი შიში სიკვდილის წინაშე, რომელიც წინათ განიცდიდა ხოლმე, მაგრამ სამაგიეროდ გაიღვიძა არა ნაკლებ მწვევე გრძნობამ — სევდამ. სევდიანობდა შვილზე, თავის თავზე და გონების თვალთ ეგლებოდა წარსულს, თვითონ უწელს, დღეს... ვერაფერი ნახა იქ ისეთი, რომ ახლა შერცხვენოდა და სახანებლად გახდომოდა. მაგრამ, თურმე, არც ისეთი ამალღებულო და გაციხკროვნებული დღე ჰქონია, რომლითაც შეეძლო ეამაყნა და თავისი არსებობის გამართლებად ჩაეთვალა. მართალია, იყო მის ცხოვრებაში ერთი-ორი შემთხვევა, როცა ხმა აიმაღლა ბოროტების წინააღმდეგ და, თითქოს, მხარში ამოუდგა იმათ, ვინც სიმართლისათვის იბრძოდა. მაგალითად, აი თუნდაც ის ამბავი, როცა თავის კოლეგებთან, ნაფიც მსაჯულებთან, ერთად დაიკვა მუშათა დემონსტრაციის მონაწილენი. მაშინ მან სასამართლოში თამაში სიტყვა წარმოთქვა, რამაც ხალხის მოწონება დაიმსახურა. ამის შემდეგ განსაკუთრებული პატივისცემით ხელმძღვანე, უცხოებშიც აჩერებდნენ ქუჩაში და ხელს ართმევდნენ. ეს სიტყვა კიდევაც დაიბეჭდა და გავრცელდა. ამის გამო ხელისუფლება დაემუქრა, მაგრამ არ შეშინებია და მეორედ კიდევ უფრო მწვევედ ილაპარაკა... ჰო, ასე იყო, მაგრამ განა ეს გმირობას წარმოადგენდა და არა უბრალო, ჩვეულებრივ ვალდებულებას,

რომელიც ყველა პატიოსან ადამიანს მოეთხოვება?

გიორგი ახლა გრძნობდა, რომ არასოდეს არ ჩაუხედნია ცხოვრების სიღრმეში, ყოველთვის ზედაპირზე ტივტივებდა ან სულ განზე იდგა. წარსულმა რაღაც სიცალიერეში გაიარა, როგორც მკრთალად, შეუქმნევლად. ხურდა ფულივით შემოეხარჯა ამდენი წელიწადი... რაღაც პატარა ვნებები, მალე დასაფიწყებელი სიხარულიც, მომაბეზრებელი ფიქრი და ზრუნვა იმაზე, რომ მშვიდად და კმაყოფილად ეცხოვრა, რომ ოღონდ პატიოსანი სახელი არ შეებლოდა.

აქ გიორგის მოავონდა ამასწინათ ბაღის წინ ქუჩაში მომხდარი სკანდალი და ამასთანავე ის სიტყვაც მოესმა, რომელიც ბეროშვილმა ურცხვად ესროლა ირინეს... საბრალო ვოგონა, რადამცირება გადაიტანა! განა ოდესმე იფიქრებდა, რომ ვინმე გაბედავდა და მის შვილს ასეთ სამარცხვინო მოქმედებას დასწამებდა? განა ისე აღზარდა, რომ ვინმეს მისი შეურაცხყოფის უფლება ჰქონდა? ირინე და ვიღაც ზებრე ბეროშვილი! რა საერთო აქვთ მათ ერთმანეთთან! მაგრამ ვაი თუ თვითონ არის მიზეზი? იქნებ თვითონ გახადა შვილი იძულებული, რომ თავისი სიცოცხლე ამ პირუტყვთან დაეკავშირებია? ნუ თუ თვითონ გაუმრუდა ცხოვრება? არა, ეს შეუძლებელია. ის ხომ ყოველთვის თავის კალთას აფარებდა, სითბოში ჰყავდა, ზრუნავდა, ისიც არ აგრძნობინა, რომ დედა არ ჰყავდა. იქნებ ბავშვის გულისათვის თავმოყვარეობა უნდა დაეთმო და ცოლის დაბრუნებაზე დათანხმებულიყო? ჰო, მაგრამ, ამ ამბავს შეეძლო უარყოფითი გავლენა მოეხდინა მის საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, მრავალის თვალში სახელი გასტეხოდა. არა, ამის გამო ვერაფერი უსაყვედურებს, სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა! ასე თუ ისე, ყველაფერი უკვე წარსულს ეკუთვნის და ახლა მხოლოდ ის საზრუნავი აქვს, თუ როგორ შეუდგნენ ახალ ცხოვრებას. აი, მალე წავლენ პა-

ტარხევიდან და მაშინ ეს ახალიც დაიწყება. ყოველნაირად დაეხმარება ირინეს და უწინამძღვრებს. თუ რაიმე დანაშაული მიუძღვის შვილის წინაშე, ახლა მაინც უნდა გამოისყიდოს...

გიორგიმ მოინატრა თავისი ნაცნობების ნახვა და ისინიც მოდიოდნენ ხოლმე. განსაკუთრებით სიამოვნებდა კორსაველისა და ქეთინოს მოსვლა. მათთან საუბარი ისეთი გამამხნეველი იყო ყოველთვის, რომ იფიწყებდა თავის ავადმყოფობას და ცხოვრებასთან დაბრუნების ხალისს უღვიძებდა. ერთხელ, როცა ისინი უკვე დიდი ხნის წასული იყვნენ, ირინეს მოესმა მამის მიერ ჩუმად თქმული:

— ჰო, ღირს სიცოცხლე!..

ეს სიტყვები, ალბათ, დაბოლოება იყო რაღაც ფიქრისა. რატომ თქვა ასე, ირინემ არ იცოდა, მაგრამ როცა მამას შეხედა, მისი სახე სიხარულით გახატებული ეჩვენა.

ერთ მზიან დილას გიორგიმ ისევ თხოვა შვილს ფანჯარასთან მიეყვანა. სავარძელში ჩამჯდარი უტკერდა ბაღს, ცას, შემდეგ თავი დახარა და ჩაიძინა.

ღიძნანს ეძინა.

როდესაც ირინემ მხრებიდან ჩამოცურებული პლედი გაუსწორა, დაიხახა, რომ მამა აღარ სუნთქავდა. სიკვდილი შეუმჩნევლად მოსულაყო. ალბათ, ბევრად უფრო ადრე, სანამ ირინემ გაიგო.



იმევე დღეს, როცა გიორგი დაკრძალეს, ირინემ დასტოვა პატარხევი.

დასაფლავებიდან შინ აღარ დაბრუნებულა, ქეთინოს გაჰყვა სახლში და იქიდან ერთად წავიდნენ სადგურზე. ქეთინოც თბილისში მიემგზავრებოდა თავისი დიდი ბავშვის, — როგორც ის მერაბს ეძახდა, — დასახედავად.

ბაქანზე ირინეს გამცილებლები დაბედნენ.

— ახლა კი, ვიცი, სამუდამოდ გეტოვებთ, — სევდიანად შეჰყურებდა გელე-

ონი. — ბევრი იტირა ჩემმა ბაბილანამ თქვენი ამბავი რომ გაიგო. ის, ხომ, ძალიან მგრძნობიარე და გულჩვეული...

დანადღელიანებული იყო ლენტეხი. ის თავის თავს არ გაედა, ასეთი ლენტეხი არავის ენახა.

— გუშინ ეანისაგან წერილი მივიღე, — ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, დაილაპარაკა მან ყრუდ, თითქოს მხოლოდ იმისათვის, რომ რაიმე ეთქვა.

თრი კვირის წინათ ეანი ზღვისპირა ქალაქში წასულიყო.

— ასე მოვახსენოთ, არ იყო ის ურიგო ყმაწვილი. ერთი ჰქონდა ოღონდ ცული, გულში იმარხავდა თუ რაჲმ საწყენი შეხედებოდა. ისეთი მოწყენა იცოდა ხანდახან, არ გესიამოვნებოდა მასთან ყოფნა. მარა, სიცოცხლეს მაინც შეხაროდა. ასე იტყოდა ხოლმე — ყველას თავისი წილი სიხარული უნდა ეროგოსო. ჰო და, ღმერთმა ხელი მოუშართოს... თქვენს ამბავს მეკითხება. ძალიან შეწუხდება თქვენს უბედურებას რომ გაიგებს...

ირინე პირველად გრძნობდა, რომ, თურმე, შეჩვეოდა და უყვარდა ეს კეთილი, გულმართალი, უბრალო ადამიანები. ახლა, ამ წუთში, კიდევ ენანებოდა, რომ შორდებოდა მათ. გამოთხოვებისას ცრემლი მოადგა თვალზე.

მატარებელმა მალე გაიარა პატარხევი. უკანასკნელად ფანჯრიდან დაინახა ლამპიონების ციმციმი. მალე ისიც გაქრა.

ირინემ იცოდა, რომ სამუდამოდ სტოვებდა ამ ადგილს. იცოდა ისიც, ახლა აქედან მისი წასვლა იყო არა დაბრუნება წარსულისაკენ, არამედ პირველი წუთები იმ ახალი ცხოვრებისა, რომელიც ხეალიდან იწყებოდა.

და ირინე შეშფოთებით კი არა, იმედით და რწმენით ეგებებოდა მას. ცხოვრება, ხომ, არავის ზურგს არ შეაქცევს, ვინც პატიოსნად გაუწყდის ხელს. მაშინ ის როგორც კეთილი ძეგობარი გაგიღებს კარებს და თავის კერასთან გაგათბობს.



ქუხდნენ ყინულის ხრამები

500 ქართველი სტუდენტის მყინვარწვევრზე ასვლის გამო

გაზეთებიდან

ცაზე მზე არის ბრწყინვალე,
შედიდურია მყინვარი,
დასცქერის ირგვლივ მიდამოს,
თითქო დაჰყურებს ციდანო.
დუმან ყინულის ხრამები,
სიჩუმე ყინვას მიკვრია,
ყინულის თითო ნაქერი —
საუკუნეთა ფიქრია.
რას შედიდურობ, მწვევრვალო,
ცივო და მიუკარებო,
ათასში ერთხელ ვინმესთვის
თუ გაგიღია კარები.
ახლა მოსულან, მყინვარო,
მიდამო ჯარით ივსება.
რას იტყვი, რა ვარ, ვინ ვარო,
რას გარგებს გაგულისება?
სიპზე თოკებით აღიან,
დიდი წადილი სწადიათ.
სრცოცხლე ბეწვზე ჰკიღია,
ბეწვზე ჰკიღია სიმღერაც.
ლანდი კაცებდაც დიღია,
მზეზე გაზრდილა იმდენად.
ლანდი გადადის ნაპარლებს,
კაცი ფეხდაფეხ მიჰყვება.
შენ სხვას რატომღა აბრალებ,
რატომ გგონია იქნება,
ქარმა დათრგუნოს კაცი და
შენ კი დუმილი გაცალონ.
გეგონა თვლემას გაცილიდა

კაცი, ნაცადი კაცადო?!
მყინვარო, ეს რა ხალხია,
გულეზი არც კი დაღლიათ,
უნდა დამალო ქარბუქში,
კაცის ნასახი დამალო!
რა ჰქენი, რატომ გაუშვი
კაცი, ყინულის ტრამალო?! —
ბურუსი სულ მთლად მოედვა
სივრცეს, მწვევრვალს თუ მოედანს.
ახლა მზე იყო ბრწყინვალე,
რამ გადარია მყინვარი?
სიცოცხლე ბეწვზე ჰკიღია,
მიინც მიდიან, მიდიან —
რადგანაც წინსვლის წყურვილი
სიკვდილის შიშზეც დიღია.
რადა ძალა გაქვს მყინვარო,
დასცხრი, ჩადექი საბუდარს.
ეს სულ ახალი მოდგმაა,
არ მიაჩნიათ ცა ქუდად,
ცაზე, ზღვაში თუ მიწაზე
ამოვარდნილი ქარბუქად.
მოვიდნენ, დროშა გაშალეს,
ათასგან თოფიც დაცალეს,
სიმღერა დააგუგუნეს,
აღზობს ყინულის უკუნეთს.
ქვეყნად მადლობა გადასცეს,
მამულს უსურვეს მშვიდობა,
მყინვარზე სიტყვა ნათქვამი
გასცდა ყინულის კიღობანს.

ა. შავიკოვი



სიზმარი

იყო ბრძოლა...

შეატრი, ზღაპრად მოგონილი,
დავიქანცეთ, ძალა ველარ მოვიკრიბეთ,
— თქვე მძინარა როკოებო... — ოხუნჯობდა პოლკოვნიკი,
ისრუტავდა ხელის გულზე თოვლის ფიფქებს.

სიცოცხლეზე ფიქრი

თითქმის აღარ გვლევდა, —
იმ თებერვლის ოთხი იყო, გავიმარჯვეთ,
სწორი რომ ვთქვათ —
გულადობას, თავდადებას
ჩვენ ვუმაღლით დაღლილ მარჯვენს.

ჩვენ სიცოცხლე

არ გვინდოდა, დავიძინეთ, —
იქნებ მხოლოდ სულ უბრალო ძილი გვსურდა!...
თავი თავზე მივადევით
ერთურთს მძიმედ,
რომ ღრმა ძილში შეეხვედროდით სიზმრებს უხვად...

სიზმრად ვნახე...

სიზმრის ფართო კალაპოტში
მიცურავდა გემის ტანი ფისწასმული,
იალქნები დაგვიმძიმა —
ქარმა ლოშნით,
გვახარებდა... თანაც ძლივსღა გვედგა სული.

დამესიზმრა...

მიბნედილი თვალის მქონე
შორეული და ომივით შეატრი ქალი,
როს მივყავდი მას გემბანზე —
დაედნი ვგონებ, —
სხვას უკეთესს რას ნახავდა კაცის თვალი.

ვით ბრძოლიდან გაპყავს ხოლმე

მთლად დაჭრილი —
მოწყალების დას — მამაცს და ალვისტანას, —
ისე ომის ქარცეცხლიდან
თავგანწირვით
მან იმ დილით სამშვიდობოს გამიყვანა.



და საპესთან ვიდექ მასთან,
 ვუყურებდი...
 ნაპირ- ნაპირ ტყის მშვენებამ გამომკვება,
 შორიაზლო გუგუნებდნენ
 გუგუნები —
 ძლივს შეეძელით ჩვენი თავის დაოკება.

მიჭფრინავდით... თიხამწვანემ
 გაგვიტაცა,
 ნათლებოდა, თენდებოდა კვლავ ნაპირზე,
 და გვეძინა ასე დაღლილ
 ჯარისკაცებს
 შლისენბურგის მოშორებით ათას ბიჯზე.

შემთხვევითი შესვენების
 ის კოცონი
 დაიწვა და მესამელზე დაინაცრა;
 გამელეიძა კვლავ გუგული
 იძახოდა
 და სიკვდილმა ჩვენგან შორეთს გადინაცვლა.

მემოზრის ხსოვნას

ს. გუტუნოს

ვით დავეჯერო მე აქამდის
 შენი დაცემა,
 ვიგონებ ნაკეთებს
 მშობლიურს და
 მერეოლავს ნადველი,
 საფლავში მწოლარ, თავგანწირულ ჯარისკაცებთან
 ბევრ სხვაზე ადრე,
 მეგობარო,
 შენ რომ წახველი.

რომ

• თვითმფრინავი ვერ აგიყვანს
 ზევით, ღრუბლებში,
 ვარსკვლავიანი
 თვითმფრინავი
 ველარ აგიყვანს,
 რომ შენ ისვენებ მშობლიური მიწის უბეში,
 რომ ჩრდილი გადგას
 ატირებულ
 ობოლ არყისა.

იმავე მიწაში,

რომლისთვისაც სისხლი და ტანჯვა
 არასდროს გშურდა,

(არ ვგონოს ეინმეს იგავი),
 რაც გიღვას სვეტად მეგობარო, სამარის თავთან —
 ვანვლილი დღენი
 მთელი თავის
 სიგრძე-სიგანით.



ეშელონებით
 ჩვენ მივყავდით ცეცხლიან გზებზე, —
 ისე მივყავდით —
 მიწა ვტანჯეთ
 ნაცვლად აღერსის,
 ბელორუსიის სადგურიდან იქ, ბრძოლის ველზე
 და კაზანიდან
 მოშორებით —
 ჰოსპიტალებში.
 არაფრისმქონე, ცარიელი,
 მარტო ფეხები...

იყო მიღწევა
 უმძიმესი — ჯარისკაცური,
 თავი იწოდე გზის პოეტად, განა შემთხვევით?!
 (და არაერთხელ ეს წოდება დაგვიდასტურე)
 ამიტომ

მჯერა, მეგობარო,
 ასეთი რწმენით —
 კუშკას მახლობლად თუ
 შორეულ ტუეას მახლობლად,
 შეშფოთებულნი, სასიგნალო სინათლის ფრქვევით —
 მატარებელი

მიგაქროლებს ვაჟკაცს
 ახოვანს.
 იქნებ იმიერ კარპატებში
 დგახარ შემთხვევით —

ეშელონიდან დარჩენილი
 კაცი კეთილი,
 რომ დაეწიო — სდევ საბარგო შემადგენლობას —
 ორლობებით
 დაღლილი და
 გადათენთილი.

მე ვიცი,
 უხზოდ ჩემს გულს
 სულ არ მოეკარება —

მატარებლიდან
 რომ გაირბენ
 სწრაფად, გასასვლელს,
 რომ ჩემოდანით დიდხანს დგახარ სახლის კარებთან,
 და ჯიბეებში

ვერ პოულობ ბინის გასაღებს...

თარგმანი გურამ კლდიაშვილისა და რეზა მინდიაშვილისა



სამამუღლე რქა *

რომანო

ნაწილი მორკა

ალმასი

პელო შეკრთა, იცოდა, მელანოს თავისი ნათქვამის ასრულება არ უქირდა, სოსიკოზე ლაპარაკს თავი გაანება და ახალი ჭორი განაგრძო.

— იმაი ვამბობდი, ქა სოფელი დაცარიელდა. ვინც თვალი გაახილა, ყველა ლაწირაკი ქალაქში გარბის, იქ ზოგი ბელობასა სწავლობს და ზოგი ვერა, მაგრამ ყველა ძალღი და ღორი, შინაც ქალაქში რჩება და უკან აღარ მოეთრევა. სირცხვილი ჰგონიათ ქა, თუ ორ-სამ წელიწადს ქალაქში ისწავლიან და ისევ სოფელში ჩამოვლენ. „ტრაბტორი“ როგორღა გვეყადრებოდ! ის კი აღარ იციან, ძველ დროსა, „ნემენცების“ ქალაქში ნასწავლი ხალხი, ისევ თავის სამშობლო სოფელში ჩამოდიოდა და ღარიბსა და ოხერს ეხმარებოდა, რო ფეხზე წამომდგარიყო. ახლა ყველა გადიდვადი. ი, ძღაბას ბიჭი, რომ „პრაფესორობას“ შონდრომებს, აბა, სხვაზე, რაღა ვილაპარაკო. ძღაბამ თავისი წუთისოფელი შეველეთ დაღამა, ეგეთი მეცნიერი შეილი საიდან გამოუვიდა... ჰოდა, გამოუვიდა და სოფელში აღარ მოღის. იმ დღეს თავმჯდომარეს უთქვამს, მეურნეობაში თითქმის სულ მოხუცები არიანო, ვენახებში ბერიკაცები მუშაობენო. ყმაწვილკაცობა ქა, ქალაქში გარბის. რა ჩაუვარდათ იმ ქალაქში, რა დაკარგეს და რას დაეძებენ? გლეხკაცი სახლიდან რომ გავა, საცა არ უნდა

ისწავლოს და როგორი მეცნიერიც არ უნდა გახდეს, სახლ-კარი არ უნდა დაივიწყოს. ე, ჩვენი ვარდიანი რითაა ნაკლები ქალაქზე, მე რომ მკითხო?

— აი იმიტომაც არ გავუშვი სტეფანე ქალაქში, რომ უკან აღარ ჩამომივიდოდა... — თქვა მელანომ.

— არ გავუშვი და ძაანაც შიპქარე! რომ გავგეშვა, ისწავლიდა და კაცი იქნებოდა.

— შენ რეებსა ყბედობ, ე. — თავზე კრუხივით გადაეფოფრა მელანო, — სტეფანე კაციც არი და ვაქაკაცი!

— ჰო, გენაცვათ, საწყობში ზის და სხვისა ქონების ხარჯვაზე მარდი.

— სხვისა? ვისი შექვამა?

— ხალხისა. ჩემი არაფერი შეექვამია, აეს როდი ვამბობ.

— სასი გაიქრე, — დაუტია მელანომ და ამღვრეული, სისხლიანი თვალები, პელოს შუბლში ორ ცხელ ტყვიასავით მიაქედა.

— იმას ვამბობდი, გენაცვათ, — არ ცხრებოდა პელო. — ქვეყანა ქალაქში გარბის და უკან აღარაეინ ბრუნდება. მეუქი, იქ დაბადებული და გაზრდილი კი, რომელი ჰქუთამყოფელი წამოგასოფელში? სოფლელები მიდიან და მერე თავიანთ მშობლიურ სახლ-კარსა აღარ კადრულობენ, ქალაქელებს რა გასაქირი დაადგათ, რომ აქეთ წამოვიდნენ?

არი სოფელთან. ზოგიც იქნება და წამოვა! — ჩაურთო სიღომ.

— აი, ი გიოს გოგო რომ ჩამოვიდა, ეგ თუ კარგი მოწაფე იყო, ქალაქში დასტოვებდნენ, სოფელში რისთვის გამოაგდებდნენ, ხომ მართალია, მელანოვ?

— მაშა ქა, ალბათ გიოსავით რეგვენი გამოდგა.

— შენთვის კარგი არ არი, ვარდიანში იმისი ჩამოსვლა. — შეაპარა პელომ.

— ვითომ რათაო? — თავი გაიმამაშა ტა მელანომ.

— ხომ არ დაგავიწყდა ქა, დარო და გიო ჯერ ისევ ცოცხლები არიან და იმათ შეუძლიანთ თავიანთი სახლი დაიბრუნონ.

— ნეტა არა სჩხორავდე! ოცი წელიწადია მე აქ მარტო ვდგევარ და გოოს გოგო ვინ არი, შემეცილოს.

— კანონი იმას მისცემს, გენაცვა, — აღიზიანებდა პელო. — მთლიანად თუ არა, ორ წილს მაინცა.

— ორს რაღათ?

— გიოსა და დაროს.

— გაჩუმდი ერთი, ენამ არ გიყვილოს. — უსიამოვნოდ დაეღრიჯა სახე მელანოს.

— ყველა ყველა, მაგრამ გიოს გოგო მაინც რა ხილია, მალე გავიგებთ. ანანიას უკვე დაუკვებნია, ძან კარგი აგრონომია, თავის ბიძა სოსიკოსა ჰგავსო. მაგრამ მე ანანიას ლიჯინს არ ავეყვები, ის იგეთი გველამუაა, ეტყობა, თავის ბიჭს უნდა გაურჩიგოს ნინო და იმიტომ ითაფლება იმასთან. ოხერია! — ანანია! მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა პელომ. — ალბათ გიოს ქალაქში ქონებას აგულეებს, მოკედება და ჩემ ბიჭს დარჩებო, სხვა რა უნდა აფიქრებდეს, მაგ ქოფაკსა.

— გეყოფა ყებდობა და ე მატყლი დაართე, — თქვა მელანომ და ძალზე დაფიქრებული შინ შევიდა.

სამტონიანი საბარგო მანქანა, ჯაყჯაყითა და ხმაურით შემოიჭრა მეტრონების ეზოში და საწყობის წინ შე-

ჩერდა. კაბინის კარი ზღართანით გაიღო, შოფერი დანდობილად გადმოხტა და კარი ისე მიხურა, რომ მთელი მანქანა დააზანზარა.

— გამარჯობა, ყურუმსალო! — უთხრა ახალმოსულმა შოფერმა თავისავე ამხანაგს, რომელიც ხისქვეშ, ჩრდილში გათხლასულიყო და თვლემდა.

— რა სულაბეკერივით ჭიხინებს! — დაუტია ხისქვეშ მწოლიარემ. — ძილის ანგელოზები სულ ნუ დამიფრთხე.

— ძილისაო? გაოცდა მოსული. — რა დროს ძილია, შე არიფო, შენა ვერა ხედავ, ქვეყანაზე რეები ხდება?

— ჰმ, რა იყო, ახალ ავარიაში ხომ არ გაები?

— ცოტა დაამკლდა, ავტონისპექტორმა მილიციაში არ წამიყვანა. ნომერს იწერდა. ვეღრიჯე, ერთ ვედრას შევებირდი, ძლივს ჩამომხსნა.

— ბიჭო, ის რომ ქრთამს არ იღებს?

— რას ამბობ ე, მთვარიდან ხომ არა ხარ ჩამოვარდნილი. იმაზე ამბობენ, თუ დასჭირდა ჟულს ქვიდან გამოაძერკენსო.

— ნუ იცი გამლაშება, გუჯავ, — დაღლილი ხმით უთხრა ჩრდილში მწოლიარემ და გემრიელად გაიზმორა.

გუჯამ პასუხი დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, მანქანის კიბეზე ჩამოჯდა და მცირეხნით გაჩუმდა.

გუჯა იყო ოცდაერთი წლის, შეშავი, ძარღვიანი ბიჭი. კეპი კეფაზე მოეგდო, შუბლზე ქოჩორი გასწეწოდა, შავი უღვაშები ისე უზზინავდა, თითქოს ზეთი გადაუსვითო. ქუქყიან ხელეზე ძარღვები დაბეროდა, ხალათი გამაზუთიანებოდა, დიდი გზა გამოეცლო და მაგრიდაც ემუშავა.

შვილი შუაგაქრილ ვაშლივით ჰგავდა სტეფანეს, მხოლოდ მის თვალებში უფრო მეტი მძულვარება შეპარულიყო, ბრახიანად იყურებოდა აქეო-იქით და თითქოს მიზებს ეძებდა, რომ ვინმესთან ეჩხუბა. ცოტახანს იყო ჩუმად, მერე ამხანაგს, რომელსაც ისევ ჩათვლი-
მა, ფეხი გაპკრა და უთხრა.

—ადე, შე ძილისგუდავ! როცა ჩაძილდები, ძილი მაშინაც გეყოფა.

— რა გინდა, კონიაი? — ჰკითხა კოლამ, რადგან იცოდა, გუჯა მხოლოდ დასალევად თუ დაჰპატიებდა.

— ჰო, ხუთვარსკვლავიანია. ეს იმის ანგარიშში, იმ დღეს რომ მაპურმარილე.

— ჩვენში ანგარიში როდი მოდის! — ყახიდად იწყინა კოლამ. — შოფერი ხალხი ვართ, ძმა ძმისთვის — შავი დღისთვისო.

— ეგვეც თუ იცი, რაღას მალაპარაკებ. წამო და ვხუთოთ.

შოფრები შორს არ წასულან. მეორე ხის ჩრდილში გადაინაცვლეს და სუფრის გაშლას შეუდგნენ. პატარა თლილი ჭიქა ჰქონდათ, კოლამ პურის ნატეხი და „სელიოტკა“ გააჩინა, გუჯამ ბოთლი ხელის გულზე დაიკრა, საცობი კალიასავით ამოხტა და ტოტებს მიასკდა; კონიაის მძაფრმა სუნმა ამოაშტქა. შხედებმა გუჯას ხელები დაუსველეს, მან თითები გადაიხილა და სიამოვნებისაგან ცხვირი მსუნჯად ააქმაცუნა. პირველი ჭიქა კოლამ აიღო.

— ეს ჩვენ მძობას გაუმარჯოს, — დაიწყო მან. — ამ პატარა სასმისით და დიდი გრძნობით...

— მერე ილაპარაკე. ჯერ დალიე. — გააწყვეტინა გუჯამ. მას წესად არ ჰქონდა, სანამ კარგად არ შეთვრებოდა, ელაპარაკა.

კონიაის ბოთლი უსიტყვოდ, ათიოდ წუთში გამოსცალეს, პური რაც ჰქონდათ შექამეს და თამბაქოს ხარზად დაეწათნენ. კოლამ ბოთლი ზის ძირზე მიადგმუნა, მხარეთმოზე წამოგორდა და ნაღვლიანი ღიღინი დაიწყო.

ზამთრის ყინვა არ მაშინებს
შენ რომ გხედავ მაშინ მცოცხ.
მე ჰამა-სმა არას მარებს,
შენი სიყვარული მშვივა.

— ვაი, ვაი! — აყოლებდა გუჯა და თვალებს ნაბავდა.

ვღების თაფლის ბუზი ხარ...
ლაზღებში ჯვრის ტუზი ხარ...

რომელ დედამ გითხრა ნანა
რამ თითებმა ავიყვანა...
დაილოცოს დედის ძეძუ
კიდევ შობოს შენისთანა...

იბნიდებოდა კოლა.

— ბულბული ხარ, ჩემმა მშემ! ნასტაიშჩი სალავეი! — წამოიძახა გუჯამ.

კოლამ გამოუღუველი სიმღერა იცოდა, გუჯას უყვარდა მისი მოსმენა, მაგრამ ჩქარა მობეზრდებოდა ხოლმე და თავის დუღუქს ჩაბერავდა.

— აი მაგისთვის მიყვარხარ, კოლაჯან. ძმაცაცის გამტანი რომ ხარ. ვინც ძმაცაცს არ უძმაცაცებს, რაღა კაციო! ჩვენ ერთი საწყვლი შოფრები ვართ. ხალტურა დალოცა ღმერთმა, ის რომ არ იყოს ქვეყანაზე, ჩვენზე უბედური ძაცი არ იქნებოდა.

— ტაში-ტუში! — მკლავებს შლიდა კოლა. — შენ დაუქარ, მანეთს მოგცემ, გაკოცებ და ორ მანეთსა... ბიჭო გუჯავ, აქეთ რომ მოდის, ვინ არის? დირექტორია, არა?

გუჯა დაფეთებული წამოხტა. შოფრები ერთმანეთს მხრით აეკვრნენ და გაისუსნენ. საბამ და ნინომ ჩაიარა. მათი საუბრის კუდი შოლტივით გადმოსწვდა ორივეს.

— კარგი, ჯანსაღი კოლექტივია, ამხანაგო საბა, მეურნეობაში, — ამბობდა ნინო. — ჩემთვის, ისე როგორც ყველა მუშაკისათვის, ეს არის მთავარი. მაშინ სამუშაოც სახალისო ხდება და გულიც სიხარულით გვიცემს.

ნინომ და საბამ ისე გაიარეს, რომ გასუსული შოფრები არ შეუნიშნავთ. კოლამ წყლიდან ამოყვანილივით ამოიქმინა. გუჯამ შუბლიდან ჭირის ოფლი გადაიწმინდა.

— უფ, კინალამ გამაცია, — თქვა კოლამ. — ორჯერა ვყვეარ, შინაგანაწესია, რაღაცა ოხრობა, იმის დამარღვევად მონათლული. ახლა რომ ეგეთ ყოფაში დავენახე, კარგა იყავ, „მომბოლტავდა.“

— ერთი მაგისი, ბიუროკრატია! — ზიზლით თქვა გუჯამ და შეიგინა.

— ახალი აგრონომის დანახვა მაინც

მოვასწარ, ე, — ეშმაკურად გაიღიმა კოლა. — რა კვერცხივითაა შეკრული! კარგი საწუწნავი გოგო ყოფილა, რას ერჩიან, რომ სოფელში ათასნაირად ლაპარაკობენ?

— შენ ყველა ანგელოზი გჩვენება.

— რასა დღუღუღებ? — გაოცებულმა შეხედა კოლა.

— გასაგიებელი არაფერი აქვს.

— გნახე რა, დიდი მექალთანე! — სიცილი აუტყდა კოლას. — შენ რამდენ წითლად „გაკრასკულს“ დაინახავ, ყველა ლანაში ხომ არა გგონია. ნინო, ეტყობა, კარგი ოჯახიდან უნდა იყოს.

— კარგი, მაგისმა მზემ!

— სოფლის ქორებს აყოლილხარ გუჯავ. ეგ გოგო შენი გერი ბიძაშვილია და არ გეკადრება, მაგაზე ცუდი ილაპარაკო.

— ბიძაშვილი არა, ტოლმა! მაგისთანა ბიძაშვილი მე ათასი მყავს.

— საიდან?

— შენ რა, ბებიაჩემივით, ნიკოლოზის ამბებს მიყვები. ის სახლი ჩვენია და რამდენი ხანია ჩვენი ცეცხოვრობთ შიგა. მაგისი მამა, თუ კარგი კაცი იყო, მამაჩემს შეეშველებოდა სახლ-კარის მოვლაში და ქალაქში არ დაითესებოდა. კაციშვილს აღარ ახსოვს ეგენი აქედან როდის წახირდნენ, იმის შემდეგ ათი თავი ვახმა და ახლა, მზამზარეულზე, მე ევა ბიძაშვილად მივიღო? მივიღოდა, იქნება, სახლში ჩასახლებაც მომინდომოს? არა, ძმაოჯან, ჩვენ ეგეთი სულელები როდი ვართ, როდი ვა?!

კოლა გაოცებული უსმენდა გუჯას აღსარებას. უკვირდა, ამხანაგისაგან ოჯახზე ამდენი წუწუნი და ზრუნვა არასოდეს გაეგო, ისინი ერთად ყოფნისას ეგეთ რამეებზე არ ლაპარაკობდნენ, მათ საოჯახო შფოთი თუ დაღინება არ აწუხებდათ, გართული იყვნენ თავიანთ მჩქეფარე თავგადასავლებში, მანქანის ავარიებში, ხალტურების აღებასა და მათ მაღარიჩებში, აეტოინსპექტორებთან დაუსრულებელ ომში, რაიმილიციაში ყურყუტსა და ხელწე-

რილების წერაში, საერთოდ, ყოველივე იმით, რაც შოფრის პრთექსისთანაა დაკავშირებული. სოფელს ხალხურად სოდეს არ ლაპარაკობდნენ, მათ არ აინტერესებდათ ახალი რა შენდებოდა, ან სოფელში ვინ ჩამოდიოდა, ისინი გულისთანკვლით შეპყრებდნენ მხოლოდ თავიანთ უფროსს — მზექალას, რომელსაც მანქანები ებარა და მათს აესა თუ კარგზე პასუხს აგებდა. ამიტომ კოლა დიდად გაკვირდა, როცა გუჯასაგან ეგეთი სიტყვები გაიგონა არ ელოდა ამას.

— შენ რაღაცა ბოღმა დაგიხვევია, ბიჭო! სწორე გითხრა, სიფათში არ მომწონხარ, მე ეგენი არც მაინტერესებს და არც მედარდება. მე იგრე ვთქვი, კარგი საწუწნავი გოგოა-მეთქი, ჩვენი ახალი აგრონომი. ახლა აიდექ, ცოტა ბენზინი გაღმომისხი, თორემ დილას ლაფში ჩავევარდი და სანამ იქიდან ამოვხირდებოდი, რაც მქონდა, სულ გავათავე.

— მიდი და აიდე, რა ნებართვებსა თხოვლობ! — უხალისოდ თქვა გუჯამ და საწყობისაკენ წავიდა.

საწყობის კარზე უხარმზარი კლიტე იღო, ურდულაც გარდიგარდმო გაეხარინებინათ, იმდენი გასაღებებით დაეკეტათ, რომ გუჯას ხასიათი შეეცვალა, გაელიმა და გუნებაში გაიფიქრა: — გარედან ამდენი გასაღებებით კეტავს, მოდით და ნახეთ, როგორ ვუფრთხილდები საწყობს, არავინ შევიდეს და არ გამქურდოსო, ციხე კი შიგნიდან ტყდება... ეჰ, მამაჩემო, ძველი ხარ, ძველი...

გუჯა კართან ჩამოჯდა და მამას ლოდინი დაუწყო. სტეფანე მალე გამოჩნდა, თან სანდრო მოსდევდა; გუჯამ მის დანახვაზე წამოხტა და მოჩვენებითი მოწიწებით თავი დაუკრა.

— როგორა ხარ, გუჯა? — მხიარულად უთხრა სანდრომ. — შენი მანქანა ხომ ვეფხვივითაა?

— დარდი ნუ გექნებათ, — დაუღვევრად ჩაილაპარაკა გუჯამ. — სანამ მე ვზივარ „რულთან“...

— ყოჩაღ, კარგია! — სანდრომ გუჯას მხარზე ხელი დაჰკრა და სტეფანეს საწყობში შეჰყვა. გუჯაც ფეხბაფეხ დაედგინა.

— აი შაბი, გენაცვა, — ხმამალა, რიხიანად ამბობდა სტეფანე. — რამდენი ველაპარაკე, შოფრებსაც დავავალე, არამცდარამც ალაზნთან დაქუჩებული რო აქვთ, საველე საწყობში, ის არ წამოიღოთ-მეთქი.

— მაინც მიუციათ? — იკითხა სანდრომ.

— მაშა კაცო! აი გუჯა იქ იყო და თავათ გეტყვის.

გუჯა არ ელოდა, დაიბნა, მამას უმწეოდ შეხედა და თვალებით შეეკითხა, რა ვთქვაო.

— გამოუტყდელია ჩემი ბიჭი, ბალღია ჯერ კიდევ, სანდრო, — თქვა სტეფანემ. — ბიჭო, რისა გცხვენია, მიუბრუნდა გუჯას, — შენ კი არა, დროული კაცები მოუტყუებიან, კაცს ჰქუა დაბადებიდან როდი აქვს, ცხოვრებაში, გამოცდილებით იძენს.

— როგორ იყო საქმე, აბა, — ჰკითხა სანდრომაც.

— მე როგორც დამავალეთ, — სული მოითქვა გუჯამ, — ალაზნის პირა საწყობიდან შაბის წამოღებას არ ვაპირებდი. ბევრი ვედავე გამგესა, მაგრამ იმანა შეაგლო ქვა და შეუშვირა თავი. თუ გინდა წაილე, თუ არა, შენცა და შენი მეურნეობაც ფეხებზე მკიდობხართო. რა ჩარა მქონდა, დაუღე მანქანაზე და წამოვიღე.

— როდის იყო ეგა? — ჰკითხა სანდრომ.

— ცხრა დღის წინ ზუსტადა.

— ჰო, მერე, განაგრძე.

— მოვიტანე შაბი და დანოტიებული აღმოჩნდა... დანარჩენს მამაჩემი გეტყვით, მაგის საქმეა...

— ჩემი საქმეა, აბა შენ, ბალღმა, ეგეთი მამაძაღლების მურდალი საქმე რა იცი, — თქვა სტეფანემ. — მოიტანეს შაბი და ელდა მეცა, სანდრო. რათ წამოიღე-მეთქი დანოტივებული. რა ვქნათ, ეგრე გამოგატანაო, მითხრა. ქვითარ-

ში ენახეთ, სამი ტონა და ასი კილო ეწერა. ავწონეთ, ზუსტად ამდენივე გამოვიდა. ვიფიქრე, რაღას ვშფოთავ მეთქი და გული დავიწყნარე. მაგრამ აი დღესა, ავწონე და კინალამ გავგეიღი ეს დროული კაცი. საწყობში თავივე ვერ შემოცუნეულდება იგრე მაქ მოვლილი ყველაფერი...

— რა მოხდა? — ეღარ მოითმინა სანდრომ.

— ასი კილო დაჰკლებია, გენაცვა, იმისთვის დაგვიძახე. აქტი უნდა დავწეროთ, მერე მე მაგის შარის თავი არა მაქვს, პატიოსან თავს ციხეში ვერ ჩავაგდებინებ... ეჭვი მქონდა და გამართლდა კიდევცა... ის ასი კილო, ნესტი ყოფილა შაბისა, აბა, ალაზნის პირზე საწყობში რომ დაშენეს, რა ეგონათ, ყველაფერს ეგრე დაემართება, ამ ჩვენ სამ ტონა შაბსაც, როცა აქ მოვიტანეთ, გავშალეთ ლამაზათა და გავაშრეთ, აღმოჩნდა, რომ ასი კილო ნესტი აუკრავს...

— შაბი მართლა აიღებდა ნესტსა, — დამშვიდა სანდრომ. — ეს უბრალოდ, ფიზიკის კანონია...

— ჰო, მე მაგ ფიზიკის კანონებისა არა გამეგება, — ცუდად თქვა სტეფანემ, — სასამართლოს კანონებით ვიცი, რომ სახელმწიფო ქონების განთავსებისათვის...

— მართალი ხარ, სტეფანე, იმ საწყობს გადატანა უნდა. რაც შეეხება ას კილო შაბს, როგორც მიამბე, აქტში ეგრე გაათორმე და დირექტორს მე შევეტან.

სანდრო წავიდა. სტეფანე ჩუმად იყო. მერე საწყობის კარი მიხურა, სინათლე აანთო და შვილს ხმადაბლა ჰკითხა:

— ხომ მშვიდობაა, ბიჭო? სანდროსთან რა ჭუკივით დაიბენი.

— არ ველოდი, კაცო.

— შენ უკვე ვადაგიყლაპავს კიდევ! რა გეჩქარებოდა? რამდენჯერ მითქვამს, მალარიჩები მაშინ, ყველაფერი მშვიდობიანად რომ დამთავრდება-მეთქი. ეგეთი წუნკალი და ღორმუცელა როდემდე უნდა იყო?

— კაცო, რას ჩამომეკიდე ინსპექტორივით...

— სიფრთხილეა შეილო, საქირო... ეგეთ სარისკო საქმესთან თამაში არ გამოდგება, დამიჯერე... ქალაქში რომ გადავალთ, აი მამინ, როგორც გინდა დრო ატარე...

— არა, შენ ეს მითხარ, ქალაქში რა გვინდა? — მთვრალის ჭირვეულობით ეკითხებოდა გუჯა.

— ვაი ჯერ რამხელა არიფი ხარ, — გაიღიმა სტეფანემ. — ბიჭო, ჩვენისთანა ხელობის კაცი ერთ ადგილზე დიდხანს ვერ გაჩერდება, სახიფათოა. ერთხელაც იქნება და გაიგებენ. ამიტომ, როცა შენ საქმეს გააკეთებ, შენი ნებითე, პატროსნად განცხადება უნდა დაწერო, ავადმყოფობის გამო გთხოვთ გამანთავისუფლოთო, და აიცოცხო იგრე არ გამოვა, კუჭი!

— მამო, რამდენი ეგეთი განცხადება გაქვს დაწერილი, ვაყაყურად მითხარ! — ხითხითებდა გუჯა.

— რა მოსთვლის, ბიჭო! მთელი კახეთი მაქვს შემოვლილი... ელდარში მწყემსად ვიდექ, ლაგოდებში თამბაქოს დამზადების რწმუნებულად, სიღნაღში მილიციელად ვმუშაობდი, წითელში კლუბის დარაჯად... ერთი ხანი გურჯაანშიც ვიყავ, ზეინკლად... ბოლოს ვარდიანს დაუბრუნდი და ნამდვილად დორანში ჩავვარდი. ეგეთი სარფიანი საქმე არასოდეს მქონია. ფუი ეშპაკს, თვალი არა ვკრა. ჰო, ძნელია ბიჭო, ცხოვრება, კაცი ერთხელ რომ გამამაძალდებინა...

— ვაყაყა ხარ! — ხითხითებდა გუჯა.

— სულ დამივიწყდა, ბიჭო, საქმეზე არაფერი მიკითხავს.

— იგრე არი, შენ რო გაგიხარდება! წელს შაბის წელიწადია. ზოგი კარი მარგებელია. საწყობებში თურმე აქეთ და თავიანთი შტერობის გამო სოფლებში ვერ ჩამოუტანიათ. ნურც ჩამოატანინოთ ღმერთმა. ხალხი დაფრანგებულია შაბზე. მანქანიდანვე გაეყადე.

— კილო როგორ?

— ოც მანეთად. მეტი, სირცხვილი იყო, ნაქურდული ეგონებოდათ.

— მართლა სამალარიზო საქმეა? ჰერე რა კობხად გამოვიდა. აქტს სანდრო თავისი ხელით შეუტანს დირექტორს, აი დაილოცა, ჩვენი „ნაზენიუბი“ იმართი სულელი თავი რომ არ იყოს, ჩვენისთანა საწყალ ხალხს რა ეშველებოდა. შეილო, ეს სეზონური სამუშაოა, კალმანივითაა, თუ თავში ხელი არა სტაცე და მხოლოდ კუდში მოექიდე, გაგისხლებება და მერე მომქამე ფეხები...

— ამ ფულით მატაციკლეთი უნდა ვიყილო. — თქვა გუჯამ.

— ხელად გაიგებს სოფელი, ამდენი ფული მატაციკლეთისათვის საიდან იშოვესო, არ იტყვიან?

— ობლიგაციაში მოვიგეთო, ველარ ვიტყვი, რა არი! როგორც ყველა ტყუის, ჩვენც ისე! ქურდის ქურდი ცხონებულაო!..

ნინო ლელესგადაღმა დაქირავებულ სახლში ცხოვრობდა. მისი მასპინძელი ჭერივი ქალი იყო, ორი ოთახი ცარიელი ჰქონდა და ნინოს მდგმურობას ზემოობდა, თავის გვერდით ხმისგამცემი რომ დასახლა. მასპინძელი ნინოს სადილებს უშზადებდა, მის მოვლაზე და პატრონობაზე ზრუნავდა, შეწყობილად, ბელურებივით ცხოვრობდნენ.

ნინო თავის მამა-პაპის ნასახლარს შორიდან უვლიდა, მხოლოდ ორღობიდან შეეძლო დაენახა ერთ დროს საკუთარი კარ-მიდამო და გონებაში წარმოეღვინა, როგორ გამოიყურებოდა ის ამჟამად. რაც უფრო ხანი გადიოდა, მით გულით უნდოდა მამის ნასახლარის ნახვა, იღუმალი ძალა იზიდავდა და ღამე არ აძინებდა, თითქოს ვიღაც უჩინარი ადამიანი დასცინოდა, ამასხარა ვებდა, საკუთარ სახლში არა ცხოვრობს და მდგმურად ვიღაც ქერივ დედაბერს დასდგომიაო...

სოფელში ნინოზე პრავალ ჰორსა და მოკონილს ამბობდნენ, ნინო მათ ყურადღებას არ აქცევდა, თავის კიქალობას მხოლოდ დაკეხნით ვერას უშველიდა, ჯერ კარგად უნდა ემუშავა, მე-

ურნეობისა და სოფლის სიყვარულს ჩაზიარებოდა, ხალხი როცა მის კეთილ საქმიანობას დაინახავდა, ძალაუნებურად გაიუმღებოდა. იქამდე, ნინოს ფიქრით, დუმილი სჯობდა.

მისი მასპინძელი საკმაოდ ყბედი დედაკაცი გამოდგა, ვენახიდან დაბრუნებულ, დაღლილ ნინოს, ცხელ კერძთან ერთად ცეცხლიან ქორებს ახვედრებდა, ისეთ ქორებს, რომ ახალგაზრდა ქალს ქირის ოფლი ასხამდა და ფიქრებით ძილგამკრთალს მთელი ღამე თვალი ველარ მოეხუჭა. ხშირად არ უნდოდა შინ დაბრუნება, ანანიასთან და კოტესთან საუბარს გულს აყოლებდა, მაგრამ დაუსრულებელი არსად სტუმრობა არ შეიძლებოდა და მასაც უნდა მოენახა თავისი ბინა. ჯერ შემოსული არ იყო ხოლმე სახლში, რომ დუსა თვალეზის უცნაური პარპალითა და მწვიტიან ჩურჩულით აცნობდა ქორების ახალ აკიდოს.

ნინოს თავი სტიკოდა ამდენი ლაპარაკით, ძილი და მოსვენება უნდოდა, მაგრამ დუსას დაეინებულ შეკითხვებს პასუხი სჭირდებოდა, რათა მასპინძელს დაღამდე არ ელაპარაკა.

— გოგო, ნინო, — ამბობდა დუსა, — ხალხი დაფრანგებულია, ერთიერთმანეთზე არი ნაცემი და ღმერთმა იცის, იმათი თავი და ტანი, რას არა ჩხორავს.

— დაღლილი ვარ დუსა, ახლა დამაძინე და ხვალე მითხარი. — ეტყოდა ნინო.

— ხვალე, უთენია გამეპარები ვენახებში და როდისღა გნახო. უნდა გნახო კი, რომ გიოხრა შეილო, ჩემთანა დგებარ და ღმერთმა იცის, შენთვის გული შემტკივა, შენი ავი მეწყინება და კარგი გამიხარდება. რა უნდათ, რას ავიჩემებს ჯამბარას მამული, სოფელი იმას გაიძახის, თუ ეგ კარგი ქალია, რატომ თავის პაპის სახლში არ მივა და ცალკე რისთვისა დგასო. შენ არ გეცოდინება, მაგრამ სხვასა ჰკითხე, გოგო, მე ჩემი ჭერიობა ნამუსიანად გავატარე და ახლა, ლამისაა, მეც მომიგონონ, სახლში კურობები დასდისო...

— რას ამბობ, დუსავ? — თვალები ცრემლითა და გაოცებით ავესო ნინოს.

— ეგრეა შეილო, ყველას პირს ვერ გაუყვრამ და ყველა ენაჭარტალს გულში ვერ ჩაუძვრები. გაგონილი გექნება, ქალიშვილი გოგო რომ მარტო ცხოვრებას დაიწყებს, სოფელში კარგს არას იტყვიან და სხვანაირი თვალით დაუწყებენ ცქერასა.

— დუსავ, რა გავაკეთე სამისო? გამაგებენ, თუ ღმერთი გწამს!

— იმას ამბობენ შეილო, რატო თავის პაპის სახლში არ მივიდო.

— როგორ მივსულიყავ დუსავ, მე პირველათა ვარ ამ სოფელში, მამაჩემი კი ოცდაათი წელია წავიდა. ვისთან მივიდე, ვინა მყავს აქ ჩემიანი?

— როგორ ვინა? მელანო და სტეფანე ხალხი არ არიან?

— მე მაგათი სიყვარულისა არა ვიცი რა, რაც მამაჩემისაგან გამოვიდა, მაგათ სოსიკო ძიასათვის, მამიდა დაროსათვის, მამაჩემისათვის და თვით საწყალ პაპისათვის ცუდის მეტი არაფერი გაუქეთებიათ. ნამდვილი ოჯახიშვილები მაგათ სახლიდან ამოუყვეთიათ და თავათ დაპატრონებიან სხვის ქონებასა. აბა, მე, მათთან რა ხელი მაქვს. ჩვენი სიყვარული ტყუილია და ჩვენი ამხანაგობა ყალბი იქნება. არც იმათ ვეპიტნაეები და მე ზომ არ მიმწევს გული იმათენა და არა! რა მინდა, რისთვის მივიდე.

— შენა გოგო, პაპის სახლში უნდა მიხვიდე, „ზაკონით“ იქ ნახევარი მარც შენია და მამაშენისა, რად უნდა დაპკარგო წილი, გარეგარე რად უნდა იარო და ჩემთან მდგმურად რად უნდა იდგე, როცა ეგეთი სასახლე გაქვს?

— იქ ჩვენი აღარაფერია, დუსავ. სტეფანე და გუჯა, იცი, მეურნეობაში მუშაობენ, რამდენიმეჯერ გამოლაპარაკება ეცადე, მაგრამ იგრე დამიბღვირეს, გული გამისყდა. სიმართლე გიოხრა, მე მაინც ყველანაირ დათმობაზე წავიდოდი, ოღონდ გაბზარული ოჯახი აღდგენილიყო, მაგრამ ზომ ხედავ, ახლოს არ გამოიკარეს: ეგენი არიან სწორეთა, რომ ათასნაირ ქორებს მივონებენ.

— უნდა მიხვიდე შვილო, ეგრე არ შეიძლება. თორე შენი საქმისა, შენ იცი.

— მაგათ არათუ, ჩემი სახლში შეშვება არ უნდათ, ეგენი იმასაც ცდილობენ, მაიძულონ რომ სოფლიდან წავიდე. მაგათა ჰგონიათ, აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ მამა-პაპის სახლი დავიბრუნო. არა, დუსავ, მე და მამას ამაზე დიდიხანია ხელი გვაქვს ჩაქნეული... მაგათ კი ჰგონიათ, რომ სასამართლოში გავსაჩივრებ და სახლის დაბრუნებაზე ვიდავებ. სტეფანეს და იმის ოჯახს თუ არ ვეპიტნავები, დარდი სწორედ ახლა მაგაზე დამდგომია. ილაპარაკონ რამდენიც უნდა, ყბედი რომ მოლალო და მუნჯგომ, როცა იქნება, გაჩუმდებიან.

— გაჩუმდებიან, აბა სულ ხომ არ ილაპარაკებენ, მაგრამ შენა, გოგო, სახელი გაგატყდება, და, ხომ იცი, ქალიშვილისათვის, სახელის გატეხვა, თავის გატეხვაზე უარესია. მე ჩემი მიყვილია და დანარჩენი შენ იცი. წელანაც ვითხარ, ჩემთანა დგებარ, ჩემი მდგმური ხარ-მეთქი, თორე უცხო რომ იყო, იქნება ეგრე არ დამეწეებოდა გული და არ ვიდარდებდი.

— გაფრთხილებისათვის მადლობელი ვარ, დუსავ. დანარჩენი მე ვიცი, თუ ყბას არ გააჩერებენ კორიკანები, იქნება საბჭოშიაც ვუჩივლო.

ლაშქები ცუდად ეძინა ნინოს. მედგრად ხვდებოდა კორებს, მაგრამ ავი სიტყვის შხამი მაინც მოსვენებას უკარგავდა, ძილს უკრთობდა, უცნაური გამოცანებისა და აბდაუბდის ლაბირინტში დააბორილებდა. ნინოს არ უნდოდა მამა-პაპის ნაბუღარზე ეფიქრა, მითუმეტეს ამის შესახებ ლაპარაკი არ სურდა, მაგრამ ხალხი არ ასვენებდა. შინ თუ გარეთ, ყველა ამაზე ესაუბრებოდა, დიდად გაოცებული იყვნენ, კანონის ძალით რომ ნახევარი მამულის მოთხოვნა შეეძლო და წილში ჩაზიარება, თავს რად იკავებდა, უთვისტომოსავით მდგმურად რად იდგა. აღამიანებს ყველას საკუთარი ენა და გონება ჰქონდა, ნინოს არ შეეძლო თავისი გულისპასუხი

სახალხოდ გამოეცხადებინა, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაეგოთ და გაჩუმებულებიყვნენ, არადა, სათითაოდ ერთი-დაიგივეს მტყიცებამ — თავი მოაბეზრა.

მელანოსა და სტეფანეს ჰგონებოდათ, ნინოს თავისი მამის ნახევარი წილის მოთხოვნა უნდაო, ფულს აგროვებდნენ, საბჭოს თავმჯდომარისა და მოსამართლის მოქრთამვას აპირებდნენ, რომ მათთვის მხარი დაეჭირა.

მოსამართლეს მისცეს თუ არა ქრთამი, ნინომ არ იცოდა, მაგრამ სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ მელანო ოთახიდან რომ იფრინა, როცა მან გადაკრული ლაპარაკი დაუწყო და კინალამ პასუხისგებაშიც არ მისცა, — ეს ქვეყანამ იცოდა. ნინო ცდილობდა თავისი პირადი ცხოვრების ამბები მიეჩქმალა, მაგრამ მელანოს მიერ წამოწყებული შფოთი ისე გახმაურდა, რომ ბევრი იმსაც ამბობდა, ნინოს უჩივლია სიღნაღში და მელანო იმიტომ გაეცეცლებოდა, აბა, თუ „ის გოგო“ ჩუმად იქნებოდა, მელანოს რა რჯიდაო. „ის გოგო“ კი ჩუმად იყო. მელანო და სტეფანე თითონ იგონებდნენ ყოველგვარ მიქინაციებს. თავთ აბრალებდნენ ნინოს ქვენა აზრებს, დარბობდნენ და წიოკობდნენ, მოსვენება დაჰკარგოდათ, სიბრაზისაგან აღარ იცოდნენ რა გაეკეთებინათ. ერთადერთი ადგილი, სადაც ნინოს სახლზე არ ელაპარაკებოდნენ — მეურნეობა იყო. იქ ნინო მთლიანად ჩამირული იყო თავის საქმეში, სახლისა და კორებისათვის არც არავის ეცალა და არც აინტერესებდათ. სხვაგან დღენიადაგ ამას დურდურებდნენ.

ერთხელ, საბჭოს თავმჯდომარემ ნინო თავისთან დიბარა, მამაშვილურად გვერდით მოისვა და უთხრა.

— საბჭოში ვითათბირეთ და გადაწყვიტეთ, სტეფანეს კარ-მიდამოს ნახევარი ჩამოვაჭრათ, შენა და მამაშენს მოგკეთ, როგორც ნამდვილ მემკვიდრეებს.

— რა საჭიროა, მე მდგმურად ვდგვარ და თავსაც მშვენივრად ვგრძნობ.

არც ბინის სიეწროვეს განვიცდი და არც ბალ-ბოსტანი მინდა. მე შფოთის თავი არა მაქვს. ჰქონდეთ, სანამ დალაზ-ლაზებენ. არ შევეცილები.

— რა გულუბრყვილოდ მსჯელობ ნინო, ნუთუ არ გესმის, სოფელში რას ამბობენ?

— რა ვქნა, ყველას პირზე ფოთოლს ვერ დავაფარებ. მე მეურნეობაში პატიოსნად ვმუშაობ და თუ არ გჯერათ, შეგიძლიათ შეამოწმოთ კიდეც.

— მაშინ ცალკე სამოსახლოს მოგიზომავით. ბალ-ბოსტანს მოგცემთ, სახლის აშენებაში დაგეხმარებით. გაჩუმდებიან.

— მე აქ ჰორიკანების გასაჩუმებლად როდი ჩამოველ. მე ინსტიტუტმა მეურნეობაში სამუშაოდ გამომგზავნა და ჯერჯერობით, ვფიქრობ, არაფერი გამოიფუტება. მე მესმის თქვენი ზრუნვა, მაგრამ მგონია სრულიად ზედმეტია ახლა. რაც უნდათ, თქვან. არსადაც არ წავალ ვარდიანიდან, არც სხვა სახლში გადავალ. ჩემ პატიოსნებას ჯოჯობეთ-შიც უმწიკვლოდ გავიტან, არამზადებმა რაც უნდა, ის ილაპარაკონ.

თავმჯდომარე კიდეც ბერეს-ესაუბრა ნინოს, უჩრია, აუხსნა, მაგრამ ნინო უარზე იდგა. თავმჯდომარე მისი საქციელით ოდნავ გაკვირებული დარჩა. ან ქალური სოჯიტეა, ან სხვა რამეო, — გიფიქრა და რამდენიმე დღეში ეს ამბავი მიივიწყა.

ნინოს გადაწყვეტილებით დღესა პირ-შიჩალაგამოვლებული დარჩა. მას გაეგო, რომ ნინოს სამოსახლო ნაკეთოს, ბალ-ბოსტნით სთავაზობდნენ, დღესას უკვე თავისი გეგმები დაეწყო, სახლს გააქირავებდა, ნინოსთან საცხოვრებლად გადავიდოდა, ახალ ბალ-ბოსტანს გააკეთებდნენ და მერე, როგორც სხვა, ისიც ოციოდე კონა წიწმამითა და რამდენიმე ჩურჩხელით, სავაჭროდ ქალაქის გზას დაადგებოდა.

— მაშ, არ მინდაო, უთხარ? — იძახოდა დღესა და ნინოს გარშემო ურბენდა.

— პო, აბა, სამოსახლო ნაკეთი რად მინდოდა, მე დღეს აქა ვარ, ხეალ იქნე-
6. „მართობა“, № 2

ბა სამინისტრომ ცხრა მთას იქით გავ-
ზავნოს. რომელ სოფელშიც ჩავალ, ყველგან რომ სახლების შენება დაეწყე-
ყო, სად წავა ჩემი საქმე.

— ყველგან რათა გოგო, ჯერ ზომ აქა ხარ პირველად. აგეშენებინა, სადაც შენთვის უძლევიათ, იქ მიწა ჯობით რომ აჩიქნო, ოქროსავეთ მოსავალი მოდის. მოვიყვანდით, მე ქალაქში წავილებდი, თუ შენ დაგეზარებოდა, ნავთისა და სპანის ფულს მაინც ვიმოვიდ-
დით. ბაღლი ხარ, ეპ, თქვენ ჯერ კეჟა სადა გაქვთ, რომ ოჯახის ყადრი იყო-
დეთ.

სტეფანეს თეთრი კბილი და შავი გული ჰქონდა სოფელთან. რატომღაც ეგონა, რომ ყველა მის მოტყუებასა ცდილობდა, დებქვეშ მახეს უგებდა, ეწადა ავი გაეკეთებინა. ნატრობდა, სოფელზე ეს შეხედულედა შეეცვლა, მაგრამ მაინც ათასი რამ ეჩვენებოდა, თითონაც, ყოველთვის, ალესილი ხან-
ჯალივით იყო.

ადრე სტეფანეს ზუმრობა უყვარდა, გულღია სიცილი, ლხინში თავის გამო-
ჩენა სადღეგრძელოებით და მჭერმეტყველებით. ახლა ყველაფერზე ხელი ჰქონდა აღებული, დათვის შუბლს რომ გამოიკუნთხავდა — მელანოსაც ეშინო-
და ხოლმე შეეხედა.

ერთადერთი აღამიანი, რომელთანაც სტეფანე შუბლს გახსნიდა — კუსპა იყო, უპატრონო, გამაწანწალავებული დედა-
კაცი. არავინ იცოდა, მათ ოჯახში კუსპა პირველად როდის მოვიდა, ასე ძალიან რათ დაიხზოვეს, მაგრამ ამჟამად იგრე თამამად მოდიოდა ეს მაწანწალა, რომ ხანდახან სტეფანესაც უყვირდა.

— კუსპავ, ქარი არ გიჭმუტუნებს, არა გცივა? — ჰკითხავდა სტეფანე.

— ტატრავუნა ვარ, ლამისაა ბარძა-
ყები დამეყინოს, — იტყოდა კუსპა და კაბის კალთებს წელამდე წამოიხზიდა.

არავის არ სიამოვნებდა დედაკაცის ეგეთ ყოფაში დანახვა, მხოლოდ სტე-
ფანე იღიმებოდა და ათასნაირ ხერხს იგონებდა მასთან თავშესაქცევად.

ერთხელ სტეფანემ სიღნაღში კალბასი იყიდა და ჩამოიტანა. როგორღაც, კალბასის ნაჭერი გადაარჩინა, კუსპას შეტნახა, როცა მოვა, მივიცემ და ერთი ვნახავ, რას იტყვისო. ნართლაც, იმ დღეებში ეზოში კუსპა შემოფართატდა. სტეფანე შინ იყო. მან კალბასი გამოუტანა და მისცა. ამის შემდეგ ხშირად უთქვამს კუსპას:

— ხალხო, ჩვენმა სტეფანემ იგეთი რბილი ჩურჩხელა მაქამა ქალაქში ნასყიდი, როცა იმას ვიგონებ, პირი სულ ფურთხით მეცხება...

მელანოს სძულდა ხალხი, რომელიც მისთვის ბევრ არაფერს აკეთებდა; კუსპას რამდენიმე მოსვლაზე ახეტქა პური. მერე ბაღ ბოსტნის ყარაულობა მოსთხოვა, მეზობლის ქათმები გადმოიღიან და ყური უგდევო.

მას აქეთ, კუსპა ბოსტანში ეკუნტა, ხელში გრძელი ჯოხი ეჭირა და ისე ერთგულად ემსახურებოდა მელანოს, რომ ახლომალს არა თუ ქათმის, ჩიტის სახსენებელიც გააქრო.

მელანომ მოუწონა, თავისი გამონაცვალი, იატაკის სარეცხად გადაქცეული კაბა მისცა. თუ არ იცუღლუტებ, მეტსაც მიიღებო. — დააყოლა. კუსპა მელანოს საჩუქარმა წაათამაშა, ყარაულობიდან — ქურღობაზე გადავიდა.

სტეფანეს მომოჯნავე ძველებურადვე ანანია იყო, მას აუარებელი ქათამი ჰყავდა მოშენებული, ოჯახის განრჯე დიასახლისი — მაგანა, ფრინველს ჩინებულად უვლიდა და თავისი ეზო-ყარის გარეთაც არ უშვებდა. მაგრამ კუსპა გამოცდილი ქორდი იყო. იმდენი ჰქუა კი ჰქონდა, რომ ქათმები მოეტყუებინა. გზაზე მოპარულ ხორბალს კალთით ეხილებოდა, და ღობის ძირზე ყრიდა. ანანიასა და სტეფანეს ბაღებს ერთი საერთო ღობე ჩასდევდათ, ღობე ძალიან მაღალი არ იყო. მაგრამ იარჯად დაწულს გახლდათ. მასში ქათამს არასგზით გაძრომა არ შეეძლო. კუსპამ ხერხი იხპარა, ღობეზე თავმოსახვევს გადაფენდა ხოლო, ზედ ხორბალს დამყრიდა და ქათმებს იმდენს ეგურგურე-

ბოდა, რომ ღობეზე შეაფრენდა შეფრინდებოდნენ თუ არა ქათმები, ერთს კი დაეცლიდა რომ ხორბალი ექექნათ, გული გაენაგრებინათ და კუსპას შინდობოდნენ, მერე სტაცებდა ხელს და მაგანას იმდენი ქათამი ჰყავდა, რომ ერთისა და ორის დაკლებით დიასახლისს არ შეეძლო გაეგო, მპარავენო. მაგრამ კუსპა გულმოდგინედ აკეთებდა თავის საქმეს და ორ კვირამი, ზედიზედ, ათი ქათამი მოპარა. კუსპა მოპარულ ქათამს კაბის კალთაში ამოაფარებდა, ჩემად გავიღოდა სახლიდან და მხოლოდ მეორე დღეს რომ მობრუნდებოდა, მაშინ მოიყვანდა; მელანოს ეტყოდა, აი გენაცვა, გზაზე უპატრონოდ დადიოდა და მოგგვარეო. მელანო სიამოვნებით იღებდა ქათამს და მაშინვე ყინუს აძრობდა, რადგან დაკლულსა და გაკეთებულს, პატრონიც რომ გამოსჩენოდა. ვეღარ იცნობდა. ერთხელ, მეზობლობაში ლაპარაკი ჩამოვარდა. მელანო რისთვის აქმევს კუსპას, ამ მაშინწალაში ყარვი და საიკეთო რა ნახო. ამ საუბარმა კუსპამდეც მიადწია. მან სახელოები დაეკაპიწა. განიერად გაბობოტა და საპასუხოდ გადათქალა:

— მექეთად ხომ არა გგონიათ, რო მკვმევდეს, ქაქ ე, რამდენი თვეა, ვინ მოსთვლის, ყოველდღე ქათამს ეტუილავ და ვგეტ პატოქას მცენს. თქვენ რა, ხო არა გგონიათ. ჩემთვის გოლი ეწვებოდეს მელანოს და იგრე მკვმევდეს? არა გენაცვათ! ვალში ვალს მიხდის უბრალოდ.

ეს რომ მელანომ გაიგო, კუსპა გემოზე გამოსცოცხა.

— რაო, ეგ რა გითქვია ჩემზე, შე ბებერო ქოფაცო, შენა? ქათმებს უზიდამო, ვალში ვალს მიხდისო? ეგლა მაქლია, შენც ენა აქევეო. ერთი რალაცა დამხრჩვავი ვარიკეოა მოგვარე. იმის სანაცვლოდ რამდენი რამე მოგვიყო, აგრემც თვალეტი შავი მიწით ამოგვესოსო და არ დანიხხო. ადამიანის ამაგი ეგრი წყალში ონდა გადაყარო. შენ გინდა მოგვი და გინდა არა. მანც ყოველთვის ეგრე ძალღუქმადური დარჩები. შე-

ნი გული იგრეა გამათხოვრებელი, რომ ადამიანი სიკეთეს ვერ დაგანახვებს.

— აი, აგრემც სათვალავი აგერიოს და ახალ კუბოში მენახოს შენი დაძველებული თავი, — არ დააკლო კუსპამ, — შე ოჯახქორო, შე ლორისკუჭისავე, რამდენიც ერთ ვარიკულაზე ნეტი ქათამი მოგგვარე, იმდენი ცხელი ტყვია გეცეს მუცელში, იმდენი ცხელი შაითი ჩაგჩარონ ხახაში. შე ცხენისკულაზე გამოსაბმელო, შე თავს ხიფათში ვიგდებ, რას არა ეტინეცობ, რომ შენ გასიამოვნო, შენ კიდევ ეგრე ტნდა დამაფთხისო? აი მოკვდი შენა და დამიწდი!

— რა ხიფათში იგდებ თავსა, ღედაკაცო? არ იძახი, ქათამი უპატრონოდ გზაზე იყო და წამოვიყვანეო? — დაეკითხა მელანო.

— რას ამბობ ქა, უპატრონო არა, შამვი! ჩვენ სოთელში ქათამს უპატრონოდ ვინ გაუშვებს.

— მაშ რა, მოიპარე?

— მაგდანას დაეპარე, რა გეგონა.

— გამორეგვენებლხარ!

— როგორც გინდა იგრე თქვი, დავპარე და!

— რომ გაგიგონ, დავიქერენ.

— შე კი არ დამიქერენ და შენა გტაკებენ ხელსა! მაგდანას ნეზობელი შენა ხარ.

— შე ცოფიანო ძაღლო, რისთვის გამოიკეთე ეგრე, რა დავიშვე, — უწწოდ იყურებოდა მელანო.

— თორე, შენმა მზემ, სხვისი ქათამი ყელზე დაგაღვა და ეს ორი კვირა, სულ ნახობილებს არა ხეთქამ.

კუსპა სადღაც გაქრა და აღარ გამოჩენილა. მელანო მიხვდა. მაგდანა დღეს თუ ხვალ ეჭვს მასზე მოიტანდა და მოაკითხავდა. გულდაგულ ეშვადებოდა საჩხებრად. იქით — გაღმა მხარეს მოსადევბოდა, რომ აქეთ — განოღმა დარჩენოდა.

მაგდანა რამდენიმე დღის მერი, მართლაც, კობესთან მოდგა და დაფანტული ხორბალი რომ ნახა, მელანოს გადმოსძახა.

— ნეზობელო, ერთი გარეთ გამოიხედე.

მელანო ბაღში გავიდა და მაგდანას ცივად მოსალამა.

— ქა, ათი ქათამი დაეკარგე ამ პატარა ხანში, ქურდი, შენც იცი, შორიდან არ მოვიდოდა, შემთხვევით, შენსაში ხომ არ გაერია, გენახა ერთი.

— უცხო ქათამი შე არა მყავს, მაგდან.

— გენახა მაინც!

— ეჭვი გეპარება?

— რაეი. ათი ქათამი დაეკარგე და!

— იგრე გამოდის, შენი ქირიაში ქათამების ქურდი შე ვარ?

— ქურდი როდის ვითხარ, ქა.

— მაშ ეგ გადაქრული ლაპარაკი რა არი?

მაგდანა გაოცებული უყურებდა.

— შე უბედურო. — მოხსნა ყბას მელანომ, — ქმარი დღეცისმარე ავადა გყავს, ექიმებს უნდა ეჭებდე და შენკი ქათამებს დასდე? რა გექათმება, დაჯე სახლში და შენი უბედურება იტირე!

— გკითხე, შე დალოცვილო, ნეზობლობაში კითხვა აღარ შეიძლება?

— ქურდობას მობრალე და კარგად იცი. ცილისწამებნათვის ცხეა. შენ ე, მაგ ლაპარაკსა თავი გაანებე და შენი გზა მონახე.

მაგდანა კისერმოწყვეტილი დაბრუნდა შინ. მელანო დამკინავი ღიმილით გასცქეროდა, მერე გამარჯვებული სახით შემოტრიალდა და ამაყად გამოსწია სახლისაკენ.

ნეზობლებთან მტრობაში სტეფანეც ხელს არ აკლებდა. მერე დიდი უსიამოვნება კვლავ ანანიას ოჯახთან მოხდა.

მეტრეობაში ანანია თავდაპირილად ეჭეოდა სტეფანეს, არც თავს უყადრებოდა და არც მტრად იკიდებდა. სტეფანეს რატომღაც ეჩენებოდა, რომ ანანიამ ყველა მისი ოინი იყოდა. დღეს თუ ხვალ მილიციაში დაბეზლებდა, ამიტომ წინასწარე, მტრობით უნდოდა გადაეხადა. საბაბი არ ეძლეოდა.

ანანია, თავისი ოჯახით, იმდენად კეთილი მეზობელი იყო, რომ იმ შემთხვევის შერეც, როცა მაგდანა ნამღვილად დარწმუნდა მეზობლის ქურდობაში, მეღანოს მაინც შინ უშვებდა, ქვაბსა თუ ვარცხლს ათხოვებდა ხოლმე, ერთი ხანი ცუცხლიც მაგდანასაგან მიჰქონდათ, აქო და, როგორი გაჭირვებულები ვართო.

მელანო ჩინებულად ინიღბებოდა, ბოლო წლები, რაც სტეფანე დიდ ფულს ატრიალებდა, მან ყველაფრის სესხება და ნათხოვრობა დაიწყო. პურს, ყველს, საოჯახო ნივთებს, ჯამ-ქურჭელსაც სესხებოდა, ნათხოვრობდა, რომ სოფლისათვის ეთქმევიანებინა, საწყალი. რა გაჭირვებულა, რა პატიოსნად მუშაობს და მაინც როგორი ღარიბიაო. მელანოს თავით სტეფენოდა მაგდანასთან მისვლა, სიღოს გზავნიდა, მაგდანა შენი კბილისა და შენ უფრო კარგად ეტყვიო. მაგდანა სიღოს არასოდეს ხელცარიელს არ გამოისტუმრებდა, მეზობლისათვის ყოველთვის გულგახსნილი იყო.

სტეფანე მაინც საბაბს ეძებდა. გაზაფხულის ერთ ცხელ დღეს საბაბიც მიეცა.

ანანიას დიდი დედალორი ჰყავდა, ღორი ახალი დაგოქიანებული იყო და პატრონები კარგად უვლიდნენ. როგორღაც, მაგდანას ყური ვეღარ ვგდო, ღორს საერთო ღობე გაენგრა და სტეფანეს ბაღში გადმოსულიყო. ამ დროს სტეფანე სწორედ სახლში მოდიოდა, დილიდანვე აღრენილი და მთვრალი. მან რა დანახა ღორი ბაღში გადმოსულაო, არც აცია და არც ატყელა, დასტაცა ცუღს ხელი, ეცა ღორს, თავში დაჰკრა და იქვე სული გააფთხოზინა.

ვარდიანში დინგა სოფლის კოოპერატივთან იყო, იქ სადაც შარაგზა იყრებოდა და ერთგვარი გზაჯვარედინი იქმნებოდა. დინგაზე თავს იყრიდნენ სალამობით, უმეტესად სოფლის ინვალიდები, მოხუცები, რომლებსაც მუშაობა აღარ შეეძლოთ და მხოლოდ ლაპარაკით ირთობდნენ თავს.

კოოპერატივის ნოქარი, თითქმის ყოველ მესამე დღეს დადიოდა სიღნაღში, თუ კვირაში ერთხელ თბილისშიც უსვამდა ხოლმე, კაცმა არ იცოდა, ამდენი სასიარულო რა ჰქონდა. სამართლიანად ჩიოდნენ ვარდიანში, კოპერატივში როცა არ უნდა მიხვიდე, კარი ყოველთვის დაკეტილი დაგხვდებაო.

დინგაზე ყველა საუბარი ნოქრის გაქურებით იწყებოდა, მაგრამ ნოქარი ტყუილსა თუ მართალს იგეთ აშბავს დაახეთქებდა ხოლმე, რაც მას, ამდენ წაწაღში, საღდაც, გზაზე ეპოვია, რომ ყოველი ყბოლია რჩებოდა. ერთადერთი, ვისაც ნოქრის ნალაპარაკები არ უკვირდა, სტეფანე იყო. მას თავი ქვეყნისა და ხალხის საქმეებში იმდენად გათვითცნობიერებულად მიაჩნდა, რომ ხანდახან იმასაც ამბობდა, მე დამოჯერეთ და გაზეთს არაო. ნოქარი პირველხანად უდავებოდა სტეფანეს, მაგრამ დინგაზე ერთხელ და სამუდამოდ სტეფანემ აიღო პირველობა, მის გამოჩენას გლეხები იგრე ელოდნენ, თითქოს სულზე უნდა მიუსწროსო. სტეფანეს შედაეება არ უყვარდა, მის ნათქვამ სიტყვას წყალი არ უნდა გასელოდა, იტყოდა — კანონი იყო.

— კაცო, იძახიან, საბას უთქვამს, ვინც მეურნეობაში ან კოლექტივში არა მუშაობს, საკარმიდამო მიწა უნახვერდებათო, მართალია? — ჰკითხავდა ცალხელა ინვალიდი სტეფანეს.

— ჰო, იმ დღეს თათბირი იყო მეურნეობაში, დირექტორმა მოწინავე ხალხი დაგვიბარა, ახალი კანონი ყოფილა მთავრობისა, ყველამ უნდა მეურნეობაში იმუშაოს.

— არა ვმუშაობთ, შე კარგო ადამიანო!

— რას ამბობ ბაღლო, სადა მუშაობთ, სხვა დაატყუეთ და მე რას მატყუებთ. ბევრია, ვინც არსად არ მუშაობს და ვაქრობითა ცხოვრობს. ხედავს ამას მთავრობა, რომ მეურნეობაში მუშაობას ყველა თავს არიდებს. ეს კლუბის გამგეთო, ეს დარაჯათო, მომარაგებლათო, ყველა რალაცა სამსახურს ეძებს.

ვენახში მუშაობა კი არ უნდა. ეგრე არ იქნებაო, თქვეს. მთავარია — ვენახში მუშაობა, ვენახია ჩვენი მარჩენალი. ამიტომ, ვინც არსად არ მუშაობს, საკარმიდამო მიწებს გაუნახებრებენ; რად უნდა ყოფილიყო ეგრე, კაცი პატროსნად მეურნეობაში მუშაობდა და უფრო პატარა მიწა ჰქონდა, ვიდრე იმას, ვისაც ვაქრობითა და მამაძაღლობით გაჰქონდა თავი...

— ეგ კი კარგია! მაშინ გამოჩნდება უწნა და მართლაც საქმის კაცი. — თქვა ერთმა.

— კარგია, ჰო, ძან კარგია, — დაეთანხმა სტეფანე. — სამართალი მოდის, ყოველთვის იგრე არ იქნება, ბედის ანაბარად ვიყოთ მიგდებული.

— შენ თუ გაგინაწილებენ მიწასა?

— მე, ძიაკაცო, კარგა იცი, საწყობის გამგე ვარ. პატარა საქმე არ მამარია. ჩემს საწყობში ნახევარი მილიონის საქონელია, ამას მოვლა არ უნდა? მადლობა ღმერთს, ჯერხანად, რიგიანად უძძკევი. რა ვიცი, არსად გამიგია, ჩემზე ცუდი ფთქვათ.

— პატროსან და მშრომელი კაცისა სოფელი ყოველთვის მაღლიერია, — მოელაქუცა ვილაცა.

სტეფანემ შეიფერა ჭათინაური.

— ყველამ იცის, მე ომლობაში გავიზარდე, ხმელი პური მენატრებოდა, სწელაშიც დამჩაგრეს, ჩემი მხნეობით გავიტანე თავი. საცოდავი დედაჩემი, თავისი სიცოცხლე სულ წინდებდა ქსოვდა, იმას ჰყიდიდა და ინახავდა ოჯახსა. მაგრამ ვინ გიტასებს, შექმული და დალეული ვილას ახსოვს?

— მაშა, მაშა, — კვერი დაუქრა იმან, ვინც პირველად მოელაქუცა, — სტეფანე, საკარმიდამო მიწებს ახლად რომ გაანაწილებთ, მე არ დაგაეიწყე, ძან პატარა ნაკვეთი მაქვს და აბა, შენ იცი, სამართალი გამოიჩინე, მაღარიჩი ჩემზე იქნება!

სტეფანემ ყური არ უგდო, თავისი სიტყვა განაგრძო.

— რაცა ვარ, ჩემი ფაქცალობითა ვარ, არავისათვის ცუდი არ გამიკეთებია,

ბიჭი მყავს — ისიც ჩემსათვის მეტრეობისათვის თავგადაცლულად...

— მამა ნახე, დედა ნახე...

— ეგრეა ხალხი! მე კრებებზე ზოგ-ზოგივით ბევრი ლაქლაქი არ მიყვარს, გამოვლენ ხოლმე და რაც იციან ტყუილ-მართალი, ყველაფერს იტყვიან. მე სამჯერ დამაჯილდოვეს კარგი მუშაობისათვის, გუშინწინ, თამაში რომ იყო, ომლიგაციაში, ორასი თუმანი მოვიგე...

— გამიღირებულხარ და ეგ არი! — მიადახეს აქეთ-იქიდან.

— ოჯახსა დიდი გასაეალი აქვს. თანაც დედაჩემი ვერ არი კარგათ და იმის წამლებში მიდის ჩემი ქონება...

— ოჯახსა ხარჯი ბევრი აქვს, რად უნდა ამას კიეინი! — კიდევ მოელაქუცა ქროლა.

— ბიჭი სასწავლებელში უნდა გავგზავნო შემოდგომაზე, მინდა ინჟინერი გამოვიყვანო, სოფლისათვის საავადმყოფო ავაშენებინო...

— კეთილი კაცი ხარ სტეფანე, ღმერთი ამავს არ დაგიკარგავს.

— რა ვიცი, ღმერთი იქნება თუ კაცი, მეც უნდა მომხედოს როდისმე, რამე რომ გამიქირდეს, სოფელი მომეხმარება, კაცს არაფერი ასტკივდეს, თორე სატკივარს ხელათ დაუყუჩებს ხალხი, თუ იმისი სიყვარული აქეთ... ეპ, რაღა გავაგრძელო, ზანდაზან იგრეც ხდება, მთელი სიცოცხლე წელზე ფეხს იღვავე, საქმეს თავს ჩააკლავ და მოკვდები იგრე, რომ შენ სიკვდილზე ერთ კაცს არ გაღმოვარდება ცრემლი.

— ეპ, ღმერთმა გეაშოროს მაგეთი უბედურება.

— გეაშოროს, ამინ! სამაგისო რა გავაფუქეთ ცხოვრებაში.

სტეფანემ დინგადან ყოველთვის გაჯაგრებული ბრუნდებოდა. ასეთ დროს სიღოსთან ჩხუბი უყვარდა ხოლმე. ჩხუბი ექვიანობით იწყებოდა.

— არ გითხარ დედაკაცო, კარში ფეხი არ გააღვა-მეთქი?

— დამეხსენ, აჯამივით ნუ იცი ერთის აკვიატება. — კბენდა სიღო. — ქათამი არ ვარ, ეზოს გარეთ არ გავიდე.

— რას დაეთრევი, რა დაგაქვს? ძალი ქალაქს მიდიოდა, რა მიპქონდა, რა მოპქონდაო.

— შენ ჩემ ლანძღვასა თავი დაანებე, ძალღები შენ გვარში შოიკითხე.

— ნუ მომშალე დედაკაცო, თავათაც ნერვები გაწყვეტაზე მაქვს.

— რა გიწყვეტამს ნერვებსა, შენმა მზემ, ჩემი ჩანაცმელ-დასახურის ყიდვაში წელი მოგწყდა.

— რამდენი უნდა გიყიდო ქალო, თვეში თათო კაბასა და ფეხსაცმელს ვყიდულობ, მეტი რაღა გინდა?

— შენ რაც არ გინახამს, ის გაგვივირდეს. ხალხი თვეში ორ-ორ წყვილს იცვლის შენ რომ გლები იყო და კულტურისა არა გესმოდეს, ჩემი ბრალია? მე, ბოლოსდაბოლოს, სიღნაღში ვარ გაზრდილი და არა, თქვენ წიტიან ვარდიანში.

— ვარდიანი რით არი ვითომ ნაკლები სიღნაღზე? ახლა ეგ წამომძახე, გაზრდილი არ ვიყო.

— გაიგე. შეტუშვი მაგ ყურებში, კობტა ჩაცმა მინდა! არ შემძლიან, მთელი სიკოცხლე მოსამსახურეთ დაგიდგე და შენი საცვლების რეცხვაში ამომხდეს სული. შენ აღარ გახსოვარ? გადაყოლილი ხარტ შენა და შენი შვილი რაღაც „მაზინაციებსა“...

— საბი გაიქრე და მეორეთ აღარ დაგვლეს! შე რეგვენო! ვისთვის მინდა, რაღაც ორ კაპისა, რომ ემონაგრობ. შენთვის არ მინდა, ისევე?

— ჩემთვის რა გინდა, რა, ეს ბოლო ორასი თუმანი, მთელ სოფელს რომ მოვდეთ, ობლიგაციაში მოვიგეთო, სად უნდა წაიღოთ?

— სადა და მამაჩემთან! შენ უნდა შეგახეთქო ისევე და შენ შვილსა.

— გუჯას მე ნუ მილოცავ. მე მაგეთი უქნარა არ გამიზრდია.

— შენი შექნილი არ არი ი მიჭი, დედაკაცო?

— შენი კიდე გაზრდილია! გაზრდილი კი არა, გაფუჭებულია. გგონია, არ ვიცი, შენა და იმას რა გაბირებიათ.

— რაო, რა გვიბირებია?

— მატაციკლეტის ყიდვა სდომებია იმ ვაჭბატონსა.

— სხვა რაღა იყო, ეგ ქალაქში, სახლის საყიდლად გადადებული ფულია.

— რომელი სახლი, რის მატაციკლეთი. მთელი სოფელი კრემპოროელებში დაღის! შე რითა ვარ სხვაზე ნაკლები? მე მთელი სოფლიდან გამორჩეული რად უნდა ვიყო. დღენიადაგ რომ მეკვებები, ვაეკაცი ვარო, ეგ არი შენი ვაეკაცობა, ცოლისათვის ვერ ჩავაეკმევია?

— მამ ტატრაყუნა დახვალ?

— ეგღა მაკლია სწორედ, ან ეგ მეკადრება თქვენისთანა ტეტიებისაგან ქალაქში ვაზრდილ ქალს, რომ კუსპაათით შიშველმა ვიარო. თუმცა იქამდე აღარათფერი მაკლია.

— რას ჩმახე, რაცა მაქვს და არა მაქვს, სულ შენთვის არ არი? დეღამთილს ცალკე ართმევე ფულებსა, მე ხომ სინსილა გამიწყვიტე, მთელი დღე უსაქმოდ გღიხარ და სივებში. რატომ არ მუშაობ მეტრანობაში? ოჯახი არ გიყვარს?

— სიღნაღელი ქალი ვენახში მუშად დაგვადგე! რომ მირთავდი, რა მითხარ, თუ გახსოვს?

— ეშმაკა და შავი ჭირი შენ თავს, რა ვიცი, რა გითხარ.

— მე ძან კარგად მახსოვს, რაც მითხარი. ოღონდ ჩემი ცოლი გახდი და ხელის გულზე დაგისვამო. აბა, კარგათ მოიგონე, დოქნებში რომ დამათროდი, „ფანტაზიაში“, სულ ამას არ მეუბნებოდი?

— ძან მიმიქარავს, თუ ეგრე მითქვია.

— ახლა გვიანაა თავში ცემა, ამიკიდე და ბოლომდე უნდა მატარო.

— თორემ რას იზავ?

— რასა და იგეთ რამეს, რომ სირცხვილით თავი გარეთ ველარ გამოუო.

— დაჩუმდი! ენა ჩაიგდე, შე კახხავე! აი შენ! — სტეფანემ ხელი გაიქნია და სიღნის ისეთი სილა გააწნა, რომ ქალი დაბარბაცდა და ჩაიკეცა.

ანანიას უთენია უყვარდა აღგომა. მამლები რომ მესამედ იყივლებდნენ, იღვიძებდა, ცალი თვალით ფანჯარაში იკვირებოდა და არკვევდა, გათენებული იყო თუ არა.

კვირა დღეს, როცა მეურნეობის საქმისაგან მოკლეთ იყო, შინ დატრიალდებოდა ხოლმე. ანანიამ მიწა საბოსტნედ არ გაიმეტა და ვაზი ჩაყარა. უკვე კარგა ხანი გასულიყო, შინა ვენახიდან მგზუთე თუ მერვე მოსავალს იღებდა, ისეთი სიყვარულით მოევლო, იმდენი მზრუნველობა გამოეჩინა, რომ ვენახი კარგ მოსავალს აძლევდა და გაკეთებულ იც სანიმუშო იყო.

სტეფანესაც მოეჩხორა რაღაცა ვენახი, რომელიც შაჰსა და ბალახს სულ ერთნაირად დაეთარა და გაეთუქებინა. ანანია არ იყო სტეფანესთან კეთილად განწყობილი, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც დედალორი მოუკლა და ამოდენა ზარალი დაადო, მაგრამ მას ზოროტი გული არა ჰქონდა, არ შეეძლო ვისმეს ჯავრი დიდხანი გულით ეტარებინა, თუმცა სტეფანე არ ეპიტნაებოდა.

კვარა დღე იყო, ანანია უთენია გამოსულიყო თავის ვენახში, სასხლავი დანა გამოეტანა და ჩვეული ოსტატობით ვენახსა სხლავდა. ნახევარი საჭმე გალუული ჰქონდა, რომ ანაზად მომიჯნავეისაყენ გაიხედა და დაინახა, სტეფანე და გულჯაც გამოსულაყვენ თავიანთ ვენახში. ანანია შედგა და თვალის დევნება დაუწყო. გაელიმა. გამოცილილმა მევენახემ თვალის ერთი მოვლებით შენიშნა, რომ სტეფანეს სასხლავი დანა ისე ეჭარა, — როგორც ვაჰარს ხმალი. ჯერ გაელიმა, მერე უღიდესი სიბრალული იგრძნო ვენახისადმი, ვაზებისადმი, რომლებსაც იგი თავისი სიცოცხლის მანძილზე ისე შეზრდოდა, რომ თითქმის სულიერადაც ჰყავდა წარმოდგენილი და მათ ტყვიას თავთ

არანაკლებ განიცდიდა. ანანიამ დაინახა, ვაზებს, რომლებსაც მან მთელი თავისი სიცოცხლე შეალოა, მის სიყვარულსავე წითელს, ვენახში დაბადებული, მაგრამ ზარკაცი და გამოუსვლელი კაცი აწვებდა, გაკეთება უნდოდა და აფუქებდა, გასხვლა უნდოდა და ლამის ლერწები სულ დაეჭრა. ველარ მოითმინა ანანიამ. ერთი წუთით დააეიწყა ყველა წყენა და შეურაცხყოფა, რაც კი სტეფანესაგან ახსოვდა, ლობეზე ახალგაზრდული სიმხნევით შეხტა, ზედ გადაეკლო და გაოცებულ სტეფანეს წინ ეტუზა.

— გატყობ, ვენახის გასხვლა არ გეხერხება. მაგრე კი არ უნდა, აი ეგრე. — თქვა ანანიამ, სტეფანესათვის ზედაც არ შეუხედავს, სასხლავი დანა გაშალა და ვაზებს დაჰყვა.

— აი, სტეფანე, ხო ხედავ, იგრე უნდა გასხვლა, რომ ვაზის რქა არ დაახიანო. ვაზი ბავშვივითაა, გენაცვა! თუ პატარაზე გააქრე, იგრე ატირდება, გეგონება შუა გაგეჭრას. ვენახი თოთო ბავშვსა ჰგავს მეზობელო, დღენიადაგ ლოლიავი უნდა, თუ გსურს მოსავალი მოგეკეს და მოვლაშიც არ გაგოჯიურდეს. მაშა, აი ეგრე უნდა გასხვლა, უყურე, რომ არ იცოდე, რა თაკილია... მითხარ, შე კიი კაკო და გაჩვენებ... ეგრე... ნახე! — ლაპარაკობდა ანანია, ვაზებში დაალაგებდა, მარჯვე ხელით ვენახსა სხლავდა.

სტეფანე გაოცებული იდგა, თვალს არ უჯერებდა. „რატომ, რისთვის? — ეკითხებოდა საკლთარ თავს. — რის მაგიერია, იმის ქანაცვლოდ, რომ სახანჯლედ იყოს გადაიკლებული, ჩემ ვენახზე გული სტიკვა და მე, მის ავ მეზობელს, სხვლას მასწავლის?“

ანანიას დავიწყებოდა სტეფანეცა და თავისი თავიც. ის ნაზად ეჩურჩულებოდა ვაზებს, ალერსიანად ხელისგულს უსვამდა, ულოლიავებდა.

მარეა კახიძე



მერცხალი

მერცხალმა ატმის ყვავილი
ლიმილად შემომაყარა,
მზის დაბადება მახარა,
როგორც მეკვლემ და მაყარმა.

მერცხალს ღიმილს როგორ დავუპერ —
გული გავუხსენ კახურად;
მოვიდა, ბუდე სახლის ქერს
კახურ ქუდივით დახურა.

მერე აივანს ესტუმრა
ყელმოღერებულ ყანწივით,
როგორც რაკვეთმა მესტვირემ,
მომტაცა გულის ნაწილი.

ასე მეგონა, კუდვარდას
ჩემი სახლ-კარი უყვარდა.

როცა მინდვრები წვიმებმა
ლეკის ჩელივით გათელა,

თბილ ქვეყანაში ინება
კუდმაკრატელამ გაფრენა.

წაიღო ტყბილი სიმღერა —
მე რომ მესმოდა ნანადა
და თეთრი გული შაფრთებქვეშ
თეთრად რომ შემომანათა.

და მე კი თვალში დამაკლდა
მერცხალი მოჭრილ ცერივით;
გადიფრინა და დამკარგა
დედინაცვალის ცრემლივით.

ჩემი მეგონა მერცხალი,
ცოცხალიცა და მკედარიცა,
ის კი სიცივით შემეცბარი
სხვა ქვეყანაში გაიქცა.

მე ჩემი მკვიდრი მეგონა,
ჩემი კერიის ზონგური;
ჩემი ერთგული მეგონა,
თურმე ყოფილა ორგული.

წყარო

მე წყარო შემხვდა ქართლის მიწაზე,
მხრებით მოჭქონდა ზეცის მანდილი;
მე წყარო ვნახე დილა სისხაშზე,
კლდეში კრავივით გადავარდნილი.

მითხრა: ამ მიწის მაღლი ვიწამე,
ჩემგან აყვავდა მიწა ვარდივით;

ხან უზრუნველად ვწევარ ქვიშაზე —
ქართლის ველეზე ხტომით დადლილი.

ეუფლი ქვეყანას შიშველ ფეხებით,
გახარებული გლეხის ბაღლივით
ამ მზედაუმცხრალ დედამიწაზე
მეც მიბოვნია ჩემი ადგილი.

შოგვა იანოკაპლა



მთვარი

მხოლოდ შენ, ჩემო ფერმკრთალო
მთვარევე,
სუსტს და უპოვარს გზა გამინათე,
როცა შორს დარჩა მშობელი მხარე,
მისი ცრემლი და მისი სიმართლე.
შენ დამანახე გნამასის მთები
და სამშვიდობოც შენ დამანახე.
დაღლილს და შემკრთალს,
ლტოლვილს და მშიერს •
მიფენდი სხივებს და გრილ ბალახებს.

ჩემო ძლიერო დაო და დედავ,
ჩაღვრილი ჩემთა თვალთა გუგებში,
მე ახლა უფრო და კარგად გხედავ
გადარჩენილი შენი ნუგეშით.
შენ ამარიდე მგლის კბილს და
ბრქყალებს
და იყავ კეთილ სხივთა მთოვარი.
მთვა-რევე! რამდენი გინახავს,
მთვარევე! —
ჩემსავით სუსტი და უპოვარი.

ერთი წერილი მემოგრაგს

ერთად ვიყავით, ყოველთვის,
ყველაგან...
და აი, ახლა მე სულ შარტო ვარ.
გაქრა, უეცრად და სადღაც გაქრა
ჩვენი ბავშვობა, ჩვენი გართობა.

თუ შეგეცვლებათ წუხილი ღზენით,
ხეს დაამტვრიეთ თბილი ტოტები
და გაიხსენეთ ბავშვობა ჩვენი.

წვეული ომი... მე ვწვეული ყველას
ვინც მოიგონა ომი და ციხე,
მაგრამ ვერ შევძელ მე თქვენი შველა,
მე ვერც გნახულობთ და ვერც სისხლს
ვიღებ.

მე თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს
მხოლოდ,

მე თქვენ სახელზე ხეს დავრგავ
ბალში,
ის მოგვაგროვებს თბილი ტოტებით,
ყველანი ერთად ვიქნებით მაშინ
და აღარასდროს არ დავშორდებით.
მე ხეს დავარქმევ თქვენს კარგ
სახელებს
და იმას, რასაც ეტრფოდით ასე.
ხე გაიზრდება და ყველა მნახველს
მშვენიერ ჩრდილებს დააფენს თავზე.

ეს თხოვნა მიყვარს და ძალას მშატებს,
ნუ დაივიწყებთ, თუ ხართ და
ცხოვრობთ
ჩვენს მრავალტანჯულს ელადის
ნათელს.

და თუ თქვენ მოხვალთ, როდისმე
შაინც,

მე თქვენს სახელზე ვახარებ ვარდებს
და მათ დავარქმევ მშვიდობის ვარდებს
და თუ ამ ქვეყნად მე აღარ ვიყო,
თუ მოკვდე უცებ, ჩემად და სადმე,

ჩემი ვარდები დაკრიფეთ ყველაშ,
ჩემს ვარდებს ირგვლივ იტყავით
ყველაშ,
ოღონდ თქვენს შორის მეც
მიგულისხმეთ,
თუმცა ვერ შევძელ მე თქვენი შველა.



ლ ა თ ა ი ა

ვარლობისთვის ვარდებს ვკრეფდი,
 ღვინობისთვის ღვინოს ვსვამდი...
 ვარლობისთვის გზაზე შემხვდი,
 ღვინობისთვის შემიყვარდი;
 ვარლობისთვის გაგიცანი
 და ვარდივით გამიცინე...

იმ ვარლობას დაგედევნე,
 ამ ვარლობას დაგიკირე;
 ერთხელ კიდევ გამიცინე,
 ჩამოშალე შავი თმები...
 ვარლობისთვის გააკოცე და
 ღვინობისთვის დავითვრები.

მე ეგ შავი თვალები
 მინდა თითქო არც მინდა;
 წამო აველოთ ქარები,
 ვნახოთ ჩვენი მთაწმინდა,
 ფრთა თეთრი და ფრთაწმინდა.
 ნაძვებს შევეფარებით
 გზაზე თუკი გაწვიმდა.
 წამო გეტყვი თანდათან
 რაც არ მინდა, რაც მინდა.
 წამო ტატოს საფლავთან

გვაზიაროს მთაწმინდამ.
 ავეყვით აღმა ბილიკებს,
 ვნახოთ საით წაგვიყვანს...
 მე ეგ შავი თვალები
 არ მიყვარს და თან მიყვარს...
 წამო აველოთ ქარები
 ვნახოთ ჩვენი მთაწმინდა
 ფრთა თეთრი და ფრთაწმინდა...
 გზაზე თუკი გაწვიმდა
 დაგვიფაროს მთაწმინდამ.

ლოზე-ლოზე

ლოზე-ლოზე ალუბლები,
 ლოზე-ლოზე მაყვლიანი,
 ლოზემძქრალა ჩიტუნები,
 ტირიფები ნალვლიანი...
 ყვავილების ნიაღვარი...
 ღამე ვარსკვლავთვლიანი,
 გოგო თვალებზამიანი,
 ბიჭი თვალებზალვლიანი...
 ლოზე-ლოზე მაყვლიანი,
 მაყვლიანი ვარდიანი

ბიჭი გოგოს დარდი არი...
 გოგო ბიჭის დარდი არი...
 ლოზე-ლოზე ალუბლები...
 ღამე არი სატრფიალო
 ლოზე-ლოზე დაუყვავი
 გოგო თვალებზამყვლიანო...
 გოგო თვალებზამყვლიანო,
 ღამე არი სატრფიალო...
 წყაროს თავზე გელოდები
 ტუჩი ჩავითაფლიანოთ.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე



ფ ა შ ს ტ ი

აუერბახის სარდაფი ლაიფციგში

(მოკლეფე მხიარული მეგობრები)

ფ რ ო შ ი

არეინ იცინის? არეინ სევამს, შაგვეარ
დინგებს შეჰდერის მიბეგვა მაგრად!
ჩამქრალა თქვენში ალცეცხლის ძალა
და ჰგავნართ ახლა ვალუმპულ ჩაღას.

ბ რ ა ნ დ ე რ ი

შენი ბრალია: გვადირსე ბარემ
შენი ღორობა, სირეგენე რამე!

ფ რ ო შ ი

(თაეზე ვადაასხამს ჭიქა ღვინოს)
აჰა, ინებე!

ბ რ ა ნ დ ე რ ი

ხარ ორგზის ღორი!

ფ რ ო შ ი

რაც მთხოვე, მოგეც. ნუ გინდა ჭორი!

ზ ი ბ ე ლ ი

კარში ვააგდეთ ჩხუბის თაეი და შუოთის მცველი!
სჰეჰეთ სიმღერა ჯიგრიანად ორპირი, გრძელი!
ჰეი! ჰოლა! ჰო!

ა ლ ტ მ ა ი ე რ ი

-ვაიმე! მოვეკვდი! მოიტა ბამბა!
ეს ყურუმსალი ყურებს მიხერეტს, ყრუებში შაბამს.

ზ ი ბ ე ლ ი

სახლის კამარა როს ზანზარებს და არ აყოენებს.
მაშინ გრძნობ ბანის ნამდვილ ძალღონეს.

**ფ რ ო შ ი**

ეს მართალია. გააძვევთ კარში წუნია!
ა! ტარა ტარა და.

ა ლ ტ მ ა ი ე რ ი

ა! ტარა ტარა და!

ფ რ ო შ ი

მომართულ ყელთა ხმის გუგუნია!
(მღერის)
რჩეული, წმინდა რომის სამეფო,
მიკვირს, ამდენხანს რად არ დაემხო!

ბ რ ა ნ დ ე რ ი

პოლიტიკური სიმღერაა! ფუი! უგუნური!
უფალს უმადლეთ, ყოველ დილით რომ არ გიხდებათ
რომის სამეფოს გამო ზრუნვა, მისი დიდება.
მიხარის, მწყალობს ბედის ფაყერი,
რომ არ ვარ მეფე, მისი კანცლერი.
მაგრამ უფროსი საჭიროა პურის ჭამაშიც.
პაპის არჩევა ნუ გგონიათ უქმი თამაში.
კაცს რომ მაღალი მიენიჭოს თანამდებობა,
სამისო ნიჭი უნდა ჰქონდეს, ხერხი, ხელობა.

ფ რ ო შ ი

(მღერის)
აფრინდი, დედა, ბულბულო,
გასწი, მთა-ბარი გადასკერ
და გადაეცი ჩემ სატრფოს
მოკითხვა ათიათასჯერ!

ზ ი ბ ე ლ ი

არ მინდა სატრფოს მოკითხვები, — შეენს ქალიშვილს.

ფ რ ო შ ი

სატრფოს მოკითხვას და მის კოცნას შენ ვერ დამაშლი!
(მღერის)
კარი გააღე! მდუმარე ღამით
სატრფოს არ სძინავს, მოესმის ჩქაში.
კარი დახურე! მოდის აისი!

ზ ი ბ ე ლ ი

მაშ უგალობე და უმღერე, აქე ხალისით!
მაშინ დაგცინებ დიაცს კაცურებ,
როდესაც სატრფო, ისე ვით მე, შენც გაგაცურებს.
გზაჯვარედინზე შეეყაროს მას ავი სული,
გათამაშოს მოკუნტრულზე, შმაგი ფეთებით,
მთა ბლოკსბერგიდან მარბენალი, წყეული, კრული
ის ბებერი თხა. ღამე ნების უთხრას პეტელით.

სისხლით და ხორციით ჯანსაღ კაბუკს შეკფერის გაწა
კახბა ღიაღის ფეხების ფხანა?!
მას არ ვეყმები, თავს არ ღაღუბრი,
არამედ სარკმლის მინებს ღაღუმსხერე!



ბ რ ა ნ დ ე რ ი

(მაგაღაზე მუშტს ღარტყამს)

სმენა! მისმინეთ! ღამერწმუნოს თქვენი კრებული:
ვიცი ცხოვრების ძირი და ფესვი.
მე მისი ტკბილი და მწარეც შეესვი.
რადგან აქ სხედან და შეყრილან შეყვარებულნი,
უნდა თვითელს შესაფერი ვარგუნო რამე —
ბედი, პარტივი და სიამით აღსავსე ღამე.
ახალ ყაიდის რამ სიმღერას გეტყვით ამაღამ,
თქვენ მისამღერი შემოსძახვით, სქეკეთ ხმამაღლა!
(მღერის)

სარღადღში ერთი ვირთაგვა
სულ ერბოს ჭამდა და ქონსა,
ამიტომ ღიპი, გეთაყვა,
ვით ღოქტორ ღუთერს ღაქქონდა.
ქალმა მოწამლა. სოფელი
შესზარდა ავისმყოფელი,
თითქო გახღათ მიჯნური.

ქ ო რ ო

თითქო გახღათ მიჯნური.

ბ რ ა ნ დ ე რ ი

ღაიწყო რბენა წანწალი,
შინ ღრღნა და ჩხაპნა მტანჯველი.
გუბის წყალს სემდა საწყალი
და არ ღაღდა საშველი.
აღარაღერი აღაღებს.
გაღაღიღდა მაღაყებს,
თითქო გახღათ მიჯნური.

ქ ო რ ო

თითქო გახღათ მიჯნური.

ბ რ ა ნ დ ე რ ი

გიევიათ თმაგატრუსული
ღღისით საშზადში შევარდა.
ცეცხლის პირს ღაწვა კრუსუნით.
და მზარეულმა შეჭკადრა
ღაციწვა, სიტყვა უწესო:
ყველა ნახვრეტით უსტვენსო
თითქო გახღათ მიჯნური.

ქ ო რ ო

თითქო გახღათ მიჯნური.



ზ ი ბ ე ლ ი

რეგვენი ხალხი ერთობა ამით!
რა გმირობაა გამოსაჩენი
საწყალ ვირთავვას მოწამულა შხამით?!

ბ რ ა ნ დ ე რ ი

დიდი ხანია მას ესარჩლები?

ა ლ ტ შ ა ი ე რ ი

(ზიბელს)

თავმოტყელებილი და ქაჩალი ეს ღორმუცელა
აღოვისგან ვახდა გულკეთილი და შშვიდი სრულად!
მუცელგაბერილ ვირთავვაში იგი უცვლელად
ხედავს თვის სახის ბუნებრივ და ქეშმარიტ სურათს.
(ჟემოდიან ფაუსტი და მეფისტოფელე)

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(ფაუსტს)

შსურს იმ თავითვე და პირველყოვლის
დაგვვა მხიარულ, ლალ ხალითა შორის,
რომ ნახო მათთვის ეს ცხოვრება რა იოლია.
ხალხს დღე ყოველი უქმე ჰგონია.
უქკუოს, რეგვენს მეტად კარბი აქვს აღტკინება,
ცეკვის ფერხულში დაბზრიალებს, მუდამ წინ არის,
თითქოს იჭერსო საკუთარ კედს შმაგი ცინდალი
და სანამ თავი არ ატკივდება
და დახლიდარიც აძლევს ნისიად,
ცა და ქვეყანა მართლა მისია.

ბ რ ა ნ დ ე რ ი

ესენი ალბათ ჩამოვიდნენ უცხოეთიდან.
ეს სჩანს უცნაურ მათ ქცევაში. მხოლოდ ერთილა
საათი თუა, რაც აქ არიან.

ფ რ ო შ ი

ჰოი ჩემ ლაიფციგს ვაქებ ძალიან.
იგი პატარა პარიზივით ხალხს აფაქიზებს.

ზ ი ბ ე ლ ი

აბა რა იცი, რომ არიან უცხოელები?

ფ რ ო შ ი

გამიშვით, მივალ, მივაწოდებ ერთ ჰიქას სახეს
და ოსტატურად ამოვადრობ სათქმელს მათ ისე,
ვით ჰიას, ხორცმეტს ცხვირიდან ბავშვებს.



ისე ზვიადად გვიყურებენ დალოცვილები,
 ალბათ არიან კეთილშობილ სახლთა შვილები.

ბ რ ა ნ დ ე რ ი

ვდებ სანაძღვოს, რომ ორივე შარლატანია!

ა ლ ტ შ ა ი ე რ ი

იქნების.

ფ რ ა შ ი

ჩემად. დაგანახვებთ რანი არიანი!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ხალხი ვერა გრძნობს, რომ ეშმაკი მათში ტრიალებს,
 თუნდაც ჩასქიდო საყელოში ხელი ტიალებს.

ფ რ ა შ ი

ჩვენი სალამი; თქვენ ბატონებო!

ზ ი ბ ე ლ ი

მადლობას გიძღონით სალამისთვის განა მარტონი!
 (მეფისტოფელს გვერდზე გადახედავს. ჩემად)
 ცალ ფეხზე კოჭლობს, თუ არ ვცდები, ეს ვაჟბატონი!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ნებას თუ მოგაცემთ, ჩვენც თქვენთან დავსხდეთ?
 წესიერ ხალხში გიჯობს ვაერთო,
 თუ ვერსად პოებ გემრიელ სასმელს.

ა ლ ტ შ ა ი ე რ ი

ნებიერება ბავშვობიდან ალბათ დაგეტყოთ!

ფ რ ა შ ი

დაიგვიანდათ რიპაზიდან ჩამოსვლა ალბათ?!
 ხომ არ ივახშმეთ ჰანს-სულელთან შემთხვევით წუხელ?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

არა. დღეს გვერდზე ჩავუარეთ და სხვაგან ვხუხეთ.
 ამას წინათ კი ვინახულეთ და როცა დალბა,
 ბიძაშვილებზე გვესაუბრა დაულალაური
 და გითხოვა, მათთვის გადაგვეცა მისი სალამი.
 (ფროშს უკავს თავს)

ა ლ ტ შ ა ი ე რ ი

მოგხვდა, ვაჟამა?



ზიბელი

ცოტა დამაცა, ბრძოლა წინ არი!

მეფისტოფელი

აღბათ აქედან იყო ხმის ეღერა,
რომ გაგეგონეს წელან გუნდებმა.
ამ კამარის ქვეშ მართლაც სიმღერა
უფრო მშვენიერად აგუგუნდება.

ფროში

მუსიკოსი ხართ, არ არის იქვი!

მეფისტოფელი

არა, სურვილი თუმც დიდი მაქვს, არ შემწვევს ნიჭი.

ალტმაიერი

ერთი სიმღერა!

მეფისტოფელი

რადგანაც გსურთ — ათასი ბარემ!

ზიბელი

მხოლოდ უთუოდ ახალთახალი!

მეფისტოფელი

ეს არის მოვლეთ ესპანეთი, მთები მაღალი,
ღვინის, სიმღერის სანატრელი და ტურფა მხარე.
(მღერის)

იყო ერთი მეფე უხვი
და მას ჰყავდა დიდი რწყილი...

ფროში

გესმით? რწყილი! სახუმარო ლექსი თუ არის!
ჩემთვის კი რწყილი უსიამო არას სტუმარი.

მეფისტოფელი

(მღერის)

იყო ერთი მეფე უხვი.
ჰყავდა ერთი დიდი რწყილი.
შეუყვარდა მეფეს რუხი
რწყილი, როგორც ღვიძლი შვილი.
იხმო თერძი და უბრძანა:
შეუკერე რწყილს შარვალი
და ქურთუკი იმისთანა, —
სხვას არ ჰქონდეს ტალავარი!



ბ რ ა ნ დ ე რ ი

არ დაგავიწყდეთ, გააფრთხილოთ თქვენი მკერვალი,
რწყილს ზუსტზედ-ზუსტი აულოს ზომა.
თუ არ მოძულდა იმ საბრალოს თავი ვერანი, —
არ აჩნდეს შარვალს ნაოქები და სადმე კობა.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(მღერის)
ორდენებით, აბრეშუმით
მორთული და მოკაზმული,
ხავერდოვან ძვირფას ჯუბით
მოაბიჯებს უფლისწული.
მინისტრადაც აირჩიეს
და მიაკრეს მკერდს ვარსკვლავი.
მედიდური გახდა ძლიერ,
ნათესაფთა ახლავს სვავი...
დედოფალს და დიდებულებს,
ჩინებულებს სასახლისა
ჯავრი, გლოვა უჩენს წყლულებს,
არა სურდათ ჭვრეტა მზისა.
ვერ ბედავდნენ ტანის ფიანას,
კაბის ბერტყვას. იყო თმენა.
ჩვენ კი ვიფხანთ და ვჰყლუტთ თანაც,
თუ გაბედა რწყილმა კბენა.

ქ ო რ ო

(მხიარულად)
ჩვენ კი ვიფხანთ და ვჰყლუტთ თანაც,
თუ გაბედა რწყილმა კბენა.

ფ რ ო შ ი

Bis, bravo bravo! ყოჩაღ, კარგია!

ზ ი ბ ე ლ ი

თვითეულ რწყილის ასე მოკვლა მეტად შარგია!

ბ რ ა ნ დ ე რ ი

ბასრი ფრჩხილები წაატანეთ ყაჩაღ-თულებსა!

ა ლ ტ მ ა ი ე რ ი

ვადიდოთ ღვინო, გაუმარჯოს თავისუფლებას!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

თავისუფლების გამო ჭიქას შევსვამ ხალისით,
რომ იყოს ღვინო უკეთესი, კარგი ხარისხის.

ზ ი ბ ე ლ ი

მაგის მოსმენა მფორეჯერ არა გვსურს სწორედ!



მეფისტოფელი

ვშიშობ, დახლიდარს ვაწყენინო, ეს არის თორემ, ამ ძვირფას სტუმრებს მივართმევდი ფართო ლანგარით საუკეთესო ამ ქალაქში რაც კი რამ არი.

ზიზელი

აქეთ მოზიდეთ! ჩვენ დახლიდარს მე დავიყოლებ!

ფროში

ერთ ლამაზ ჭიქას თუ მოგვართმევთ, გაქვებთ-გადიდებთ! მხოლოდ ჭაშნიკად არ მეყოფა მცირე სათითვე. შემოწმება და სინჯვა მალაატობს, ღვინით თუ არ მაქვს სავსე ყანყრატო.

ალტმაიერი

(ჩუმაღ)

ჩვენი სტუმრები რეინიდან ვატყობ არიან.

მეფისტოფელი

შიშოვეთ ბურლი!

ბრანდერი

რად გინდათ ნეტავ?

აგერ კარის წინ დიდ კასრების მთელი ჯარია.

ალტმაიერი

დახლიდარის ყუთიცი იარალით აქა დგას, ზედავეთ?

მეფისტოფელი

(ბურღს იღებს და ფროშს ეკითხება)

ახლა მითხარით, რომელ ღვინის გასინჯვა გნებავთ?

ფროში

როგორ? მარაგში ათასგვარი განა გშთენიათ?

მეფისტოფელი

სურვილისამებრ აირჩიეთ. ნება თქვენია!

ალტმაიერი

უკვე დაიწყე ბაგეების ვალოკვა შენა?

ფროში

თუ არჩევაა, რეინვეინს მე შენგან ველი.

საუკეთესო ნაყოფს გვაწვდის სამშობლო ქველი.

მეფისტოფელი

(ამ დროს იგი იმ ადგილას, სადაც ფროში ზის, მაგიდის კიდეში ბურღავს ნახერტს).

ცოტა სანთელი! გავაკეთო უნდა საცობი!

ალტმაიერი

ეს ფოკუსია და თვალთმაქცობა!

მეფისტოფელი

(ბრანდერს)

თქვენ?

ბრანდერი

* შამპანური ღვინო ქებული,
ჭიქიდან უხვად გადმოღვრილი, აჭაფებული!

მეფისტოფელი

(ისევ ბურღავს. ამასობაში, ერთი სტუმართაგანი საცობს აკეთებს და ნახერტებში არჭობს)

ბრანდერი

უცხოეთშიაც ხშირად არის ბევრი რამ კარგი, განძი, დოვლათი რომ ვეტანებთ. ნამდვილ გერმანელს, მართალია, არ უყვარს ფრანგი, მაგრამ მის ღვინოს კი მიირთმევს დიდ ნეტარებით.

ზიზელი

(როდესაც მეფისტოფელი უაზლოდება მის ადგილს) მეავე სასმელი, გაგიმელაუნებთ, ყოველთვის მძულდა. მომეცით ერთი ჭიქა ღვინო შეაქარაული.

მეფისტოფელი

აზღავ იჩქეფებს აქ ტოკაური!

ალტმაიერი

არა, ბატონო. აწ სახეში მიცქიროთ უნდა, ვხედავ დაგვიცინით და გვეხუმრებით!

მეფისტოფელი

ოჰო! დაცინვა პატივეცემულ ასეთ სტუმრების ჩემთვის საშიში იქნებოდა. ეგ რა მასმინეთ? მალე მითხარით, ამას გთხოვთ მარტო: რომელი ღვინით გაგიმასპინძლდეთ?

ალტმაიერი

რომლითაც გსურდეთ! შეკითხვებით რისთვისღა გვართობთ? (მას შემდეგ, რაც ყველა ნახერტი გაკეთებულია და დაცობილი)



მეფისტოფელი

მტევენები ასხია ვაზის ხეს!
 რქები — თხებს.
 ღვინო სითხეა, ვაზი ხეზე აიტყორცნება.
 ხეს — მაგიდასაც შეუძლია ღვინის მოცემა.
 ბუნებას უნდა მიაპყრა თვალი!
 იქ არის ყველა სასწაულის სარწმუნო კვალი!
 აწ საცობები ამოადერეთ და გაიხარეთ!

ყველანი

(საცობებს ამობენ და თვითუღოს კიქაში
 სანატრელო ღვინო ისხმება)
 ცემს სანეტარო შადრევანი და არ იქარებს!

მეფისტოფელი

მხოლოდ უფრთხილდით. არ დაიღვაროს!
 (ღვინის სმა გრძელდება)

ყველანი

(მღერიათ)
 კანიბალურად გვიხარია,
 ისე ვით ლაფი ხუთას ლორს!

მეფისტოფელი

შებედე, ხალხი ვით ზეიმობს თავისუფალი!

ფაუსტი

მაღე თუ წავალთ ჩვენ აქედან, გამეხარდება.

მეფისტოფელი

დაიცა, სანამ მათი წუნკალი
 ბუნება სრულად გამომეღაენდება.

ზიბელი

(გაუფრთხილებლად სეამს, ღვინო მიწაზე იღვრება და ენთება)
 მიშველეთ! ცეცხლი! ჯოჯოხეთის ცეცხლი მინთია!

მეფისტოფელი

(იწყებს ცეცხლის შელოცვას)
 დამშვიდდი, დაცხრი, მეგობარო, ჩემო სტიქიავ!
 (ყველას)
 ეგ სალხინებლის ცეცხლის მხოლოდ მცირე წვეთია!

ზიბელი

ეს რაა? პასუხს გაგებინებთ, შარახვეტიავ!
 ჩანს შენ არ გვიცნობ, უბედურო, როგორც რიგია!



ფ რ ა შ ი

გაიმეოროს, თუ ბიჭია, ოინბაზობა!

ა ლ ტ მ ა ი ე რ ი

ვეფქრობ, ვუბრძანოთ, აიბარგოს აქედან ჩქარა!

ზ ი ბ ე ლ ი

როგორ გაბედა მაწანწალამ, წყეულმა მარად აქ შემოძვრომა, ფოკუსები, მანკვა, თარსობა?!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჩუ! ძველო კასრავ!

ზ ი ბ ე ლ ი

ო, ცოცხის ტარავ!
გსურს ჩავიდინოთ რამ უხამსობა?

ბ რ ა ნ დ ე რ ი

დაიცა, მუშტით დავეულეწო ყბა და ლავიწი!
(ალტმაიერი მაგიდიდან საცობს აპრობს, ცეცხლი სახეში სცემს)

ა ლ ტ მ ა ი ე რ ი

ვიწვი! დავიწვი!

ზ ი ბ ე ლ ი

არ გაუშვა, კუდიანია!
მაგ უცხო ფრინველს დაეძებენ დიდი ხანია!
(დანებს იძრობენ და შეფისტოფელს მისცვივლებიან)

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(მედიდური სახით)
ერუ სიტყვა, სახე ადვილად
გონს დაგიბნელებს, ადგილსაც-
ყველგან იყავი: აქ, იქაც!
(ველა გაშტერებული აცქერდება ერთმანეთს)

ა ლ ტ მ ა ი ე რ ი

ხად ვარ? მხარეა მშვენიერი. მას ველევენები!

ფ რ ა შ ი

ვენახებს ვხედავ?

ზ ი ბ ე ლ ი

თვით ცვივიან ხელში მტევნები!

ბ რ ა ნ დ ე რ ი

ხედავ, ამ მწვანე ტალავარში მართლაც ქებულო
რა მტევნებია, რა მტევნები მინაცრებულო?!
წიბელს ცხვირში სტაცებს ხელს. სხეებიც ასევე აქცვიან
ერთმანეთის მიმართ და დანებს აღმართავენ!



მეფისტოფელი

(ისე, როგორც ზევით)

განჭრი თვალთაგან, ცდომილების სახვევო ჩქარა,
რათა ეშმაკის გართობანი იხილონ ნათლად!

ზიზელი

რა მოხდა?

ალტმაიერი

როგორ?

ფროში

მაშ ეს შენი ცხვირია მართლა?

ბრანდერი

(ზიზელს)

მე კი მეჭირა შენი ცხვირი, ასეა არა?

ალტმაიერი

ძლიერმა დარტყმამ შემირყია მთელი სხეული.
მომეცით სკამი, არ დავეცე მაგრა გვემული!

ფროში

თქვით, რა ჩვენებას ვჭერეტი გრძნეული?

ზიზელი

ის ვაებატონი თუ შემეყარა,
მორჩა, ცოცხალი ველარ წამივა!

ალტმაიერი

კარში გავარდა სარდაფიდან წელან მკვებარა,
ლენის კასრაზე მჯდარი განიერად.
მე კი ფეხებში ჩამიღვარა ტყვის სიმძიმე.
(მაგილისაგან შემობრუნდება)
ამოასხამდეს ლენის ჩქეფი კვლავ მოციმციმე!

ზიზელი

ეს ყოველივე მოჩვენება იყო, ტყუილი!

ფროში

მაგრამ ნამდვილად ხომ დავიცხრო ლენომ წყურვილი?

ბრანდერი

ან შენ რას მეტყვი მტევნებზე თუნდაც?

ალტმაიერი

თქვით, სასწაული ამის შემდეგ არ გვწამდეს უნდა?!

თარგმანი გერმანულიდან ალექსანდრე კუთათელისა



ილირიონ ხუციშვილი



ოქროს საწმისის მხარეში

წითელარმიელებმა ფრთხილად ჩამოიღეს სამრეკლოდან არაქათამოცილი ჩინელი აზნაგები. ისინი მათ შესცქეროდნენ, როგორც გმირებს, და ეს ნამდვილად საქ იყო.

კიდევ უფრო ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა ქალაქის მუშათა გარეუბნებში — დაბა კერსკიასა და პოლოკანსკიაში. აქ საბჭოთა ხელისუფლებისათვის იბრძოდა არა მარტო წითელარმიელთა ქვეგანაყოფები და სახელდახეოდ შეიარაღებული მუშათა რაზმი, არამედ მთელი მოსახლეობა დიდძალი პატარამდე ქალები, მოხუცები, ბავშვები მიდიოდნენ მტრის თოფის და

ტყვიამტრქვევის ცეცხლის ქვეშ, მიჰქონდათ მებრძოლებთან ადგილობრივ ქარხნებში დაზნადებულ ტყვია-წიალი, ყუბარები, აგებდნენ თავდაცვის ნაგებობებს, მიდიოდნენ დაზვერვაზე.

კურსკაის იცავდა რამდენიმე რაზმი, მათ რიცხვში სამა გეგეჰკორის რაზმი და პაუ ტი-სანის ბატალიონის ნაწილი. ქართველი და ჩინელი მებრძოლები ერთმანეთის ახლოს იმყოფებოდნენ. მათ შორის მუკავშირე იყო შედიციონის და მამაკი ახალგაზრდა კომუნისტი ქალი შურა სოლოგობა.

— კოსტია, — მიხიზდა იგი პაუ ტი-სანთან ტყვიების სეტყვაში, — სამა გიხოვთ ცეცხლის მომატების, ასე ამობზ — ჩინელები ზუსტად ისვრიან, მათ მაღლობა გაიდაეცო.

და პაუ ტი-სანმაკ ზონმატა ცეცხლს თეთრებით კი სულ მოიწვედნენ და მოიწვედნენ. მათ ჯგეშოსნები აამუშავეს.

ტყვიამტრქვევებით აქირილი ჯგეშოსანი მომაკვდინებელი ცეცხლით მოიწვედა ქართველების რაზმის პოზიციებისაყენ. აი იგი უკვე შემოდგა პატარა ბოგირზე, რომელიც გადაებული იყო ამომშრალ ღელეზე, მტკარის ზმა სულ უფრო და უფრო აბლოვდება ქარს მოაქვს ბენზინის სუნი, ტყვიები ხედება ახლა-მახლო საბლენის კედლებს, სანგრების მიწაყრილს...

ძნელია ახლა თქმა, ვინ იყო იქ გჰირი, რომელიც შეუშინებლად მიხიზდა ჯგეშოსანთა და ახლო მანძილიდან შეეგლო ბორბლებში ზელუემზარა პეტრე ოვტრკოვის მუშათა გვარდიის რაზმელი, მებრძოლი — სამა გეგეჰკორის რაზმიდან თუ ჩინელი მოზალსე პაუ ტი-სანის ბატალიონიდან. ბრძოლის ქარცეცხლში ამისათვის არაყის არ მიუქცევია ურდადება. მხოლოდ ეს იყო, რომ ზელუემზარამ გადაწყვიტა ჯგეშოსანის ბედი. ძაკვი დაყრუვდა, ტყვიამტრქვევილი დადუმდა. მანქანაში მსხდომმა სამმა თეთრგვარდიელმა მოატოვა მანქანა და გააზბდა თავისთავისაყენ.

ჯგეშოსანი საბარბიელო ნადავლი იყო, თეთრებმა მოხედვედა კი ვერ მოასწრეს, რომ რამდენიმე მებრძოლი გაექანა მანქანისაყენ. თეთრი კაზაკები მიუხედნენ მანევრს, მამაკ მებრძოლებს მძვინვარე ცეცხლი გაუხსნეს, მაგრამ გვიან

იყო, საქმე უკვე გაეთებულ იყო. მანქანა წამოყვანილი იქნა ბუქსირით...

საქირო იყო დიდი თავშეკელება, გაძნედაობა, და უბრალოდ ფიციური ძალა, რომ თეთრების ტყვიების წვიმაში, ბავირის დახმარებით ჯგეშოსანი თავიანთი პოზიციებისაყენ გამოეყვანათ. კურსკაის დაბის ბრძოლის ქარცეცხლში შეიძლება გადაგვრათ იმ წუთებში ბრძოლისათვის სრულიად უჩვეულო რუსული სიტყვა „Взяти! Еще взяти!“... და ჩინელების ხორხისმირი შეძახილი, რომლითაც ისინი ჩვეულებრივ ამხნეებდნენ თავიანთ თავს, როდესაც ერთად ეზიდებოდნენ რაიმე მიმეს, და ტემპერამენტიანი შეძახილები ქართულ ენაზე.

ჯგეშოსანი ავტომანქანა წითლების ზელში აღმოჩნდა. ორი საათი ზოუნდა მის წესრთვში მოყვანას. და აი ერთ-ერთი მუშათაყანი დაჯდა საქესთან, ტყვიამტრქვევებთან დადგენ ქართული და ჩინელი მებრძოლები. მანქანა, რომელიც ჯერ კიდევ დილით სამინდლი იარაღი იყო თეთრგვარდიელების ზელში, შუადღისას, თესდა საყვილის და მიიწვედა მათი პოზიციებისაყენ.

მუთერთმეტე დღეს ამბოხებულთა ბრძოლა ლიკვიდირებული იქნა. 20 აგვისტოს ელადიკავჩანის ტელეგრაფმა მოსკოვში ამხანაგ ვ. ო. ლენინს სასწრაფო დეგეშა გადასცა. სერგო ორჯონიკიძე მოახსენებდა:

— თურთმეტდღიანი სასტიკი ბრძოლებს შემდეგ ამბოხებულები განადგურებული იქნა, ჭლაქიდან გაიქცნენ. ბრძოლის დროს წითელი არმია უაღრესად სანაქებოდ მოქმედებდა, მეყრდით იცავდა რა საბჭოთა ზელისუფლებს. დაბებში მოლოყანსკათა და კურსკათა და მიელი ინტემისთ და ჩენეთი აღსდგნენ, როგორც ერთი კაცი, კონტრრევოლუციის წინააღმდეგ — საბჭოთა ზელისუფლების დასაცავად. თერგის ხალხთა მეთოხე ყრილობა განაგრძობს მუშაობას“.

სამხრეთის კონტრრევოლუციის მღელვარე ოყიანში მდგარმა საბჭოთა კუნძულმა გაუძლო მტრის შემოტევას, ბოლშევიკთა პარტიის მიერ, გაერთიანებულმა თერგის ხალხებმა ღირსეული პასუხი გასცეს რეაქციის ძალებს. ამ გმირულ ბრძოლებში თვალსაჩინო როლი შესრულეს სამა გეგეჰკორისა და კოსტია-პაუ ტი-სანის მებრძოლებმა.



ოქტომბრისაკენ მიმავალ გზებზე

(მოგონება ბოლშევიკ-პოლიტიკატორდელისა).

1

1905—1907 წწ. რევოლუციის დამარცხების პირდაპირი შედეგი იყო ცარიზმის მკაცრი რეპრესიები. უღმობლად გაუსწორდა მეფის მთავრობა რევოლუციურ ხალხს. ცეცხლს მისცა მთელი სოფლები, დაბები, ქალაქები.

უზბანის ოლქის მოსახლეობამაც მწვევე ფორმებში განიცადა ეს რეპრესიები. უზბანის ოლქში ჯერ კიდევ 1904 წელს ფართოდ იყო გამილჩი რევოლუციური მოძრაობა, რომელსაც სათავეში ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციები ედგნენ. 1905 წ. ოქტომბერში ოლქის ყველა განყოფილებაში (ოლქი შეიღ განყოფილებად იყო დაყოფილი) შეიარაღებული ბოლშევიკური მებრძოლი რაზმები ჩამოყალიბდა, რომლებიც 1907 წ. დამლევამდე მოქმედებდნენ. იმდენად ძლიერი იყო ოლქში რევოლუციური მლელვარება, რომ იგი კახეთსა და ჯარის ნაწილებსაც კი მოედო, იმ ნაწილებს, რომლებიც სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს შორის ყველაზე უფრო ძლიერსა და საიმედო ძალას წარმოადგენდა მეფის ტახტისათვის.

აჯანყდნენ პლასტუნთა ბატალიონები, აჯანყდა კახეთის მე-2 ურუპის პოლკი. მლელვარება სხვა ნაწილებსაც მოედო, ამას როდი მოელოდა რუსეთის მონარქი. კახეთის ნაწილებში რევოლუციური მლელვარების შესახებ შირთომულ მოხსენებაზე მეფემ საყოფიერო ხელთ წააწერა: „არ მოელოდი, რომ პლასტუნებს პროპაგანდა შეეხებოდა. გამოეცხადოს მეთოთხმეტე, მეხუთმეტე და მეჩვიდმეტე ბატალიონებს, რომ მათ თავი შეიბრცხენეს ჩემს წინაშე“.

1906 წ. სექტემბერში ვლადიმერ ილის-ძე ლენინი წერდა: „უკვე ამემაღ ყველაზე „სათმედო“ ჯარების, კახეთის ჯარების, განმეორებითმა მობილიზაციამაც კი კახეთის გაპარტახებულ სტანიცებში მლელვარების ზრდა გამოიწვია, ამ ჯარის „არისაიმედობა“ გაამლერი... ყველა გუბერნიისში და „განაპირა მხარეებში“, ე. ი. 87 გუბერნიიდან 82-ში შემოელბულია სამხედრო-სახელე სსსამართლოები“.

მასობრივი სახალხო შეიარაღებული გამოსვლები დაძლეულ იქსა, მაგრამ რევოლუციური ბრძოლების ცალკეული აქტები მაინც გრძელ-

დებოდა, რაც მებრძოლთა ახალსა და ახალს მსხვერპლს მოითხოვდა.

1907 წლის ოქტომბერი იყო ეკატერინოდარის (ახლა კრასნოდარი) საოლქო საპარტიმროში რომ მიმდევანს. ეს ცხებ 450 კაციისათვის იყო განკუთვნილი. 1907—1910 წწ. კი იქ 1600 კაციამდე იჯდა. იმ ხანებში უკვე ვეებერთელა რუსეთის იმპერიის სხვა ცხებებშიაც ტევა აღარ იყო. საპარტიმროები გაქედლი იყო ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყებული რევოლუციური მუშებით, ინტელეგენტებით, გლეხებით, ჯარისკაცებით, მატროსებით.

მე ერთხანს მე-13 საკანში ვიჯექი. ჩემთან ერთად ისხდნენ ალექსი კურგანოვი, ტროფიმე ზოლკინი, დომენტი მლელვლაძე, ბეგლარ კვაშილაყა და სხვები, სულ 40-45 კაცი. ალექსი კურგანოვის 20 წელი კატორღა ჰქონდა მისჯილი.

როდესაც 1905 წ. დეკემბრის დამლევს მაიკოპში მე-2 კახეთის ურუპის პოლკი აჯანყდა, აჯანყებულმა კახეებმა განდევნეს პოლიციად ოფიცრები და პოლიცს მეთაურად კახეთის უნიადნიკი ალექსი კურგანოვი აირჩიეს. ეს ნიჭიერი წითელი მეთაური ორ თვემდე ხელმძღვანელობდა რევოლუციურ პოლკს. აჯანყება მხოლოდ ძლიერი არტილერიის ცეცხლით ჩააქრეს 1906 წ. თებერვალში.

აჯანყების მონაწილენი პასუხისცეებაში მისცეს. კურგანოვის და მის ორ აშხანაგს ბიკოყსა და შემეკოვის სიყდილი მიესაჯეს, რომელი სასჯელიც შემლდგ მას 20 წლის, ხოლო მის აშხანაგებს ხუთმეტ-ხუთმეტე წლის კატორღით შეუტყალეს.

კურგანოვი დიდი სამამულო ომის დროს დაიღუბა მშობლიურ უზბანის მხარეში.

ტროფიმე იაკობის-ძე ზოლკინსაც სიყდილი ჰქონდა მიესჯილი, მაგრამ იმასაც 20 წლის კატორღით შეუტყალეს ჩამოხრჩობა. იგი მოქეწრო ცარიზმის დამხობას. მონაწილეობდა სამოქალაქო ომში, იყო მე-12 ცხენოსან არმიის განსაკუთრებული ნაწილის უფროსად. რამდენჯერმე მიმდევ იყო დამკროლი თეთრების წინააღმდეგ ბრძოლებში.

ტროფიმე ზოლკინი პერსონალური პენსიონერი იმემაღ. ცხოვრობს კიშინიოვში.

ერთ-ერთ ადრინდელ წერილში იგი მწერს: „დიდად მოხარული ვარ, რომ ცოცხალი ვო-

ფილხარ ჩანს, განავრობა ჩვენს მიერ დაწყებულ რევოლუციურ მოღვაწეობას. მხოლოდ ჩვენ მაშინ (1905 — 1907 წწ. — თ. შ.) პიონერები ვიყავით, ახლა კი 24 წლის სტაჟი გვაქვს. კმაყოფილებით ვიგონებ განვიღო წლებს, მაკური ბრძოლებისა და ციხეებში ჯდომის წლებს და ვამაყობ მით, რომ ჩვენს მოღვაწეობას ფუჭად არ ჩაუვლია... და რომ ჩვენმა იდეამ გააძლიერა ვახსენებ რევოლუციური გეგმები და მათი შედეგები, რომლებსაც სიტყვა „ბოლშევიკი“, „კომუნისტი“ ღანძლივით კი მიიჩნდათ.

თანამედროვე თაობას მხოლოდ შემოქმედებითი შრომა ხელა წილად. მას ნგრევის პროცესი არ უნახავს. ჩვენი უმთავრესი ამოცანა გვადევნოთ ახალგაზრდობას ის სიძნელეები, რაც ჩვენ გადავიტანეთ ცარიზმთან ბრძოლაში და ჩავაგონოთ ახალგაზრდებს, რომ ისეთივე თავდადებით იბრძოლონ ახალი ცხოვრების ასაყვავებლად, როგორი თავდადებათაც ვიბრძოდით ჩვენ ძველის დასანგრევად.

დომინიტი მღვდელად რაქვის მახარის სოფ. ლაღიშიდან იყო. ის ჩემი პირადი შეგობარი იყო. თერაპეუტი-ცხარეუტი წლის თუ იქნებოდა. მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა ჯერ კიდევ საბოლოოდ ფორმირებული არ იყო, მაგრამ რწმენითა და მოქმედებით მეტადილი ღწინწელი იყო ეს მშვენიერი ქაბუკი. მას ჯერ სასამართლოს პროცესამდე მოუღო ბოლო ეკატერინოდარის სიოლქო ციხეში გავრცელებულმა საწინებლმა სენმა — ჭეშქმა. ჭეშქმეზე გამოსაღმა წუთისოფლს რევოლუციური ენერგიით სავსე ახალგაზრდებმა მიშა მეტრეველი, ამბროსი ზემბელიძე, ვანო ხეთისია-შვილი და მრავალი სხვა მარტო მიშას ფოტოსურათი შეომარჩა სასუსჯრად. მაგრამ ორმოცდა ათი წლის განმავლობაში სათუთად იწახავს ჩემი მესსიერება დანარჩენების სურათსაც.

ბეგლარი კვამილა უკვე დაუაქაყებულ მებრძოლი სოციალ-დემოკრატი იყო. ის მაშინ 28-30 წლის იქნებოდა. იგი უკვე იცნობდა ვლადიმერ ილიას-ძე ღწინის შრომებს და ამ შრომების მხურვალე პროპაგანდისტი იყო. ეკატერინოდარის ობრანკის 1908 წ. 29 სექტემბრის № 1983 შეკითხვაზე სიოლქო ციხის უფროსი აღქმსანდრე შვილეთი ასეთ ცნობას იძლევა:

„ბეგლარი“ — არის ვლადიმერ გიორგის-ძე კვამილავე, მდებრი წოდებისა, ქუთაისის გუბერნიის, სენაკის მაზრის ობლაქესის საზოგადოების მცხოვრები. ციხეში მოთავსებულია, როგორც ზაღდებული მასში, რომ 1906 წლის 24 აპრილს დაბა სოჭაში, ჩერნომორსკის გუბერნიისა, „ჩსდმ პარტიის ჩერნომორსკის კომიტეტის სოჭის ჯგუფის“ გაღმწეებრივებით შეეცადა მოეკლა ბაზრის ზედამხედველი შევარკვი. ირიცხება კავკასიის სამხედრო-სიოლქო სასამართლოზე“.

ჩამდენადაც მასსოვს, ბეგლარ კვამილავს 8 თუ 12 წელი კატორღა მოსაჯრს, — აღბათ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრობისათვის. ის რომ — პოლიტიკურ ტერორში ემხილებინათ, ჩამობრძობას ვერ ასულებოდა, ბეგლარი ნიკოლაევის თუ ზერსონის საკატორღო ციხეში გარდაიცვალა.

ნოვოჩერკასკის სასამართლო პალატის პროკურორი ლუკინი არც თუ ისე იშვიათად მოდიოდა ეკატერინოდარის სიოლქო ციხის დასათვალერებლად. მას ციხის უფროსი აღქმსანდრე შვილეთი მოსდევდა უკან თავისი ამლით. ღამას საუწყებო მუნდირში გამოწყობილი პროკურორი ლუკინი მცინარისებლად ჩამოვლდა ორ წყებად ჩამწყრივებულ პატრონებს და გამოკითხავდა ვინ რისთვის იყო დაპატიმრებული, ვისზე ირიცხებოდა და სხვ. ზოგჯერ ოხუნჯობაც უუვარდა სასამართლო პალატის პროკურორს. გაიწყლიდა პერში საჩვენებელ თითს, ხოლო ცერს შეწყვიტულ ჩაბახისებრ შემართავდა, ცხიერად ჩაუქრავდა თვალს და გვეტყოდა:

— Вы нас на воле так! — შერე ამ თითებს ყელთან მიიტანდა იმგვარად შენი ქირიმე — შეედრებას რომ ნიშნავს და დასძენდა: — А мы вас здесь так! პროკურორი ლუკინის ენაზე ეს ნიშნავდა: თქვენ გარეთ რევოლუცის გვესერით, ჩვენ აქ სახარბოვლითი გიმასპინდლებით!

— ჩვენი მეთოდი უფრო კულტურულია, ბატონო პროკურორო, ვიდრე თქვენი, — უთხრა ერთხელ კურგანოვმა.

— სამაგიეროდ უფრო სიმელოა!

ეს იყო 1907 წლის მიწურულში. მაშინ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ასეთი თამაში ღამაჯი მუდის იუსტიციის წარმომადგენელთან. ციხეში სრული თავისუფლება გვექონდა, კამერებში დილიდან საღამომდე ღია იყო და პატრონები დაუბრკოლებლად ვნახულობდით ერთმანეთს, ვსაუბრობდით, ვერთობოდით, ვმღეროდით, ვმართავდით დისკუსიებს, კვების საკითხიც კარგად იყო დაყენებული. ზოგი არც კი საჩვენებლად ციხის უღუფთ. შიგ ციხეში დუქანი იყო, სადაც შეგველო საჭირო პროდუქტების შეძენა. ყოველ დღით კოშკებში რძის გეზიდავდნენ მერძევენი გაჩადან. გარეთ რეპრესიებს ობრანკა, ვანდარმუჩია და სამხედრო უწყებები ანხორცილებდნენ. საშობალო მოქალაქეობამდე ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული ეს რეპრესიები. ციხის აღმინისტრაციაც მას ემორჩილებოდა, მისი ინსტრუქციებით მოქმედებდა.

მაგრამ...

დაღა 1908 წელი სტოლინის სისხლიანი რეპრესიები შემოქრა. ამოქმედდნენ სამხედრო სასამართლოები. მეტწილად ბრალ-

დებულები სასიკვდილო განაჩენით ბრუნდებოდნენ სასამართლოს დაბრახიდან — თითო-თითოდ, წყვილ-წყვილად, ჯგუფ-ჯგუფად.

ისინი ღამით საბრძოლველზე გაიყვანათ ციხის კედლებს გადაღმა, ახრჩობდნენ და იქვე ფლავდნენ მიწაში.

აგერ ვანო ვარდანაშვილი გაიყვანეს (ვორის მარხის სიფ. მეჯვრისხევიდან იყო), პაულე მოზგოვი, საეიცი, 19-20 წლის ჰაბუი შერო... ამ მამაც ახალგაზრდა კახაკს სხეულებდნენ, როგორც მეტროპოლი ჩაბმის წევრს. პოლიციამ მას ბინაზე შეაღწრო. პოლიციელები პოლიტიკური პარტიების პროგრამებში დიდად არ ერკვეოდნენ. ყველას ავაზაკებს, ბანდიტებს და ანარქისტებს უწოდებდნენ. პოლიციის ბოქაულმა გრაფოფამეც შეროს ასე მიაძახა ჩაერთო კარგად:

— ბანდიტო, კარები გამოღე, მე გრაფოვი ვარ!

შერომ კარებს რევოლვერი დაახალა. გრაფოვი კარებთან ჩაიყვია. მისმა მხლებლებმა ტყვიის დაუშინეს კარებს. შერო დიკრა მერდში, მკლავში. მესამე ტყვიამ ღოუები გაუხვრიტა. ტყვიის მიერ გატყორცნილმა კბილმა მარჯვენა თვალი წაახარა ჰაბუეს.

შე საავადმყოფოში ეიფექტი შერო რომ იქ მოიყვანეს შიმშილ დაკრილი, გასისხლიანებულ. ათი-თორმეტი დღე დაუვავით ერთად საავადმყოფოში.

ნეტავი სულაც არ გამეცნო ეს მამაცი კახაკი სახელდახელოდ უმურხანდეს მას, სახელდახელოდ გასამართლეს, სახელდახელოდ ჩამოაბრჩევს. შერე გაიყვით — როდესაც ეზოფორტე მღვდელი მისტელიო მასთან საზიარებლად, წახლი ჩაერთვა მისთვის სახეში განაწირულს.

პროკურორი ლუკინი გვესტუმრა კამერაში შემოსვლისთანავე მოგვამახა:

— სად წამიყა, სად?! ყურით მოვათრევე!

ჩენთან კამერაში ხაბატურ გვეორქოვი იჯდა. იგი 1905 წლის დეკემბერში სოკაში მომხდარ აჯანყების მონაწილეებთან აღტკანდრე გრეჩინთან, რემა ზურციასთან და სხვებთან ერთად ჩამოიყვანეს ნოვოროსიიდან. დაკოხების დროს გვეორქოვს პროკურორისათვის მიემართა თხოვნით თავდებში გამოშვითო. პროკურორის უარი ეთქვა.

— გაძლევთ რეკლუციონერის სიტყვას, რომ თავს არ აყრიდებთ სასამართლოს და პირველ გამოძახებისთანავე გამოვცხადდებით თავდებში არ გამოშვებთ გაეოქცივი და ვედარ მიხილათ.

— შე კი სიტყვას ეიძლევი, რომ ვერსად გაგამცვიო. ჩენი ციხის კედლები საცხად საიმედოა.

მეღე გვეორქოვი საავადმყოფოში გადაიყვანეს და ის მართლაც გაიქცა იქიდან. ეს აყო-

ფება თურქე ლუკინს. გვეორქოვის გაცხევის გამო უტანის სიოლქო ვანდარშიო სიმართველოს უნტერ-ოფიცერი ასე უტახტავს თავის უფროსს:

„26 ნოემბერს, დილით 5 საათზე ტუსაქის სადარაჯოდან, რომელიც მთავარ პეტრეტატთან არის, გაიქცა ანაბის სარგებრეო ბათალიონის მე-2 ასეულის ჯარისკაცი სომეხი მირიიანცი ტუსაქთან ხაბატურ ამირის-მე გვეორქოვთან ერთად. ისიც სომეხია. ეს ამბავი შემდეგ პირობებში მოხდა: მთავარ პეტრეტატზე ყოიღეს ეწეოდა ანაბის სარგებრეო ბათალიონი და ჯარისკაცი მირიიანცი, სხვებთან ერთად, გეშავად იღვა ტუსაქი გვეორქოვი კი ეპეტრინოდარის სიოლქო ციხიდან იყო გადმოყვანილი საავადმყოფოში ავადმყოფობის გამო, სადაც პატიმრობაში იმყოფებოდა დღემდე 26 ნოემბერს დილას 5 საათზე ტუსაქმა გვეორქოვმა თხოვა საპირფარეოში გაყვანა. ყარაულის უნტერ-ოფიცერმა უბრძანა მირიიანცი მირიიანცს გაეყვანა სხენებული ტუსაქი, ხოლო როცა ზემოსხენებულმა მირიიანცმა წაიყვანა, გავიდა ჩამდენიმე დრო და ტუსაქი და გეშავი არ დაბრუნდნენ. მაშინ ყარაულის უნტერ-ოფიცერი წაეიდა საპირფარეოსის დასათვლიერებლად, მაგრამ იქ არავინ არ აღმოჩნდა. მაშინ ყარაულის უნტერ-ოფიცერმა მოისურვა შეეხედნა ცარიელ ოთახში, რომელიც საპირფარეოსის გვერდით არის, მაგრამ იგი დაკრეტილი აღმოჩნდა, ხოლო ჩოდესაც ოთახი გააღეს, აღმოჩნდა, რომ ოთახში იყო შამხანა და სავახენ ჩანთა ეახნებით და ფარაჯი. გეშავი და ტუსაქი აღარ იყვნენ. როგორც ჩანს, ღია ფანჯრადან არიან გაქცეული“.

რა ბედი ეწია შემდეგ გვეორქოვს არ ვიცი, ეს ვიყა, რომ 1911 წლის გაზაფხულამდე — ვიღარე მე ვოლოგდის საკატორლო ციხეში გადაზავადინდნენ სასამართლო პალატის პროკურორის ლუკინს მისი ყურები თვალთ არ უნახავს.

2

სამაგლეოა თავაწევეტალი სიმკაცრე, მით უმეტეს, სამაგლეოა იგი თუ მას გარეშე ძალა არ უწევს კონტროლი. სწრაფად ეთიარღება თავშეუკავებელი სიმკაცრე, ჰყარავს მოჩაღარ ნორმებს და საზიხლარ ფორმებში ეღიღნება. ამგვარი, სიმკაცრე და თეითნებობა გეშეფდა ეპეტრინოდარის სიოლქო ციხეში 1908 წლის გაზაფხულიდან.

გეშინ ჯარ კიღვე სავსებით მოჩილი, სრულიად უნეკელი შეღიღევეები, რომლებიც მორიდებთა და პატრიციემით ეყრობოდნენ პოლიტიკურ პატიმრებს, ერთაშად გამოი-

¹ Государственный архив Краснодарского края, фонд 6/522 Ар. 654. л. д. 390.

ვალენ, დაქარგეს ადამიანთა სახე. მთელი დღე გაისმოდა მათი ყვირილი:

— Замри! На звука!

ერთმანეთს უჯობებოდნენ ეს ნადირები პატიმრების წამება-დამცირებაში, კარცრები მუდამ სავსე იყო ნაცემი ხალხით.

მეც ახლახან გამოვედი კარცრიდან. საწერი კალში გავახურე ღამაზე, გავაბრტყელე და პირი აფულესე ცემენტის იატაკზე — ფაქრის წვერის წასათლელად. წიგნი ჩადებული მინახეს ეს იარაღი ჩხრევის დროს, გამიგდეს წინ ნადირებმა და კარცერში ჩამაგდეს გაისხლიანებული. იქ პაელე ვრიაინიკი, ანდრიოშა ბრეიბარდი, ნესტორ ქაშიბაძე დამხედნენ. ყველაზე უფრო მძიმედ ნაცემი ნესტორი იყო.

მდინარე ყუბანის ვაღმა, ციხის პირდაპირ ჩერქეზების ადგილი იყო. ღამის სიჩუმეში ძაღლების ყვირე და მამლებს შორეული ყვივლი მოისმოდა ადიდან კარცერში. დროდადრო მეტიინის ძახლიც ისმოდა — აღაქის სადიდებელ ლოყასკენ მოუხმობდა მართლმორწმუნეებს მაღალი მინარეთიდან.

დაღამდა. ციხეში სიჩუმეა. მხოლოდ ხანდახან გაისმის ტალანებში უფროსი მედილიგე რუბაილოვის ღრიალი.

— კინტი! სუნთქვა არ გავივონო!

ახრადაც არავის მოსდიოდა ციხის მყუდროების დარღვევა. ყველა მძიმე ფიქრებშია წასული. ფიქრები კი უხშირა, როგორც თევზის მოძრაობა წყლის სიღრმეში.

მეზობელ მე-12 საკანში ერთ მოუსვენარ პატიმარს თამბაქოს მოწვევა მოტუნდა ღამით. იდგა მოუთმენარი და კედლიდან ღამა ჩამოიღო შაირისისათვის ცეცხლის მოხაკიდებლად. ეს შეამჩნია მორიგე ზემდეგმა, ფრთხილად გადმოჰყო რევილევარის ღულა კარს დატყუებულ სპერეტში და ესროლა სისხლმოწყურებულმა „თახედ“ პატიმარს.

მესხვე სიზნულემ და შიშმა მოიცვა საკანი. მალე უფროსი მედილიგე რუბაილოვი შეიჭრა შიგ.

— აბა, გამოდიო!

ტალანში მეღალავებები იყვნენ შეაქტიბული. მათ უკან ჯარისკაცები იდგნენ. ხიშტები საკანისათვის ჰქონდათ მიმართული იქვე ახლოს ციხის უფროსი შილიგოა? იდგა ყარაულის უფროსთან ერთად რევილევარით ხელში.

¹ ჩაკვილი! კინტი არ გავივონო!

² ეკატერინოდარის საოლქო საპატიმროს უფროსი ალექსანდრე შილიგოვი და უფროსი ზემდეგი ალექსანდრე რუბაილოვი 1920 წელს დახვრიტეს სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით. ტრიბუნალის შემადგენლობაში ამ საპატიმროს ყოფილი პატიმარი ანდრეი ბრეიბარდი შედიოდა.

გადიჯვარედინებით შემოიჭდეს პატარაგამა მუცელზე ხელები და გამოვიდნენ ტალანში. მწარე გამოცდილებით იცოდნენ ყველაფერი მუცელს ეტანებოდნენ საცემრად. ყველაფერი ნაცემი პატიმარი მალე მოკვდებოდა. ცემის კვალზე ნაყლებად რჩებოდა.

ერთმანეთში აირია პატიმრების კენესა და ეგზეტორების ქოშინი. სათამაშო ბურთივით გადადიოდნენ ხელიდან ხელში პატიმრები.

3

შეშლილი და საშინელი სიბინძურე გავრცელდა ეკატერინოდარის საოლქო ციხეში. გამრავლდა კენეარი. თავი იჩინა მუცლის ტიფმა. ავადმყოფებისათვის ცალკე საკანი გამოყვეს. იძილა ეპიდემიამ. გამოყვეს მეორე საკანი, მესამე, მეოთხე... როცა ტიფი მთელს ციხეს მოედო, იმავე საკანში ტოვებდნენ დაავადებულს, სადაც ეს მძიმე სენი მოუსწრებდა მას.

შეწყდა საქმეთა გამოძიება, პატიმრების გრძობი გაგზავნა. სინახავად მოსულ ჩვენს ნათესალებს აუტრადლეს ჩვენი ნახვა, შეწყვიტეს სურსათ-სანაჯავის შემოგზავნა.

ასეთი ზომებით ციხის აღმინისტრაციის სურდა ათას ექვსას პატიმართან ერთად ტიფის ეპიდემიაც ჩაეკეტა ეკატერინოდარის საოლქო ციხეში, რათა ეს საშიში სენი მიედ ქალაქს არ მოსდებოდა.

ნარებზე, ნარებ ქვეშ, იატაკზე, ყველგან საესეა ავადმყოფები, ისმის მათი მძიმე სუნთქვა.

პირაღმა ვწევარ ნარზე კედლისკენ ფეხების მოქცეული, დათნთილი ვარ სიციხისაგან.

არც ბრაზი, არც სინანული, არც შეზარალება, არც სავედღერი ყველაფერი წაშალა, გაქრა სრული უდარღებობის გრძობა — ნირვანა დამეუფლა.

მელანდება — სადაც გემით მივმგზავრები. მუსიკა უტრაცეს, ქალები ვაღობენ, ციყავენ სურათი იცლებს: უცნაური ფრინველებით სავსე ბაღში ვარ... შორს, შორს ცაში ავარდნილი ხანძრის ელი მოჩანს...

დროდადრო გონზედაც მოვდივარ.

— წყალო!

მელიტონ ვანიქიმ დასძლია კრიზისს და მას უკვე საკანში მოძრაობის ძალი შესწევს. კარებთან დადგმული კასრიდან ამოიღო ტოლზა წყალი და ბაჯბაჯით მომტინა ხელები უკანკალებდა დასუსტებულს.

გვერდზე მე-8 საკანში კოწია იობიშვილი და მინა მასხარაშვილი სხედან.

მინას ოჯახობა ამ ჯოჯობითურ პირობებშია ახერხებდა გარედან ქმრისათვის სურსათ-

თის შემოგზავნას. მიხა ზეენც გვინაწილებდა ამ სურსათს მელიტონის მეშვეობით!

სწრაფად ჩამოვიდა ნარიდან გრიგორიევი, უნიშარი მებრძოლი ბოლშევიკი, მოხეია ხელი ქჩეს ნაფთოს ლიბის მაგივრობას რომ უწყვედ, ამოიღო ილიაში და შიადგა კარებს.

— დარაჯო! — მოიძახა მან რიხიანად, — დარაჯო-მეთქი!

ტალინიდან შეკარე გამოეხმარა.

— ახლავე ეტლს დამიძახე, გვისმის!

— დაწვიკი, შენი დედა...! — ბრაზით მოიძახა

გუმაგმა და გასცოდა კარებს.

კორიდორში ხმამალა გაისმა:

— Христос воскрес!

თურმე აღდგომა უოფილა.

ხმა სწრაფად ინაცვლებს ადვილს. ჯერ მოგვიახლოვდა, მერე გაგვიცოდა, მინელდა, ჩოგორაც ნადირს დადევნებულა ძაღლის ყუფა-საკანში საკმელის სუნი შემოიჭრა.

ეს ჩვენი ციხის მღვდლის ხმა იყო. სიციხისაგან გახურებულ გონებაში არამეველებრივი სიციხადით აისახა მისი მალალი ტანი, ჩხარი თმა, თეთრი წვერი...

ვილაკამ ნარკვევმ გაბმული სიმღერით წამოიძახა:

— ქრისტე აღსდგა...!

— ქრისტე აღსდგა...! — წაბაძა მეორე ავადმყოფმა.

მეზობელ საკანიდანაც მოისმა ავადმყოფის გაბმული ყვირილი:

— Христос воскрес! მე თქვენი დედა...!

იატაკიდან მიშა მიტინი წამოდგა და ფოფხვით ნარკვევმ შეტყრა. ხელებს აცოცებს და რაღაცას დაეძებს. რომელ ავადმყოფსაც ვერ გადაიღვბ, ფრთხილად შემოუფარა. ვეკიხებები: — მიშა, რას დაეძებ?

— კაცო, საღებავი მქონდა აქ შენახული... მინდა ბოძებები დაეღებო, — საქმიანად მოიასუხა, მან, შეჩურდა, დაამტვრდა კედელზე ჩამოყიდებულ ლამას და პირქვე ჩაწვა.

პირქვე ეწეკარ ბზით გატენილ ბალიშზე ნიკაბდაყრდნობილი. ჩემს პირდაპირ კოლია ქორიძე წევს, ისიც ჩემსავით დაუძლურებულად.

— თედორიავ, გვისმის? ქრისტე აღსდგა! სუსტი ხმით შეუბნება კოლია.

— ისე აუღდა გვერდები ნიკოლოზს.

— რომელს, ბიჭო. მე თუ შენ უდრებულა სობას?

— ორთავეს, — შენცა და იმასაც.

კოლიას სუსტად ეღიშება. ნარზე სასათქმალთან შავი პურის ნაჭერი უღვეს, ის კი ახალი ტყველით შეხაყებულ ტარას და ღიშს ნატრულობს ამ აღდგომა დილას ეკატერინოდარის საოლქო ციხეში!

ნიკოლოზ ქორიძე უკვე დეაქოცებული მებრძოლი მარქსისტია. იგი ათი წლით ჩემზე უფროსი იქნება, მე კი ეს არის თერამეტრი წელი შემისრულდა.

ეკატერინოდარის ოხრანის შეკიხვაზე თბილისის ოხრანის უფროსი 1908 წლის 25 იანვლის № 2246 თარიღით იტყობინებოდა:

„მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს მალაკეთილშობილებას, რომ ნიკოლოზ არსენისძე ქორიძე, 28 წლისაა, აფერკავკასიის რკინაგზების შიდავარი სახელისნოს ზეინელის თანაშემწე იყო.“

1903 წელს თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მეშთა მღვლეარებაში მონაწილეობისათვის ქორიძე მოთავსებული იყო საგუბერნიო ციხეში, ხოლო შემდეგ გადასახლებულ იქნა თბილისიდან აღმინისტრაციული წესით, 1905 წლის იანვარში მის ბინაზე გაიმართა პირველი რაიონის წარმომადგენლებისა და ინტელიგენტ-პროპაგანდისტების საორგანიზაციო კრება. შედიოდა მებრძოლ რაზმში. იმის გამო, რომ, ცნობების თანხმად, მას დანაშაულებრივი კავშირი ჰქონდა თბილისის გარნიზონის ჯარისკაცებთან, 29 მაისს განხრეკილი, დაპატიმრებული და გამოძიებაში იქნა მიტყვევებული ანდარაშთა საგუბერნიო სამმართველოს მიერ. 16 სექტემბერს პატიმრობიდან გაათავისუფლეს პოლიციის განსაკუთრებული შეთვალუტრობის ქვეშ.

25 სექტემბრის ამბების შემდეგ (ბოძებების ჩაედება კახეთა უჯრების განლაგების ადგილებში ქ. თბილისში 1.) მიიშინა.

1906 წლის დამდეგს ქორიძე, როგორც თბილისის სოციალ-დემოკრატიული მეშთა ორგანიზაციის მებრძოლი რაზმის წევრი, გაიხრე-

1. პეტრონალური პენსიონერი მელიტონ გიორგისძე ვანაძე შხარაძის რაიონის სოფ. შემოქმედის კოლმეურნეობაში მეშობოს ამეხად. ბოლშევიკური პარტიის წევრი 1903 წლიდან კონსტანტინე ალექსანდრეს ძე იობიშვილი 1936 წელს გარდაიცვალა ქ. ბათუმში.

მიხეილ სიმონის ძე მასხარაშვილი პარტიული არ იყო, მაგრამ დიდ დახმარებას გეოწვედა იატაკეულში მომეშევეებს. ამისთვის იგი 1910 წელს შორეულ ციხიბრში გადასახლდა სედის სასამართლოში. ეს შეტად სამართი აღამიანი, უკვე მოხუცებული, მანქანამ გაიტანა 1934 წელს ქ. თბილისში.

1 1905 წ. 29 აგვისტოს თბილისის ქალაქის სამმართველოში მეშო-მოსამსახურეთა მიტინგის დახერტის სამასუხოვ, სადაც ამ სტრიქონების დამწერიც იყო დაქრილი, ბოლშევიკური მებრძოლი რაზმის წევრებმა იმავე წლის 25 სექტემბერს ბოძებში შეუღდეს კახაყებს, რადესაც ისინი საღამოს ლოცვას ასრულდნენ კომუნდატორის საყარელოში იქ, სადაც ამჟამად ეინოთატიო არუსთაველის" ახალი შენობა არის, შოი ჩიტაძის ქჩიხზე, სადაც ახლი სკვერია გაშენებული და ავღაბრის კახარაშემში.

კილი და დაპატიმრებული უნდა ყოფილიყო.
 მას შემდეგ ამ მებრძოლ ბოლშევიკს აღარ შეეხებდრითარ... ნეტავი რა ბედი ეწია მას?
 გამოძლიერება კარის კრიალმა. გათენებულა. კამერაში უფროსი ზემდევი კოჭლი ხრამა-ლოვი შემოვიდა — ჩვენი ციხის სულთამხუთა-ვი. თან მკარე და სისხლის სამართლის დანა-შაულის ორი ტუსაღი ახლავს. ხელში გრძელი ჯოხი უჭირავს. დასთვალა პატიშრები, ჩაიწე-რა მათი რაოდენობა დაჯთარში და მერე ისევე იმით მიუბრუნდა, რომელთა სხეული სუნთქვი-საგან აღარ ირბოდა.

წაყრა ჩემის წვერა ერთს, მეორეს, მესა-მეს... არ ინტყვიან. ჩაატყა თავში ჯოხი — მიინც არ განარეულან. მიმა იმავე ადგილას იყო ჩამბობილი ბომბების შესაღებავად საღე-ბავის ძებნაში რომ ჩაიყვია ლამით. ჯოხს არც ის გამოეხმარა.

ხრამალოვის მხლებელმა ტუსაღებმა ჩავე-ლეს მკვლელებს ფეხებში ხელი და სათითაოდ გაათრიეს საყანიდან.

შვიდეტი შემობრუნდნენ!

მიშას თავი ძიკივით მიეთრეოდა იატაკ-ტუჩის მარცხენა მხარე აწეული ჰქონდა და კბილი მოუჩანდა. კარს რომ გასცილდა, სმაუ-რით დეკო ტალანის იატაკს 18 წლის ჰუბუკის თავი.

4

1956 წლის დეკემბერია. უდიდესი ისტორი-ული ამბებით სავსე ნახევარმა საუფუნემ გაწვლია მას შემდეგ, კრასნოდარში (ყოფ-ეკატერინოდარში) ჩაველი საარტიფო მასა-ლების შესაყრებად ჩემი მოგონებისათ-ვის — „ათი წელი მედის კატორღაში“, სადაც განზრახული შექმნა უფრო ფართოდ და უფრო დეტალურად აესახო მაშინდელი ეკატერინო-დარის საოლქო ციხის ამბები.

გამიძენდა ერთ დროს კარგად ნაცნობი ადგილების მიგნება. ქუჩების ძველი სახელოც კი წაშლილია მოსახლეობის მესხიერებაში. პარტიის სპეციალურ კომიტეტი ვეითხებ. ლენინის მოედანზე, მიხობა გამაღვლავა.

— თით ეს მოვლანი ვა რომელ მხარეზეა?

— გავვებით კომკავშირის ქუჩას, მერე მშვიდობის ქუჩას, გახვალთ სტალინის პროს-პექტზე, მარცხნივ...

მადლობას უხუდი თავიზიან გამვლელს.

სამშაბათს, თერთმეტ დეკემბერს ციხის და-სათვალერებლად წავედი ქალაქის განაპირა უბანში. ამ უბანს ძველადაც დუბინკას უწო-დებდნენ.

შეოლოდ აფურის პატარა ქარხანა იყო ცი-ხისთან ახლოს ორმოცდა ათი წლის წინათ. ქარხანაში მკითვადიანი სისხლის სამართლის დანაშაულები შემუშობდნენ ეუსტარული წე-სით. ციხიდან ქალაქამდე — ორი კილომეტრის

მანძილზე ცაბიელი მინდორი იყო. არც ციხის მეორე მხარეზე იყო მოსახლეობა.

ახლა კი მოელი დუბინკა, ფერქო მდინარე უბანის ნაპირებამდე, მკიდრტქარის! დანახ-ლებული. ყოფილ ეკატერინოდარის საოლქო ციხის შენობის ირველიც კობტა უკრაინული სახლებია გაშენებული ლამაზი უზო-ბალებით.

მოულოდნელად უცნაური სურვილი აღმეძ-რა, როდესაც ყოფილი ეკატერინოდარის საოლ-ქო ციხის კორპუსი დაინახე: მომიწდა მივრ-ბენილიყავი, ჩავევთი და დამეკონა მისი კედლები იქ, სადაც მე-13 საყანის ფანჯარა გადმოკურება: რინის გარსებთან ფანჯარაში ცხადელი ვხედავ ჩემგან სრულიად დამოუკი-დებულ, ჩემი მოხუცი ასაკიდან სავსებით გამო-თიშულ, თავისუფლებასმოწყურებულ თერა-მეტი წლის ჰუბუკს — ჩემსავე თავს.

მზერა მე-5 საყანის ფანჯარაზე გადამაქეს. მიუხედავად განვლილ ნახევარი საუკუნისა, იქაც ხელშესახებდა, თვალნათლივ ვხედავ ტი-ფის აღში გახვეულ ადამიანებს — ზოგს მომაკ-ვდაეს, ზოგს უკვე მკვდარს!

სწრაფად მოვწვილ ადგილს. ჩავეარე შენო-ბას მარცხენა მხრიდან და მდ. უბანისაყენ დავეშვი.

თეთრი ფინია ამეღევნა. გაანახლებულმა შე-მომიტია.

— ნუ! ნუ! ფინია, ნუ! — მოუთვალერსე.

მაინც გაბრახებით მივეფს. აბა რას მიმიხ-დებოდა პატარა ფინია თუ როგორ გუნებაზე ვეიყვი მიშინ მე!

უბანი მამიხედ მიაგორებს თავის მღვრიე ტალღებს. გაღმა აღარ მოჩანს ჩერქეზების აული, მინარეთი...

ქარხნების უზარმაზარ კორპუსებს ვხედავ. ცაში აწვილ აფურის მიღებით. უკვე 5 სა-თია. მისიშის ქარხნის საყვირის ხმა. შრომი-საკენ მოუწოდებს მუშებს. ვალმოხდილებს დასვენების ვაშს ამეცნობს.

გამოვბრუნდი. ახალგაზრდა ქალსა და კაცს ვხედავ ღობეზე მომდგარს. ვეკითხები ჩერქე-ზების აულს, მინარეთის შესახებ. თავაზიანად ილაშქრებან. არ ახსოვთ ძველი აული. არც კი იციან რა არის მინარეთი, ან რა ძალა ჰქონდა მას შავებულ წარსულში.

წამოსვლისას კვლავ გადავავლე თვალი ლამაზ უკრაინულ სახლებს, უზო-ბალებს და გავიფი-ქრე: რამდენი თავგანწირული მებრძოლის ძელებია ჩამბალი მიწაში იქ, სადაც ახლა ეს მშვენიერი უზო-ბალებია გაშენებული!

ასეთი მძიმე, ეკლანა გზებით მიიწევდა წინ რუსეთის მუშათა კლასი ბოლშევიკური პარტიას მეთაურობით.

ამ მძიმე გზებზე ბრძოლებში გმირულად დაეცემულია ათეულ ხსოვნას მიუძღვნენ მე ამ ჩემს სტრატეგებს.



ანტიკური ხანისა და საშუალო-საუბნეთა ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნა და ძველი ქართული მუსიკის აღდგენა

(ამოხსნა და აღდგენა ნიმუშების დარტყმით)

I

ძველი ქართული მუსიკის თვითმყოფი ხანითი

და მისი სხვაობა ბერძნული (ბიზანტიური) და აღმოსავლური მუსიკისაგან. —

ძველი ქართული მუსიკის სამხმინარე

ძველ ქართულ წყაროებში დაცულია პირდაპირი მითითებანი იმის შესახებ, რომ ძველი ქართული მუსიკა განსხვავდებოდა თავისი ხასიათით ბერძნული (ბიზანტიური) და აღმოსავლური მუსიკისაგან.

1. პირველ რიგში ჩვენ შევიჩინებთ განსაკუთრებულ ძველ ქართულ მწერალს არსენი იყალთოელის ერთ ცნობაზე, საიდანაც ნათელი ხდება ძველი ქართული მუსიკის თვითმყოფი ხასიათი და მისი სხვაობა ბერძნული (ბიზანტიური) მუსიკისაგან.

არსენი იყალთოელი XI-XII საუკუნეთა მოღვაწეა. არსენი იყო პირველი მოძღვართ-მოძღვართი (რექტორი) გელათის აკადემიისა, რომელიც დავით აღმაშენებელმა დააარსა, არსენი ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა თავისი ეპოქის ქართულ განათლებისა, ქართული ლიტერატურისა, ქართული ფილოსოფია-თეოლოგიისა.

არსენი იყალთოელი დაახლოებული პირი იყო საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლისა (1073 — 1125 წ. წ.). ქვემოთ, არსენი იყალთოელის ანდერძში, ჩვენ ვრთავდ შეგვხვდება სახელუბი არსენისა და დავით აღმაშენებლისა, და ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღვნიშნოთ, რომ დავით აღმაშენებელი ზეერ რამეში გუბის მიმცეში და წარმმართველი იყო არსენი იყალთოელისა და მისი სკოლის სალიტერატურო და საგანმანათლებლო მუშაობისა. (უნდა ვიცოდეთ, რომ დავით აღმაშენებელი არა მხოლოდ უდიდესი სახელმწიფო მოღვაწეა ძველი საქართველოსი, არამედ დავითი,

ამავე დროს, უგანათლებულესი ადამიანი იყო თავისი ეპოქისა, ქართველი ხალხის დიდი განმანათლებელი).

არსენი იყალთოელი, როგორც მოვიხსენებთ, მრავალმხრივი მწერალი იყო და კერძოდ მას გარკვეული დავალი მიუძღვის ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიაში. არსენის ცუქუნის როგორც ორიგინალური, ისე ბერძნულიდან თარგმნილი ჰიმნოგრაფიულ-პოეტური ტექსტები.

კერძოდ, არსენი იყალთოელს უთარგმნია ქართულად VII-VIII საუკუნეთა განთქმული ბერძენი ჰიმნოგრაფის ანდრია კრიტელის საგალობელი, ეგრეთწოდებული დიდი კანონი, „გალობანი სანანულისანი“. ეს საგალობელი ანდრია კრიტელისა განსაკუთრებული სახელით სარგებლობდა არა მარტო ბიზანტიაში, არამედ სამუაღლ-საუკუნეთა შთელ ქრისტიანულ მსოფლიოში.

არსენი იყალთოელი გადმოგვცემს, რომ ანდრია კრიტელის ეს საგალობელი ძველად, არსენიზე უფრო ადრე, ორჯერ ვუფილა თარგმნილი ქართულ ენაზე X-XI საუკუნეებში დიდი ქართველი მწერლების ეფთიმე მთაწმიდელის (958 — 1028 წ. წ.) და გიორგი მთაწმიდელის (1009 — 1065 წ. წ.) მიერ.

მეუბნებად იმისა, რომ ეფთიმე და გიორგი მთაწმიდელები უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ძველ საქართველოში (თვით არსენი იყალთოელი, ქვემოთ მოყვანილ ანდერძში, მათ უწოდებს „დიდნი მნათობნი ჩუქუნისი“ — ქართველანი), რის გამო ეფთიმე და გიორგი მთა-

წმიდელთა მიერ დადგენილი ტრადიციის შეკვლა, ცხადია, არც ისე ადვილი იყო, მაინც არსენი იყალთოელის საპიროდ დაუნახავს ხელახლა ეთარგმნა ანდრია კრიტიელის ეს საგალობელი. თუ რაით იყო განაწილებული ეს ახალი თარგმანი, რა სახით შესრულდა იგი, ამასთან რა მიზეზების გამო დაიწერა ამ საგალობელთა ახალი ქართული მუსიკა (ეს ახალი მუსიკა დაუწერია, დავით აღმაშენებლის დავალებით, ქართული კომპოზიტორის იოვანე ქართლისა კათალიკოსს), — ამის შესახებ არსენი იყალთოელი დაუწერია დავით მოგვითხრობის ანდრეძში, რომელიც დართულია არსენი იყალთოელის ამ ახალ თარგმანთან.

ვინააღან ამ ანდრეძს დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი ქართული მუსიკის ისტორიისათვის, მოგვყავს აქ არსენი იყალთოელის ამ ანდრეძის თვით ძველ-ქართული ტექსტი (ქვემოთ ვიძლევი ამ ძველ-ქართული ტექსტის დაწერლების განმარტებას).

არსენი იყალთოელი ამ ანდრეძში წერს შემდეგს: „ვინააღან წმიდათა მამათა და დიდთა მნათობთა ჩუენთა ეფთჳმის და ვიორგის მითაწმიდელთა ორგვის ეთარგმნეს წმიდასა ანდრეა კრიტიელთა მწვეუმსგებთა გრისა მიერ აღწერილი ესე გალობანი.

და პირველს მას [— ეფთჳმის მთაწმიდელთა] მტად შეეშოკნეს, რამეთუ საღმრთოთა წერილისა სახის-მეტყუელუბანი ყოველნი დაეტყუეს ხოლო ნაცვალად მათდა სინანულისა დასაბულები შევსატა, ვითა მხოლოდ სულთა სარკელებსა ხოლო. და არა წიგნთა ძალისაჲცა უნაწილოებოთა მტრებელსა; ამასთანა კმისაჲ განცა თვისისა და ძლისპირთა განცა შეეცვალნეს:

ხოლო მეორესა [— ვიორგის მთაწმიდელთა] უზომოდ განეერცნეს, რამეთუ წმიდასა [ანდრეას] თქმული ყოველი სრულებით ეთარგმნა, და მამისა ეფთჳმის მტატებულნი იგი დასაბუდენი არავე დაეტყუეს, ვითარცა თუთ [ვიორგი მთაწმიდელი] აღიარებს წმიდითა პირითა თვისითა; და დაღაცათუ ქმად არა შეეცვალა, გარნა თვისთა ძლისპირთა ზედა თარგმნაჲ არცა მას გულს ედგინა;

და უსრეთ მიიმედ რაღჲე ტრთად ზედა ესხნეს ორივე იგი ეფთჳმის და ვიორგის მთაწმიდელთა თარგმანნი ყოვლისა საქართელოთასა ეკლესიათა, ამისთვის მე... მდებარემან მონაზონმან არსენი, ეთარგმნა მესამედ თარგმნაჲ ამათ, უცვალდებულად თვისისა კმისაჲ განცა, თუთ მათვე ძლისპირთა ზედა მათთა, რომელთა ზედ წმიდასა ანდრეას ბერძნულად აღუწერეს, — ბრძანებითა და ურჩინებითა კეთილდმსახურისა და ღმრთოვდაცულისა დავით აფხაზთა და ქართველთა და რანთა (— პერთა) და კახთა მეფისაჲთა,

რომელმან მე თარგმანებისა, ხოლო წმიდასა მწვეუმთა-მწვეუმსა იოვანეს ქართლისა

კათალიკოსსა, ვითარცა კეთილად მოწოდესა ორდანოსა, კელოვანთ-მთავრისა სულთსა, კმისა დადებინა ელ-ყოფა გუბრანსა, ვინააღან უცხოთა იყენეს ენისა წუენსაჲგან ძლისპირთა მათნი; — რომელი ესე ორივე სრულყო მთხედვანს საღმრთომან... და უნაკუველი და შეურცენელი ქეშმარტებთა წინა დაუგო ყოველთა ტრფალოთა სიტყუსათა და მოსურნეთა ქეშმარტებისათა...

კეთილი რამცა არს ყოველი, შეშგომად ღმრთოსა და საღმრთოთა, დიდისა მეფისა და წმიდასა თუმწრობელისა ჩუენისა [დავითის] და მისისა გულს-შადგინებისაჲ არს, რომლისანი მრავალმცა არიან წუელი ცხოვრებისა მისისანი და საუყუნო კურთხევაჲ“.

იმასათვის, რომ სწორად გავიგოთ მოტივები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა არსენი იყალთოელი, როდესაც მას საპიროდ მიუხედავია ანდრია კრიტიელის საგალობელთა ხელახლა თარგმნა, სჭირთა ვიცოდეთ, რომ არსენი იყალთოელი თავისი ლიტერატურული სიმათიებით უკიდურესი ელენოვლი იყო; ამასთან თავის მთარგმნელობითს პრაქტიკაში არსენი მეცნიერული სიზუსტის მიმდევარია, რაც მას ურთვეარ მეცნიერულ პედანტიზმამდე მიჰყავს, არსენი იყალთოელს საპიროდ მიჩანდა, რათა თარგმანები ელენოვნი ირდიან ქართულად შესრულებული ყოფილიყო სრული ზედმეწვენილობით, ყოველგვარი თავისუფლების ვარეშე. რათა ამით მიღწეული ყოფილიყო „წიგნთა ძალისა უნაკულოობა“ და „შურცენელი ქეშმარტება“.

ამ მხრივ ლიტერატურულ-მთარგმნელობითი პირიციმები არსენი იყალთოელისა და ეფთჳმე მთაწმიდელისა სრულებით სხვადასხვაა, ეფთჳმე მთაწმიდელი, როგორც ეს საკანგებოდ აღნიშულია ძველ-ქართულ მწერლობაში, ბერძნულ ტექსტებს ეკიდებოდა არა როგორც პედანტი მთარგმნელი, არამედ როგორც თავისუფალი შემოქმედი, რომელიც ხშირად ბერძნული ტექსტების თავისუფალ გადაშეშეგებას იძლეოდა ქართულად. ეფთჳმე მთაწმიდელი იმდენად დიდი მოძღვარი იყო, წერს ერთი ძველი ქართული მწერალი (ეფრემ მცირე), რომ მას ქველ-წიფებოდა „შემატებაჲცა და დაქლებაჲცა“. უფლებამოსილი იყო თავისუფლად განეზარტა ქრისტიანული მწერლობის ძეგლები, მოეცა ამ ძეგლთა თავისუფალი გადაშეშეგება ქართულ ენაზე.

კერძოდ, ასე მოქცეულა ეფთჳმე მთაწმიდელი ანდრია კრიტიელის საგალობელთა გადმოღების დროს ქართულ ენაზე. სახელდობრ, ეფთჳმის ვამოურტოებთა საგალობლებიდან „საღმრთოთა წერილისა სახის-მეტყუელუბანი“ ე. ი. წმიდა თეოლოგური ხასიათის სახეები, რაც ამ საგალობლებს ტექსტს ერთგვარ სქოლასტიკურ იერს აძლევდა, და ამის ნაცვლად დაუშატებია ისეთი „დას-

* იხ. სინას მთის ძველ-ქართული ხელნაწერი № 70 (ხ. შარი, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, გვ. 203 — 204).

დებლები* (სტროფები). რომელშიაც ვადმოცემულია პოეტური განწყობლება, „სინანულის“ გრძობა (ამას შეუფარდება თვით ხასიათი, პოეტური სული ამ საგალობელთა, რომელიც ამას გამოატარებს ამ სახელწოდებას: „გალობანი სინანულისანი“).

ამრიგად, ეფთიმე მთაწმიდელს სინამდვილეში კი არ უთარგმნია ანდრია კრიტიკის საგალობელი, არამედ მის საფუძველზე მას ახალი ნაწარმოები შექმნია.

უნდა ითქვას, რომ საგალობელთა ქართული ტექსტი ეფთიმე მთაწმიდელის თავისი პოეტური ღრსებებით მიღდა დეას, ვიდრე ანდრია კრიტიკის ბერძნული დედანი, რამდენადაც ქართულ საგალობლებში, როგორც მოვხსენეთ, წარხოცილია საღვთისმეტყველო-სქოლასტიკურა იური, ქართული საგალობლები წმინდა პოეტური პათოსით არის ატვირთული.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ეფთიმე მთაწმიდელის საგალობელთა ქართული ტექსტი დაცვილებული ყოფილა ანდრია კრიტიკის ბერძნულ ტექსტს არა მარტო შინაარსობრივად, არამედ დაცვილებული ყოფილა მეტრის მიხედვით, დაცილებული ყოფილა აგრეთვე მუსიკის მიხედვითაც. როგორც ვადმოგვეცნა არსენი იყალითოელი, ეფთიმე მთაწმიდელს შეუსცვლია საგალობელთა „ზომი (მლისპირთა წყობა-მეტრი) და აგრეთვე შეუსცვლია საგალობელთა თვით კილო — „ხმა“, ე. წ. modus-ი. (საშუალო საუკუნეთა საგალობლებში, როგორც ცნობილია, მიღებული იყო რვა modus-ი, ანუ როგორც მას ქართველები უწოდებდნენ, რვა „ხმა, ბერძნული ἤχος).

როგორც იყო ეფთიმე მთაწმიდელის საგალობელთა მუსიკა, ჩვენ არ ვიცით, ჩაწერილი ტექსტი მუსიკისა არ მოღწეულია, მაგრამ რადგან ქართულ დედანში შეცვლილი ყოფილა საზომი—მეტრი, შეცვლილი ყოფილა თვით კილო—„ხმა“ (მოდუსი), თავისთავად ცხადია, თვით მუსიკაც ქართული ტექსტისა სხვა ყოფილა, ვიდრე ბერძნული ტექსტისა.

ეს რაც შეეხება ეფთიმე მთაწმიდელის საგალობლებს.

გვეცნოთ ამის შემდეგ მეორე ტექსტს, გიორგი მთაწმიდელის საგალობლებს.

გიორგი მთაწმიდელს მოეცა საგალობელთა ახალი თავისებური რედაქცია.

გიორგი მთაწმიდელმა, როგორც ცნობილია, ვადმოიღო ქართულად ბიზანტიური პოეზიის (პიმნოტარხოს) ძეგლები და, ცხადია, მას საჭიროდ მიაჩნდა, რათა ქართულად არსებული კრძოდი ისეთი განთქმული ძეგლი ბიზანტიური პიმნოტარხოსისა, როგორც იყო ანდრია კრიტიკის „დიდი კანონი“; ეფთიმე მთაწმიდელის საგალობელნი, როგორც ვნახეთ, სინამდვილეში ეს არ იყო თარგმანი, არამედ დამოუკიდებელი ნაწარმოები, შექმნილი ანდრია კრიტიკის საგალობელთა საფუძველზე.

გიორგი მთაწმიდელს უთარგმნია მთლიანად ან-

დრია კრიტიკის „დიდი კანონი“; მაგრამ გიორგი მთაწმიდელი მარტო ამით არ დაკმაყოფილებულა.

საქმე ის არის, რომ ეფთიმე მთაწმიდელმა, როგორც მოვიხსენეთ, ეს იყო უდიდესი ავტორიტეტო მისილი მოძღვარი; ამასთან ეფთიმე სათაყვანებელი პიროვნება იყო გიორგი მთაწმიდელისათვის, გიორგი თავს სთვლიდა ეფთიმეს მოწოდებულად, ამიტომ გიორგი, ცხადია, ვერ უნაულებებს მყოფდა ეფთიმე მთაწმიდელის შრომას, მას არ შეეძლო გვერდი აველო ეფთიმე მთაწმიდელის ტექსტისათვის.

ამიტომ გიორგის მოუხდენია გაერთიანება ანდრია კრიტიკისა და ეფთიმე მთაწმიდელის ტექსტებისა, სახელდობრ, გიორგის ანდრია კრიტიკის სრული ტექსტისათვის დაუმატებია ცვლია ის ახალი სტროფები, რომლებიც ეფთიმე მთაწმიდელს ეკუთვნოდა. ეფთიმე მთაწმიდელის საგალობელთა ტექსტში მოიპოვებოდა.

ამგზით წარმოიშვა ეს თავისებურა რედაქცია გიორგი მთაწმიდელისა, რომელიც წარმოადგენს ბერძნული და ქართული ტექსტების თავისებურ შერწყმას.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ გიორგი მთაწმიდელის ეს გაერთიანებული რედაქცია დამორჩეულია ბერძნულს არა მარტო შინაარსობრივად (ეფთიმე მთაწმიდელის სტროფების დამატების გამო), არამედ დამორჩეულია, ეკრძოდ, მეტრის, საზომის მიხედვითაც. ვინაიდან გიორგი მთაწმიდელს განზრახული ჰქონდა შეეტანა საგალობელთა ამ გაერთიანებულ რედაქციას ეფთიმე მთაწმიდელის ტექსტი, ამიტომ გიორგი მთაწმიდელს ანდრია კრიტიკის ბერძნული ტექსტი უთარგმნია არა ბერძნული საზომის დაცვით, არამედ ეფთიმე მთაწმიდელის ქართული საზომით (რადგან ამის ვარქმე), საზომის ერთიანობის დამოუკიდებლად, ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა გაერთიანება ანდრია კრიტიკის ტექსტისა ეფთიმე მთაწმიდელის ქართულ ტექსტთან).

ეს რაც შეეხება საგალობელთა ტექსტს.

ხოლო როგორი იყო საგალობელთა მუსიკა?

გიორგი მთაწმიდელს საგალობელი მუსიკა, როგორც ირკვევა, არ ყოფილა ბერძნული მუსიკის განმეორება. ეს თავისთავად ცხადი ხდება იმის მიხედვით, რომ თვით მეტრი, საზომი გიორგი მთაწმიდელის საგალობელთა, როგორც მოვხსენეთ, სხვაა, ვიდრე მეტრი საგალობელთა ბერძნული ტექსტისა.

•

ჩვენ გავუცანით საგალობელთა პირველ ორ ტექსტს. — ეფთიმესეულს და გიორგისეულს. განვიხილოთ, ამის შემდეგ, მესამე ტექსტი, — არსენი იყალითოელისა.

როგორც აღვნიშნავს არსენი იყალითოელი თავის ანდერძში, მას არ აკმაყოფილებდა არც ეფთიმესეული და არც გიორგისეული ტექსტები, რადგან ერთაცა და მეორეც დამორჩეული იყო ბერძნულ ორიგინალს, განსაკუთრებით პირველი. არსენი იყალითოელი დაჟდა აფასებდა თარგმანის პოეტუ-

რობას, იგი იყო, როგორც თვითვე ამბობს, „ტრფილი სიტყვისა“, მაგრამ არსენის აზრით, თარგმანში შინც შთავარია სიზუსტე. პოეტურობა უნდა შეფარდებული იყოს თარგმანის სიზუსტესთან, რათა არ დაირღვეს არსენის სიტყვით, „წიგნათ ძალისა უნაკლურება“ და მიღწეულ იქმნეს „შუროველი ქეშმარიტება“.

ამიტომ არსენი იყალიბებს, დავით აღმაშენებლის დასტურით, ხელახლად უთარგმნია ანდრია ქრტილის „დიდი კანონი“, სრულის ზედმიწევნილობით, თვით საგალობელთა მეტრის უცვლელად დაცვით.

უნდა აღინიშნოს, რომ არსენი იყალიბების ეს თარგმანი თემცა უფრო მწიგნობრულია ეფთიმე მთაწმიდელის ზღაპარ-პოეტურ ძეგლთან შედარებით, მაგრამ შინც დიდეს ხელოვნებით არის შესრულებული; ხოლო, რაც შთავარია და რასაც იწინააღმდეგება არსენი იყალიბელი, ანდრია ქრტილის ზერძებული ტექსტი აქ მართლაც სრული ადეკვატობით არის გადმოღებული.

ხოლო რაკი საგალობელთა სიტყვიერი ტექსტი ასეთის ზედმიწევნილობით არის გადმოცემული ზერძულის შესატყვისად, ზერძული მეტრის უცვლელად დაცვით, თავისთავად მსალოდნელი იყო, რომ ასევე უცვლელად გადმოტანილი და განმეორებული იქმნებოდა საგალობელთა ზერძული მუსიკა.

მაგრამ არაფერს ამის მსავსეს ჩვენ არ გვხვდეთ. არსენი იყალიბელსა და თარგმანის სხვა ინდიკატორებს საგალობელთა ზერძული მუსიკა შეგნებულად უყურდგიათ და შეუცვლიათ იგი ქართული მუსიკით, რადგან, როგორც ამბობს თვით არსენი. — „უცხონი იყვნეს ენისა ჩუენისაგან ძლისპირნი ამითნი (— ა. ზერძუნიანი)“, ზერძული მუსიკა თავისი ზუნებით არ შეუფარდება ქართულსო, უცხოა ჩუენის ენისაგანთ.

ამას ამბობს არსენი იყალიბელი, უდიდესი ელინოფილი თავისი ლიტერატურული სიმათიებით, რომელმაც გახედულად დაარღვია ქართული ლიტერატურული ტრადიცია და გვერდი აუარა ისეთ ავტორიტეტებს, როგორიც იყვნენ ეფთიმე და გიორგი მთაწმიდელი, არ შეიწყნარა ძველი თარგმანების თავისუფალი ხასიათი და ყველაფერი მოიმიქმედა იმისათვის, რათა საგალობელთა სიტყვიერი ტექსტი უზნებლად დახალოებული ყოფილიყო ზერძულთან. ხოლო ამავე დროს ეს ელინოფილი-მწერალი არსენი იყალიბელი ასეთის კატეგორიულობით აცხადებს, რომ ზერძული მუსიკის ზუნება არ შეუფარდება ქართულსო და ამის გამო ზერძული მუსიკა ქართულით იქმნა შეუძლიაო.

აქედან ცხადია, თუ რამდენად მართლაც თავისთავად ყოფილა ძველი ქართული მუსიკა, თვითმყოფი, დამოუკიდებელი, თავისი საკუთარი სახის მქონე, თუ კი ანას ასე უყამათოდ აღიარებენ თვით ელინოფილი მიმთარგმნელები. არსენა იყალიბელის ანდრიაძიდან ისიც ირკვევა, რომ აქ დროს გამოჩენილი პროფესიონალი

ქართველი კომპოზიტორებიც („ხმისა დამღებულნი“) ყოფილან, რომელნიც ნაყოფიერად მუშაობდნენ ქართული მუსიკის დარგში, ანუ ანდრია ქრტილის საგალობელთა სიტყვიერ ტექსტზე უკმა ორიგინალური ქართული მუსიკისა (— „ხმისა დაღება“) დავით აღმაშენებლის დაუცვლებია განთქმული კომპოზიტორის იოვანე ქართლისა კათალიკოზისათვის, რომელც იმდენად სახელოვანი მუსიკოსი ყოფილა, რომ მას არსენი იყალიბელი მოახსენებს როგორც „ეეთილად მორთულ ორღანოს“ და უწოდებს „ხელოვან ორგანოს“.

2. რაში მდგომარეობდა ქართული მუსიკის თვითმყოფი ხასიათი, მისი დამოუკიდებელი ეროვნული სახეობა, რომელიც ქართულ მუსიკას განასხვავებდა ზერძული (ბიზანტიური) მუსიკისაგან. ეს სხვაობა, ცხადია, არ იყო უმნიშვნელი; პირიქით იგი უდრესად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, რამდენადაც ქართული და ზერძული (ბიზანტიური) მუსიკა ერთმანეთთან შეუთავსებლად ითვლებოდა, როგორც ვნახეთ, თვით ელინოფილი მოღვაწენი აღნიშნავდნენ, რომ „უცხო იყვნეს ენისა ჩუენისაგან (ქართულთა) ძლისპირნი ამითნი (— ზერძუნიანი)“, — ზერძული მუსიკა თავისი ზუნებით არ ეფარება, არ ეთავსება ქართულ მუსიკასო.

ეს თვითმყოფი, დამოუკიდებელი, ეროვნული სახეობა ქართული მუსიკისა მას სამშინაონობაში მდგომარეობს და, როგორც დასტურდება, ეს სამშინაონობა ქართულ მუსიკისა უძველესი ხანიდან მომდინარეობს.

ქართული ხალხი უძველესი დროიდანვე გარშემორტყმულია ხალხებით, რომელთა მუსიკა ერთმანთან იყო და არის დღესაც, და რომელთა მუსიკალური აზროვნება ერთმანთან მულოდის ორნამენტაციამო ვითარდება. ერთმანთან იყო ზერძული მუსიკა, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე „აშუალო საუკუნეებში — ვიღერ ახალ საუკუნეებამდე ერთმანთან იყო და არის აღმოსავლეთის ხალხთა მუსიკა.

ამ მხრივ ქართველი ხალხი, რომლის ეროვნული მუსიკა სამშინაონია, პარძონიულ წყობაზე დამყარებული, საოცარ გამოჩენილს წარმოადგენს ერთმანთან მუსიკის მქონე ხალხთა შორის, იგი ოპიუსის მსავსესად არის გარშემორტყმული ერთმანთან მუსიკის მქონე ხალხთა მიერ.

ქართული ეროვნული მუსიკის ეს თავისებურება — სამშინაონობა, პარძონიულ წყობაზე დამყარებული, რომ უძველესი მოვლენაა, უძველესი ხანიდან მომდინარე, ამას სრულიად უდავოდ ადასტურებს, კერძოდ, ჩვენება XI-XII საუკუნის ქართველი ფილოსოფოსის იოვანე პეტრიწისა.

იოანე პეტრიწი — თავის შთავარი ფილოსოფიური შრომის ბოლოსიტყვაობაში, ეხება რა დიალექტიკურს ტრიადულ საწყისს სამყაროს წყობაში, აღნიშნავს, რომ აქ გვაქვს იმავე სახის წყობა, რაც მუსიკაში, რომელიც სამთა ხმათა

მღერ შეინაწევრება და პარმონიას ბქმინსო. თანე პეტრიწი ასახელებს მუსიკის ამ სამ ხმას რომელთა შერწყმით წარმოიქმნის პარმონია: „შახარა“ (— მოძახლი, ძირითადი ხმა), „ჟირი“ (მეორე, მაღალი ხანი) და „ბაში“ (საუთრივ ხანი). იოანე პეტრიწი ერთგან წერს: „არამედ სამუსიკელოა... არს ჩუნი ეს სამოყუსოა [—სამყარო]... ვიტყვ სამთა დაბაზათა, რომელთა მიერ შეინაწევრების ყოველი შეყოფილული: შახარ, ჟირ და ბაშ რქმულინი, და რანივე მრთველობანი ძალთა და ქმათანი“ *.

(ვიძლევით იოანე პეტრიწის მოყვანილი ძველქართული ტექსტის კომენტარებულ თარგმანს ახალ ქართულზე):

„არამედ მუსიკისებური — არის ჩუნი ეს სამყარო, — ვლამარაკობ სამი ხმის შეწყობის (დაბაზვის) შესახებ, რომელთა მიერ შეინაწევრება ერთობა ყოველობისა, რომლებზეც პრქვიან: „შახარა“, „ჟირი“ და „ბაში“, და რაც არის მრთველობა (პარმონიული წყობა) სიმთა და ხმათა“.

იქვე იოანე პეტრიწი, ებება რა თეოლოგიურ კონცეფციას ღვთაების სამპირფენების შესახებ, მიუთითებს მუსიკაში გამოვლენილს იმავე ტრია-

დულ საწყობს, სამხმანობის პრინციპს. იოანე პეტრიწის იდეალისტური თეოლოგიურ კონცეფციას თანახმად, ღვთაების ბუნება ვრცელდება და ექვემდებარება დროს სამსახოვანი, როგორც ერთიან პარმონიაში შერწყმული სამი ხმა („იხილო შახარსა, ჟირსა და ბაშსა ერთობა შეყოფებისა“ — წერს იოანე პეტრიწი). სამხმანობაზე დამყარებულს მუსიკალურ პარმონიას იოანე პეტრიწი მიანხვედა ბუნების მეტაფიზიკურ არსად, ღვთაების სამსახოვანს ანარკულად ბუნებაში *.

საერთოდ, იოანე პეტრიწის ტექსტიდან ირკვევა, რომ იგი არა სენობდა სხვა სახის მუსიკას, თუ არა პარმონიულ წყობაზე დამყარებულს სამხმანობას.

აქედან ცხადი ხდება, რომ ქართული მუსიკის სამხმანობა უძველესი დროიდანვე მომდინარეობს, რამდენადაც ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში სამხმანობა მიჩნეული ყოფილა არა როგორც ახალი რაიმე მოვლენა, არამედ როგორც მუსიკის ერთადერთი დასაბამიერ სახე. ამკარაა ამის მიხედვით, რომ სამხმანობაზე დამყარებულს ქართულ ეროვნულ მუსიკას მართლაც უძველესი ტრადიციები ჰქონია **.

II

ძველი ქართული მუსიკის ძეგლთა ნოტირბეზული ქართული ხელნაწილები მათთა და მეთმრთმებთ საუქმნებთისა

ჩვენ ვნახეთ, არსნი იყალთოელის ზემოთგანხილული ანდერძის მიხედვით, თუ რა მაღალ დონეზე იდგა პროფესიული ქართული მუსიკა ძველ საქართველოში.

მაგრამ ქართული მუსიკის მაღალი დონის მაჩვენებელია არათუ მართოდენ ლიტერატურული ცნობები; საქმე ის არის, რომ ჩვენამდე მოღწეულა თვით ძეგლები ძველი ქართული მუსიკისა, ჩაწერილი ძველ-ქართულ ხელნაწილებზე არქაული სახის მუსიკალური დამწერლობით.

დასახელებული ძველ-ქართული ხელნაწილები შეიცავენ ძველ-ქართულ საგალობლებს: ამ ხელნაწილებში საგალობელი ჰიმნების სიტყვებ ტექსტს, სტრიქონს ზემოთ და ქვემოთ, მოწერილია აქვს თავისებური ნიშნები, რომლებიც არქაული ტიპის სამუსიკო ნოტებს წარმოადგენენ და რომლებიც აღნიშნავენ, თუ როგორ იგალობება ჰიმნები. დასახელებული ხელნაწილები, რომლებიც ჩვენ დრომდე მოღწეულა, ვადაწერილია სხვადასხვა დროს, შეათე — მეთერთმეტე საუკუნეებში, და აქ წარმოდგენილია როგორც X-XI საუკუნეების, ისე ამაზე ადრინდელი ხანის ძველი ქართული მუსიკალური რეპერტუარი.

ვიძლევით აქ სიას ამ ხელნაწილებისა.

სულ ჩვენამდე მოღწეულა ძველი ქართული მუსიკალური ძეგლების შემცველი ნოტირბეზული ცხრა ხელნაწერი. ამთგან ხუთი ხელნაწერი დაცულია საქართველოში. სამი დაცულია სინას მთაზე, სინას მთის ძველ-ქართული მონასტრის ბიბლიოთეკაში. ერთი დაცულია ათონზე, ათონის ძველი ქართული მონასტრის (ეგრეთწოდებულს „ივერიის მონასტრის“) ბიბლიოთეკაში.

ა. საქართველოში დაცული ხელნაწილები.

1. მიქაელ მოდრეკალის კრებული — საგალობელთა წიგნი, რომელსაც ეწოდება „ს ა ვ ე დ ი წ დ ო ი ა დ გ ა რ ი“. ვადაწერილია 978 — 988 წლებს შორის, ტაო-კლარჯეთში. ეს ხელნაწერი ყველაზე მნიშვნელოვანია ძველი ქართული მუსიკის ძეგლთა შემცველ ნოტირბეზულ ხელნაწერთა შორის, კრებული რედაქტირებულია X საუკუნის დიდი მუსიკოსისა და პოეტის მიქაელ მოდრეკალის მიერ. აქ შედის VIII-X საუკუნეთა ქართველ ჰიმნოგრაფთა და კომპოზიტორთა ქმნილებანი.

* იხ. იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, განმარტება პოკლესთუს დიადომოსის პლატონურისა ფილოსოფიისათვის, გამოცემა შ. ნურუბიძისა და ს. ყაუხჩიშვილისა, თბილისი, 1937 წ., გვ. 217.

* იხ. იქვე, გვ. 217.
** თვითყოფი ხასიათი ძველი ქართული მუსიკისა, რომელიც დამყარებული იყო სამხმანობაზე, მისი სხვაობა როგორც ბერძნულ, ისე აღმოსავლური ერთხმიანი მუსიკისაგან, დისტრდუ-

დაწერილებით აღწერა ხელნაწერისა იხ. ჩვენს შრომაში — „გორგი შერულე“, გვ. 760 — 775, 01 — 038, 0107 — 0120.

ხელნაწერი ამჟამად დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, S — 425.

2. აღაერდული იორდანესეული ხელნაწერი — საკალოპელთა წიგნი „ძღვისპირნი“. გადაწერილია X საუკუნის დასასრულს. გადაწერილი იორდანე ხელნაწერი დაცული იყო კახეთის ალავერდის ტაძარში. ეს მეორე ხელნაწერიც აგრეთვე უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლია ძველქართულ ნოტირებულ ხელნაწერთა შორის.

ხელნაწერი ამჟამად ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, A — 603.

3. პალესტინური / იელური კრებული — „საწლიწლო იადგარი“ გადაწერილია X საუკუნის დასასრულს, პალესტინაში. შემდეგ ინახებოდა იელში, სენეთში.

ხელნაწერი ამჟამად დაცულია მესტიის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში.

4. პალესტინური / წიგნბუღი კრებული — „საწლიწლო იადგარი“, გადაწერილია X-XI საუკუნეთა საზღვარზე, პალესტინაში. შემდეგ ინახებოდა წიგნში, სენეთში.

ხელნაწერი ამჟამად დაცულია მესტიის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში.

5. კინტიშის ხელნაწერი — გამოკრებილი მოკლე იადგარი. გადაწერილია XI საუკუნის დასაწყისში. ინახებოდა (მინაწერებს თანახმად) ბუნტში, რომელსაც ერქვა „კინტიშნი“ (თანამედროვე „კინტიში“, ქობულეთის რაიონი). ხელნაწერი ამჟამად დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში A — 596.

ბა, გარდა აქ განხილული წყაროებისა, სხვა ჩვენებებითაც.

ეკრძალ აღსანიშნავია ერთი ძველქართული ტექსტი XI საუკუნისა, პამფლეტი აღმოსავლეთის მონოფიზიტების წინააღმდეგ; იგი ეხება V საუკუნის მოღვაწეებს — მიქაელ ქართლისა კათალიკოსს, რომელიც მართლმადიდებლობას ბრჯავად თვლებოდა, და მის მოწინააღმდეგეს ანტოკიის პატრიარქს ერეტრიკოს ჰეტროს მკარველს, რომლის სახელთან იყო დაკავშირებული განმტკიცება მონოფიზიტობისა სირიასა და სომხეთში. დასახელებულ პამფლეტში, აღმოსავლურ მონოფიზიტობის გაკაცებასთან ერთად, გაკაცებულია აღმოსავლური გალობის სახეობა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად იყო დამყარებული, აუგად, და ცნენით არის მოხსენებული — „ავაჯასა ზედა მათსა და გუარსა ქმისა მათისასა — ფანობა და გალობა“ (იხ. კრებული „საქართველოს სამოთხე“, პეტერბ., 1882 წ. გვ. 633).

ბ. საქართველოს გარეთ — ზინას მთაზე და ათონზე დაცული ხელნაწერები

6. სინური იოანე-ზოსიმესტელის კრებული — „საწლიწლო იადგარი“. გადაწერილია სინას მთაზე, 954 — 978 წლებში. X საუკუნის განთქმული ქართველი მწერლის — ზიმნოგრაფის იოანე-ზოსიმე საპაშინდელ-სინელის მიერ.

ხელნაწერი ამჟამად დაცულია სინას მთაზე, ეკატერინეს სახელობის მონასტერში, Sin — 1.

7. სინური კრავახეული კრებული — „საწლიწლო იადგარი“. გადაწერილია X საუკუნეში. წარწერებში (დენის ხელით) მოიხსენება — კრავა (ქალის სახელი).

ხელნაწერი ამჟამად დაცულია სინას მთაზე, ეკატერინეს სახელობის მონასტერში, Sin — 14.

8. სინური პროხოვსეული ხელნაწერი — პარაკლიტონი. გადაწერილია XI საუკუნეში. ხელნაწერში ერთ ადგილას მოიხსენება პროხოვე (არაა გამოირცხვლი, რომ იგი არის XI საუკუნის მოღვაწე პროხოვე უკარელი).

ხელნაწერი ამჟამად დაცულია სინას მთაზე, Sin — 21 (პირველი ნაწილი).

9. ტაოს მხარის ჯოჯი ერისთავთ-ერისთავისეული ხელნაწერი — „ძღვისპირნი“. გადაწერილია X-XI საუკუნეთა საზღვარზე, ტაოში. დედნის მინაწერში მოიხსენება ტაოელი მოღვაწე ჯოჯი ერისთავთ-ერისთავი. ხელნაწერის გადაწერია იოანე.

ხელნაწერი ამჟამად დაცულია ათონის ივერთა მონასტერში, Ath — 85.*

ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნაზე მუშაობის დროს დასახელებული ცხრა ხელნაწერიდან ჩვენს განკარგულებაში იყო საქართველოში დაცული ხუთი ხელნაწერი, რომელთა შორის მთავარია, როგორც მოიხსენიებოდა, პირველი ორი: მიქაელ მოღრეკელის კრებული და აღაერდული იორდანესეული ხელნაწერი.

ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნის შემდეგ თბილისში მიღებულ იქმნა მცირედილობა სინას მთის სამი ხელნაწერისა (ზემოთ დასახელებული ხელნაწერები 6, 7 და 8).

მკროფილემების განხილვიდან გამოირკვა, რომ სინას მთის ხელნაწერების მუსიკალური დამწერ-

* გარდა დასახელებული ცხრა ხელნაწერისა, რომლებიც X საუკუნესა და XI საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნიან, არსებობს აგრეთვე უფრო გვიანი ზინის საგალობელთა მოკლე ტექსტი, ჩაწერილი ერთ გვერდზე XII საუკუნის ხელნაწერში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა H — 2087. ქვემოთ მიმოიხილეთ ამ პოკლე გვიანდელ ტექსტს არ ვერცხე X საუკუნისა და XI საუკუნის პირველი ნახევრის ზემოთჩამოთვლილ ხელნაწერებთან და მას ცალკე ვენებით.

ლობა იგივეა, რაც საქართველოში დაცული ხე-თი ხელნაწერისა.

ნის პირველი ნახვერის ყველა ხელნაწერებში დაცული მუსიკალური დამწერლობა ერთს სისტე-მას წარმოადგენს.

III

ძველი მართული მუსიკალური დამწერლობის შესავალის ისტორიიდან. —

ძველი მართული ჰიმნების სალამსო ფორმების დადგენა. —

ალმორანზე მებრის აღმნიშვნელი ნიშანისა

ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობის შესწავლას საქმოდ გრძელი ისტორია აქვს. ძველ-ქართულ მუსიკალურ დამწერლობას ეხებოდნენ და სწავლობდნენ ქართველი მუსიკათმცოდნეები XIX საუკუნიდან მოყოლებული. უცხოელ მეცნი-ერთაგან ძველ-ქართულ სამუსიკო დამწერლობას სწავლობდა ცნობილი მკვლევარი ბერძნული და ლათინური საგალობო ნიშნებისა ე. თიბო. მა-გრამ მიუხედავად გაწეული შრომისა, ქართული სამუსიკო დამწერლობა ამოუხსნელ ამოცანად რჩებოდა.

პირადად ჩვენი ინტერესი ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობისადმი არაა ახალი და არც შემთხვევითი. საქმე ის არის, რომ ვიდრე სამუსიკო დამწერლობის ამოხსნას შეუდგებოდ-ლი, ჩვენი ხანგრძლივი შესწავლის საგანია იყო თვით პოეტური ტექსტები, რომელთათვის დაწე-რილი იყო ეს მუსიკა. პირველი ჩვენი სამეცნიე-რო შრომა „ძველ-ქართული პოეზია“ ამ უძველესი პოეტური ჰიმნების პირველ პუბლიკაციას შეი-ცავდა. უკანასკნელი ჩვენი შრომის „გვიორგი შერ-ნელის“ მეორე ნაწილი მთლიანად მიძღვნილია ძველი ქართული პოეზიის ამავე ტექსტები-სადმი.

ამასთან საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ძველი ქარ-თული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ტექსტები (რამ-ღებულებად დაწერილია მუსიკა). ქართულ მეც-ნიერებაში კარგა ხნის მანძილზე შეუღობოთ ცნო-ბილი იყო როგორც პროზაული ტექსტები. ეს მცდარი შეხედულება იქიდან წარმოიშვა, რომ ძველ ხელნაწერებში ლექსები იწერებოდა არა იმ სახით, როგორც ახლა იხეჭბება (ე. ი. ყოველი ტოპი ცალკე სტრიქონის სახით), არამედ იწერე-ბოდა გაბნეულ, პროზის მსგავსად. ზოლი საკითხა-გია, როგორ განარჩევენ ასე გაბნეულ დაწერილ ლექსს პროზისაგან? მარტო სხვნი? არა, ზეუნ აღმოაჩინეთ, რომ გაბნეულ დაწერილ სალექსო

ტექსტებში ლექსის მტრი (საზომი) გამოვლენი-ლი ყოფილა საყარებო მეტრული პუნქტუაციით. ლექსის გაბნეულ დაწერილ ტექსტებში მებრული პუნქტუაციით გამოიყოფოდა ერთმანეთისაგან ყო-ველი ტაპი (და აგრეთვე ნახევარ-ტაპები, როდეს-საე ტაპები შედმივი ცუზრით ორად განიკეთე-ბოდა).

ძველ-ქართულ ჰიმნებში მებრული პუნქტუაციის აღმოჩენამ მოგვცა გასაღები ძველ-ქართული ჰიმ-ნოგრაფიული პოეზიის ფორმის საიდუმლოებისა. ძველ-ქართული ჰიმნების სახით აღმოჩენილ იქმნა სრულად ახალი პოეტური სამყარო. (იხ. უძვე-ლესი ქართული პოეზიის ამ უაღრესად მღაღარი დარკის — ძველ-ქართული პოეტური ჰიმნების ტექსტები — ჩვენი შრომაში „გვიორგი შერნელე“, ნაწილი II).

მაგრამ ძველ-ქართული ჰიმნების მებრულ-რიტ-მული ფორმის ამოხსნამ არა მარტო პოეზიის ახალ სამყაროში შეგვიყვანა, არამედ ამან წინ წა-სწვია ამ ჰიმნების თვით მუსიკის ამოხსნის საქმე. რაკ დადგენილ იქმნა, რომ ჰიმნები ლექსად არის დაწერილი, ამასთან არა მხოლოდ მარტოე სა-ზომებით, არამედ სხვადასხვა სახის რთული რიტ-მებით, ამით დაზუსტდა, თუ როგორია ცალკეული ჰიმნების მუსიკის მებრულ-რიტმული სტრუქტუ-რა. ამასთან, რაკ გამოიჩინა ჰიმნებთან მართუ-ლი ნიშნებიდან რა ნიშანი აღნიშნავდა მებრე და რიტმს, ამის შემდეგ უფრო ნათლად დაისახა ჰიმნებთან მართული დანარჩენი ნიშნების, ე. ი. წმინდა მუსიკალური დამწერლობის ამოხსნის სა-კითხი.

ამრიგად, ძველი ქართული მუსიკის ამოხსნა და-კავშირებული იყო თვით ძველი ქართული პოეზიის აღმოჩენასთან. — ძველი ქართული მუსიკა აშე-ტყველდა მას შემდეგ, რაც დადგენილ იქმნა ჰიმ-ნების სალექსო ფორმა, მათი მებრულ-რიტმული სახეობა.

IV

ძველი მართული მუსიკალური დამწერლობის დამოუხიდებელი სახე. —

ნიშანთა რიცხვი

ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობის გამო თავდაპირველად საჭიროა აღინიშნოს, რომ ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობა არ-სებითად განსხვავდება თავისი მოხაზულობით სა-

შუალ-საუკუნეთა სხვა ერების მუსიკალურა და-მწერლობისაგან. კერძოდ დასაველეთში, — საბერძ-ნეთსა და რომში მიღებული დამწერლობისაგან. ძველი ქართული მუსიკალური ნოტაცია სრულიად

დამოუკიდებელს სახეობას წარმოადგენს მსოფლიო-ში ცნობილი მუსიკალურ დამწერლობათა შორის. აღსანიშნავია ამავე დროს შემდეგი უაღრესად მნიშვნელოვანი მხარე ძველ-ქართული მუსიკალური დამწერლობისა: ძველ-ქართულ მუსიკალურ დამწერლობას ახასიათებს მცირე-ნიშნითობა, მუსიკალური ნიშნების რიცხვი აქ ცოტაა. ხილვადი დასაყლოების საშუალო-საუკუნეთა მუსიკალურ დამწერლობას (სემიოგრაფიას) ახასიათებს მრავალ-ნიშნითობა, ნიშნების რიცხვი იქ შედარებით მეტია.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს აზნედა მკვლევართებს. საკითხი კიდევ უფრო დააბნელა იმ გარემოებაში, რომ მკვლევართა შორის გაერცხლებული იყო აზრი, ვითომც ძველ-ქართული სამუსიკო ნიშნები უნდა წარმოადგენდეს „ნომოსის“ შემაღგენულ ნაკვეთებს, ვითომც ისინი აღნიშნავენ მულოდის პასაჟებს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მით უფრო გაუგებარი ხდებოდა, თუ რად არის ასე მცირე ნიშნები ქართულ მუსიკალურ დამწერლობაში. ამის გამო ზოგიერთი მკვლევარი ეძებდა სხვადასხვა ხელნაწერებში სამუსიკო ნიშნების შობაზულობის ვითომცდა სხვადასხვა ვარიაციებს, რათა ამით გაეზარდა მუსიკალური დამწერლობის ნიშნითა რიცხვი და ერთგვარად დაეახლოვინა ძველ-ქართული მუსიკალური დამწერლობა ნიშნითა რაოდენობის მიხედვით დასაყლოების მუსიკალურ დამწერლობასთან (სემიოგრაფიასთან). მაგრამ ასეთი ძიება ფუჭი და უსაყოფოა.

ხოლო არავის მოსვლია აზრად ეფექტა, რომ სწორედ ეს მცირენიშნითობა არის პირდაპირი მარჯვენაღესი, პირდაპირი მანიშნებელი იმისა, თუ რა სისტემას ემყარება ძველ-ქართული მუსიკალური დამწერლობა, ძველ-ქართული სამუსიკო ნოტების წყობა.

ძველ-ქართული სამუსიკო დამწერლობა იმიტომ არის მცირენიშნითი, რომ ცალკეული ნიშნები ძველ-ქართული მუსიკალური დამწერლობისა აღნიშნავენ არა „ნომოსის“ ნაკვეთებს, არა მუსიკალურ პასაჟებს, არამედ ძველ-ქართული მუსიკალური დამწერლობა წარმოადგენს მუსიკალური ბგერების წმინდა ანბანს.

რათა მკითხველი უფრო ახლო გაერკვეს საქმის ვითარებაში, ავიღოთ ასეთი ანალოგია, — შევადაროთ ერთმანეთს ძველი სახის იეროგლიფური დამწერლობა და ფონეტიკური ანბანი.

ძველი სახის იეროგლიფურ დამწერლობას, როგორც ცნობილია, ახასიათებდა მრავალ-ნიშნითობა. ასე, ეგვიპტურ იეროგლიფურ დამწერლობაში რამდენიმე ასეული ნიშანია. ასევე ხეთურ იეროგლიფურ დამწერლობაშიც რამდენიმე ასეული ნიშანი გვხვდება. იეროგლიფური ტიპიდან მომდინარე არქაულ ლერსმწერ დამწერლობაში (სუმე-

რულში, და სუმერულიდან დამოკიდებულ — აკადურში, ელამურში, ხეთურში, კასიტურში, ქურულში, ურარტულში) * — ნიშნებს რიცხვს მცირე რამდენიმე ასეულია.

მრავალნიშნითობა იეროგლიფური ტიპის დამწერლობათა იმიტომ არის გამოწვეული, რომ აქ ცალკეული ნიშანი აღნიშნავს არა ერთ ბგერას, არამედ ბგერათა კომპლექსებს (მარცვლებს, ან ბგერათა სხვადასხვა სახის ჯგუფებს; ამას ერთის სხვადასხვა დამხმარე ნიშნები). ამ იმიტომ არის, რომ იეროგლიფიკას სჭირდება დამწერლობისათვის ასეთი დიდი რიცხვი ნიშნებისა.

რაც შეეხება ფონეტიკურ ანბანს, სადაც ყოველი ნიშანი გამოხატავს ცალკე ბგერას, ნიშნების რიცხვი ბგერად ნაკლებია, რამდენიმე ათეულია; წმინდა ფონეტიკურ ანბანს სჭირდება დამწერლობისათვის გაცილებით ნაკლები რაოდენობა ნიშნებისა, ვიდრე იეროგლიფურ დამწერლობას.

მცირე-ნიშნითობისა და მრავალ-ნიშნითობის მიხედვით ჩვენ შევიძლია გავარჩიოთ ტიპი ყოველი უფროდ დამწერლობისა. როდესაც რომელსაში დამწერლობაში ცალკეულ ნიშნითა რიცხვი რამდენიმე ათეულია (ორი-სამი-ოთხი ათეული), აქ ჩვენ საქმე გვაქვს ფონეტიკურ ანბანთან. როდესაც ნიშნითა რიცხვი ასეულობით ითვლება, აქ ჩვენ საქმე გვაქვს იეროგლიფური ტიპის დამწერლობასთან.

დავუბრუნდეთ ამის შემდეგ მუსიკალურ დამწერლობას.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ყურადღება ძველ ქართული მუსიკალური დამწერლობის შესწავლის დასაბრუნებლად მიიქცია მუსიკალური ნიშნების მცირე რიცხვმა. და აი ამ დროს ჩვენს წინაშე გაიყვანა იღუმ. რომ სწორედ ეს მცირე-ნიშნითობა არის მარჯვენაღესი მხოლოდ იმისა, რომ ძველ ქართული მუსიკალური დამწერლობა წარმოადგენს წმინდა მუსიკალური ანბანს, ე. ი. მუსიკალური ბგერების ანბანს (და არა იეროგლიფიკას, არა მულოდია — „ნომოსების“ ნაკვეთებს, არა მუსიკალური პასაჟების აღნიშნველ ნიშნებს).

ხოლო რაკი ამაზე ადრე უკვე დადგინილი გვექონდა პიშნების სალექსო ფორმა, მეტრულ-რიტმული სტრუქტურა, აღდგენილი გვექონდა პიშნების მუსიკალურ-რიტმული მონაზი, — აი ეს ბედნიერი იღუა, რომ ძველ-ქართული მუსიკალური დამწერლობა წარმოადგენს წმინდა მუსიკალური ანბანს (—რაც შეპირობებულია დამწერლობის მცირე-ნიშნითობით). ვახდა საფუძველი, რომელმაც კვლევის შედეგად მიგვიყვანა ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნამდე.

* გარდა უგარტულისა და ძველი ირანელისა.



ქველი ქართული მუსიკალური დამწერლობის ნიშანთა აღნიშვნის
სამ ჯგუფად აღნაწილნება

ქველი ქართული მუსიკალური დამწერლობის პრეციზული ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ ქველი ქართული მუსიკალური დამწერლობა შეიცავს ნიშნების სამ ჯგუფს. ესენია:

პირველი ჯგუფი: ძირითადი სამუსიკო ანბანი, — მ ნიშანი, ოქტავის ნიშნები დიატონური წყობისა;

მეორე ჯგუფი: დამატებითი (ნაწარმოები) ნიშნები, — იუბილიაციისა და ქრომატიული ნახვეართონების აღნიშვნის;

მესამე ჯგუფი: მეტრის ნიშანი.

ჯერ რამდენიმე შენიშვნა მესამე ჯგუფის ნიშანის შესახებ.

საკითხი მესამე ჯგუფის ნიშანის, მეტრის ნიშანის შესახებ, მარტივია.

მეტრის ნიშანი არის წერტილი, რომელიც დასმის ყოველი მეტრულ-რიტმული ნაკვეთის ბოლოს. აქ საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე შემდეგი.

იმისათვის, რათა მუსიკალური დამწერლობის ნიშნები გარჩეულ იქნეს სიტყვიერი ტექსტისაგან, სიტყვიერი ტექსტი ერთის მხრით, და მუსიკალური დამწერლობის ნიშნები მეორეს მხრით, სხვადასხვა მდონით იწერება ქველ-ქართულ ხელნაწერებში: სიტყვიერი ტექსტი იწერება შავი მკლნით, ხოლო მუსიკალური დამწერლობის ნიშნები მოწერება სიტყვიერ ტექსტთან წითელი მკლნით.

კერძოდ, ასევე მეტრის აღნიშვნელი ნიშანი — წერტილი: მუსიკალური მეტრის აღნიშვნელი ნიშანი — იწერება წითელი წერტილით (როგორც ყველა სამუსიკო ნიშანი), ხოლო უბრალოდ სალექსო მეტრის აღნიშვნელი ნიშანი იწერება შავი წერტილით (ისევე როგორც საერთოდ სიტყვიერი ტექსტი).

ხოლო ვინაიდან სალექსო მეტრი და მუსიკალური მეტრი ჩვეულებრივ ჰგავს ერთმანეთს, ამიტომ სალექსო მეტრის აღნიშვნელი შავი წერტილი და მუსიკალური მეტრის აღნიშვნელი წითელი წერტილი, ჩვეულებრივ, როგორც წინა, ერთსა და იმავე ადგილას უწევს, ერთსა და იმავე ადგილას ხვდება, ე. ი. სალექსო მეტრულ-რიტმული ნაკვეთების ბოლოს.

აქედით, მაგალითად, საგალობელი ჰიმნის ასეთი ფრაზა:

- უგალობდეთ უფალსა. (7)
- გალობითა ახლითა. (7)
- რამეთუ დაიდებულ არს. (7)

ხელნაწერში ყოველი შვიდ-მარცვლელი მუხლის შემდეგ დასმულია შავი წერტილი (სალექსო მე-

ტრის აღნიშვნელი) და იქვე დასმულია წითელი წერტილი (მუსიკალური მეტრის აღნიშვნელი).

ან-და რთული რიტმული წყობის მაგალითი (მეტრი 5 + 7).

- მოგებმადღე მხსნელი. (5)
- მოტყევაბა ბრალთი. (7)
- და შეიწირე. (5)
- უღირსთაგან ბაგეთა. (7)
- უძლური შესხმაბა. (5)
- ღმრთეებისა შენისა. (7)
- და წარგვმართე. (5)
- გზასა მშვედობისაბა. (7)

ხელნაწერში ხუთ-მარცვლელი და შვიდ-მარცვლელი მუხლების შემდეგ თანმიმდევრულად დასმულია შავი წერტილი (სალექსო მეტრის აღნიშვნელი) და იქვე დასმულია წითელი წერტილი (მუსიკალური მეტრის აღნიშვნელი).

ჩვენ აქ ამაზე შევეცდითა დავამთავროთ საუბარი ამ ნიშანის, — მუსიკალური მეტრის ნიშანის — შესახებ.

ამრიგად, თვისთავად ის ფაქტი, რომ წითელი წერტილი სისტემატურად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, იქ დასმის, სადაც სრულდება სალექსო მეტრულ-რიტმული ნაკვეთები, უდავოდ ხდის, რომ მუსიკალური დამწერლობის წითელი წერტილი — ეს არის მუსიკალური მეტრის ნიშანი.

დავებრუნდეთ ამის შემდეგ მუსიკალური ნიშნების პირველ ორ ჯგუფს. ეს ორი ჯგუფი, როგორც მოვისხენეთ, შემდეგია:

პირველი ჯგუფი: ძირითადი სამუსიკო ანბანი — მ ნიშანი, ოქტავის ნიშნები დიატონური წყობისა;

მეორე ჯგუფი: დამატებითი (ნაწარმოები) ნიშნები, — იუბილიაციისა და ქრომატიზმის აღნიშვნის.

რომ აქ ორ სხვადასხვა ჯგუფთან, ორ სხვადასხვა კატეგორიის ნიშნებთან ვვაქვს საქმე, ეს ჩვენ დაეფიქრეთ მუსიკალური დამწერლობის შესწავლის დასაწყისშივე, სრულიად ეპო-მიურტანელი ჰყენებების მიხედვით.

სახელდობარ, რომ მეორე ჯგუფის ნიშნები წარმოადგენს არა ძირითად ნიშნებს, არამედ დამატებით ნიშნებს, ეს ცხადი ვაბდა ორი გარკვეული მიკენებების გამო.

1. ყველა მუსიკალური ნიშნები მეორე ჯგუფისათვის მოხაზულობით არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ სახეობას, არამედ მომდინარეობენ

პირველი ჯგუფის ნიშნებიდან, წარმოადგენენ პირველი ჯგუფის ნიშნების გრაფიკულ ვარიაციას (ამის გამო ზეენ მას ვუწოდებთ ნაწარმოებ ნიშნებს).

2. ეს მეორე ჯგუფის ნიშნები, შედარებით პირველი ჯგუფის ნიშნებთან, ძალზე იშვიათად იხმარება.

სახელდობრ, მეორე ჯგუფის ის ნიშნები, რომლებიც როგორც შემდეგ გამოირკვევა, იუმბილიაციონის ნიშნებს წარმოადგენენ, ზეენ გვხვდება პიანინოს ტექსტის საშუალოდ 600 მარცვლიდან 1 მარცვალზე, ე. ი. შეადგენს 0,2%-ს.

კიდევ უფრო იშვიათად გვხვდება მეორე ჯგუფის ის ნიშნები, რომლებიც ქრომატიზმს (ქრომატიკულ ნახევარტონებს) აღნიშნავენ. სახელდობრ, ქრომატიზმის პირველი ნიშანი ზეენ გვხვდება საშუალოდ 1.100 მარცვლიდან 1 მარცვალზე, ე. ი. 0,1%; ქრომატიზმის მეორე ნიშანი ზეენ გვხვდება საშუალოდ 7000 მარცვლიდან 1 მარცვალზე, ე. ი. 0,01%. (აქ საჭიროა აღვნიშნოთ, შენიშვნის სახით, რომ ქრომატიზმის ნიშნების ასე იშვიათი ხმარება იმით იყო გამოწვეული, რომ კლასიკური საეკლესიო ვალობა, როგორც წესი, დიატონურ წყობას იცავდა და გარდა იშვიათი

გამონაკლისისა, არ მიმართავდა ქრომატიკულ ნახევარტონებს).

ამრიგად, ეს ორი გარემოება, განსაკუთრებით კის ფაქტი, რომ მეორე ჯგუფის ნიშნები უმეტესად ჯგუფის ნიშნებთან შედარებით უარესად იშვიათად იხმარება [იუმბილიაციონის ნიშნები 600 მარცვლიდან 1 მარცვალზე — 0,2%; ქრომატიზმის ნიშნები 1100 მარცვლიდან 1 მარცვალზე — 0,1%, და 7000 მარცვლიდან 1 მარცვალზე — 0,02%] — რასაკერძეულია, არ სტოვებენ ექვს იმამი, რომ ეს მეორე ჯგუფის ნიშნები სულ სხვა კატეგორიისაა, ვიდრე პირველი ჯგუფის ნიშნები. ეს მეორე ჯგუფის ნიშნები სწორედ დამატებითი ნიშნებია და არა ძირითადი.

რომ ეს მეორე ჯგუფის ნიშნები დამატებითი, დამხმარე სახის ნიშნებია, ამას ეთანხმება და ადასტურებს აგრეთვე თვით ის ფაქტი, რომ დასახელებული დამატებითი ნიშნები, როგორც მოუხსენეო, თავისი გრაფიკული სახეობითაც არ არიან დამოუკიდებელი, არამედ ძირითადი ნიშნებთან არიან ნაწარმოებული.

გადეიჯეთ ამის შემდეგ ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობის ამ ორ ჯგუფის ნიშანთა ცალ-ცალკე განხილვაზე.

VI

ქველი მართული მუსიკალური დამწერლობა

ნიშანთა პირველი ჯგუფი:

ძირითადი სამუსიკო ანბანი (ოქტავის ნიშნები დიატონური წყობისა)

ამრიგად, როგორც წინა თავში იყო განმარტებული, ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობის ნიშანთა შედგენილობის პრეციზული ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ ძველ-ქართულ მუსიკალურ დამწერლობაში ზეენ გვაქვს რვა ძირითადი სამუსიკო ნიშანი.

ამ ფაქტის დადგენით ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნის პრობლემა ძირითადადში გადაწყვეტილია.

რაკი დაწესდა, რომ ძველ-ქართული მუსიკალური დამწერლობა შეიცავს რვა ძირითად სამუსიკო ნიშანს, ამის შემდეგ ნათელი ხდება, რომ ძველ-ქართულ მუსიკალურ დამწერლობაში ზეენ გვაქვს მუსიკალური ანბანის სისტემა, დამყარებული ოქტავაზე, რვა საფეხურის შემყველ კიბეზე.

აქ ისეთის მათემატიკურის სიზუსტით არის შეკრული წყ, რომ სხვა ყოველგვარი პასხა გამორიცხულია.

ხოლო რაც უფრო ვადრმავეთ ანალიზს, მით უფრო ნათელი და ემპირიულური ხდება ეს ფაქტი,

რომ ამ რვა ნიშანის სახით ზეენ გვაქვს ოქტავის კიბე.

თავდაპირველად აქ საჭიროა აღვნიშნოს, რომ დასახელებული რვა ძირითადი ნიშანიდან — ოთხი იწერება სტრიქონს ქვემოთ, ხოლო ოთხი იწერება სტრიქონს ზემოთ, ამის მიხედვით ცხადი ხდება, რომ აქ გვაქვს ოქტავის ორი ტეტრაქორდი, ქვემო და ზემო, ყოველი ტეტრაქორდი ოთხ საფეხურის შეიცავს, რაც ქვემო ტეტრაქორდში აღინიშნება ოთხი ქვემო ნიშანით, ხოლო ზემო ტეტრაქორდში ოთხი ზემო ნიშანით.

ტეტრაქორდის ნიშნების ანალიზის შედეგად შესაძლო ხდება აღვნიშნოთ იქნეს ოქტავის ნიშანთა მწყრივი. ირკვევა, რომ ქვემო ტეტრაქორდის ოთხი ნიშანი გარკვეული კანონზომიერებით მისდევს ერთმანეთს, ასევე ზემო ტეტრაქორდის ოთხი ნიშანი ამგვარივე კანონზომიერებით არის გაწყობილი.


მკითხველი გაეცნოს აქვე მოყვანილ ცხრილს № 1.

მხელ-ქართული საფსნიკო ანბანი
(ოკტავის ნიშნები დიატონური წყობისა)

საქართველო
საზღვრო-სამეცნიერო ცენტრი

ზემო ტეტრაქორდი.
(ნიშნები იწერება სტრიქონს ზემოთ)

ქვემო ტეტრაქორდი
(ნიშნები იწერება სტრიქონს ქვემოთ)




I ქვემო ტონიკა	II ზ. შემაღლი ტონი (სეცუნდა)	III ზ. მედიანტა (ტერცია)	IV სუბდომინანტა (კვარტა)	V დომინანტა (კვინტა)	VI ჭე. მედიანტა (სექსტა)	VII ჭე. შემაღლი ტონი (სებატიმა)	I (VIII) ზემო ტონიკა (ოქტავა)
-------------------	------------------------------------	--------------------------------	--------------------------------	----------------------------	--------------------------------	---------------------------------------	-------------------------------------

აქ ზევს ვხედავთ, თუ როგორის თანდათანობით ენაცვლებიან ნიშნები ერთმანეთს: ქვემო ტეტრაქორდის ნიშნები I საფეხურიდან დაწეული ვიდრე IV-მდე თანდათანობით მცირდება და მარტოვდება (ჯერ ორმაგი მოხრილი ხაზი; შემდეგ ერთმაგად მოხრილი; შემდეგ ხაზი მოუხრელად, პირდაპირი; შემდეგ პირდაპირი ხაზი შემცირებული ნახევრამდე); ხოლო ზემო ტეტრაქორდის ნიშნები ასევე თანდათანობით დიდდება და რთულდება V საფეხურიდან ვიდრე VIII საფეხურამდე (ჯერ იოტის მარტივი ნიშანი; შემდეგ ნიშანი — მარჯვნივ წარზიდული ხაზით; შემდეგ ნიშანი მარჯვნივ წარზიდული ხაზის გადიდებათ);

შემდეგ ნიშანი მარჯვნივ წარზიდული ორმაგი ხაზით).

მთელი ამ მწკრივის ცენტრია სწორედ ზეულედში, IV და V საფეხურებს შორის (სუბდომინანტა და დომინანტა), საიდანაც იწყება ნიშნების ზრდა: ქვემო ტეტრაქორდში — ქვევითკენ, ხოლო ზემო ტეტრაქორდში — ზევითკენ; ეს სრულს სიზუსტით შეეფარდება ოკტავის მუსიკალურ სტრუქტურას, რასაც მკითხველი თვალსაჩინოდ დაინახავს აქ დართული ცხრილების მიხედვით (იხ. ცხრილი 2: ოკტავის მუსიკალური სტრუქტურა; ცხრილი 3: ქართული მუსიკალური ანბანის შეფარდება ოკტავის მუსიკალურ სტრუქტურასთან).


ოკტავის მუსიკალური სტრუქტურა



* ზემო ტეტრაქორდში წყობა მიეპარება ცენტრიდან ზემოთკენ.
** ქვემო ტეტრაქორდში წყობა მიეპარება ცენტრიდან ქვემოთკენ.

ქართული მუსიკალური ანბანის შესარჩება
ოქტავის მუსიკალურ სტრუქტურასთან

არქივული
დოკუმენტი



* ზემო ტონიკაში ნიშნები იწერება სტრიქონს ზემოთ; გრაფიკა ჩთვლილება ცენტრიდან ზემოთ მიმართულად.
 ** ქვემო ტონიკაში ნიშნები იწერება სტრიქონს ქვემოთ; გრაფიკა ჩთვლილება ცენტრიდან ქვემოთ მიმართულად.

გარდა იმისა, რომ ქართული მუსიკალური ანბანის ნიშნები თანდათანობით გადადიან ერთი სახეობიდან მეორეში, მწკრივი შეკრულია ორი უკიდურესი ნიშანის, ე. ი. I და VIII საფეხურების ერთგვარი ტიპის დაწესებით, რაც შეეფარდება ამ ორი ნიშანის მუსიკალურ ლუნქიას (ქვემო ტონიკისა და ზემო ტონიკის პარალელუზნი).

ასევე ერთმორეს შეესატყვისება ცენტრის ორი (იშვრი და ამირი) დასაყრდენის დომინანტის და სუბ-დომინანტის ნიშნების გრაფიკა (იოტის ორი სახეობა).

რომ ოქტავის ნიშანთა მწკრივი აქ აღნიშნული თანრიგით დაგდება ეს ირყევა არა მხოლოდ წარმოდგენილი ანალიზიდან. არამედ ეს უდავოდ დასტურდება ამ გასაღებით ამოხსნილი მუსიკალური შევლებიდან ამას ადასტურებს კერძოდ საგალობელთა კადანსების ანალიზი და სხვ ასე მაგალითად ჩვენს ქვემოთ ვნახეთ რომ გარკვეულ modus-ებში წამყვანი მელოდია (cantus firmus-ი) მთავრდება მომდარის ტონიკაზე და ეს ზუსტად შეეფარდება აქ მოყვანილ მწკრივს (ქვემო ტონიკა ეფარდება I ნიშანს, ზემო ტონიკა VIII ნიშანს).

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ საეკლესიო საგალობლებში როგორც ცნობილია. მთავარი და ყველაზე ხშირი ასე ვთქვათ „გამბატონებული“ ბუკრა არის მომდარის საფეხური. დომინანტა (აქედან წარმოსდგა თუთ ეს სახელ-

წოდება V საფეხურისა „დომინანტა“ — რაც „მთავარს“ ნიშნავს) *.

ხოლო ამას სრულის ზედმიწევნით შეეფარდება ოქტავის შემოთდადგენილი მწკრივი. სტატისტიკური აღრიცხვა ზუსტად ნიშნების ხმარებისა ძველ-ქართულ ნოტ-რებულ ხელნაწერებში გვიჩვენებს, რომ საგალობლებში ყველაზე ხშირად გვხვდება სწორედ ეს ნიშანი, რომელიც ზემოთ დადგენილ მწკრივში V საფეხურს წარმოგვიდგენს (—დომინანტა).

დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ გრაფიკული კანონზომიერება, რომელზედაც დამყარებულია ქართული მუსიკალური დამწერლობის ნიშანთა ოქტავის კიბე, სრულყოფილად უნდა ჩათვალოს ისევე როგორც თანამედროვე ხელოვნოვანი სანოტო დამწერლობა. ამგვარადვე შევსაქართული მუსიკალური დამწერლობაც შეზომილია თვალთ ადვილად წაკითხვასათვის. ისევე როგორც ხეობაზოვან სანოტო დამწერლობაში ნოტის აწვე-დაწვევას ადვილად ვარჩევთ თვალთ

* საეკლესიო გალობის ცნობილი სპეკილისტი დ. რაზუმოვსკი ასე ახასიათებს დომინანტის როლს საეკლესიო გალობაში: „Звук господствующий (нынешняя доминанта). — звук служащий как-бы отдыхом. и чаще всего повторяющийся в мелодии, управляющий ею. или что то же, вокруг которого вращается вся мелодия, как-бы около своей оси, чтобы войти до окончательного звука (об. Церковное певие... გვ. 10).

იმის მიხედვით, თუ როგორ იწვევა ან დაიწვევა იგი ხაზების მწკრივი. ასევე ძველ-ქართულ მუსიკალურ დამწერლობაში ადვილად ვარჩევთ თვალთ ბევრის თანდათან აწვევას ზემო ტეტრაქორდში და თანდათან დაწვევას ქვემო ტეტრაქორდში ნიშნების გრაფიკის მიხედვით, მათი თანდათან კანონზომიერი გადასვლით ერთი სახეობიდან მეორეში.

უნდა აღინიშნოს ამასთან, რომ ვიდრე ხაზოვანი სანოტო სისტემა იქნებოდა შემოღებული, საშუალ-საუწყუნეთა მუსიკალური დამწერლობა-სე-მოგრაფია, არც დასავლური, არც აღმოსავლური, არ იყო გამიზნული თვალთ ადვილად კონტინსა-თვის. მუსიკალური დამწერლობა მიზნად ისახე-და მხოლოდ ფიქსაციას მუსიკისა, ჩანაწერის მი-

ხედვით მათ ხწვევას და არა თვალთ ადვილად კითხვას, — სემანტიკის ნიშანთა მონაზღერობას არ ახასიათებს რაიმე კანონზომიერება. უმარტივესი ნი გადასვლა ერთი ნიშნიდან მეორეში, რაიმე სახლო ყოფილიყო თვალთ ადვილი კითხვა, რო-გორც ეს ხაზოვან სანოტო სისტემაშია.

ერთად-დერთა არქაული სახის მუსიკალური დამწერლობა, რომელშიაც მიღწეულია ეს იდეალთ თვალთ ადვილად ათვისების შესაძლებლობა, არის ძველი ქართული მუსიკალური ნოტაცია. ამდენად ძველი ქართული მუსიკალური ანბანთ, მისი გრაფიკის მიხედვით, ყველაზე სრულყოფილ დამწერლობას წარმოადგენს სამშალო საუწყუნეთა სხვა მუსიკალურ დამწერლობათა შო-რის.

VII

ძველ-ქართული მუსიკის კილო-„ხმები“ (მოდუსები).

„რვა-ხმინანობის“ სისტემა

(რვა კილო-„ხმა“: 4 ძირითადი და 4 პლაგალური)

მას შემდეგ, რაც გამოირკვა ძველ-ქართული მუსიკალური დამწერლობის ძირითადი სამუხო-კო ანბანი — ოქტავის რვა-საფეხურიანი მწკრი-ვი, — გასარკვევი რჩება მეორე საკითხი, — ოქტავის მწკრივთა ტონალობის დადგენა.

ძველ-ქართულ მუსიკალურ სისტემაში ესეი განსაზღვრულია სრული სიზუსტით.

საქმე ას არის, რომ ყოველ საგალობელს, გარდა იმისა, რომ მისი მუსიკა აღნიშნულია ოქ-ტავის მწკრივის სანოტო ნიშნებით, ამავე დროს ყოველ საგალობელს ყოველთვის (გამოცულებ-ლივ) მოწერალი ატებს, თუ რომელ „ხმას“ წარ-მოადგენს იგი, რის მიხედვითაც ირკვევა, თუ რომელი ტონალობის ფარგლებში უნდა ვახსნას ოქტავა, სამუსიკო ნიშნების რვა-საფეხურიანი კიბე.

სულ აღინიშნება მ „ხმა“, ამათგან 4 ძირითა-დი „ხმა“ და 4 ეგრეთწოდებული „გვერდითი“ („გვერდის“) ანუ პლაგალური „ხმა“.

რას ნიშნავს ეს „ხმები“, წარწერილი ყოველ საგალობელთან, რა პრინციპზეა დამყარებული ეს „რვა-ხმინანობა“ ქართულ საგალობელთა?

„რვა-ხმინანობა“ ეს არ არის რაიმე სპეციფი-კური ადგილობრივი ქართული მოვლენა, არამედ იგი მიღებული იყო სამშალო საუწყუნეთა მთელ ქრისტიანულ მსოფლიოში, როგორც საბერძნეთ-ში (—სადაც იგი პირველად ჩამოყალიბდა), ისე რომში, აგრეთვე აღმოსავლეთის ქრისტიან-ულ ქვეყნებში.

„ხმა“ ძველ-ქართულად ერქვა სამშალ-საუწყუნეთა კილოებს ანუ კილო-„ხმებს“, რაც ბერძნულად აღინიშნებოდა ტერმინით ἤχος (=„ხმა“), ხოლო ლათინურად ტერმინით modus.

ამრიგად, ძველ-ქართული რვა „ხმა“ ეს არის ზოგად-ქრისტიანული რვა კილო-ხმა, რვა მოდუსი, პირველი ოთხი ძირითადი „ხმა“ ეს არის

ის კილო-ხმები, რომელნიც სამშალო საუწყუნე-ებში ატარებდნენ შემდეგ სახელებს:

- I „ხმა“ — დორიული კილო-ხმა (ოქტავა re-დან re-მდე).
- II „ხმა“ — ფრიგიული კილო-ხმა (mi—mi).
- III „ხმა“ — ლიდიური კილო-ხმა (fa—fa).
- IV „ხმა“ — მიქსოლიდიური კილო-ხმა (sol—sol).

რაც შეეხება „გვერდის“ ანუ პლაგალურ კილო-ხმებს, მათი რიხები, როგორც მოვიხსენეა, აგრეთვე ოთხი იყო. „გვერდის“ კილო-ხმები და-წეულია კვარტით დაბლა შესაფარდ ძირითად კილო-ხმებთან შედარებით.

რაკი ამრიგად „გვერდის“ კილო-ხმები ანუ პლაგალური კილო-ხმები უფრო დაბალ რე-ვისტრში იხსენებოდა, ვიდრე ძირითადი კილო-ხმები, ამიტომ „გვერდით“ კილო-ხმებს ეწოდებო-და ბერძნულად ἦχος ἑσπόμενος (—ძიხმე, მდებარე) ხოლო ძირითად კილო-ხმებს ეწოდებოდა ὀρθός (—მკვეთი, მაღალი).

ყოველი „გვერდითი“ კილო-ხმის სახელწოდებას ბერძნულად ერთთვის სიტყვა „ჰაით“, ე. ი. ქვე-და, რაც აგრეთვე ამ კილო-ხმების დაბალ (ქვე-და) რევისტრზე მიუთითებს შესაფარდ ძირითად ხმებთან შედარებით.

დასახლებული ოთხი „გვერდითი“ ანუ პლა-გალური კილო-ხმა არის ის კილო-ხმები, რომ-ლებიც სამშალო საუწყუნებში ატარებდნენ შემ-დეგ სახელებს:

- I „გვერდის ხმა“ — ჰიპო-დორიული (ქვე-და-დორიული). იგივე ეოლიური კილო-ხმა (la—la)
- II „გვერდის ხმა“ — ჰიპო-ფრიგიული (ქვე-და-ფრიგიული) კილო-ხმა (si—si).

III „გვერდის ხმა“ — ჰიპო-ლიდიური (ქვედა-ლიდიური), იგივე იონიური კილო-ხმა (ძო—ძი).

IV „გვერდის ხმა“ — ჰიპო-მიქსოლიდიური (ქვედა-მიქსოლიდიური) კილო-ხმა (რე — რე)*.

ამრიგად, ყოველი „ხმა“ ანუ კილო-ხმა (მო-დუსი) შეიცავს დიატონური წყობის რვა საფუხურს და იგი იძლევა ოქტავის მწკრივის ტონალობის გახსნას შემდეგის კანონზომიერებით:

როდესაც საჯალობელს აწერია I „ხმა“, იგი იხსნება დიატონური წყობის რეგისტრში რე-დან რე-მდე, ასეულის თანრიგით ოქტავის პირველი ნიშანი აღნიშნავს რე-ს (ქვემო ტონიკა) მეორე მი-ს, მესამე ფა-ს, მეოთხე გი-ს, მეხუთე ლა-ს, მეექვსე სი-ს, მეშვიდე ძი-ს, მერვე რე-ს (ზემო ტონიკა).

ასევე ანალოგიური კანონზომიერებით იხსნება ტონალობა დანარჩენი „ხმებისა“:

II „ხმაში“ ოქტავის პირველი ნიშანი აღნიშნავს მი-ს (რომელსაც მოსდევს თანრიგით ოქტავის დანარჩენი დიატონური ნოტები);

III „ხმაში“ ოქტავის პირველი ნიშანი არის ფა (დანარჩენი დიატონური ნოტების თანრიგით მიყოლებით);

IV „ხმაში“ ოქტავის პირველი ნიშანი არის

გი, (დანარჩენი დიატონური ნოტების თანრიგით მიყოლებით);

I „გვერდის ხმაში“ ოქტავის პირველი ნიშანი არის ლა (დანარჩენი დიატონური ნოტების თანრიგით მიყოლებით);

II „გვერდის ხმაში“ ოქტავის პირველი ნიშანი არის სი (დანარჩენი დიატონური ნოტების თანრიგით მიყოლებით);

III „გვერდის ხმაში“ ოქტავის პირველი ნიშანი არის ძი (დანარჩენი დიატონური ნოტების თანრიგით მიყოლებით);

IV „გვერდის ხმაში“ ოქტავის პირველი ნიშანი არის რე (დანარჩენი დიატონური ნოტების თანრიგით მიყოლებით)*.

ამრიგად, აღნიშნვა კილო-ხმებისა ყოველ საჯალობელთან ასრულებს იმავე ფუნქციას, რასაც ასრულებს გასახლები თანამედროვე სანოტო სისტემაში. იგი განსაზღვრავს ოქტავის ტონალობას.

ამ განმარტებათა შემდეგ მოგვყავს აქ ცხრილი, რომლის მიხედვით მკითხველი თვალსაზრისით გაითვალისწინებს ქართული მუსიკალური ანბანის მთლიან სტრუქტურას.

(იხ. ცხრილი 138 გვერდზე).

სამი ოქტავის ფარგლებში (ადამიანის ხმის ბუნებრივი დიაპაზონის მიხედვით) დასაბულებული მ კილო-ხმა ასე ნაწილდება დაბალ და მაღალ რეგისტრებად:

კილო-ხმები	დაბალი რეგისტრი	მაღალი რეგისტრი
ძირითადი კილო-ხმები:		
I: რე—რე	d—d ¹	d ¹ —d ²
II: მი—მი	e—e ¹	e ¹ —e ²
III: ფა—ფა	f—f ¹	f ¹ —f ²
IV: სი—სი	g—g ¹	g ¹ —g ²
„გვერდითი“ კილო-ხმები:		
I: ლა—ლა	A—a	a—a ¹
II: სი—სი	H—h	h—h ¹
III: დო—დო	c—c ¹	c ¹ —c ²
IV: რე—რე	d—d ¹	d ¹ —d ²

* ბგერათ მწკრივი I ძირითადი „ხმისა“ და IV „გვერდის ხმისა“ — იდენტურია.



ძველი-ძარტული სამუსიკო ანბანი:
ოქტავის ნიშნები დიატონური წყობისა.

ზემო ტეტრაქორდი
(ნიშნები: ბურჯი, სტრაჟინა, ზეპი)

ქვემო ტეტრაქორდი
(ნიშნები: ბურჯი, სტრაჟინა, ძეპი)



I	II	III	IV	V	VI	VII	I (VIII)
ბეშტი ტონი	ბ. შუბა- ლი ტონი (სეპტუა)	ბ. შუბი- ანტი (ტერცია)	სუბდომი- ნანტი (კვარტა)	დომინან- ტი (ტრინა)	ბ. შუბი- ანტი (სექსტა)	ბ. შუბი- კვ. შუბი- ლი ტონი (სეპტუა)	ბ. შუბი- ანტი ტონი (ოქტავა)
→	→	→	→	→	→	→	→
re	mi	fa	sol	la	si	do	re
mi	fa	sol	la	si	do	re	mi
fa	sol	la	si	do	re	mi	fa
sol	la	si	do	re	mi	fa	sol
la	si	do	re	mi	fa	sol	la
si	do	re	mi	fa	sol	la	si
do	re	mi	fa	sol	la	si	do
re	mi	fa	sol	la	si	do	re

წყობა დამყარებულია საშუალო-

საუკუნეთა არვა-ზმისა სისტემაზე

A. ძირითადი (ბაზი) „ტექსი“

- I ხმა = დირიჯული კოლონა
- II ხმა = ფრიგული კოლონა
- III ხმა = ლიდული კოლონა
- IV ხმა = მიქსოლიდული კოლონა

B. „გვერდითი“ (დახალი) „ტექსი“¹

- I. გვერდის ხმა = ძაბოდირიჯული (ფილიჯური) კოლონა
- II. გვერდის ხმა = ძაბოფრიგული კოლონა
- III. გვერდის ხმა = ძაბოლიდული (იონიური) კოლონა
- IV. გვერდის ხმა = ძაბომიქსოლიდული კოლონა

¹ „გვერდითი“ (დახალი) „ტექსი“ დაწერილია „გვერდითი დაბლა“ წესით დაწერილია „გვერდითი“.

დაბალი რევისტრი — ერთხმანი ხა-
გულსიო გალობის ძირითადი რევისტრია (რო-
მულ ჭელ გრეგორიანულ გალობაში [I+]
A—გ¹—იგივე ანტიკური „სისტემა ტელეი-
ონ“), ხოლო სამხმანი გალობაში დაბალი ხმის
რევისტრი.

მაღალი რევისტრი — ერთხმანი ხა-
გულსიო გალობაში ანტიფონური (ზედა

უნისონური) რევისტრია, ხოლო სამხმანი გა-
ლობაში მაღალ ხმათა, კერძოდ *cantus firmus*-
ის. (ჭელ-ქართულად *მწაზრისა*) რევის-
ტრი.

მოგვეყვას აქ ქართული მუსიკალური ანბანი
შეფარდებით მაღალ რევისტრთან (=cantus
firmus-ის რევისტრთან), — თანამედროვე მუ-
სიკალურ ნოტაციაზე გადატანით.

I ხმა [=დორიული კილო-ხმა]

II ხმა [=ფრიგიული კილო-ხმა]


III ხმა [=ლიდიური კილო-ხმა]

IV ხმა [=მიქსოლიდიური კილო-ხმა]


I «გვერდის» ხმა [=ჰიპოდორიული (ეოლიური) კილო-ხმა]




II «გვერდის» ხმა [=ჰიპოფრიგიული კილო-ხმა]



III «გვერდის» ხმა [=ჰიპოლიდიური (იონიური) კილო-ხმა]



IV «გვერდის» ხმა [=ჰიპომიქსოლიდიური კილო-ხმა]





VIII

ქველ-ქართული მუშაკალური დამფარლოვის
დამატებითი (ნაწარმოები) ნიშნები

ა. იუბილიაციის ნიშნები.

გადვიდეთ ამის შედეგ ქველ-ქართული მუშაკალური დამფარლობის დამატებითს (ნაწარმოებს) ნიშნებზე.

როგორც მოხსენებელი გვექნება, ქველ-ქართული მუშაკალური დამფარლობის დამატებითი (ნაწარმოები) ნიშნები ორ წყებად განიყოფება.

ა) იუბილიაციის ნიშნები;

ბ) ქრომატიული ნიშნები.

ჩვენ ამ თავდაპირველად პირველ წყებაზე, — იუბილიაციის ნიშნებზე შევჩერდეთ.

იუბილიაციის ნიშნები ორი სახეობისაა:

ა) ქვემო იუბილიაციის ნიშანი, რომელიც აღნიშნავს იუბილიაციას (ხმის თავისუფალ მოძრაობას) ქვემო ტეტრაორდის ფარგლებში; იგი იწერება სტრიქონს ქვემოთ.

ბ) ზეო იუბილიაციის ნიშანი, რომელიც აღნიშნავს იუბილიაციას (ხმის თავისუფალ მოძრაობას) ზეო ტეტრაორდის ფარგლებში; იგი იწერება სტრიქონს ზემოთ.

რომ ეს ნიშნები დამატებითს, ნაწარმოებს ნიშნებს წარმოადგენენ და რომ ხშირი არ გვეუფინან პირითად სამუსიკო ანბანს. ე. ი. ოქტავის პირითად ნიშნების რიცხვს. ამას სრულად უღაგოდ ადასტურებს. როგორც ეს მკვე აღნიშნული გვექნება. შემდეგი ორი ვარე-მუბა

1. ეს ნიშნები, შედარებით პირითად სამუსიკო ნიშნებთან (ოქტავის რვა ნიშანთან) უფარესად იშვითად იხმარება, რაც ცხადყოფს. რომ ეს ნიშნები სულ სხვა ეატეგორიისაა. ვიდრე პირითად ნიშნები, ოქტავის ნიშნები (სახელდობრ ეს დამატებითი ნიშნები ჩვენ გვედგება პიანების ტექსტის საშუალოდ 600 მარცვლიდან 1 მარცვალზე, ე. ი. შეადგენს 0,2%-ს).

2. რომ დასახელებული ნიშნები სწორედ დამატებითი, ნაწარმოები ნიშნებია ამას უღაგოდ ადასტურებს აგრეთვე თვით ის ფაქტი, რომ ეს დამატებითი ნიშნები თავისი გრაფიკული სახეობით სრულყოფით არ არიან დამოუკიდებელი. არამედ ნაწარმოები ა პირითადი სამუსიკო ნიშნებიდან, წარმოადგენს მათს გრაფიკულ ვარიაციას.

სახელდობრ იუბილიაციის ნიშნები გრაფიკულად ნაწარმოება ტონიკის ნიშნიდან:

ქვემო იუბილიაციის ნიშანი ნაწარმოება ქვემო-ტონიკის ნიშანიდან.

ზეო იუბილიაციის ნიშანი ნაწარმოება ზეო-ტონიკის ნიშანიდან

ხოლო რისთვისაა აღებული საფუძვლად იუ-

ბილიაციის ნიშნებისათვის ტონიკის ნიშნები?

ეს სრულად ლოგიკურია.

ქვემო იუბილიაციის ნიშანი აღნიშნავს ხმის თავისუფალ მოძრაობას ქვემო ტეტრაორდის ფარგლებში, ე. ი. მისი ფარგლები მოიცავს დიაპაზონს ქვემო ტონიკისა და სუბ-დომინანტას შორის. დასაყრდენია ქვემო-ტონიკა

ზეო იუბილიაციის ნიშანი აღნიშნავს ხმის თავისუფალ მოძრაობას ზეო ტეტრაორდის ფარგლებში, ე. ი. მისი ფარგლები მოიცავს დიაპაზონს ზეო ტონიკისა და დომინანტას შორის. დასაყრდენია ზეო ტონიკა.

როგორც ეს დადგენილი გვექნება პირითადი სამუსიკო ანბანის (ოქტავის ნიშნების) განხილვის დროს. ზეო-ტონიკისა და ქვემო-ტონიკის ნიშნები, რომლებიც საფუძველად წარმოადგენენ იუბილიაციის ნიშნებისათვის, შემდეგი მხაზულობისაა:

ქვემო ტონიკის ნიშანი { (იწერება სტრიქონს ქვემოთ);

ზეო ტონიკის ნიშანი { (იწერება სტრიქონს ზემოთ);

ხოლო იუბილიაციის ნიშნები იწარმოება ამ პირითადი ნიშნებიდან ზედმეტი მუხლების დამატებით, შემდეგნაირად:

ა) ქვემო იუბილიაციის ნიშანი, ეს არის იგივე ქვემო ტონიკის ნიშანი { რომელსაც ემატება მუხლი: { ; კლასიკურ დამფარლობაში

ემატება ერთი მუხლი { , ხოლო გვიანდელ და

წერილობაში ემატება რამდენიმე მუხლი, ერთიდან — ხუთამდე:

(ამასთან, ქვემო იუბილიაციის ნიშანი, ისევე როგორც ქვემო ტონიკის ნიშანი, იწერება სტრიქონს ქვემოთ).

ბ) სავსებით ანალოგიური სურათი გვაქვს ზეო იუბილიაციის ნიშნის მიმართაც. ზე-

ოცტავაზე). აქ გადასვლა ხდება იუბილიაციის გზით, არსებობს იუბილიაციის შემდეგი სახეობანი:

ა. ქვემო იუბილიაცია,
აღმავალი და დაღმავალი

1) როდესაც ხმა ქვემო ტეტრაქორდის ტონიკიდან (1) ადის ზემო ტეტრაქორდში, მაგალი

2) ამგვარივე წესით ხდება შებრუნებული (დაღმავალი) სულა იმავე ფარგლებში, VI საფეხურიდან — ქვედა ტონიკამდე (1). ე. ი. ხმა VI საფეხურიდან ვადმოდის ქვემო ტეტრაქორდში და ქვემო იუბილიაციის გზით IV—I სა-

ფეხურამდე. ეს ასევე ხდება ქვე-
მო იუბილიაციის გზით. აღმავალი ხა-
ზით, ე. ი. ხმა ქვემო ტეტრაქორდის ფარგლებში
იუბილიაციის გზით ადის I საფეხურიდან (ტონი-
კიდან) IV საფეხურამდე და შემდეგ გადადის
VI საფეხურზე.

მაგალითი (I კილო-ხმა, V ვალომა, მე-12 ძლის-
პირი, მიქაელ მოდრეკელის კრებული, გვ. 289) *:

ფეხურების ფარგლებში ჩამოდის I საფეხურამდე (ტონიკამდე).

მაგალითი (IV კილო-ხმა, VII ვალომა, მე-10 ძლისპირი, იორდანესეული ალავერდელი კრებუ-
ლი, გვ. 71 b):

ბ. ზემო იუბილიაცია
დაღმავალი და აღმავალი

ზუსტად ანალოგიური სახისაა ზემო იუ-
ბილიაციის სახეობანი, დაღმავალი და აღ-
მავალი.

3) ზემო იუბილიაცია დაღმავალი, ზემო
ტეტრაქორდის ტონიკიდან (VIII საფეხურიდან)

ქვემო ტეტრაქორდამდე, მაგალითად, IV საფეხუ-
რამდე ქვემო ტეტრაქორდისა, ასე იწარმოება: ხმა
ზემო იუბილიაციის გზით ზემო ტეტრა-
ქორდში (VIII—V საფეხურების ფარგლებში) ჩა-
მოდის ქვემო ტეტრაქორდის IV საფეხურზე.

მაგალითი (II გვერდითი კილო-ხმა, ყოფილი
ლალოაგისაჲ, მიქაელ მოდრეკელის კრებული,
გვ. 90):

* ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში იუბილიაცია აღნიშნული გვაქვს შემდეგნაირად: დაღმავალი

იუბილიაცია ; დაღმავალი იუბილიაცია

4) ქვემო იუბილიაცია აღმავალი, მაგალითად II საფეხურიდან ქვემო ტეტრაქორდია, ფიდრე ზემო ტეტრაქორდის ტონიკამდე (VIII საფეხურამდე) ასე იწარმოება: ხმა II საფეხურიდან გადადის ზემო ტეტრაქორდში და ზემო

იუბილიაციის გზით V-VIII საფეხურებს ფარგლებში ადის ზემო ტონიკამდე (VIII საფეხურამდე).

მაგალითი (I კილო-ხმა, დღევანდელი სკალა, მიქაელ მოდრეკელის კრებული, გვ. 517):

ლრუ-გე-ლრლ ნათ-ლი-თა

ბ ორივე სახის იუბილიაციის გაერთიება

ქველქართულ მუსიკალურ ტექსტებში ჩვენ ვეძებთ აგრეთვე იმისი მაგალითები, როდესაც წარმოებს ხმის ჩამოსვლა ზემო ტონიკიდან (VIII საფეხურიდან) — ქვემო ტონიკამდე (I საფეხურამდე), ან პირიქით, ხმის ასვლა ქვემო ტონიკიდან — ზემო ტონიკამდე. ამას ადგილი აქვს სამ კილო-ხმაში, I და IV ძირითად კილო-ხმებში და I გვერდით კილო-ხმაში (ეს კილო-ხმები, ანტიკური მუსიკალური მოძღვრებით, გუთუნია ფრიგიული მოძუსების ოჯახს და ეუსტატიკური ხასიათისა).

ამ შემთხვევებში, როდესაც ხდება ხმის ამგვარი მოძრაობა დიდ მანძილზე, იუბილიაცია იხმარება შემდეგი ვარიაციებით:

ა) ან იხმარება ორივე სახის იუბილიაცია, ზემო (—ზემო ტეტრაქორდში) და ქვემო (ქვემო ტეტრაქორდში),

ბ) ან იხმარება ერთ-ერთი იუბილიაცია, ზემო ან ქვემო.

მაგალითები:

ა) ორმაგი იუბილიაცია, აღმავალი. მაგალითი (I კილო-ხმა, I-ა გალობა, მე-5 ძლისპირი, იორდანესული ალავერდული კრებული, გვ. 4 ბ):

გე — ლო — გეს

ბ) ორმაგი იუბილიაცია, აღმავალი. მაგალითი (IV კილო-ხმა, VI გალობა, მე-6

ძლისპირი, იორდანესული ალავერდული კრებული, გვ. 74 ბ):

მე — სეს


გ) ზემო იუბილიაცია, დაღმავალი. მაგალითი (I კილო-ხმა, III გალობა, მე-11

ძლისპირი, იორდანესული ალავერდული კრებული, გვ. 10 ბ):




მე — წყა — ლე

დ) ზემო იუზილიაცია, აღმავალი. ძლისპირი, მიქაელ მოდრეკელის კრებული, შავალით (I კილო-ხმა, VIII გალობა, მე-15 გვ. 285):



სი — კე — თლი — სე

მოგვყავს აგრეთვე შავალით ზემო იუზილიაციის ორივე სახეობისა (აღმავალია და დაღმავალი-ხა) — ერთ მუსიკალურ ფრაზაში; იხ. იორდანესე-ული აღავერდული კრებული (IV კილო-ხმა, VI გალობა, 21-ე ძლისპირი, გვ. 77 ხ):




ღვე — თო ... უ — კუ — ნი — სე — ლე

ე) ქვემო იუზილიაცია, დაღმავალი. დრეკელის კრებული, გვ. 49): შავალით (IV გვერდითი კილო-ხმა, მიქაელ მო-



მი — სი — თა

ვ) ქვემო იუზილიაცია, აღმავალი, დაღმავალისა, მიქაელ მოდრეკელის კრებული, შავალით (IV გვერდითი კილო-ხმა, აუფალო გვ. 25):



გუ — ნე — ბი — თა • ღვეთა ლე კე — ლე

დასასრულ, მოგვყავს სრული ნუსხა იუბილიაციის მოდუსებისა:

საქართველოს
ხელნაწილების

გ ა დ ა ხ ე ლ ა :

1. ქვემო ტონიკა → V საფეხური2. ქვემო ტონიკა → VI "3. ქვემო ტონიკა → VII "

- ა) იუბილიაციის გარეშე (I V.)
 ბ) ქვემო იუბილიაცია აღმავალი (I ≠ IV V.)
 ქვემო იუბილიაცია აღმავალი (I ≠ IV VI.)
 ქვემო იუბილიაცია აღმავალი (I ≠ IV VII.)

4. V საფეხური → ქვემო ტონიკა5. VI " → ქვემო ტონიკა6. VII " → ქვემო ტონიკა

- ა) იუბილიაციის გარეშე (V L.)
 ბ) ქვემო იუბილიაცია დაღმავალი (V IV ≠ L)
 ქვემო იუბილიაცია დაღმავალი (VI IV ≠ L)
 ქვემო იუბილიაცია დაღმავალი (VII IV ≠ L)

7. ზემო ტონიკა → IV საფეხური8. ზემო ტონიკა → III საფეხური9. ზემო ტონიკა → II საფეხური

- ა) იუბილიაციის გარეშე (VIII IV.)
 ბ) ზემო იუბილიაცია დაღმავალი (VIII ≠ V IV.)
 ზემო იუბილიაცია დაღმავალი (VIII ≠ V III.)
 ზემო იუბილიაცია დაღმავალი (VIII ≠ V II.)

10. IV საფეხური → ზემო ტონიკა11. III " → ზემო ტონიკა12. II " → ზემო ტონიკა

- ა) იუბილიაციის გარეშე (IV VIII.)
 ბ) ზემო იუბილიაცია აღმავალი (IV V ≠ VIII.)
 ზემო იუბილიაცია აღმავალი (III V ≠ VIII.)
 ზემო იუბილიაცია აღმავალი (II V ≠ VIII.)

13. ქვემო ტონიკა → ზემო ტონიკა14. ზემო ტონიკა → ქვემო ტონიკა

- ა) ორმაგი იუბილიაცია (I ≠ IV V ≠ VIII.)
 ბ) ზემო იუბილიაცია აღმავალი (I V ≠ VIII.)
 გ) ქვემო იუბილიაცია აღმავალი (I ≠ IV VIII.)
 ა) ორმაგი იუბილიაცია (VIII ≠ V IV ≠ L)
 ბ) ზემო იუბილიაცია დაღმავალი (VIII ≠ V L.)
 გ) ქვემო იუბილიაცია დაღმავალი (VIII IV ≠ L)

ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობის იუზილიაციის ნიშნების განო ირკვევა აგრეთვე შემდეგი უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება რომლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ძველ-ქართული მუსიკალური ძეგლების სრული შედგენილობით ამოხსნა.

იუზილიაციის ნიშნები ძველ-ქართულ მუსიკალურ დამწერლობაში შემოღებული ყოფილა X საუკუნეზე ადრე (იგი გვხვდება X საუკუნის ხელნაწერებში). მაგრამ, როგორც ირკვევა, მათი შემოღება უფრო გვიან დროს ეკუთვნის, ვიდრე ძირითადი ნიშნების (ოქტავის ნიშნების) შემოღება.

ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ძველ-ქართულ მუსიკალურ დამწერლობაში იუზილიაციის ნიშნების აღნიშვნა საგაღმებულოდ არ ითვლებოდა, იგი შესაძლოა აღნიშნულიყო, ხოლო შესაძლოა არც აღნიშნულიყო, ხოლო ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი იტვირთებოდა.

ეს ფაქტი სრულიად უდავოდ დასტურდება პარალელური ტექსტების ანალიზიდან. ასე პარალელური ტექსტების შედარებიდან ირკვევა, რომ იუზილიაცია ნაგარაუდებია ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც

ტექსტებში ჩვენ გვხვდება, ტონიკის ნიშნის შემდეგ, დიდი სვლები, კერძოდ კადანსები II და IV ძირითადი და I პლაგალური კილო-ხმებისა.

ჩვენ ქვემოთ დაწერილებით გვეჩვენა საუბარი იმს შესახებ, რომ დასახლებული სამი კილო-ხმა (I და IV ძირითადი და I პლაგალური). ეკუთვნიან, ანტიური მუსიკალური მოძღვრების თანახმად, ფრიგიული კილო-ხმების ოჯახს და ექსტატიური ხასიათის კილო-ხმებად ითვლებოდნენ. ამას შეეფარება მათი კადანსები, რომლებშიც ჩვენ გვაქვს ხმის დიდი მოძრაობა, — თუბილიაციათ.







ერთ-ერთი ძირითადი კადანსი ამ კილო-ხმებისა არის შემდეგი:

VIII ♭ V: I: I-ე. ა. შემოტონიკა + ეუბილიაცია კვინტამდე; ქვემოტონიკა (ორჯონის განმეორებული).

კადანსები, როგორც ცნობილია, უცვლელ ფორმულეს წარმოადგენენ.

შემომოწმით ამის შემდეგ, თუ როგორ იწერებოდა ეს კადანსი,

შემომოწმიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ეს უცვლელი კადანსი იწერება არა ერთნაირად, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არამედ ორნაირად:

	(პირველი მარცვლი)	(მეორე მარცვლი)	(შესაბამე მარცვლი)
პირველი დაწერილობა:			
მეორე დაწერილობა:			

პირველი დაწერილობა არის კლასიკური დაწერილობა, რომელშიც ზემო ტონიკის ნიშანს ერთგვის იუზილიაციის აღნიშვნული ზედმეტი რკალი (რკალი + რკალი = რკალი).

ხოლო მეორე დაწერილობა არის ძველი, არქაული ხაზის დაწერილობა, რომელიც შერჩენილია იმ დროიდან, როდესაც იუზილიაციის ნიშანი უკრ კიდევ არ იყო შემოღებული (ე. ა. ტონიკის ნიშანს არ ემატებოდა იუზილიაციის აღნიშვნა ვად ზედმეტი რკალი). ამ უკანასკნელ შემთხვევაში იუზილიაცია თქმვა ნიშანით აღნიშნული არაა, მაგრამ იუზილიაცია იტვირთისხმება.

ამის დასამტკიცებლად მოვიყვანეთ მაგალითი-

ბი, სადაც ჩვენ გვაქვს ერთი და იმავე უცვლელი კადანსის პარალელური დაწერილობა.

ა) საგალომლები — დასასრულია: „რამეთუ დიდებულ არს“.

I კილო-ხმაში ჩვენ გვაქვს ექვსი საგალომელი, რომლებიც სრულდება არათუ ერთი და იმავე კადანსით, არამედ ერთი და იმავე სიტყვიერი ფორმულით: „რამეთუ დადებულ არს“ (იხ. ძლიხპირები № 5, 8, 9, 10, 11, 13, I კილო-ხმა).

აი ეს ერთი და იგივე კადანსი, ერთი და იმავე სიტყვიერი ტექსტით, ჩვენ გვხვდება ორნაირად დაწერილობით:


პირველი დაწერილობა (ძლისპირები №№ 9, 10, 11, 13, იორდანესეული ალავერდული კრებული, გვ. 26 — 33):



კი-რე-ე-ლი-სონ — ბულ ქის

საქართველო
საბჭოთაო სოციალიზმი


მეორე დაწერილობა (ძლისპირები №№ 5, 8, იორდანესეული ალავერდული კრებული, გვ. 2ა — 2ბ):



კი-რე-ე-ლი-სონ — ბულ ქის


კადანსი ერთი და იგივეა, ორივე ტექსტში ჩვენ გვაქვს იუბილიანია (და ეს თავისთავადაც ცხადია, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია VIII საფეხურიდან ჩამოსვლა I საფეხურზე). ამ ორი დაწერილობიდან პირველი კლასიკური დაწერილობაა (სადაც ზემო ტონიკის ნიშანს ერთვის იუბილიაციის მანქანებელი რკალი), მეორე კი ჭეღვებული, არაქული ტიპის დაწერილობა.

შეფერდეთ აგრეთვე ხევა მაგალითებზე.
ბ) I კილო-ხმის იგივე კადანში, სიტყვიერი ტექსტით: „ძალსა შენსა უფალი“ (III გალობა, მე-2 და მე-13 ძლისპირები).
აქვე ჩვენ გვაქვს ორნაირი დაწერილობა ერთი და იმავე მუსიკალური ნაკვეთისა.
პირველი დაწერილობა (მე-13 ძლისპირა, იორდანესეული ალავერდული კრებული, გვ. 10ა):



ქალ-სა შენ-სა უ — შე-ლო

მეორე დაწერილობა (მე-2 ძლისპირი, იორდანესეული ალავერდული კრებული, გვ. 8ბ):



ქალ-სა შენ-სა უ — შე-ლო



მეორე დაწერილობის სხვა მაგალითი (I კილო-ხმა, II გალობა, მე-2 ძლისპირი, ალავერდული იორდანესეული კრებული, გვ. 6ხ):

ფირ-ლა ხარ უნ უ — ფა-ლო

გ) შედარებულ აგრეთვე იმავე კადანსის ორნაირი დაწერილობის სხვა შემთხვევები. პირველი დაწერილობა (I კილო-ხმა, გალობა III, ძლისპირი მე-მ, იორდანესეული ალავერდული კრებული, გვ. 6ხ):

უი-ნი-სა კავთ-ჰო — ყუ-ჩა

მეორე დაწერილობა (I კილო-ხმა, გალობა IV, ძლისპირი მე-ნ, იორდანესეული ალავერდული კრებული, გვ. 12ა):

სა-ხი-ურ კავთ-ჰო-ყუ-ჩა

ჩვენ ამაზე შევევილია დავამთავროთ მაგალითების მოყვანა.

მოტიანილი მაგალითები და მთელი რიგი ასეთი პარალელური ტექსტები ადასტურებენ შემდეგს:

ძველ-ქართულ მუსიკალურ დაწერილობაში იუზილიაციის ნიშანთა აღნიშვნა სხვადასხვადას არ იმეღებოდა; იგი შესაძლოა აღნიშნულიყო და შესაძლოა არც აღნიშნულიყო, ხოლო ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი იგულისხმებოდა (ეს მეორე ტრადიცია, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენს ძველს გადმოწამის, მომდინარეს იმ დროიდან, როდესაც იუზილიაციის ნიშნები უკარგდა არ იყო შემოღებული).

ამავე დროს პარალელური ტექსტების ანალიზიდან ირკვევა შემდეგი:

ძველ-ქართულ მუსიკაში იუზილიაცია სხვაგვარად აღიწერებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ვეპყვებით სულა ერთი ტეტრაქორდიდან მეორე ტეტრაქორდში, ძველ-ქართულ მუსიკაში დაშვებულია უშუალო სულა კვარტამდე (მათელით); სულა კვინტაზე ორნაირი სახით ხდება, როგორც უშუალოდ [იუზილიაციის გარეშე], ისე იუზილიაციით. ხოლო სულა კვინტას ფარგლებს გარეთ (სექსტაზე და სხვა) — აუცილებლად იუზილიაციის გზით წარმოებს. (იხ. ზემოთ, სრული ნუსხა იუზილიაციის მოდუსებისა, გვ. 146).

VIII-ა

ძველი ქართული და ძველი სომხური მუსიკალური დანაწარმების ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი

(იუზილიაციის ნიშნები ქართულ და სომხურ მუსიკალურ დაწერილობაში)

ძველი ქართული და ძველი სომხური დაწერილობა სხვადასხვა სახეობისაა.

მაგრამ, როგორც ეს უკარგდა კიდევ ფრანგმა მკვლევარმა ე. თიბომ აღნიშნა, ძველი ქართული და ძველი სომხური ნოტაციის ზოგი ნიშნის მო-

საზღვრობაში შეინიშნება ერთგვარი მსგავსება.

XIII საუკუნის სომხთა ისტორიკოსის კირაკოზ განძაკელის ცნობით, სამუსიკო ნიშნები სომხეთში შემოიღო პალარწინის მამასახლისმა ხაჩატურ ტარონელმა XII

საუკუნეში. ხოლო რაკი ქართული მუსიკალური დამწერლობა, როგორც ირკვევა, ყოველ შემთხვევაში X საუკუნეზე ადრეა შემოღებული (რადგან ჩვენამდე მოღწეულია თვით ზღანაწერები X საუკუნისა), ამიტომაც, დასკვნის ც თბო, ქართული ნიშნების სისტემას წარმოშობილობის ხნიერებშიათყო და თვისებებით უცილობლად უპირატესობა უნდა მიეუფერნოს*.

XIII საუკუნის სომეხთა ისტორიკოსის კირაკოზ განაქელის ზემოთ აღნიშნული ცნობა უადრესად საყურადღებოა.

კირაკოზ განაქელის ცნობა ჩვენ ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ სომეხეთში მუსიკალური დამწერლობა პირველად განდა XII საუკუნეში (სომხური მუსიკალური დამწერლობა, როგორც ამას მოღწეული ძეგლები ადასტურებენ, უფრო ადრეა ჩამოყალიბებული), არამედ XII საუკუნეში მომხდარა სომხური მუსიკალური დამწერლობის რეფორმა.

ამასთან, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ XII საუკუნეში საქართველო აერთიანებდა ამიერკავკასიის ყველა ქვეყნებს და რომ სომხური მუსიკალური ნოტაციის რეფორმატორი ხანატურ ტარიონელი მოღვაწეობდა პლარწინში, ე. ი. საქართველოს სომხეთში, გავის სამფლობელოში, საიქორებელი ხდება, რომ ეს რეფორმა არ უნდა ჩატარებულიყო ქართული მუსიკალური დამწერლობის სისტემის გათვალისწინების გარეშე (უნდა გიცოდეთ, რომ XII—XIII საუკუნეები, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქა, ეს არის ხანა ქართულ-სომხური უახლოესი კულტურული ურთიერთობისა, ამ დროს ითარგმნება ქართულიდან სომხურად ფილოსოფიური და ისტორიული თხზულებანი და სხვ.).


უნდა აღინიშნოს ამასთან, რომ ქართველთა და სომეხთა კულტურული კავშირი არ დაწყებულა XII-XIII საუკუნეებში, იგი საუკუნეთა სიღრმეში მიდის, და ამიტომ ქართულ-სომხურ ურთიერთობას, კერძოდ მუსიკალური დამწერლობის დარგში, შესაძლოა ადვილი პქონოდა უფრო ძველ ხანაშიაც.


ძველ-ქართულ და ძველ-სომხურ მუსიკალურ დამწერლობათა ურთიერთობის საკითხს ჩვენ სპეციალურად ცალკე შევხვებით.

აქ კი ჩვენ ამ გზის საგანგებოდ შევიჩრდებით ორ მუსიკალურ ნიშანზე, რომელთაც მსგავსი მონაზულობა აქვს ძველ-ქართულ და ძველ-სომხურ მუსიკალურ ნოტაციაში: ეს ნიშნებია ზემო და ქვემო იუბილიაციის ნიშნები.



ეს ნიშნები სომხური მუსიკალური დამწერლობაში შემდეგია სახეობისა:



ა) ერთი ნიშანი სომხური მუსიკალური დამწერ-

ლობისა ასე იწერება 

იგი გრაფიკულად უახლოვდება 

მო იუბილიაციის ნიშანს:

ბ) მეორე ნიშანი სომხური მუსიკალური დამწერლობისა ასე იწერება:  (სამშებლედ ვარიანტი) და  (თხმშებლედ ვარი-

ანტი); იგი გრაფიკულად უახლოვდება ქართულს ქვემო-იუბილიციის ნიშანს:  (სამშებლედ ვარიანტს) და  (თხმშებლედ ვარიანტს).

ძველი სომხური მუსიკალური დამწერლობა ამოხსნილი არაა და კერძოდ არც ამ ნიშნების მნიშვნელობა იყო დღემდე დადგენილი.

მაგრამ ამ ნიშნების მნიშვნელობის დადგენა ამტკამდ შესაძლებელი ხდება, თუ გავითვალისწინებთ, უფრო ურთი, ამ ნიშნების შეხვედრას ქართული იუბილიაციის ნიშნებთან, და შემდეგ ამ ნიშნების ძველ-სომხურ სახელწოდებებს.

ა) პირველ ნიშანს, რომელიც ქართულს ზემო იუბილიაციის ნიშანს უდგება, ძველ-სომხურად უწოდებენ „ვერან-ქად“, რაც ნიშნავს: „ზემო თამაში“*. ეს ძველი სახელწოდება ზუსტად შეუფარდება ამ ნიშანის ფუნქციას: ზემო იუბილიაცია ეს არის „ზემო თამაში“ ე. ი. ხმის თავისუფალი თამაშით მოძრაობა ზემო ტეტრაქორდის ფარგლებში.

ბ) მეორე ნიშანს, რომელიც ქართულს ქვემო-იუბილიაციის ნიშანს უდგება, ეწოდება: „ვერქან-ქად“, რაც ნიშნავს: „ქვემო თამაში“**. ეს ძველი სახელწოდება ასევე ზუსტად შეუფარდება ამ ნიშანის ფუნქციას: ქვემო იუბილიაცია ეს არის „ქვემო თამაში“ ე. ი. ხმის თავისუფალი თამაშით მოძრაობა ქვემო ტეტრაქორდის ფარგლებში.

ასეთთა ის პირდაპირი, ზუსტი ჩვენებანი, რომელთა მიხედვით დასტურდება, რომ დასახვლებული ნიშნები იუბილიაციის ნიშნებს წარმოადგენენ, დასასრულ საკითხებია, რომელი დამწერლობაა ამ შემთხვევაში პირველწყარო და რომელი მსესხებელი.

ქართული და სომხური მუსიკალური ნოტაციების შედარებითი ანალიზიდან ირკვევა, რომ დასახვლებული ორი ნიშანი შეთვისებულია სომხურად ქართული მუსიკალური დამწერლობიდან, ამას ადასტურებს არა მარტო ის ფაქტი, რომ ქართული მუსიკალური დამწერლობა დროის მიხედვით უფრო ძველია (ქართული მუსიკალური

* იხ. გ. თბოსი წერილი (XB, ტ III, ნაკ. II, 1914 წ.) გვ. 209-210. ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, გვ. 247-248.

* იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, გვ. 248.

** იხ. იქვე, გვ. 248.

დამწერლობა, როგორც შემდეგ გამოირკვევა, ანტიკურ ხანაშია შემუშავებული), არამედ შემდეგი სრულიად ნიშანდობლივი მარჯვენაა.

ქართულ მუსიკალურ ნოტაციასში იუზილიაციის ნიშნები, როგორც გამოირკვა, ორგანიულ კავშირშია ქართულ მუსიკალურ დამწერლობის მიერ გრაფიკულ სისტემასთან, ეს ნიშნები კი არ არის რაიმე ცალკეული, განმარტებით მდგომარე ნიშნები, არამედ ნაწარმოებია ძირითადი მუსიკალური ანბანის ნიშნებიდან: ზემო იუზილიაციის ნიშანი — ზემო ტონიკის ნიშანიდან, ხოლო ქვემო იუზილიაციის ნიშანი — ქვემო ტონიკის

ნიშანიდან, ხოლო ეს უკანასკნელნი, თავის მხრით, ორგანიულ კავშირში იჭოფება ქართული ნოტაციის გრაფიკული სისტემის მიერ ანაზღაურებას.

ხოლო სომხურ დამწერლობაში ეს ნიშნები არ იჭოფება ასეთს ორგანიულ კავშირში მთლიანად, ისინი სწორედ ცალკეული, განმარტოებულ ნიშნებია. სომხური ნოტაციის იუზილიაციის ნიშნები თავისი გრაფიკის გენეზისით დაკავშირებულია არა სომხურ სისტემასთან, არამედ ქართულ სისტემასთან; რაც მის ქართულიდან წარმომავლობას ადასტურებს.

IX

ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობის დამატებითი (ნაწარმოები) ნიშნები

ბ. ქ რ მ ა ტ ი უ ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ - ტ ო ნ ე ბ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი

ქველ ელინურ „წარმართულ“ მუსიკაში, როგორც ცნობილია, დიატონურ წყობასთან ერთად, მიღებული იყო ქრომატიული ნახევარ-ტონები.

რაც შეეხება ქრომატიულ საეკლესიო გალობას, იგი დიატონური წყობისაა, ქრომატიული ნახევარ-ტონების ხმარება ითვლებოდა ერთგვარ სინაზ-ფუნქციებად, რაც შეუთავსებლად იყო მონათული საეკლესიო გალობის საზეიმო-მკაცრ ხასიათთან.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქრომატიული ნახევარ-ტონები საეკლესიო გალობაში საზოგადოდ აკრძალული იყო; იგი მაინც იხმარებოდა, მხოლოდ დიდის შეზღუდვით და ძალზედ იშვიათად.

(აღსანიშნავია, ამასთან, შემდეგი ფაქტიც. თუ ბერძნულ საეკლესიო გალობაში ქრომატიული ნახევარ-ტონების ხმარება ადრინდელ ხანაში დიდად შეზღუდული იყო, გვიან ხანაში მან უფრო ფართოდ გაიკაფა გზა. იხ. H. J. W. Tillyard, Handbook of the middle byzantine musical notation, Copenhagen, 1935 წ., გვ. 35—36).

ქველ-ქართულ მუსიკალურ დამწერლობაში კლასიკური ხანისა (როგორცადაც იგი წარმოადგენილია X საუკუნისა და XI საუკუნის პირველი ნახევრის ხელნაწერებში) ქრომატიული ნიშნები ძალზე იშვიათად იხმარება.

ამ ეპოქის ხელნაწერებში ზეენ გვხვდება ქრომატიზმის ნიშნები ოქტავას მწკრივის შემდეგი ორი საფეხურისა:

ა) ზემო ტეტრაქორდში — ზემო ტონიკისა (გ. ი. უმაღლესი საფეხურისა, VIII);

ბ) ქვემო ტეტრაქორდში — სუბდომინანტისა (გ. ი. უმაღლესი საფეხურისა, IV).

ამას გარდა გვხვდება აგრეთვე იუზილიციის ორი ნიშანი (ზემო და ქვემო) ქრომატიული სახეობისა.

უკრ შეჭირდებით ოქტავის მწკრივის ნიშნებზე.

•
ოქტავის მწკრივის ქრომატიული ნიშნები

ეს ნიშნები, თავისი გრაფიკით, ნაწარმოებები ნიშნებია, ისინი იწარმოებიან ოქტავის ძირითადი ნიშნებიდან.

ა) ზემო ტონიკის ქრომატიული ნიშანი იწერება სტრიქონს ზემოდ (—ზემო ტატრაქორდში) შემდეგნაირად:

დასახელებული ნიშანი ნაწარმოებია ქვემო ტონიკის ნიშანიდან

სახელდობრ ქვემო ტონიკის ნიშანი სტრიქონს ქვემოდან (ე. ი. ქვემო ტეტრაქორდიდან) გადატანილია სტრიქონს ზემოდ (ე. ი. ზემო ტეტრაქორდში) და ადგილმდებარეობის ამ გადასაცვლესთან დაკავშირებით იგი შეზღუდულია პირველ:

ბ) სუბდომინანტის ქრომატიული ნიშანი იწერება სტრიქონს ქვემოდ (— ქვემო ტეტრაქორდში) შემდეგნაირად:

დასახელებული ნიშანი ნაწარმოებია დომინანტის ნიშანიდან; სახელდობრ დომინანტის ნიშანი სტრიქონს ზემოდან (ე. ი. ზემო ტეტრაქორდიდან) გადატანილია სტრიქონს ქვემოდ (ე. ი. ქვემო ტეტრაქორდში) და ადგილმდებარეობის ამ გადასაცვლესთან იგი შეზღუდულია პირველ:

პირველ:

დასახელებული ქრომატიული ნიშნები, როგორც მოვიხსენეთ, ძალზე იშვიათად იხმარება; სახელდობრ პირველი ნიშანი გვხვდება პიშნების

ტექსტის საშუალოდ 1.100 მარცვლიდან 1 მარცვალზე (0.1%), ხოლო მეორე ნიშანი 7.000 მარცვლიდან 1 მარცვალზე (0.01%).

როგორც ირკვევა მუსიკალური ტექსტების ანალიზიდან, დასახელებული ქრომატიული ნიშნები აღნიშნავენ საფუძვლების დადებლებას ნახევარ ტონით (ზემოლესს).

იუბილიაციის ნიშნები (ზემო და ქვემო) ქრომატიული სახეობისა.

ა) ზემო იუბილიაციის ნიშანი ქრომატიული სახეობისა იწერება სტრიქონს ზემოთ


(ზემო ტეტრაქორდში) შემდეგნაირად:
აქვე ჩვენ გვაქვს ზემოთგანხილული ტიპის შებრუნებული დაწერილობა ძირითადი (დიატონური) იუბილიაციის ნიშნისა; იგი სტრიქონს ქვემოთ (ქვემო ტეტრაქორდიდან) გადატანილია სტრიქონს ზემოთ (ზემო ტეტრაქორდში) და ამასთან დაკავშირებით შებრუნებულია პირველ:



ბ) ქვემო იუბილიაციის ნიშანი ქრომატიული სახეობისა იწერება სტრიქონს ქვემოთ (ქვემო ტეტრაქორდში) შემდეგნაირად:

ამ შემთხვევაშიაც ჩვენ გვაქვს ზემოთ განხილულ

ლი ტიპის შებრუნებული დაწერილობა ძირითადი (დიატონური) იუბილიაციის ნიშნისა; სტრიქონს ზემოთ (ზემო ტეტრაქორდიდან) გადატანილია სტრიქონს ქვემოთ (ქვემო ტეტრაქორდში) და ამასთან დაკავშირებით შებრუნებულია პირველ:



იუბილიაციის ნიშნები ქრომატიული სახეობისა კიდევ უფრო იშვიათად იხმარება, ვიდრე ოქტავის მწკრივის ქრომატიული ნიშნები. ისინი წიოლოდ რამდენჯერმე გვხვდება მიკაელ შოდრეკილის კრებულში.

დასასრულ, დავგრძენია აღნიშნული აგრეთვე შემდეგი.

რომ დასახელებული ნიშნები წარმოადგენენ ქრომატიზმის ნიშნებს, ამას ადასტურებს არა მარტო ანალიზი მუსიკალური ტექსტებისა, არამედ ამას ადასტურებს უაღრესად მნიშვნელოვანი შეხვედრა ანტიკური ხანის ბერძნულ მუსიკალურ დამწერლობასთან, ანტიკური ხანის ბერძნულ მუსიკალურ დამწერლობაში, როგორც ენობილია, ქრომატიული ნახევარტონები აღინიშნებოდა იმავე წესის შესაბამისად, როგორც ქართულში; სახელდობრ ქრომატიული ნახევარტონები გადმოცემოდა ძირითადი დიატონური ნიშნების შებრუნებული დაწერილობით.

ამრიგად აქ საქმე გვაქვს ქრომატიული ნახევარტონების გადმოცემის ერთსა და იმავე პრინციპთან.

X

ძველი მართალი მუსიკალური დავძვარლობის ამოხსნასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

- 1. ძველ-ქართულ საგალობელთა cantus firmus — ძლისპირი. —
2. საგალობელთა მეტრი და რიტმი. — ბგერათა გრძლივობა. — საგალობელთა ტემპი და ჰიმნების შესრულების ხასიათი.

1. ძველ-ქართულ საგალობელთა cantus firmus — ძლისპირი

როგორც ეს დადგენილი გვექნა ამ გამოკლებულ პირველ თავში, ძველი ქართული გალობა სამხმინიანი იყო; ამას ადასტურებს, სხვა რეწებთან ერთად, ძველი ქართული ფილოსოფოსის თანე პეტრიწის პირდაპირი უწყება. ხმას, რომელსაც მიჰყავს ძირითადი მულოდია, ეწოდება „შახარი“ (=შემდეგდროინდელი „მოსახილი“), მაღალ ბანს ეწოდება „კირი“, დაბალ ბანს — „ბაში“ (იხ. ზემოთ, გვ. 127 — 128).

X-XI საუკუნის ქართულ ხელნაწერებში ჩაწერილი მუსიკა წარმოადგენს cantus firmus-ს, მას „ძლისპირი“ (=გალობის წინამძღვარი)

ეწოდება და გადმოსცემს სამხმინი გალობის ძირითად წამყვან მულოდიას.

როგორც ამას ადასტურებს X-XI საუკუნეთა ხელნაწერებიდან ამოხსნილი საგალობლების შედარება იმავე საგალობელთა XIX საუკუნის ჩანაწერებთან (რის შესახებ დაწერილებით ქვემოთ გვაქვს საუბარი), — ძველი ქართული გალობის

ქრომატიული ნახევარტონების აღნიშვნის წესის შესახებ ანტიკური ხანის ბერძნულ მუსიკალურ ნოტიაციით იხ. კურტ ზაკსი, Музыкально-теоретические воззрения древних греков (კრებული Музыкальная культура Древнего мира, პრეტ. რ. გრუბერის რედაქციით, ლენინგრადი, 1937 წ., გვ. 147 — 149).

რვა მოდუსიდან (კილო-ხმიდან). — ხუთ მოდუსში *cantus firmus*-ს (წამყვან მელოდის) გადმოსცემს მეორე ხმა, სახელდობრ შემდეგ მოდუსებში: I ძირითადი (d¹—d²), II ძირითადი (e¹—e²), I პლაგალური (a—a¹), II პლაგალური (h—h¹), III პლაგალური (c¹—c²); მაღალი რეგისტრის ორ მოდუსში *cantus firmus*-ს გადმოსცემს პირველი ხმა, სახელდობრ მოდუსებში: III ძირითადი (f¹—f²), IV ძირითადი (g¹—g²). უნაასესელ მოდუსში, IV პლაგალურში, ერთმანეთს ენაცვლება მეორე ხმა და ბანი (მეორე ხმა რეგისტრში d¹—d², ბანი ოქტავით დაბლა).



აქ საჭიროა ცალკე შევჩერდეთ თვით ძველ-ქართულ ტერმინზე „ძლი სპირი“, რომელიც ბერძნის შინაით საყურადღებოა როგორც ძველ-ქართული მუსიკის ისტორიის თვალსაზრისით, ისე ძველ-ქართული პოეზიის ისტორიის თვალსაზრისით.

ქართულ პოეზიასა და მუსიკაში „ძლი სპირი“ ასრულებდა იმავე ფუნქციას და აღნიშნავდა იმავე, რასაც ბერძნულ პოეზიაში და მუსიკაში აღნიშნავდა ირმოსი (ἐρμος).

ქართულ პოეზიასა და მუსიკაში „ძლისპირი“ აღნიშნავდა სალექსო საზომს და მასთან დაკავშირებულ გალობას:

ბერძნულ პოეზიასა და მუსიკაში ირმოსი ასევე აღნიშნავდა სალექსო საზომს და მასთან დაკავშირებულს გალობას.

მაგრამ ქართულ „ძლისპირს“ და ბერძნულ ირმოსს შორის მაინც არის განსხვავება მათი წარმოშობისა და თვით ტერმინების სემასიოლოგიური შინაარსის მიხედვით.

ბერძნული სახელწოდება „ირმოსი“, თუცა ერთდროულად აღნიშნავს სალექსის საზომსა და გალობას, მაგრამ აქ უპირატესად ხაზგასმულია ლექსი.

ბერძნული ტერმინი ირმოსი (ἐρμος) ნაწარმოებია ზმინაგან ἐρμαι და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: 1. შეწყობა, წყობა; 2. ასხმულა (ფარღული, οχηρεια).

„შეწყობა“, „წყობა“—აქ იგულისხმებს „წყობა“ იმ სიტყვას, რა სახელწოდებითაც აღინიშნებოდა ლექსი,

„ასხმულა“— იგულისხმებს რაღაც ასხმულ მარჯალიტს, რა სახელწოდებითაც აგრეთვე ლექსი აღინიშნებოდა (შეადარებ ვეფხის-ტყისამნი: „მარტა დიტი წყობილი“).

რაც შეეხება ქართულ სახელწოდებას „ძლი სპირი“, იგი, როგორც მოვიხსენიო, აგრეთვე ერთდროულად აღნიშნავს სალექსო საზომსა და გალობას; მაგრამ რადეცა ბერძნულ ტერმინში „ირმოსი“ უპირატესად ხაზგასმულია ლექსი, ქართულ ტერმინში „ძლისპირი“ უპირატესად ხაზგასმულია გალობა.

„ძლი სპირი“, ანუ სრულის ფორმათ (ურე-

დუქციოდ) — „ძლი სპირი“, ორნაწოდება სიტყვა: იგი ნაწარმოების სიტყვებიდან:

1. „ძალი“ (—თავდაპირველად „ხმა“, შემდეგ აღნიშნავდა საქარვის ხმს).

2. „პირი“ (—„პირველი“, „წინამძღვარი“; შეადარეთ ძველ-ქართული: „უპირობა“=„წინამძღვრობა“, „პირველობა“, „მოთავიობა“).

სიტყვა „ძალი“, რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა „ხმა“-ს (და რომელიც შემდეგ ხმის სახელწოდებად იქცა), ჰქონდა მეორე პარალელური სახეობა „ძანი“, საიდანაც ნაწარმოებია სიტყვა „ძნობა“, რაც ძველ-ქართულად გალობა-სიმღერას აღნიშნავდა (იხ. იოანე შავთელი, I, 15, 25, 86, 103; ჩაბრუნას-ძე II, III, 14, V, VIII, IX, XI, XII).

აღსანიშნავია ამასთან, რომ ისევე, როგორც „ძალი“-ხმა შემდეგ ხმის აღნიშვნელად იქცა, ასევე „ძნობა“, რაც გალობა-სიმღერას აღნიშნავდა, ზოგჯერ (იშვითად) აგრეთვე ხმსაც აღნიშნავს (იხ. ძველ-ქართული დათინი, ფალაღში 150, 4, სადაც ქართული ტექსტის სიტყვას „ძნობა“ სხვა ბიბლიური ტექსტებში შეუფარდება „სიმუხი“).

ამრიგად, ტერმინი „ძლის-პირი“ აღნიშნავს: ძლის (—სიმის) „პირი“ (წინამძღვარი)—ხმის წინამძღვარი=გალობის წინამძღვარი.

აქ საჭიროა ხაზს გაუსვლით იმ გარემოებას, რომ ტერმინი „ძლის-პირი“, როგორც ჩანს, უძველესი წარმოშობისაა. იგი, როგორც გამოირკვა, ადვილობრივი ქართული ტერმინია, იგი არაა შეთვისებული ერთდროულად ქრისტიანობის ვაგრიცხვასთან ერთად, მისი წარმოქმნა წინა-ქრისტიანულ ხანას უნდა მიეკუთვნოს. ამ ტერმინის დიდ სიმეფლეს მოწმობს სიტყვა „ძალი“-ს არქაული სემანტიკა (ძალი || ძანი, ძნობა || ხმა || გალობა).

აღსანიშნავია ამასთან, რომ ეს უძველესი ტერმინი „ძლის-პირი“, რომელიც ამ-რიგად „ხმის წინამძღვარს“ ნიშნავს, იგულისხმებს ქართული გალობის მრავალხმიანობას. ძლის-პირი ეს არის მთავარი ხმა, რომელსაც მიჰყავს მელიდია, რომელიც წინამძღვრობს გალობას.

ამრიგად, სახელწოდება „ძლის-პირი“ ზუსტად შეუფარდება მრავალხმიანი გალობის *cantus firmus*-ს.

1 „უპირობა“ — რომ ძველ-ქართულად ნიშნავდა „წინამძღვრობა“ (პირველობა, მოთავიობა)— იხ. ვეფხისტყაოსანი, XV, 21. შეადარეთ აგრეთვე სხვა ძველ-ქართულ ტექსტებში: „შეკრებს ლაშქარი ამის სამეფოსანი და იპირნეს (—იწინამძღვრეს) ლიპარიტ და ივანე აბაზას-ძე (მტკიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, I, პროდ. ს. ყუბჩიშვილის რედაქციით, 1955 წ., გვ. 266); „რომელითა წინა უპირობა (წინა უძლოდა) პეტრე ილიქსანდრიელი“ (ექცერბა პეტრე იბერიელის ცხოვრებიდან, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 135).

2. საგალობელთა მეტრი და რიტმი.—
ბგერათა გრძლივობა. — საგალობელთა ტემპი და პიმენტის შესრულების ხასიათი.

ა. საგალობელთა მეტრი და რიტმი.

ძველ-ქართულ საგალობელთა მეტრი და რიტმი განსაზღვრავს იგივე ლექსის მეტრი და რიტმი. როგორც ეს დადგინდა გვაქვს სპეციალურ გამოკვლევაში (იხ. ვიორჯი მერაბულე, ნაწილი II), ძველი ქართული პიმენტები ლექსად არის ნაწერი, ისინი უაღრესად რთული რიტმებით, სტროფულ-ანტისტროფული წესით არის გაწყობილი.

ბ. ბგერათა გრძლივობა.

ძველი ქართული საგალობლები, ისევე როგორც საერთოდ უძველესი სახის გალობა, წარმოადგენს ევრეთეოზებულ cantus planus-ს, თანაზომიერ გალობას.

ასეთი სახისა იყო, უბრატესად, ანტიკური ხანის ვოკალური სიმღერა: სიმღერა მოლიანად შეთანხმებული იყო სიტყვურ ტექსტთან. სიტყვიერი ტექსტის ძირითადი მარცვლები (მოკლე მარცვლები) ჩვეულებრივ იმღერებოდა თანაბარი გრძლივობით (მუსიკალური $\chi\rho\sigma\alpha\delta\ \rho\epsilon\mu\tau\alpha\delta$ — უღრის მოკლე მარცვლის გრძლივობას), ხოლო გრძელი მარცვლები იმღერებოდა ორჯერ გრძლად ვიდრე მოკლე მარცვლები, სიმღერა მოლიანად ემორჩილებოდა ლექსის სტრუქტურას, მისდევდა მის მეტრს (ქორეი, იამბი, დაქტილი, ანაპესტი, ამფიბაჩი, პეონი, ლოგაედები...).

კიდევ უფრო მეტჯერ იყო გამოყენებული პრინციპი cantus planus-ისა (თანაზომიერი სიმღერა, გალობისა) — საკულტო ქრისტიანულ გალობაში. თანაზომიერი გალობის პრინციპი მიღებული იყო ქრისტიანულ მსოფლიოში, როგორც ბერძნულ ეკლესიაში, ისე დასავლეთში (ძველი გრიგორიანული სორალი), სწავრუ ქვეყნებში და სხვ. ეს შეპირებულება იყო იმით, რომ ქრისტიანული საკულტო გალობა კი არ არის ისეთი მუსიკა, რომელიც განყენებული იყო პიმენტის სიტყვიერი ტექსტიდან, არამედ ორგანიზებული იყო კავშირში იმყოფება პიმენტის ტექსტთან, გალობა კქმნის პიმენტის სიტყვიერი ტექსტის მუსიკალურ ფონს, იგი ამასთან მიზნად ისახავს—მკეთილად, საყვარელით და სრულყოფილად ასაფრთხილებელი იყოს პიმენტის შინაარსს.

ძველი ქართული გალობაც აგრეთვე, ისევე როგორც საერთოდ ძველი ქრისტიანული საკულტო გალობა, წარმოადგენდა cantus planus-ს, თანაზომიერს, ანუ, როგორც ძველ-ქართულად ითქმოდა, „შეწონილ“ გალობას. მარცვლები გამოითქმოდა თანაზომიერად, დიუნჯ ტემპში 1/2 ნოტიით, ჭკარ ტემპში 1/4 ნოტიით.

ცალკეულ პასაჟებში, როდესაც ხდებოდა ბგერის გახანგრძლივება რომელიმე მარცვალზე, ეს აღინიშნებოდა სანოტო ნიშანის განმეორებით. ამასთან მარცვლის ასეთი გაგრძელებას მისდევდა მო-

დგენი მარცვლის დამოკლება, ასე რომ ცალკეულ მარცვალთა გაგრძელება-დამოკლებას, არ უნდა შეეცვალა მუსიკალური ნაკვეთის (ტემპის) საერთო გრძლივობა. (რომ ქართული cantus planus ასეთის წესით იყო „შეწონილი“, ეს დასტურდება პირდაპირი უწყვეტიდან, რომელიც დაცულია იამბიკონური 12-მარცვლადი ლექსის გალობის შესახებ, რასაც ქვემოთ ვხედავთ).

გარდა აქ აღნიშნულისა, სალექსო მარცვალთა და სამუსიკო ბგერათა შეთანხმებული ბუნებრივი გრძლივობა იცვლებოდა ორ შემთხვევაში:

ა) იუბილიაციის დროს (როდესაც ერთ მარცვალზე ბგერები მოძრაობენ ტეტრაქორდის მანძილზე);

ბ) ცალკეულ პასაჟებში, როდესაც საგალობელთა ხელნაწერებში ერთ მარცვალს მოწერილი აქვს რამდენიმე სანოტო ნიშანი, რაც იმას აღნიშნავს, რომ ამ მარცვალზე რამდენიმე ბგერა იცვლება.

დასასრულ, ბოლო-სპონდურის სალექსო საზომებში (გვესანი ბოლო-სპონდური და ოთხიან-ექვსიანი ბოლო-სპონდური) — სპონდის ტერმის ცალკეული მარცვალი ორჯერ გრძელია, ვიდრე ჩვეულებრივი მარცვალი (ეს ეხება როგორც ლექსის სიტყვიერ ტექსტს, ისე გალობის შესახებ ნაკვეთს).

რომ ძველი ქართული გალობა cantus planus-ს წარმოადგენდა, ამის შესახებ ძველ-ქართულ მწერლობაში დაცულია უაღრესად საყურადღებო ცნობა.

ძველ-ქართულად სალექსო mora-ს აღინიშნავდა „მარცვული“ (მარცვალი), ხოლო მუსიკალური mora აღინიშნებოდა სპეციალური ტერმინით — „შეტყუება“ („შეტყუება“, ძველ-ქართული დაწერილობით „შეტყუება“).

ა) სალექსო mora — „მარცვული“ (მარცვალი).

რამდენადაც მარცვალი აღინიშნავდა სალექსო-საზომის ძირითად ელემენტს, სალექსო mora-ს, იგივე ლექსს ძველ-ქართულად ეწოდებოდა „სიტყუა მარცვულეი“.

ასე, მაგალითად, ძველ-ქართულ ძეგლში, ვერც მცირის „ელნოთა მუღაბერობაში“ ჩვენ ვითვალთბობ:

„უშიროს გამომეტყუელსა, ენება რა გამოიჩნება სიმახლისა და მკურნალებისა, რომელი აქუნდა დიომიდის ბრძოლათა შინა, იგავით შიამსვავსა იგი იროს და გამოიქუა მიათეს სიტყუა მარცვულეი, გითარმდე;

(ამის მოსდევს, ციტატი ლექსად):

„ამის ვისიმე დგომამა ცხენისა“

სასმენელ იქმნა ბავათა ზედა“²

¹ ბოლო სპონდური საზომების შესახებ იხ. პ. ინგოროვცა, ვიორჯი მერაბულე, გვ. 560, 564-565, 570-571, 586-587.

² იხ. პ. ინგოროვცა, ვიორჯი მერაბულე, გვ. 553-554.

დაითის ფსალმუნთა კომენტარიების (კატეხეზის) შესავალი ფერმ წყარო წერს:

„სახარულევან და ტკილ ეწმუნებას ყოველთა მუხლედად იამზიოდ შოშოკლებთა სიტყესათა, და მათეო უმრავლესთა ფსალმუნთა რიცხუდობა და მარცხულედობაა ცხად არს საფსალმუნეთა შინა უბრაულთასა...“¹.

ამრიგად სალექსო საზომის ძირითადი ელემენტი, რომელიც აღნიშნავდა ლექსის mora-ს, ძველქართულად აღინიშნებოდა ტერმინით „მარცხული“. აქედან მომდინარეობს ტერმინი „მარცხულედიობა“, ასევე ტერმინი „სიტყუაა მარცხულედი“ რაც ლექსს ნიშნავს.

ბ) მუსიკალური mora — „შეტყუება“.

რომ ძველქართულად მუსიკალურ mora-ს ეწოდებოდა „შეტყუება“, ეს დასტურდება ძველქართული ტექსტებიდან, რომლებიც იამზიკონური ლექსის გალობას ეხება.

იამზიკონური ლექსის ტაბეი შეიცავს 12 მარცვალს. იამზიკონური ლექსის „მუხლი“ (სტროფა) შესდგება ხუთი ტაბესაგან, ე. ი. საერთო რაიხუნი იამზიკონური ლექსის „მუხლში“ (სტროფში) არის 60 მარცვალი (ე. ი. 5-ჯერ 12).

იამზიკონური ლექსის გალობის შესახებ ძველქართულ წყაროებში დაცულია შემდეგი მითითებანი:

ა) მიქაელ მოდრეკილს თვის საგალობელთა კრებულში შეტანილი აქვს X საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფის ივანე მინჩის საგალობელი, დაწერილი იამზიკონური ლექსით; საგალობელთა ტექსტი ნოტირებულია; საგალობელთა დაწყების მიქაელ მოდრეკილი ურთავს შენიშვნას იამზიკონური ლექსის გალობის გამო და შემდეგი სიტყვებით მიმართავს მგალობელს:

„ყოველსა შექლსა (მუხლსა) 60 შეტყუებაა აქუს, ხუთჯერ თორმეტი; იამზიკონი თქუ მღონი ნეტარისა ივანე მინჩისანი; ჰოა, ფრთხილი, გულისხმა ყავ... მღდელო ღმრთის მგალობელი“².

თუკი აქ სალექსო ზომაზე და არა მუსიკალურ ზომაზე ყოფილიყო საუბარი, მაშინ აქ ნახშირი იქნებოდა სალექსო ზომის აღნიშნული ძველქართული ტერმინი „მარცვლი“ (ე. ი. ექნებოდა: „ყოველსა შექლსა 60 მარცვლი აქუს, ხუთჯერ თორმეტი“). ზოლო ეს განსხვავებული ტერმინი „შეტყუება“, ცხადია, აღნიშავს არა სალექსო ზომას, სალექსო mora-ს (=მარცვალი), არამედ მუსიკალურ ზომას, მუსიკალურ mora-ს. რომ ეს ასეა, ამას ადასტურებს აგრეთვე თვით ის ფაქტი, რომ მიქაელ მოდრეკილი ამ სიტყვებით პირდაპირ მიმართავს სწორედ მგალობელს („ჰოა, ფრთხილი, გულისხმა ყავ... მღდელო ღმრთის მგალობელი“).

ბ) მათე საუკუნის მეორე საგალობელთა კრებულში Sin-1, რომელიც ასევე ნოტირებულია და გადაწერილია 954—976 წლებში, განთქმულია მწერლის (ჰიმნოგრაფის) იოანე-ზოსიმე საბაწმიდელ-სინერის მიერ, შობის საგალობლებს, რომლებიც დაწერილია იამზიკონებით, იოანე-ზოსიმე უყუბუს ასეთ შენიშვნას:

„ყოველსა შექლსა (მუხლსა) საშოცი შეტყუებაა არს, ვინ გაიგონოს ქმამა (ხმამა)“¹.

ამრიგად, ამ პირდაპირი ჩვენების თანახმად „შეტყუება“, რამდენადაც იგი ხმის მარჯვენადაა ყოფილია, აშკარაა აღნიშნული არა სალექსო mora-ს, არამედ მუსიკალურ mora-ს.

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ იმავე X საუკუნის საგალობელთა კრებულში Sin-1, იოანე-ზოსიმე — მეორე იამზიკონური ლექსის გამო, რომელიც განცხადებას იგალობებოდა, მიუთითებს მოყვანილ შობის საგალობლებს (რომლის შესახებ იოანე-ზოსიმეს აღნიშნული ჰქონდა: „ყოველსა მუხლსა 60 შეტყუებაა არს, ვინ გაიგონოს ხმამ“) და სწერს:

„იამზიკონნი, აგრე შეწონილინი, ეითარცა შობისანი“².

ე. ი. „განცხადების“ იამზიკონნი იმავე ვრძლივობით იგალობება, მუსიკალური mora (შეტყუება) ისეა „შეწონილი“ ჰიმნის ტექსტთან (სალექსო mora-სთან), როგორც წინარე საგალობლებში, შობის საგალობლებში.

ზემოთ მოყვანილი ჩვენებანი — უადრესად მწიგნულოვანია, სადაც ჩვენ პირდაპირ დადსტურებას გიუოლობთ ამისას, რომ ძველი ქართული გალობა წარმოადგენდა cantus planus-ს, როგორც საერთოდ ძველი ქრისტიანული გალობა.

იამზიკონური ლექსის ტაბეი, როგორც აღნიშნული გვიჩვენებს, შეიცავს 12 სალექსო mora-ს (12 სალექსო მარცვალს), ზოლო მუხლი (სტროფი), რომელიც ხუთი ტაბესაგან შესდგება, შეიცავს 60 სალექსო mora-ს.

სალექსო mora-ს ზუსტად ეფარდება მუსიკალური mora — „შეტყუება“. ყოველი იამზიკონური ლექსის ტაბეში, როგორც აღნიშნავს მიქაელ მოდრეკილი და იოანე-ზოსიმე, ჩვენ გვაქვს 12 მუსიკალური mora („შეტყუება“). რომელიც შეწონილია³ 12 სალექსო mora-სთან (მარცვალთან), ზოლო იამზიკონური ლექსის მუხლში (სტროფში) ჩვენ გვაქვს 60 მუსიკალური mora (შეტყუება). რომელიც შეეფარდება 60 სალექსო mora-ს (მარცვალს).

ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს cantus planus-ის ზუსტი სახეობა.

¹ ხელნაწერი Sin.—1, გვ. 31a (იხ. ივანე ჯავახიშვილი, სინას შობის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947 წ., გვ. 2).
² იხ. ხელნაწერი Sin.—1, გვ. 48a (იქვე, გვ. 2).

¹ იქვე, გვ. 556.
² იხ. მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 447.

საგალობელთა ტემპი და მიმნიჭების შესრულების ხასიათი, დინამიური ელფერი

ჩვენებანი საგალობელთა ტემპისა და დინამიური ელფერის, ჰიმნების შესრულების ხასიათის შესახებ, დატყულება წიგნებში, რომლებიც ტიპიკონის საბელწოდებით არის ცნობილი და სადაც მოცემულია საგალობელთა განრიგება, თუ როდის და რა სახით სრულდება ესა თუ ის საგალობელი. საგალობელთა ამგვარი განრიგება მოცემულია ბერძნულ ტიპიკონებში, ლათინურში, ბერძნულიდან მომდინარე სლავურ ტიპიკონებში. ასევე ეს ქართულ ტიპიკონებში, რომელთაც „წესი და განკეპა“, „კანონი“ და „სუნაქარი“ ეწოდებოდა.

ტიპიკონებში აღნიშნულია, თუ რომელი საგალობელი სრულდება — როგორც ძველ-ქართულად გამოითქმოდ — „დაწყნარებულად“¹ (adagio); რომელი „სწრაფით“² (presto); რომელი „მდაბლად“³ (piano) და „გუპანად“⁴ (lento, sostenuto); რომელი „ზატაკის ქმითა“ [=სადღესასწაულოდ, საზეიმოდ, maestoso] — მიმოგდებით“⁵; მარტივად „მიმოგდებით“⁶ და სხვანი.

მაგალითად, ბერძნული ტიპიკონების ჩვენების

XI

ამჟამელი ქართული მუსიკალური დამწერლობა და მისი ურთიერთობა ანტიკური ხანის ბერძნულ მუსიკალურ დამწერლობასთან

ძველ ქართულ მუსიკალურ დამწერლობას თავისი სახეობით დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს ანტიკურ და საშუალო საუკუნეთა მუსიკალური ნოტაციის სისტემათა შორის.

რა დროს ეკუთვნის ქართული მუსიკალური დამწერლობის შემოღება?

ქართული მუსიკალური დამწერლობა არა მხოლოდ გრაფიკით, არამედ მთელი თავისი სტრუქ-

ტურით არსებითად განირჩევა საშუალო საუკუნეთა სემიოგრაფიიდან.

ამვე დროს შეინიშნება პრინციპული ხასიათის ზოგერთი შეხვედრის ხაზი ძველ-ქართულ მუსიკალურ დამწერლობასა და ანტიკური ხანის ბერძნულ მუსიკალურ დამწერლობას შორის, რაც ამისი მამულებელია, რომ ქართული მუსიკალური დამწერლობა შემუშავებულია ანტიკურ ხანაში.

უაღრესად საყურადღებო დასკვნებს იძლევა აგრეთვე ძველ-ქართული მუსიკის კადანსების შესწავლა. ძველ-ქართული მუსიკის კადანსების სტრუქტურა კოლონობაა მიხედვით ანტიკური ხასიათისა, იგი ამჟღავნებს კეპერის არა საშუალო-საუკუნეთა საეკლესიო მუსიკის მოძღვრებასთან, არამედ ანტიკური ხანის მუსიკალურ მოძღვრებასთან.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად გავიერკვეთ, თუ რა მიმართებაშია ქართული მუსიკალური დამწერლობა ანტიკური ხანის ბერძნულ მუსიკალურ დამწერლობასთან, და საერთოდ რა კავშირში იმყოფება ქართული მუსიკალური დამწერლობის სისტემა ანტიკური ხანის მუსიკალურ მოძღვრებასთან, აქ საჭიროა წინასწარ მოკლედ გავიყნოთ ანტიკური ხანის კოლონობათა წყობას და მათ სხვადასხვა სახეობის ანტიკური ხანის სხვადასხვა პერიოდებსა.

¹ იხ. გამოწერები ხანძთის ძველი ტიპიკონისა, დატყულება გიორგი მერჩულესთან (ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, პ. ინგოროვას გამოცემა, თბილისი, 1949 წ., გვ. 47).

² იხ. იქვე, გვ. 47.


³ იხ. იქვე, გვ. 48.

⁴ იხ. იქვე, გვ. 48.


⁵ იხ. VIII საუკუნის ძველ-ქართული ტიპიკონი — „კანონი“ („განგებანი და განწყებანი“), სინური ხელნაწერი № 37, გვ. 216 ა (ივანე ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერა, 1947 წ., გვ. 97).

⁶ იხ. VIII საუკუნის ძველ-ქართული ტიპიკონი — „კანონი“, სინური ხელნაწერი № 37, გვ. 216 ბ (იქვე, გვ. 97).

ბ) ფრიგიული პირველადი ოქტავა (ორ-ტეტრაქორდი)



გ) ლიდორი პირველადი ოქტავა (ორ-ტეტრაქორდი)



დ. ორ-ოქტავიანი (ოთხ-ტეტრაქორდიანი) შენაერთები, ეგრეთ-წოდებული „სისტემები“.

გარდა ტეტრაქორდისა და პირველადი ოქტავისა (იანაზომიერი ორ-ტეტრაქორდისა) ძველ-ბერძნულ მუსიკალურ მოძღვრებაში მიღებული იყო


ორ-ოქტავიანი შენაერთი, რომელსაც „სისტემა“ (systema) ეწოდებოდა, და, რომელიც ასე აიგებოდა: პირველად ოქტავას თავში და ბოლოში და-ერთვოდა შერწყმული ტეტრაქორდები.

„სისტემა“ აგრეთვე სამია: ღირიული „სისტემა“, ანუ ეგრეთწოდებული „სრულყოფილი სისტემა“ (systema teleion); ფრიგიული და ლიდორი სისტემები.


ა) ღირიული „სისტემა“ ანუ „სრულყოფილი სისტემა“ (systema teleion)



ბ) ფრიგიული „სისტემა“



გ) ლიდორი „სისტემა“



II. ანტიკური კლასიკური სისტემა: ოქტავერი ტრიადული წყობა


მეორე საფეხური ანტიკური მუსიკის განვითარებისა აღინიშნა კილო-ხმების ჩამოყალიბებით ოქტავის ფარგლებში. ეს არის ანტიკური კლასიკური სისტემა.

სულ ანტიკურ კლასიკურ სისტემაში ჩვენ გვაქვს ცხრა კილო-ხმა, რომელიც სამი ტრიადის სახით ჯგუფდება: დორიული ჯგუფი, ფრიგიუ-

ლი ჯგუფი და ლიდიური ჯგუფი.

ყოველ ცალკეულ ჯგუფში არის სამი კილო-ხმა: ერთი ძირითადი კილო-ხმა (პირველადი ოქტავა) და ორი დამატებითი კილო-ხმა, რომელთაც უწოდება „ზედა“ („ჰიპერ“) კილო-ხმა და „ქვედა“ („ჰიპო“) კილო-ხმა.

თუ რა ურთიერთობაშია ყოველი ჯგუფის ძირითადი კილო-ხმა და მისგან ნაწარმოები „ზედა“ და „ქვედა“ კილო-ხმები, ამის შესახებ წარმოგვყავს იძლევა აქ დართული სქემა:



ამრიგად, დამატებითი კილო-ხმები „ზედა“ („ჰიპერ“) და „ქვედა“ („ჰიპო“) იწარმოება ძირითადი კილო-ხმების ზემო და ქვემო ტეტრაქორდების საფუძველზე.

„ზედა“ („ჰიპერ“) კილო-ხმას საფუძველად უდევს ძირითადი კილო-ხმის ზემო ტეტრაქორდი, რომელსაც ზემო დან მიედგმის მეორე ტეტრაქორდი (საფეხურები V-VIII).

„ქვედა“ („ჰიპო“) კილო-ხმას საფუძველად უდევს ძირითადი კილო-ხმის ქვემო ტეტრა-

ქორდი, რომელსაც ქვემო დან მიედგმის მეორე ტეტრაქორდი (საფეხურები I — IV).

ტეტრაქორდის ასეთი გადაადგილებით იცვლება ტონების შინაგანი ურთიერთობა ოქტავის ფარგლებში და ამრიგად ეს სამ-მაგი ტრიადა კილო-ხმებისა სქმნის უმდიდრეს ინტონაციურ დააბაზონს მელოდების წყობისათვის.

მოლიან სურათს იმისა, თუ როგორია ხმათა რეგისტრი ამ სამ-მაგ ტრიადაში შენაგალი ცხრა კილო-ხმებისა, იძლევა თანდართული ცხრილი.

კილო-ხმები



დორიული ჯგუფის კილო-ხმები

I a. ჰიპერ-დორიული

I. დორიული

I b. ჰიპო-დორიული

ფრიგიული ჯგუფის კილო-ხმები

II a. ჰიპერ-ფრიგიული

II. ფრიგიული

II b. ჰიპო-ფრიგიული

ლიდიური ჯგუფის კილო-ხმები

III a. ჰიპერ-ლიდიური

III. ლიდიური

III b. ჰიპო-ლიდიური

როგორც ვხედავთ წარმოდგენილი ცხრილიდან, სამ-შავი ტრიადის ცხრა კილო-ხმათა შორის ორ შემთხვევაში გვაქვს ერთი და იგივე რეგისტრი:

ა) რეგისტრი მომიჯნავე IIb და IIa კილო-ხმებისა (ჰიპო-დორიულისა და ჰიპერ-ფრიგიულისა) ერთი და იგივეა, Ia—IIa (იმ განსხვავებით, რომ IIa აწეულია ოქტავით მაღლა);

ბ) რეგისტრი მომიჯნავე IIb და IIIa კილო-ხმების (ჰიპო-ფრიგიულისა და ჰიპერ-ლიდიურისა)

ერთი და იგივეა, sol — sol (იმ განსხვავებით, რომ IIIa აწეულია ოქტავით მაღლა).

ამრიგად, დასახელებული სამ-შავი ტრიადის ცხრა კილო-ხმიდან ჩვენ გვაქვს არსებითად შვიდი დამოუკიდებელი კილო-ხმა, დამოუკიდებელი რეგისტრებით, ხოლო ორ შემთხვევაში გვაქვს რეგისტრების ანტიფონური განმეორება:

Ia: I; Ib(=IIa); II; IIb(=IIfa); III; IIIb.

III. გვიან-ანტიკური სისტემა: ოქტოიხური წყობა

ანტიკური ხანის გვიან პერიოდში კილო-ხმათა სამმაგი ტრიადიული წყობის ნაცვლად ხმარებაში შემოდის ეგრეთწოდებული ოქტოიხური (რვა კილო-ხმის) წყობა. ეს უკანასკნელი — ოქტოიხური წყობა — არის ის სისტემა, რომელიც მიიღო ქრისტიანულმა ეკლესიამ; ეს სისტემა ანტიკური ხანიდან გადმოდის სამუალო საუკუნეებში და ხმარებაშია მთელ ქრისტიანულ მსოფლიოში.

ოქტოიხური (რვა კილო-ხმის) წყობის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ზემოთ, VII თავ-

ში (იხ. გვ. 136 — 140) და აქ სიტყვას ატარებთ ვაგერტელეზი.

აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ოქტოიხური სისტემაში იგივე კილო-ხმები, რაც ტრიადიულ სისტემაში, ხოლო განსხვავებაა მათ დალაგებაში, თანაგვი. იმ დროს, როდესაც ტრიადიული სისტემა აღაგებს კილო-ხმებს ოჯახების მიხედვით (დორიული ტრიადა, ფრიგიული ტრიადა, ლიდიური ტრიადა), ოქტოიხური სისტემა აღაგებს კილო-ხმებს ოქტავის ბუკვების თანამიმდევრობის მიხედვით, re-დან re-მდე.

თუ როგორია შეფარება კილო-ხმების თანამიმდევრობისა ამ ორ სისტემაში, ოქტოიხურსა და ტრიადიულს, ამის შესახებ წარმოგვინახოთ იქვეა თანდართული ცხრილი.

კილო-ხმების თანრიგი ოქტოიხურ სისტემაში	რეგისტრი	უფროსი ტრიადიული სისტემის შემდეგ:
I ძირითადი კილო-ხმა	re—re	II
II " "	mi—mi	I
III " "	fa—fa	III
IV " "	sol—sol	II b—IIIa
I გვერდის კილო-ხმა	la—la	I b—IIa
II " "	si—si	I a
III " "	do—do	III b
IV " "	re—re	II

გარდა იმისა, რომ ოქტოიხური სისტემა დაცვილებულია ტრიადიულ სისტემას კილო-ხმათა თანრიგის მიხედვით, მათ შორის განსხვავების კადან-

სების ტიპოლოგიის მიხედვით. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

ბ.

მეცნიერებათა აკადემიის მოხსენიების აქტის შესახებ

გადგეფთ ამის შემდეგ ძველ-ბერძნული მუსიკალური დამწერლობის განხილვაზე.

ძველ საბერძნეთში ანტიკურ ხანაში ორნაირი მუსიკალური დამწერლობა არსებობდა.

ა) პირველი — ძველ-ბერძნული ეგრეთწოდებული „ინსტრუმენტალური“ მუსიკალური დამწერლობა, რომელშიაც ნიშნებად გამოყენებულია როგორც ბერძნული ანბანის ასოები, ისე აღმოსავლეთის ანბანთაგან მომდინარე ნიშნები.

ეს არის, დროის მიხედვით, უძველესი დამწერლობა.

ბ) მეორე სახის დამწერლობა — ეს არის ეგრეთწოდებული „გოკალური“ მუსიკალური დამწერლობა; ამ დამწერლობაში არ გვხვდება ალფაბეტური ანბანთაგან მომდინარე ნიშნები, არამედ აქ გამოყენებულია მხოლოდ ასოები ბერძნული ანბანისა (ბერძნული ანბანის თანრიგის დაცვით).

ეს მეორე სახის დამწერლობა, დროის მიხედვით, უფრო ახალია, ვიდრე პირველი სახის დამწერლობა. ამასთან იგი, წყობის მიხედვით, არ წარმოადგენს რაიმე ახალ სისტემას, არამედ იგი შექმნილია „მუსიკის“, № 2

კურად არის კალკირებული. უცვლელად არის გადმოღებული პირველი სისტემიდან.

მას შემდეგ, რაც ეს მეორე სახის დამწერლობა (საკუთრივ ბერძნული ანბანური დამწერლობა) შემოღებულ იქნა, მას არ განუდევინა ხმარებიდან პირველი სახის დამწერლობა (ეგრეთწოდებული „ინსტრუმენტალური“), არამედ ორივე დამწერლობა პარალელურად იხმარებოდა.

აქ საჭიროა ხაზი გაუვსვათ აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ საბერძნული ანბანი ამ ორი დამწერლობისა — პირველისა „ინსტრუმენტალური“, და მეორისა „გოკალური“ — ახალი წარმოშობისა და პირობითად არის შექმნილი; სინამდვილეში როგორც პირველი, ისე მეორე დამწერლობა იხმარებოდა როგორც ინსტრუმენტალური, ისე გოკალური მუსიკისათვის. მათ შორის ის სხვაობაა მხოლოდ, რომ პირველი ძველია, მეორე უფრო ახალი.

ჩვენ ქვემოთ, როდესაც ვახსენებთ ძველ-ბერძნულ მუსიკალურ დამწერლობას, ყოველივეს მხედველობაში გვაქვს პირველი სახის დამწერლობა

ბ. ი. ვერტოწოღებული „ინსტრუმენტალური“ დაშწერლობა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, უძველეს, ძირითადს, ბერძნულ მუსიკალურ დამწერლობას წარმოადგენს.

ძველ-ქართულ მუსიკალურ დაშწერლობას, როგორც შემდეგ დავინახავთ, სწორედ ამ პირველ სისტემასთან აქვს ზოგიერთი შეხვედრის ხაზები.

ძველი ბერძნული მუსიკალური დაშწერლობა („ინსტრუმენტალურად“ წოდებული) შეიცავდა 24 ძირითად ნიშანს. ეს 24 ძირითადი ნიშანი აღნიშნავდა მუსიკალურ ბგერებს დიატონური წყობისა.

ამდე დროს ყოველ ძირითად ნიშანს აქვს ორი

(იხ. ტაბულა 163 გვერდზე)

აქ საჭიროა შევხებით აგრეთვე საკითხს, თუ რა დროს ეკლავნის ძველი ბერძნული მუსიკალური დაშწერლობა და რა წარმოშობისაა იგი.

ძველი ბერძნული მუსიკალური დაშწერლობა, როგორც ჩანს, ანტიკური ხანის არქაულ ბერძნულში არის შემოღებული, არა უკვიანეს ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნისა.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ასო-ნიშნებს ერთგვარი მოდერნიზება განუტყდა მოზაზულობის მხრივ (შემდგომი ხანის ანბანური დაშწერლობის გრაფიკის გავლენით), ბერძნული მუსიკალური დაშწერლობის დიდ სიძველეს მიუთითებს, კერძოდ, ის გარემოება, რომ აქ ნიშნად გამოყენებულია დიგამა F (მე-9 ნიშანი), რომელიც ბერძნულ ანბანში ზევინ გვხვდება VII საუკუნემდე ძველი წელთაღრიცხვისა და შემდეგ ხმარებიდან გამოვიდა.

ბერძნული მუსიკალური დაშწერლობის წარმოშობის შესახებ შევნიერებამი ის აზრია მიღებული, რომ იგი აღმოსავლური წარმოშობისაა. ცნობილი გერმანელი მუსიკათმცოდნე კურტ ზაქსი ბერძნული მუსიკალური დაშწერლობის ნიშანთა შესახებ შემდეგსა სწერს: „ეს ნიშნები მხოლოდ ნაწილობრივად ბერძნული წარმოშობისა; ზოგი მათგანი მომდინარეობს ძველი ფინიკური ასოებიდან. დასკვნა ნათელია: აშკარაა, ეს ნიშანთა არაა გამოკონებულ ბერძნების მიერ, არამედ მოვიდა აღმოსავლეთიდან“¹.

ამ დასკვნაში შესაძლოა შეტანილ იქნას კიდევ მეტი დაზუსტება.

ეს აღმოსავლური წარმოშობის მუსიკალური ნოტაცია, ჩანს, შემუშავებულია მცირე აზიისაში და აქედან გავრცელებულა საბერძნეთში.

ის გარემოება, რომ ნოტაციაში ჩვენ გვხვდება ფინიკური ალფაბეტის ასო-ნიშნების ზოგიერთი გამომწვევა, სრულიად არ ნიშნავს, რომ ეს ნოტაცია ფინიკიაში იყო შემუშავებული. საქმე

დამატებითი ვარიანტული სახეობა (მეტწილად ძირითად ნიშანს შებრუნების სახით), რომლებითაც აღინიშნება ნახევარ-ტონები, ძირითადს ტონების ქრომატიული საფერურებს. მოგვყავს აქ ტაბულა ბერძნული მუსიკალური დაშწერლობისა.¹

ბერძნული მუსიკალური ნიშნების სამი რიგიდან (I, IIa და IIb)—პირველ რიგში (I) მოყვანილია ძირითადი ნიშნები, რომლებითაც ვაღმოიკვამ მუსიკალური ბგერები დიატონური წყობისა (ყოველი ცალკეული ნიშანი აღნიშნავს ერთ ბგერას).

მეორე a და მეორე b რიგში (IIa, IIb)—მოყვანილია ძირითადი ნიშნების დამატებითი ვარიანტული სახეობანი, ნახევარ-ტონების, ქრომატიკული საფერურების აღნიშვნენი.

ის არის, რომ ფინიკური ალფაბეტი საერთო დედაა როგორც აღმოსავლეთის სემური ალფაბეტებისა, ისე ბერძნული და მცირე-აზიული ალფაბეტებისა; ანტიკური ხანის არქაულ ბერძნულში ბერძნული ალფაბეტის გრაფიკა და მცირე-აზიული ალფაბეტების გრაფიკა — თავდაპირველად იჯვედ აყო, რაც ფინიკური ალფაბეტის გრაფიკა.

ამრიგად, მუსიკალური ნოტაციის წარმოშობის დასადგენად მნიშვნელობა აქვს არა ზოგადად ალფაბეტის ფინიკური ალფაბეტის, რომელიც საერთო სუბსტრატია როგორც აღმოსავლური, ისე მცირე-აზიული და ბერძნული ალფაბეტებისა, არამედ ასოთა იმ სპეციფიკურ მოზაზულობას, რომელიც შემდეგ წარმოიქმნა ცალკეულ ხალხთა დაშწერლობაში.

ამ მხრივ უაღრესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბერძნულ მუსიკალურ ნოტაციაში ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ნიშნების ისეთი მოზაზულობა, რაც ცხადბყოფს ნოტაციის ნიშანთა წარმოშობისა მცირე-აზიულ ოჯახის ალფაბეტებისაგან. ასო-ნიშანი დიგამა (მუსიკალური ნოტაციის მე-9 ნიშანი, რომელიც უდრის ნოტას ε), რომლის შესახებ ზემოთ ვვჭონდა საუბარი, იხმარებოდა როგორც არქაულ ბერძნულში, ისე მცირე-აზიულ ალფაბეტებში (ფრიგიულში, კარიულში, ლიკურში).

ამის გვერდით ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ნიშნები, რომლებიც არ გვხვდება არც ბერძნულში, არც ფინიკურში და მოიპოვება მხოლოდ მცირე-აზიულ ალფაბეტებში.

ასეთია, მაგალითად, ნიშანი d, რომელიც ჩვენ

¹ ტაბულა ანტიკური ხანის ბერძნული მუსიკალური დაშწერლობისა აღებული გვაქვს კურტ ზაქსის გამოკვლევიდან Музыкально-теоретическое воззрение адринских греков (კრებული Музыкальная культура древнего мира, 1937 წ., გვ. 147). ტაბულა შემოწმებული და შეჯერებული გვაქვს სხვა წყაროებთან.

¹ იხ. კურტ ზაქსის დასახელებული გამოკვლევა გვ. 147.

გვებდება მუსიკალურ ნოტაჟში (იხ. მოცანილი ტაბულა ნიშანი II ა, ნიშანი № 3, რომელიც უფრო ნოტა [a დიუზ]; ეს ნიშანი არაა არც ბერძნულ ალფაბეტში, არც ფინიკურში, არის მხოლოდ მცირე-აზიულში (სახელდობრ კარიულში, სადაც იგი ბეტას აღნიშნავს — აღნიშნავთ ამასთან, რომ ხველაზე უფრო უცვლელად პირვანდელი გრაფიკა მცირე-აზიული ალფაბეტებისა შენახულა კარიულში; მცირე-აზიულ ალფაბეტებზე შესრულებული ჩვენ დროზე გადარჩენილი წარწერებიდან — ხველაზე ადრინდელია კარიული წარწერები).

ასევე ნიშანი მუსიკალური ნოტაციისა, რომელსაც მოცანილი ტაბულაში უჭირავს მე-14 ადგილი (აღნიშნავს ნოტას iii), აგრეთვე მცირე-აზიული ალფაბეტებიდან მომდინარეობს (დამოწმებულია იმავე კარიულში).

ასეთი ნიშანდობლივი ჰალოგრაფიული ფაქტები ცხად-ყოფენ, რომ მუსიკალური ნოტაცია, რომელიც საბერძნეთში აღმოსავლეთიდან გაგრძელდა მუსიკალური ხანის პირველ პერიოდში, მცირე-აზიული წარმოშობისაა.

თავისთავად ეს ფაქტი, რომ ძველ საბერძნეთში

გაგრძელებული მუსიკალური ნოტაცია მცირე-აზიულიდან მომდინარეობს, მოულოდნელს არას შეუცავს პირიქით, ეს სრულიად ბუნებრივია და მოულოდნელი იყო კიდევ, თუკი გვიმოქმედებდა იმ დიდ გავლენას, რომელიც, ისტორიული წყაროების პირდაპირი ჩვენებების თანახმად, ძველ-ბერძნულ მუსიკაზე მოუხდენია მცირე-აზიულ მუსიკას.

რომ ძველმა ბერძნულმა მუსიკამ უდიდესი გავლენა განიცადა მცირე-აზიული მუსიკისა, ამის ნაჩვენებელია თავის-თავად ეს ფაქტი, რომ ბერძნული მუსიკის სანი ძირითადი კილო-ხმებიდან მხოლოდ ერთი ატარებს ბერძნულ სახელწოდებას („დორიული“ კილო-ხმა), ხოლო ორი კილო-ხმა მცირე-აზიული ხალხების — ფრიგიელებს და ლიდიელებს ხაზგადასმული აღნიშნება („ფრიგიული“ კილო-ხმა, „ლიდიური“ კილო-ხმა).

ჩვენ ამჟამის ამაზე დავასრულებთ საუბარს აქ აღძრული საკითხის გამო. ბერძნული და მცირე-აზიული მუსიკის ურთიერთობის საკითხებს ჩვენ ქვემოთ ისევ დავებრუნდებით.

ბ

შედარება ანტიკური ხანის ბერძნული მუსიკალური დამწერლობისა და ძველ-ძარბოვლი მუსიკალური დამწერლობისა

ქართული მუსიკალური დამწერლობა, როგორც იცის მკითხველმა, აკებულია ოქტავის პრინციპზე. თუ ჩვენ ავიღებთ ბერძნული მუსიკალური დამწერლობის პირველ ფუძეს, — სრულყოფილი

სისტემის* (systema teleion-ის) პირველ ოქტავას (ძირითად ნიშნებს), ისინი შემდეგ მიმართებაშია ქართული მუსიკალური ანბანის ოქტავის ნიშნებთან.

ბერძნული	H H E T	r [= c] r F c [r]
სრულყოფილი სისტემის პირველი ოქტავა		
ძარბოვლი		
მუსიკალური ანბანი (ოქტავა)	(I) (II) (III) (IV)	(V) (VI) (VII) (VIII)
	ქვემო ტეტრაქორდი	ზემო ტეტრაქორდი

შედარებით ანალიზი ქართული და ბერძნული მუსიკალური დამწერლობისა, შედარება როგორც ნიშანთა მოხაზულობისა, ისე სისტემისა, გვაძლევს საფუძველს განვივიტანოთ ზოგიერთი დასკვნა ამ ორი დამწერლობის ურთიერთობის გამო.

მაგრამ მოუხედავად ნიშანთა მოხაზულობის ტიპოლოგიური სხვაობისა, აქ მაინც შეინიშნება შეხვედრის ნაწი.

ა. ნიშანთა მოხაზულობა.
ქართული მუსიკალური დამწერლობა თავისი მოხაზულობით, სრულებით სხვა ტიპისაა, ვიდრე ბერძნული; ქართული სამუსიკო ნიშნები წმინდა გრაფიკაა, ბერძნული დამწერლობის ნიშნები კი ასოებს წარმოადგენენ.

ა. ოქტავის VI საფეხურის ნიშანი.
არ შეიძლება შემთხვევითად ზაითვალოს ეს გარემოება, რომ VI საფეხური ქართული მუსიკალური ანბანისა წარმოადგენს იმავე მოხაზულობას, რასაც წარმოადგენს სწორედ იგივე VI საფეხური შესაფარდი ბერძნული ოქტავისა.

აქ დამოხვევა იმდენად ზუსტია, რომ განმარტუ-
ვას არ საჭიროებს.

ოქტავის VIII საფეხურის ნიშანი.

როგორც ენობლია, ბერძნული მუსიკალური
დამწერლობა მიღებული იყო აგრეთვე რომში
(რომში ბერძნული მუსიკალური მოძღვრების შე-
თვისებასთან ერთად, ისევე აგრეთვე ბერძნული
მუსიკალური დამწერლობაც).

ბერძნული მუსიკალური დამწერლობის რომა-
ულ სახეობაში ჩვენ ვხვდებით მუსიკალური ნიშანი

საყარაუღებელია, რომ იგი იყო თავდაპირ-
ველად ბერძნულშიც (იგი უნდა ყოფილიყო პირვე-
ლად სახეობა „სრულყოფილი სისტემის“ VIII
საფეხურისა; მეორე ოქტავაში, ჩვენ დრომდე ვა-
დარჩენილ ძველებში, VIII საფეხურის ნიშანი ასე-

თის სახით არის წარმოდგენილი: M , რაც შე-
პრუნებული სახით, ზუსტროფდონული წესის

თანხმად, ასე ვაღიარებთ: M (შეადარე-
თ ამავე ნიშანის სახეობა ბერძნულ ანბანში, კრე-
ტას, მელისის და კუმას წარწერებში VII და VI

საუკუნეებშია: M

ლათინურად VI საფეხურის აღნიშვნელ ნი-
შანს M , და აგრეთვე გრაფიკულად მასთან და-

კავშირებულს მეორე ნიშანს M , მიემატება

სახელწოდება *pressus* (დახვეწილი, დაწერილი-

ბული); ამათან პირველ ნიშანს M ეწოდება

pressus minor (—დახვეწილი, დაწვლილებული,

მცირე). ხოლო მეორე ნიშანს M ეწოდება

pressus major (—დახვეწილი, დაწვლილებული,

დიდი). ეს სახელწოდება *pressus* (დახვეწილი,

დაწვლილებული) შეეფარება ამ მუსიკალური

ნიშნების მდებარეობას ოქტავის ზემო ტეტრა-

ქორდაში.

ასევე, როგორ VI საფეხურის ნიშანი M იღენ-
ტიურია ქართული მუსიკალური ანბანის VI საფე-

ხურის ნიშანთან M , ასევე მეორე ნიშანი M

(აგრეთვე ბერძნულში დაყული VIII საფეხურის

მეორე ოქტავის ნიშანი M) იდენტურია ქართუ-

ლი მუსიკალური ანბანის VIII საფეხურის ნიშან-

თან M .

გ. ოქტავის V საფეხურის ნიშანი.

ძველ ბერძნულ მუსიკალურ დამწერლობაში ოქ-

ტავის V საფეხურს ვაღმოსცემს ასო ვამა, რომე-

ლიც ჩვეულებრივ ასე იწერება: V . მაგრამ ეს

არის ერთი სახე ამ ასო-ნიშანის დაწერილობისა.

თუ ჩვენ შევადარებთ ძველ ბერძნულსა და
ძველი-იტალიურ აღფაბეტებს (შინა/შინის/ქვექ-
ლათინურს), აღფაბეტების ასოვება ასევე/ქვექ-
ლათინურსა გით ეწეობა:

ძველი ბერძნული აღფაბეტა: A B C D E F

ძველი იტალიური აღფაბეტა: A B C D E F

მკითხველმა მიაქციოს ყურადღება იმ გარემოე-
ბას, რომ ძველი იტალიური აღფაბეტების (მათ
შორის ძველი ლათინურის შესამე ნიშანი, რომე-
ლიც შეეფარება და მომდინარეობს ასოვან ვამა,
იწერება რკალისებურად: C

ღვთი ბერძნულ დამწერლობაში არქაული პე-
რიოდისა ვრავთვა ასობ ვამა რკალისებური სა-
ხით C ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს.
ასე, ასო ვამა ამგვარი რკალისებური მოხაზულო-
ბით C წარმოდგენილია მიღელ რივ ძველ-ბერძ-
ნულ წარწერებში ძველი წელთაღრიცხვის VII-VI
საუკუნეებისა (იხ. წარწერები რომისისა, გელა-
სი, აკრაგანტისა, მეგარისა, სელინურტისა, კორინ-
თისი, კორკირისი, ანაკტორიონისა, დასავლელ არ-
გოლიდისა, ქალკიდისა, ლოკრიდისა, ლაკონიკისა,
არკადისა, ელიდისა, კუნალინიისა) ¹.

მეორე-აზოვლ აღფაბეტებში, ასე კარითლში,
ჩვენ ვხვდებით ასო ვამას ანალოგიური რკალისებუ-
რი დაწერილობაში.

ამრიგად, ქართული მუსიკალური დამწერლობას
V საფეხურის ნიშანი შეეფარება ძველი ბერძნუ-
ლი მუსიკალური დამწერლობის V საფეხურის ნი-
შანს.

დ. ოქტავის VII საფეხურის ნიშანი.

მას შემდეგ, რაც გამოიკვია, რომ ქართული მუ-
სიკალური დამწერლობის ზემო ტეტრაქორდის სა-
მი ნიშანი (V, VI და VIII საფეხურებისა) — თა-
ვისა გრაფიკით უკავშირდება ძველ ბერძნულ მუ-
სიკალურ დამწერლობას, საფიქრებელი ხდება,
რომ ზემო-ტეტრაქორდის უკანასკნელი მეოთხე
ნიშანიც (VI საფეხურისა) — აგრეთვე დაკავში-
რებულია ძველ-ბერძნულ მუსიკალურ დამწერლო-
ბასთან.

და ეს მართლაც ასე ჩანს. ძველ-ბერძნულ მუსი-
კალურ დამწერლობაში VII საფეხურს ვაღმოს-
ცემს დიგამა, რომელიც ასე იწერება: F .

ქართული მუსიკალური დამწერლობის ოქტავის

VII საფეხურის ნიშანი F , ჩანს, არის გამარ-

ტივებული გრაფიკა ბერძნული მუსიკალური დამწე-

რლობისა VII საფეხურის ნიშანისა F (F).

ამრიგად ირკვევა, რომ ქართული მუსიკალური
ანბანის ზემო ტეტრაქორდის 4 ნიშანი
დაკავშირებულია ანტიკური ხანის ბერძნულ მუსი-
კალურ დამწერლობასთან, ამასთან დაკავშირებუ-
ლია არა მარტო მოხაზულობის მსგავსებით, არა-

¹ W. Larielid, Griechische Epigraphik, Münch. 1914, ტაბულა III.

მედ ნიშნების თვით მუსიკალური ფუნქციით.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი შეხედვრა არ შეიძლება იყოს შემთხვევითი. ამ ფაქტის მიხედვით უცილობელი ხდება, რომ არსებობს გენეტური ნათესაობა ქართულ მუსიკალურ დამწერლობასა და ანტიკური ხანის ბერძნულ მუსიკალურ დამწერლობას შორის.

როდესაც ჩვენ ვადარებთ ქართულ მუსიკალურ დამწერლობასა და ანტიკური ხანის ბერძნულ მუსიკალურ დამწერლობას, ჩვენ ვხედავთ, რომ ქართული დამწერლობა წარმოადგენს მუსიკალური აზროვნების განვითარების უფრო მაღალ სტადიას, მუსიკალური ნოტაციის განვითარების შემდგომს, უფრო მაღალ საფეხურს.

ჯერ ერთა, უფრო სრულყოფილია თვით სისტემა ქართული მუსიკალური დამწერლობისა, რომელიც დამწერლობა ოქტავის პრინციპზე.

გარდა იმისა, რომ ქართული ჩვენ ვაქვს ხასტემის უფრო სრულყოფილი სახეობა. ქართული მუსიკალური დამწერლობა, ძველ-ბერძნულთან შედარებით, წარმოადგენს უფრო მაღალ საფეხურს აგრეთვე დამწერლობის მიხედვით. ქართული მუსიკალური ნიშნები, მონაზულობის მართ, წარმოადგენენ წმინდა გრაფიკას, შეზომილს იმ სახით, რომ ნიშნები თანდათანობით, კანონზომიერი წყობით გადადიან ერთი სახეობიდან მეორეში, რაც შესაძლებელს ხდის ქართული მუსიკალური დამწერლობის ადვილად ათვისებას, თვალთ ადვილად და სწრაფად კითხვას.

ამ მხრით ქართულ მუსიკალურ დამწერლობას დიდი უპირატესობა აქვს ძველ-ბერძნულთან შედარებით; ძველ-ბერძნულ დამწერლობას საფუძვლად უდევს ანბანი, და, მანასადავს, არ ახასიათებს რაიმე კანონზომიერი გადასვლა ერთი ნიშანიდან მეორეში, რომ შესაძლო იყოს ხმის მოძრაობის ფაქტორითად ათვისება გრაფიკის მიხედვით.

ძველ-ქართული დამწერლობა ამ მხრით მართლაც იდეალურ სისტემას წარმოადგენს, და, როგორც მოვიხსენიეთ, იგი ისევე შეფარებულია ხმის მოძრაობის ფაქტორითად ასათვისებლად, როგორც ხაზოვანი სანოტო სისტემა. იმგვარადვე, როგორც ხაზოვანი სანოტო სისტემაში ადვილად ვარჩევთ ბგერის მოძრაობას იმის მიხედვით, თუ როგორ აწევს ან დაწევს ნოტი ხაზების შერჩევში, ასევე ძველ-ქართულ მუსიკალურ დამწერლობაში ადვილად ვარჩევთ ბგერის თანდათან აწევას ზემო ტეტრაქორდში და თანდათან დაწევას ქვემო ტეტრაქორდში ნიშნების გრაფიკის მიხედვით, მათი თანდათანვი გადასვლით ერთი სახეობიდან მეორეში.

ის ფაქტი, რომ ქართული მუსიკალური ანბანის შემო ტეტრაქორდის ოთხ გრაფიკული ნიშანა კავშირში იშვოლება ანტიკური ხანის ბერძნული დამწერლობის იმავე ფუნქციის ასო-ნიშნებითან, ცხადია იმის მაჩვენებელია, რომ სპარტეულში, ვიდრე შემოშავდებოდა ქართული მუსიკალური დამწერლობის გრაფიკული სისტემა, ამაზე ადრე მიღებული ყოფილა ანტიკური ხანის ძველ-ბერძნული მუსიკალური ნოტაცია, ანბანზე დამყარ-

ბული. დროთა მანძილზე მომხდარა ზოგიერთი ასო-ნიშნის თანდათან გამარტივება.

ხოლო როდესაც სპარტეულში შემდეგ მოხედვითა მუსიკალური დამწერლობის ის დიდი რეფორმა, რომელზედაც აქ ვგვონდა საუბარი, ვ. ი. როდესაც გადასულან ოქტავის პრინციპზე აგებული მუსიკალური ნიშნების კანონზომიერად გაწყობად გრაფიკაზე, ამ ახალ მუსიკალურ სისტემაში ბუნებრივია შერჩენილა რუდიმენტალური სახით ძველი ანბანური მუსიკალური დამწერლობის ზოგიერთი ნიშნის მონაზულობის გადმოწამით.



საკითხავია ამას გარდა, თუ საიდან უნდა შემოსულიყო სპარტეულში ის ანბანური მუსიკალური დამწერლობა, რომელსაც ჩვენ ანტიკური ხანის ბერძნულ მუსიკალურ დამწერლობას ვუწოდებთ.

ჩვენ უკვე განმარტებული ვგვონდა, რომ სახელწოდება „ბერძნული“ ამ შემთხვევაში საკნებით ბირობითია. სინამდვილეში ეს მუსიკალური დამწერლობა შემოგვტყდა იყო არა საბერძნეთში, არამედ მცირე აზიაში, და იგი უძველეს ხანაში, არა უფროანის ძველი წელთაღრიცხვის VII რესპ. VIII-VII საუკუნეებისა გავრცელებულა საბერძნეთში (იხ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 162 — 164).

მცირე-აზიული წარმოშობის ეს მუსიკალური დამწერლობა შესაძლოა სპარტეულში გავრცელებულიყო არა საბერძნეთის გზით, არამედ პირდაპირ მცირე აზიიდან, მით უფრო ანტიკური ხანის არქაულ პერიოდში.

და, როგორც ჩანს, ეს მართლაც ასე ყოფილა. აქ გასათვალისწინებელია შემდეგი.

1) მუსიკალური დამწერლობის გავრცელება, ეპოქის მიხედვით, საფუძვრებელია, დიდად არადაცლებული ანბანის შემოღებასთან. (კერძოდ, საბერძნეთში მუსიკალური დამწერლობის გავრცელება დროთა მიხედვით ემთხვევა ანბანის შემოღების ხანას). ხოლო ძველი ქართული ანბანი, თავისი არქაული სახეობით, მცირე აზიის უძველესი ალფაბეტების ოჯახს ეკუთვნის და იმის შემოღება VIII-VII საუკუნეებზე გვიან ხანას ვერ მიეკუთვნება.

ეს ეპოქა, VIII-VII საუკუნეები ძველი წელთაღრიცხვისა, არის ხანა, როცა ქართული ტომების განსახლება გრძელდება კავკასიიდან—მცირე აზიის რაიონებამდე. მცირე აზიაში ამ დროს განსახლებულია თობელის (თუბალის) ტომი. აგრეთვე მესხთა ტომის განსახლება აღწევს კავკასიიდან მცირე აზიის რაიონებამდე. აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ VIII-VII საუკუნეებში მიჯნაზე მცირე აზიის მესხთა ტომები გავითიანებულა იყვნენ სახელმწიფოებრივად მცირე აზიის ფრეგილ ტომებთან. მეუღ მითა [შიდა], რომელიც ასურულ წყაროებში მესხთა მეფის სახელით მოიხსენება, ბერძნულ წყაროებში ფრიგიის მეფის სახელით არის ცნობილი.

თუ გავითვალისწინებთ ამ ისტორიულ ვითარებას, გავრცელება ქართული ანბანის მცირე-აზიული წარმოშობის მუსიკალური დამწერლობისა, საესხებით ბუნებრივია; მით უფრო, რომ თვით ქარ-

თელი ანბანის შემოღება, როგორც მოვიხსენიეთ, ამჟამად ეპოქის და ამჟამად ისტორიულ გარემოს გვეფენის.

2) თუკი ანბანური მუსიკალური დამწერლობა საქართველოში უშუალოდ შეთვისებული ყოფილა, ეს საბერძნეთიდან — ელინისტურ ეპოქაში, მაშინ უფრო მოხალოდნელი იყო, რომ საბერძნეთიდან შეთვისებული იქნებოდა საკუთრივ ბერძნული ანბანური მუსიკალური დამწერლობა („ეკლავურაჲ“ წოდებული), რომელიც ამ დროს მეტი გავრცელება სარგებლობდა, და არა არქაული მცირე-აზიური წარმოშობის ანბანური დამწერლობა („ინსტრუმენტალურაჲ“ წოდებული).

აქ საჭიროა აგრეთვე აღვნიშნოთ შემდეგი. ის ვარაუდება, რომ ანბანური მუსიკალური დამწერლობა ანტიკური ხანისა („ინსტრუმენტალურაჲ“) შეთვისებული უნდა იყოს ანტიკური ხანის არქაულ პერიოდში უშუალოდ მცირე აზიიდან, ხრულიად არ ნიშნავს, რომ საქართველოს უფრო გვიან ეპოქაში, ელინისტურ ხანაში, არ ბქონდა უშუალო კონტაქტი საბერძნეთთან, კერძოდ მუსიკალური კულტურის დარგში, ისევე როგორც კულტურის ყველა სხვა დარგში. როგორც ეს ცხადია საისტორიო წყაროების ჩვენებებიდან, და როგორც ეს დაადასტურა არმაზის არქეოლოგიურმა გათხრებმა, გავლენა ელინიზმისა ანტიკურ ხანის საქართველოში დიდი იყო.

განხილული მასალების მიხედვით, ამრიგად, ირკვევა, რომ ქართული მუსიკალური დამწერლობა ანტიკურ ხანაშია ჩამოყალიბებული და რომ მას კავშირი აქვს ანტიკური ხანის ბერძნულ მუსიკალურ დამწერლობასთან (რომელიც მცირე-აზიური წარმოშობისაა).

აღვნიშნავთ აქ კიდევ ზოგიერთ სხვა მომენტებსაც, რომლებიც უჩვენებენ, რომ ქართულ მუსიკალურ დამწერლობას კავშირი აქვს ანტიკური ხანის მუსიკალურ დამწერლობასთან, და არა საშუალო საუკუნეთა სემიოგრაფიასთან.

ბ. ქრომატიული ნახევარტონების ნიშნები

ჩვენ უკვე აღვნიშნული ვქონდა, რომ ქართულ მუსიკალურ დამწერლობაში ქრომატიული ნახევარტონები გადმოიცემა ძირითადი ნიშნების შებრუნებული დაწერილობით.

ქართული მუსიკალური ანბანი ამ შემთხვევაშიაც ემთხვევა არა საშუალო საუკუნეთა ბერძნულ სე-

მიოგრაფიას, არამედ ანტიკური ხანის ბერძნულ მუსიკალურ დამწერლობას.

საშუალო-საუკუნეთა ბერძნულ სემიოგრაფიაში (საშუალო-ბიზანტიურში) ქრომატიული ნახევარ-

ტონები აღინიშნებოდა ცალკე ნიშნით σ , რომელსაც $\gamma\epsilon\upsilon\chi\acute{\upsilon}\varsigma$ ეწოდებოდა. (იხ. H. J. W. Tillyard. Handbook of the middle Byzantine musical notation. გვ. 35).

ზოლო ანტიკური ხანის ბიზანტიურ დამწერლობაში ქრომატიზმი გადმოიცემა არა ცალკე ნიშნით, არამედ ძირითადი ნიშნის შებრუნებული დაწერილობით, ე. ი. სწორედ იმ წესის თანახმად, როგორც ეს ქართულ მუსიკალურ დამწერლობაში იყო მიღებული.

გ. ბგერების (და არა ინტერვლების) აღნიშვნა

საშუალო-ბიზანტიურ სემიოგრაფიაში (რომელიც ამოხსნილია) ნიშნები აღნიშნავენ არა თვით მუსიკალურ ბგერებს, არამედ ინტერვლებს ბგერათა შორის. ამიტომ საშუალო-ბიზანტიურს მუსიკალურ დამწერლობაში აუცილებელია, რაათა საგალობლის თავში აღვნიშნულ იქმნას, თუ რომელ ხავეზურს მოდულისას (კოლო-ხანისა) წარმოადგენს საგალობლის დასაწყისი ბგერა. (ეს აღინიშნება საგალობლის თავში საგანგებო ფორმულით).

ქართულ მუსიკალურ ანბანში კი ცალკე ნიშანი აღნიშნავს არა ინტერვლებს, არამედ თვით მუსიკალურ ბგერას (ამიტომაც ქართულს სრულებითაც არ სჭირდება ის შესავალი ფორმულა დასაწყისი ბგერის დასადგენად, რაც აუცილებელია საშუალო ბიზანტიურში).

ამრიგად, ქართული მუსიკალური დამწერლობა აქაც ხედება ანტიკური ხანის ბერძნულ მუსიკალურ დამწერლობას, სადაც ნიშანი გადმოიცემს არა ინტერვალს ბგერათა შორის, არამედ თვით მუსიკალურ ბგერას.

დ. ოქტავის პრინციპი

ქართული მუსიკალური დამწერლობა მთლიანად აგებულია ოქტავის პრინციპზე.

რაც შეეხება ანტიკური ხანის მუსიკალურ დამწერლობას, მისი სისტემა უფრო პრინციპულია, მაგრამ ოქტავის პრინციპი აქაც მოცემულია ერთგვარი ჩანასახის სახით.

ბერძნულ მუსიკალურ დამწერლობაში ოქტავები „სრულყოფილი სისტემისა“ (I და II) და ანტი-ფორმური ოქტავა (III) ასე იწერება:

„სრულყოფილი სისტემა“	I ოქტავა (A—a)	H	h	E	⋈	Γ	⋈	F	C [⋈]
	II ოქტავა (a—a ^h)	K	γ	<	⋈	N	Z	∧	
III ოქტავა—ანტიფორმური (a ^h —a ^h)		K'	γ'	<	⋈'	N'	Z'	[∧']	

როგორც ვხედავთ „სისტემა ტელეიონის“ („სრულყოფილი სისტემის“) I და II ოქტავების დაწერილობაში ერთი სახის წყობაა მიღებული, ხოლო III ანტიფონური ოქტავის დაწერილობაში კი სულ სხვა სახის წყობა. სახელდობრ, პირველი ორი ოქტავის მწკრივმა ნიშნების გრაფიკა არაა შეფარდებული ოქტავის ორჯონის განმეორებასთან, ხოლო მესამე ოქტავის მწკრივი კი, პირიქით, შეფარდებულია ოქტავის პერიოდულ განმეორებასთან, მართლაც, მესამე ოქტავის მწკრივი უცვლელად იმეორებს მეორე ოქტავის ნიშნებს, ზუსტად, იმავე თანრიგით (მხოლოდ, გასარჩევად მეორე ოქტავის ნიშნებიდან, მესამე ოქტავის ყოველ ნიშანს მარჯვენა მხარეს მოწერილი აქვს მცირე ხაზი).

რით აიხსნება ასეთი სხვაობა ამ მწკრივებს შორის, რად განსხვავდება დაწერილობის სასაბუთო „სისტემა ტელეიონის“ I და II ოქტავა, ერთვის მხრით, და ანტიფონური III ოქტავა, მეორეს მხრით?

ეს აიხსნება იმით, რომ ისინი სხვადასხვა ელემენტს გულისხმობენ. „სისტემა ტელეიონის“ ნიშნების

მწკრივი (I და II ოქტავისა) უფრო ძველია, ისინი შემოღებულია ანტიკური ხანის არქაულ პერაოდში (იხ. ზემოთ გვ. 157—158), ხოლო რაც შეეხება III ანტიფონური ოქტავის მწკრივს, მისი აღნიშვნა უფრო გვიან შემოდის მუსიკალურ დაწერილობაში, სახელდობრ, ანტიკური ხანის კლასიკურ პერიოდში, როდესაც შემოღებულ იქნა ოქტავების ტრიადული წყობა (იხ. ზემოთ, გვ. 159—160).

ამრიგად, ანტიკური ხანის არქაულ პერაოდში მუსიკალური დაწერილობა უფრო პრიმიტიულია, არაა შეფარდებული ოქტავების პერიოდულ შემოზარუნებასთან; მხოლოდ ანტიკური ხანის კლასიკურ პერიოდში ჩნდება პირველი ჩანასახი დაწერილობის შეფარდებისა ოქტავის პრინციპთან.

რაც შეეხება ქართულ მუსიკალურ დაწერილობას, იგი წარმოადგენს შემდეგს, უფრო მაღალს საფეხურს მუსიკალური ნოტაციის განვითარების ისტორიაში; ქართული მუსიკალური ანბანი მთლიანად აგებულია ოქტავის პრინციპზე. ეს არის უდავლო ღირსება ქართული მუსიკალური დაწერილობისა.

XII

ძველი ქართული მუსიკის მემორიატა კადანსები,
მათი არამუსიკალური ხასიათი
და ანტიკური ხანის მუსიკალურ მოძღვრებასთან კავშირი

მას შემდეგ, რაც ამოვხსენით ძველ-ქართული მუსიკალური დაწერილობა, ერთ-ერთი პირველი საგანი, რომლის საბეჭდად დამუშავებისა შეეწყდებოდა, ეს არის მემორიატა კადანსების სტრუქტურა ძველ ქართულ მუსიკაში, ერთის მხრით და დასავლურ (ბერძნულ და რომაულ) მუსიკაში, მეორეს მხრით.

კადანსი ყველაზე მეტი ელემენტია მემორიატაში, კადანსის წყობა აძლევს ელფერს მელოსს, ამიტომ კადანსის სტრუქტურის გათვალისწინება განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს.

რა ურთიერთობაშია მემორიატა კადანსები ძველ-ქართული მუსიკისა და დასავლური მუსიკისა?

ძველ-ქართული წყაროები მოწმობენ, რომ „გვარი“ ანუ სახეობა ძველ-ქართული მუსიკისა სხვა იყო, ვიდრე „გვარია“ ანუ სახეობა დასავლური ბერძნული—მუსიკისა, — უცნობი იყვნენ ენისა ჩუენისაგან [—ქართულისაგან] ძღასპარნი ამათაი [—ბერძენთანი],—წერს XI-XII საუკუნეთა ქარ-

თული მწერალი და ბიზანოგრაფი არსენი თეალოფილი.

ხოლო რაკი „გვარია“ ანუ სახეობა ქართული და ბერძნული მუსიკისა სხვადასხვა ყოფილა, ამიტომ შესაძლოა მულოდათა კადანსების ტიპი (კლოზმებთან შეფარდებით) არ იყო სავსებით იდენტური ქართულ და დასავლურ მუსიკაში, თვითველ მათგან შესაძლოა ჰქონიდა ამა თუ იმ ასპექტში სხვადასხვა სახეობა.

და, როგორც ირკვევა, ეს ასეც ყოფილა. გვეცნით ჯერ დასავლეთის საშუალო საუკუნეთა ქრისტიანული მუსიკის მემორიატა კადანსების სახეობას.

საშუალო საუკუნეთა დასავლური ქრისტიანული მუსიკის მემორიატა კადანსების წყობა მარტივია.

ოქტოხიური რვა კლოზმის თანრიგის მიხედვით მემორიატა კადანსები (finalis, „ფინალისი“) შემდეგ მარტივ მწკრივს წარმოადგენს:

(იხ. ცხრილი 169 გვერდზე)

როგორც რომელსაც საეკლესიო გალობაში, ისე თავდაპირველ ბერძნულ ბიზანტურ საეკლესიო გალობაში „ფინალისა“ (კადანსი) მოდიოდა ითბ ნოტაზე re, mi, fa, sol *.

ფინალისი do და fa (პროტოტაბა თანამედრო-

რობებმა, რომელშიც მას ზოგადი ცხოვრება, ვერც შეილის დაღუპვის სამაშრჩებამ, ვერც თავისი უზომოდ სავაჯრელი გოდერძის ჩანჩრდალვად უგზო-უკვლოდ დაკარგვამ ვერ გაზზარეს მისი მორალური სახე. ბევრი გააფთრებული იერში მიიტანეს მასზე სოფლის ბნელმა ადამიანებმა, ბევრი სიშირე და მწუხარება აცემა მას სამამულო ომის შიშიმ წლებმა, მაგრამ ყოველივე ამ განსაცდელიდან ეს სამავალითი უპიკოთა ქილი გამოვიდა მორალურად უშიშროლო და გამარჯვებული. ამ ქალის ცხოვრების ისტორიაშიც მწერალმა სიმბოლიურად განასახიერა ჩვენი ხალხის, ჩვენი სამშობლოს ბედო.

თარ ვიტყვით, რომ რომანის ყველა პერსონაჟი თანაბრად ცოცხალ, სისხლბორციო საყვადამიანურ სახეებად იყოს გამოკვეთილი მწერლის მიერ. ზოგიერთი უდალესად მნიშვნელოვანი იდეურ-ესთეტიკური ფუნქციის მატარებელი გმირიც კი დაბატულია სქემატურად, ცალმხრივად. ასეთია, მაგალითად, რაიკომის მიღების ცინისათვის სახე, რომელიც რომანში მოქმედებს არა როგორც ცოცხალი ადამიანური ხასიათი, არამედ როგორც ავტობის საყვებით სწორი და მართებული წარმოდგენა რაიკომის კარგ პარტიულ ხელმძღვანელზე, რომელიც უზომოდ ერთგულია თავის მალაი მოწოდებისა და თავს არ იზოგავს ხალხის საყვითლდღეო შრომასა და ბრძოლაში.

ბევრად უფრო ცოცხალ და კოლორიტულად არის დაბატული სუსქია მინდელის და ნიკო მირიანაშვილის სახეები. არც ერთი თავისი დაღუბითი გმირი იოლი გზით არ მიყავს მწერალს, ყოველ მაგალით იგი ხატავს უმძიმეს წინააღმდეგობათა ვარემოსთან რთული ურთიერთობის ვითარებაში. მაგრამ ყველა მთავანი ინარჩუნებს იმ მომხიზველობას, რომელიც მღვდომარეობს მათ მალად სულიერ და მორალურ თვისებებში, მათს ღმმა კავშირში ხალხთან. დიდად საყურადღებო მხატვრული სახეა ვახტანგ კორინთელი, რომლის აზრებსა და გრძნობებში მწერალი ხშირად განახორციელებს თავის მსოფლმხედველობას, თავის დამოკიდებულებას საყვარისადმი, თავის იდეურ პოზიციას. ეს უპარტიო ინტელიგენტი მშრომელი ხალხის წილიდანაა გამოსულე; მას უგემინია ძველი, თავადმანერულ-ბუნეუბიული წყობილების უკუღმართობანი, მაგრამ თავისი შრომით, თავდადებით გაუკაფავს ვზა, უცხოეთში განათლება მიუღია, მრავალი შრომა დაუწერია და ახლა სამშობლოში დაბრუნებული პრეტესორის წოდებით და დიდი მეცნიერული ავტორიტეტი იგი ზიზლითაა გამსქველული დასავლეთის ბუნეუბიული ცივილიზაციისადმი და თანამედროვე მშვერილიზმის რეპციული პოლიტიკისადმი. თავდადებულ პატრიოტი დიდი იტაცებით თავს დასტრიალებს მშობლიურ ქვეყნის აღორძინებას, ბერძნების ზეგანზე ვაზის გაშენებისათვის გარაბულ

ბრძოლას, შეპყრობის თავისი ხალხის ბედნიერებას, მწველად განიცდის სამშობლოს მიმე დღეებს ამის ვითარებაში. ამასთანავე მას აქვს რთული პირადი ცხოვრება, რომელიც განუყოფელად დაკავშირებულია რომანში ასახული დიდი სახალხო მნიშვნელობის მოვლენათა განვითარებასთან.

„ვაზის ყვავილობის“ ერთ-ერთი უპირველესი ღირსება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მასში ადამიანთა პირადი ცხოვრება და ბედის წარმოსახულია განუყოფელ ერთანობაში ხალხის ცხოვრებასთან, სოციალურ სინამდვილესთან, ამ ადამიანთა საზოგადოებრივ პრაქტიკასთან. თეატრული მიწის მზომელის შვილის ვახტანგ კორინთელის ცხოვრება ბავშვობიდან დაკავშირებული იყო თავად ვანნაძის ოჯახთან. სიმამრებულში მას გატაცებით შეუყვარდა რვაჯი ვანნაძის მშვენიერი ასული მედიკო. ეს უკანასკნელი მშობლებთან ერთად პარიზში გადასახლდა საცხოვრებლად და გალატაკების საფრთხის წინაშე დამდგარი ოჯახის ძალდატანებით ცოლად გაჰყვა ფრანგ მემკვიდრესა და აკადემიკოსს ლუისინ შარკეტოს. უცხოეთში მეცნიერული მიზნებით მივლენებული კორინთელი შეხვდა მედიკოსს. მათ შორის ახალის ძალით იფეთქა აღრინდელი სიყვარულის გრძობამ. მედიკო გამოექცა ქმარს და კორინთელს გამოჰყვა სამშობლოში. მაგრამ საბჭოთა სინამდვილემ, საბჭოთა ხალხის საბრძოლო იდეალებთან დამოკიდებულებაში ღრმა განსხვავებამ, ჩვენი ცხოვრების განაზღვრულმა სოციალურმა ატმოსფერომ გაითიშა ვახტანგ კორინთელი ვანნაძის ასულთან და მგზნებარე გრძობით დაკავშირდა იგი თელაველი პურისმცობლის მინდელის ქალიშვილთან — სუსქიასთან, რომელიც ჩვენი სახალხო ინტელექციის საუცხოო ტიპური სახეა. ხალხისადმი, სამშობლოსადმი წრფელი ერთგულება, ხალხის კეთილდღეობისათვის დაუცხრომელი შრომა დაკავშირებს ერთმანეთთან სუსქიასა და ვახტანგს. ამიტომ არის მათი სატრფილო ერთიანობა უსრდილო და მარტოობით. და თუმცა ისინი იღუპებიან, მაგრამ ორივე მსხვერპლი გახდა ხალხისადმი თავდადებული სამსახურისა. ამიტომაც მათი სახეები მომხიბვლელი შოკალური შარავანდელი შემოსილი რჩებიან მკითხველის ცნობიერებაში.

მაღალი სახალხო იდეალებისათვის ბრძოლასა და შრომაში დაკავშირდნენ ერთმანეთს ნუნუ უჯირაული და გოდერძი ელანიძე. მათ წრფელ სიყვარულსა და ბედნიერებას შრავალი რთული წინააღმდეგობა გადაეღობა წინ. მაგრამ რომანის ფინალში ისინი პირნათლად და სპეტაკი შოკალური სახით შეხვდნენ ერთმანეთს და ამ უმზევარში განსაზღვრდა იდეა მაღლა და ნათელი ადამიანური გრძობების გამარჯვებისა ჩვენს საზოგადოებრივ სინამდვილეში. ასე ორგანიზებულად არის დაკავშირებული რომანში მოთხრო-

ბილი ყოველი პირადელი ურთიერთობა საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესებში.

შეწრაფილ ხშირად დიდ დრამატულ მნიშვნელობას აქვს ადამიანის სულიერი ცხოვრების, მისი პირადი ბედის გამოხატვისას. იგი გვიჩვენებს, რომ ჩვენი დროის დადებითი გმირი ჩრდილში, საბურთაში არ იზრდება, არამედ მათი ხასიათი იქნდება მძაფრ ბრძოლაში. ზოგი მათგანი იღუპება კიდევაც. ეს არის მათერი ბრძოლა, დიდი ჰიდილი ჩვენი დროისა, რომელშიც იწრითობა და ყალბდება ჩვენი დროის მოწინავე ადამიანის ხასიათის მაღალი თვისებანი, ჩვენი ხალხის სულიერი ძალა და მშვენიება.

დიდი აგრეთვე „ვაზის ყვავილობის“ კრიტიკული პათოსი და მამხილებელი ძალა. ჩვენი სინამდვილის ჩრდილოვანი მხარეებისა და მანკური ადამიანების გამოხატვისას შეწრაფი არ ერიდება გვიჩვენოს წარსულის ამ უბადრუკი გადმონათების სერიოზული დამატრფილო და შემსუფრუბელი მნიშვნელობა ჩვენი წინმართისათვის. შეწრაფი, ამასთანავე, ზნის მათს სოციალურ ფესვებს და გვიჩვენებს, თუ საიდან მოდის ეს გადმონათებები, რა ასაზრდოებს მათ მანკიერ ბუნდ თვისებებს, რა სოციალური ფაქტორი, თუ პიოგრაფიული პირობები იწვევენ მათს არსებობას და როგორ იღუპებიან ისინი ჩვენი დიდი თანამედროვეობის სიმართლესა და ძალასთან პირისპირი შეჯახების დროს.

აი, მავალითად, დიდა ვარას გროტესკულად, და ამასთანავე საოცრად ცოცლად დახატული სახე, თავისი ვესლანი იოროით, ცხოვრებით ზოლით ყველაფერი ახლისადმი, პროგრესიული-სადმი. ისტორიის მიერ დიდი ხნის წინათ და სამდამოდ განადგურებული თავადზანაურული წოდების ეს უკანასკნელი ნაშთი იმდენად უბადრულად და უშეოდ გამოიყურება, რომ ერთ-ერთი შეხედვით ვერც კი წარმოიდგინო, თუ რა წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია მას ჩვენი ძლევაშობილი წინსვლისათვის. მაგრამ აქი საბედისწეროდ იმოქმედა ამ გაყოფებულმა უბადრულმა ვახტანგ კორინთელის პირად ბედზე და დიდი როლი შეასრულა მისი ოჯახის დანგრევაში!

ამ მხატვრული სახის მეშვეობით შეწრაფი გვაურობილებს, რომ არ შეიძლება ასეთ ადამიანებს ანგარიში არ ვაუწიოთ, მათ შეუძლიათ მტად სერიოზული ზიანი მიაყენონ ჩვენს ადამიანებს, დამლუპველად იმოქმედონ მათს ბედზე და, მამსადამე, მათს საქმეებზეც.

იგვე შეიძლება ითქვას აბრია უჯირაულის სახის შესახებაც, ეს განსაზღვრებაა კულაობის უკანასკნელი ნაშთებისა, ის ნუნუ, უშეოდ, უშეცარი ადამიანი, მაგრამ რამდენი ბოროტება და უბედურება დაატრფილა მან რომანის დადებითი გმირების ცხოვრებაში. ან კიდევ გაბუღიანებული შოფერი კანკრე, რომელმაც შრავალი ბოროტება ზაილიდა და ბოლოს კინალამ არ დღუბა მთელი საოველი. შეწრაფი გვიჩვენებს, თუ საი-

პირველი პრეტენზია, რომელიც შეიძლება მოითხოვდეს აღუძრას „ვაზის ყვავილობის“ ავტორის მიმართ, ეს ის არის, რომ თავის ამ ვრცელ ნაწარმოებში ავტორმა გადაჭარბებულად დიდი ადგილი დაეთმო ისეთ ცხოვრებისეულ მასალას რომელიც დამახასიათებელი და სპეციფიკური არ არის ჩვენი თანამედროვე სინამდვილისათვის და არ ემსახურება ამ წიგნის ძირითადი იდეოლოგიური მიზანის განსაზღვრებას.

აქ ლაბარაკია არა რაიმე სავალდებულო პროპორციებისა და სტანდარტული რეცეპტების დადგენაზე, არამედ ამ უდავო კემპარატებაზე, რომ თანამედროვეობის თემაზე დაწერილ რომანში უპირატესი ადგილი ისეთ ცხოვრებისეულ მასალას უნდა ეჭირას, რომელიც ჩვენი სინამდვილის, ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების სპეციფიკური თვისებებს გამოავლენს. ამ მხრივ „ვაზის ყვავილობაში“ დარღვეულია პროპორციულობის და შეთანაბრების კანონზომიერება. ისეთ ყოფით მასალას, როგორც არის განაშენების ოჯახის ისტორია, მათი ცხოვრება პარიზში, დროსტარება პარიზის კაფე-რესტორანებში, ან ბერძენაში გამოჩენილი ირემზე ნადირობა, ნუნუტე თავდასხმა და ამ საქმის გამოძიება, ნასახლარების ნაცხარების და ნასაყდარლების შესახებ ლეგენდები და ვაგაბოცემანი, რა თქმა უნდა, უფლება აქვს არსებობდეს თანამედროვე რომანში, მაგრამ საბჭოთა რომანისტი მოეთხოვება, რომ მის ნაწარმოებში მეტი მოკლდობით და ზემოქმედებითა ძალით, უფრო მძლავრად იყოს წარმოსახული და აქცენტირებული, წინა პლანზე წამოწეული ჩვენი თანამედროვეობის დამახასიათებელი ცხოვრებისეული მასალა.

მწერალს აქვს უფლება წიაღისეულებისა, რემინისცენციებისა, და არა მარტო უფლება, ამას რომანის სიპარება მოითხოვს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ „ვაზის ყვავილობაში“ აშკარად დარღვეულია პროპორციულობა და ზომიერების გრძობა. მწერალი მეტად გატაცებულია ზან წარსულის ზან დღევანდელი დღის ისეთი „ნეიტრალური მასალით“ რაც იმდენად ღრმა წარმოდგენის ვერ გვაძლევს ჩვენი თანამედროვეობაზე, რომელიც ვეგეტბოდა იმ შემთხვევაში თუ მწერალი თავის გამოისახელობის საგნად უპირატესად ახალი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ურთიერთობის აქტუალური მასალას გაიხილდა. ამ გარემოების გაუთვალისწინებლობამ ის უარყოფითი შედეგი გამოიღო, რომ წიგნში სათანადო ძალით არ იგრძნობა ჩვენი დროების დიდი ნაყოფი. ჩვენი სინამდვილე მასში უფრო პირქუშად და მუქი ფერებით არის წარმოსახული.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რომანის ყოველი ნაწილი თანაბარი მხატვრული ძალით არ არის შესრულებული. სამამულა ომის წლებში საბჭო-

თა ზურგის ცხოვრება ბევრად უფრო მძაფრად და ღრმად არის გამოხატული ამ წიგნში, ვიდრე ფრონტის, საკონცენტრაციო ბანაკების, პარტიზანული ბრძოლების სურათები. ამ სურათების შემდეგი თავები რომანისა შედარებით მკრთალად არის დაწერილი და მოკლებული ემოციურ ზემოქმედების ძალას. მას შემდეგ, რაც საბჭოთა მწერლობამ მრავალი საინტერესო ნაწარმოები მიუძღვნა ამ თემას „ვაზის ყვავილობა“ ვერ აღიდრებს ჩვენს წარმოდგენას ფრონტულ ცხოვრებაზე, პარტიზანულ ბრძოლებზე, საკონცენტრაციო ბანაკთა გოჯოხეთურ სამხედროებებზე. რით აიხსნება ეს გაჩემობა, რომ ომის წლების ქართული სოფლის ცხოვრება მწერალმა ბევრად უფრო მკვეთრად და შთამბეჭდავად წარმოსახა, ვიდრე სამამულა ომის ფრონტებზე თუ მტრის ზურგში წარმოებული ბრძოლები და ტყვედ ჩავარდნილ საბჭოთა მემომბების თავდასაყალივრით აიხსნება ისეთი არათანაბარი მხატვრული დანი წიგნის სხვადასხვა ნაწილებში? ამ საკითხზე ერთადერთი პასუხი შეიძლება მოინახოს: ამ ცხოვრებისეულ მასალას, რომელსაც მწერალი კარგად იცნობს, გრძნობს, განიცდის, ავი ზატავს შთაგონებულად და შთამბეჭდავად, ხოლო მოკლენათა ის სამყარო, რომელიც მწერალს მხოლოდ გონებით ათვლილ წარმოდგენა, ვერ პოულობს ცოცხალ მხატვრულ განსახიერებას და ასეთ შემთხვევაში თვით დიდად ნიჭიერი მწერლის შემოქმედებაშიც ფეხს იკიდებს სქემატაზში, ხელეწუნობა. ეს ერთ-ერთი ძირითადი კანონთაგანია მწერლობის კავშირითიერთობისა ცოცხალ სინამდვილესთან, ზალის ცხოვრებასთან.

„ვაზის ყვავილობის“ გინძილვასთან დაკავშირებული ერთ-ერთი სადისკუსიო საკითხი შეეხება ცხოვრებისეული სიპართლისა და მწერლის ფანტაზიის ურთიერთობას რეალისტურ ხელოვნებაში. ცნობილია, რომ სოციალისტური რევოლუციონი ყველაზე მეტად სრული და თანმიმდევრული რეალიზმა საკაცობრივი მხატვრული კულტურის მთელ ისტორიაში მის უმაღლეს კანონს მხატვრული სიპართლე, ცხოვრების უადრესად მართალი გამოხატულება შეადგენს. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ფანტაზიის როლისა და მნიშვნელობის უარყოფას ხელოვნებაში. ფანტაზიის გარეშე არ არსებობს არავითარი მხატვრული შემოქმედება. სინამდვილის მასალის ზუსტი და ხელეწმუნად გადაზოტანა ხელოვნებაში შეუძლებელი იყო თვით უილდერესად ნატურალისტური მიმდინარეობისთვისაც კი. საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი მეთოდი გულისხმობს მწერლის უადრესად აქტიურ დაშკიდებულებას სინამდვილის მოკლენებისადმი, ამ მოკლენების სიღრმეში ჩაწვდომას, მათი მოძრაობის კანონზომიერების, მათი შინაგანი აზრის გახსნას, მათს განზოგადებულ განსახიერებას. ყოველივე ეს კი შეუძლებელია

მწერლური ფანტაზიის, მხატვრული „გამომგონებლობის“ გარეშე. მაგრამ მწერლური ფანტაზია ჩვენს ხელოვნებაში უნდა ემსახურებოდეს სინამდვილის კიდევ შეტის სიმაართით გამოხატვას, ვიდრე იგი გარეგნულად გამოიყურება და აბრვითარ წყნობაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მხატვრულ სიმაართეს, რეალურობის გრძნობას, დამაჯერებლობას.

„ვაზის ყვავილობაში“ გვხვდებით მთელ რიგ ისეთ სიუჟეტურ მოტივებს, რომლებიც ამ მხრივ სერიოზულ ეჭვსა და დავას იწვევენ. ისინი მწერლის ისეთი ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენენ, რომელიც ანაბრში არ უწყევს მხატვრული სიმაართის მოთხოვნებს — რეალისტური ხელოვნების ძირითადსა და უპირველეს კანონს. ზოგჯერ მწერალი ნაკლებად ზრუნავს იმისათვის, რომ სათანადოდ შეაზღაოს, ფსიქოლოგიურად დასაბუთოს და დამარწმუნებლად განსახიეროს რომანში დასახელო ისეთი ფაბულური მოტივები, რომელთაც ფრიად მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვთ დაკისრებული სიუჟეტურს კომპოზიციაში. ავიღოთ, მაგალითად, მედიკო ვინაძისა და ვახტანგ კორინთელის ურთიერთობის ისტორია. მწერალი მოგვითხრობს, რომ ვინაძის ასულმა უცხოეთში ვახტანგ კორინთელთან შეხვედრისთანავე ზურგი შეაქცია ქაპარს — დიდ შემამულესა და კაპიტალისტს და ცოლად გამოჰყვა კორინთელს, მასთან ერთად დაებრუნდა საბჭოთა საქართველოს. უნდა ვიფიქროთ, რომ არისტოკრატიულ ცხოვრებით გალაგებულ და განებივრებულ ვინაძის ასულს ღმმა სიყვარულით უნდა ჰყვარებოდა კორინთელი, რომ მისი გულსათვის უაჩუყო თავისი მდიდრული და უზურუნველი ცხოვრება და ბერძენის დაბრუნებოდა. ასევე ძლიერ უნდა ჰყვარებოდა კორინთელს მედიკო, რადგან ალბათ, არც კორინთელისათვის იქნებოდა იოლი, რომ უცხოეთში საბჭოთა მთავრობის სპეციალური დავალებით მივლინებულს, სამშობლოში ჩამოყვანა საქართველოდან გადახეწილი თავადის რევალ ვინაძის ასული — ფრანგი კაპიტალისტის ნაყოლარი. მტრად მძალად უნდა ყოფილიყო სიყვარულის გრძნობა, რომელმაც ზანგარძივი დამორჩილების შემდეგ კვლავ ასეთი თავდადებით შეაერთა ამ ორი ადამიანის არსება. და მით უფრო საკვირველია, რომ სამშობლოში დაბრუნებასა და ბერძენში ჩასვლისთანავე ეს გრძნობა ერთბაშად გაიზარა და საოცარი სისწრაფით დასრულდა ტრაგიკული კატასტროფით.

თელავში, ნიკო მარიაშვილის ოჯახში სტუმრად მოსული სუსქია მინდელის დანახვისთანავე ვახტანგ კორინთელს უეცრად აღძრავ ტრეილებს გრძნობა ამ ქალისადმი, რომელთანაც მას ადრეულ სიბავუეშიც აჯანყებდა თორემ ყმაწვილური გატაცება. ხოლო მედიკოსთვის საკმარისი აღმოჩნდა დეიდა ვარას პირველი სიიღმლო გასაბრუნება, რომ მას არსებითად

ზურგი შეეცია ვახტანგ კორინთელისათვის. რამ გამოიწვია ასეთი უეცარი გარდატეხა? რომანის ამ ორი მთავარი გმირის ურთიერთობაში კლდეა იმ ახალმა სოციალისტურმა ატმოსფერომ, საბჭოთა საზოგადოებრივი გარემოცვამ, რომელშიც ერთბაშად აღმოჩნენ უცხოეთიდან დაბრუნებულნი ეს ადამიანები. შეიძლება საბჭოთა სინამდვილემ უფრო ნათლად და მწკვიდე გამოავლინა წინააღმდეგობანი ამ ორი ადამიანის სოციალურ ბუნებასა, ხასიათსა და მიდრეკილებებს შორის. ამასი აბრვითარი შეუძლებელი და გასაოცარი, მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებში სრულიადც საკმარისი არ არის ადამიანთა ურთიერთობის განვითარების ასეთი სოციალური გაზრება და ინტერპრეტაცია. ამასთანავე აუცილებელია მისი ფსიქოლოგიური დასაბუთება, შინაგანი მხატვრულ ლოგიკით ახსნა და გამართლება. უამისოდ თბრობა კარგავს დამაჯერებლობას და, მამსადაც, მკითხველზე ემოციურ ზემოქმედების ძალასაც, რომლის გარეშე ხელოვნების ქმნილება ეფრასიდეს სრულად ვერ მიაღწევს დასახულ მიზანს.

მა, კიდევ მეორე მაგალითი. ვახტანგებულში აი შევჩვენო კანკარემ, მრავალი უმსგავსეობისა და პირობების ჩამდენმა, ვადავტო ვველთის პადროფსადგურის სამარქათო არხი, რის გამოც წყალი ბერძენში გადმოჰარდა და კინაღამ მთელი სოფელი არ წალკა. ბერძენის კოლმურენობის თავგადასაბრუნებელი თარალიშვილმა ეს საბედისწერა შეზბევა სასწრაფოდ დღემთო აკუნდა რაიკომის მდივანს ციხისათვის. დღემის მიღებისთანავე ციხისათვი და კორინთელი სასწრაფოდ გაეშურნენ ბერძენისაკენ. სოფლად მით საზარელი სურათი დაუხვდათ: მთელი მიდამო წყლით იყო დაფარული, სტიქია ბობოქრობდა და ძლიერდებოდა, სოფლის მთელი მოსახლეობა დაღუპვის საფრთხის წინაშე იყო. ციხისათვი და კორინთელი თან ვაიყოილეს ბერძენის სოფსაბჭოს თავმჯდომარე ბეიკოვ და ცურვით ვაემართნენ არხის შლიუხისაკენ. რაიკომის მდივანმა და პროფესორმა დიდას ვაევაგლახით არაღწიეს ვადაკვრით შლიუხამდე, წყალს მისში ვაურხნეს მგა და ამით იხსნეს სოფელი დაღუპვისაკენ. მაგრამ ძვირად დაუჯდა ვახტანგ კორინთელს ეს პატრიოტული თავდადება: წყალდაღობასთან ბძიოლში იგი ვაეციედა, მძიმედ ივიღ ვახდა და ვარდაიცედა.

როგორც ვხედავთ, ამ ეპიზოდს ვადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის ბიოგრაფიაში. ამიტომაც იგი ღრმად უნდა იყოს მოფიქრებული და სრული დამაჯერებლობის ძალით შესრულებული. მკითხველი კი ვერ დაიჯერებს მწერლის მიერ მოთხრობილ ამ შემთხვევას. თუ წყალდაღობის დაცხრობისათვის საკმარისი იყო ამ ორი კაცის მიერ შეტანილი წყლის ვაეუტრება და შლიუხის ვადაკვრები, ნუთუ ვველთის ელსადგურზე, ან მთელს სო-

ფელში არავინ აღმოჩნდა კორინთელზე უკეთესი მკურავი, ნუთუ თელა თარალშვილი და სოფსაბჭოს თავმჯდომარე ასეთ საბედისწერო შემთხვევაში დაკმაყოფილდნენ რაიკოში ღებვის გავზავნი და ელოდებოდნენ ციხისთავისა და კორინთელის ჩამოსვლას და თვითონ ვერავითარ ზომებს მიიღებდნენ მკვინეარე სტიქიას წინააღმდეგ?

მართალია, მწერალი მოგვითხრობს, რომ ამ შემთხვევის დღეს სოფლად დარჩენილი ჰარმაგი ვეჯკაცები აღახანზე იყვნენ გავზავნილი მოდიდებულ მდინარისაგან წაღებულ ბარნის გამოსათრევად, რომ ვერადიან ჩამოსული მებანძრეები და მილიციელები შავსოფელში ჩარჩენილან და ბერძენს ვერაფრით მიშველენიან, მაგრამ მთელი ეს სიტუაცია მებრუნად ხელოვნურად შეთხზულის შთაბეჭდილებას ტოვებს. მწერალს უნდოდა თავისი გმირის ცხოვრებას ფინალის ხალხის საყვოლდო საგმირო საქმით დემშვენებინა, მაგრამ ამ ეთოლმოზილური შემოქმედებითი განზრახვის შესრულებისას მან არ მოისურვა, თუ ვერ შეძლო უფრო ბუნებრივი და დამარწმუნებელი სიტუაციის შექმნა, როგორ შეძლებს მკითხველი ნათლად წარმოდგინოს ამ წყალდიდობისა და მისი დაცხრომის სურათი, რადესაც იგი თვით ავტორსაც არა აქვს ნათლად დანახული და გააზრებული. «უკვე მთელს სოფელს გაეგო, რომ ვიღა ავისმზრახველებს სამარქაფო არხის შლიუნი გადაეკეტა და ამიტომაც სოფლისეც მიიწევა და წყალი წერს ავტორი და რამდენიმე სტრიქონის შემდეგ განაგრძობს: «კორინთელი და ციხისთავი პირველნი მივიდნენ ამ არხის შლიუნამდის და გადაეკეტეს იგი. ნახევარ საათში წყალმა საგრძობლად დაიკლო».

ბუნებრივად იმედება კითხვა: თუ წყალდიდობა სამარქაფო არხის შლიუნი გადაეკეტა გამოიწვია, როგორა გამოიწვევდა წყალდიდობის დაცხრომის იმავე შლიუნი გადაეკეტა?

ესადა, მწერალს თვითონ არა აქვს ნათლად წარმოდგენილი არც წყალდიდობის გამოიწვევი მიზეზი და არც სოფლის ვადარჩენის კონკრეტული ვითარება. ასეთი «წვრილიანი» შეუსაბამობა კი, ემიჯორებ, დამკერებლობას უკარგავს თბრობას და აზიანებს წიგნის ემოციური ზემოქმედების ძალას — მასსადავ, მის ესთერკურ მიღებულმასაც. ასეთი ზელოვნური და ნაკლებ დამარწმუნებელი ემიზოდები გვხვდება ავტორვე წიგნის იმ თავებში, რომლებშიაც სამაელო თმის ფრონტის ვითარება და საკინცენტრაციო ბანაკის ცხოვრება აღწერილია.

რომანში ზოგჯერ დარღვეულია მხატვრული სახის განვითარების ლოგიკა. მავალითად, მეწისქვილე «ნიორთავა», — სოლომონ ბუღუხაიძე, რომელიც წიგნის დასაწყისში უადრესად პრიმიტიულ აღმინაად გამოიყურება, რომანის ფინალში უკვე მაღალი ინტელექტუალური ინტერესებით მცხოვრებ პიროვნებად წარმოგვიდგება.

და მისი ბუნების ასეთი გარდაქმნა ნაწარმოებში სრულიადაც არ არის ახსნილი და დასაბუთებელი. შეუსაბამო წინააღმდეგობებს ვხვდებით აგრეთვე რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის ნუნუ უჯირაულის ხასიათის გამოხატვაში. სოფლის ეს მოწინავე ქალიშვილი, რომელსაც სულიერი ძალა და გამბედაობა ყოფნის იმისათვის, რომ ხალხმავალ მძინეზე სიტყვით გამოვიდეს ნოვატორული აზრისა და საქმის დასაცავად, თავისი ხელით ააფეთქოს დინამიტები გველეთის ზეგანზე იერიშის მიტანისას და ხანჯლით მიმედ დაჭრას გახულოვნებული შოფერი კანკე, ასეთი ხასიათის ქალი ამავე დროს საოცარ რუწროებაში, ქეთუსთან, მარუსთან, კობერიძესთან ურთიერთობაში. ამ უკანასკნელთაგან უზომოდ შეფურობულსა და შეურაცხყოფილს მას ანაკითარი ძალა და საშუალება არ გააჩნია თავისი ადამიანური უღრუბისა და ღირსების დასაცავად. ნუნუ უჯირაულისა და სუსქია მინდელის მოზიბეღელ კდემამოსილებით დახატული სახეებისათვის შეუფერებელია აგრეთვე ამ ქალების მებრუნად გაიოლებული ეროტიკული ცდუნებანი. რომანის მთელს მანძილზე მისი დაღებთი პერსონაჟები მრავალ შეუსაბამო და უმართობელო აზრებს გამოთქამენ, ხოლო ამ აზრების მკდრობა ია მიიღებლობა მიიღებელი არ არის არც ავტორისა და არც რომელიმე პერსონაჟის მიერ.

წიგნის ფინალში მწერალი მიმართავს ისეთ პირობითობას, რომელიც უუქველად სცილდება რეალისტური ზელოვნების საზღვრებს. სოციალისტური რეალიზმის მწერლობა არ უარყოფს პირობითობას, როგორც სინამდვილის ასახვის თავისებურ მხატვრულ ხერხს. მაგრამ მხოლოდ ის პირობითობაა მისაქონი და გამართლებული, რომელიც რეალუობის შთაბეჭდილებას ბადებს, გვარწმუნებს და გვაეკრებს. სამუხაროდ, ასეთ თვისებას მოკლებულია რომანის ფინალში მითხრობილი ამავე იმის შესახებ, თუ როგორ აუღდა ენა და მებრუნებულა დაუბრუნა მწერლის ერთმა გასაუბრებამ ბრძოლის ველიდან და მხრებულად დაბრუნებულ გოფრთხი ელანობენ.

რომანის ეს ცალკეული ხარვეზები და ნაკლავანებანი იმის მაჩვენებელია, რომ კ. გამსახურდიას შემოქმედებითის სამყაროში ჯერ კიდევ საკმეობით დ ბოლომდე არ არის დაძლეული ინერცია მავლანისტული მიმდინარეობებისა, რომელია მძლავრი ვავლნითაც აღბეჭდილი იყო მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ადრეული პერიოდი. მაგრამ ახლა ეს ინერცია მხოლოდ ცალკეულ დებალებში პოელოზს გამოვლენებას. მთავარსა და ძირითადში კი «გზის ყვავილობა» რეალისტური სიმართლით გამოხატავს ჩვენი ეპოქის დიდ გარდამქმნელ და განახლებელ ძალას. ბერძენაში, არაშენდაგველეთის ზეგანზე გარჩლებული გმირული შრომა და ბრძოლა განსაზიერება იმ დაუცხრომელი შე-



მოქმედებითი ცხოვრებისა, რომლითაც მოკლეა ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლო თავისი სახელოვანი ისტორიის მთელ მანძილზე. შემთხვევით როდი დაუკავშირა მწერალმა ვაზის ზვრების გაშენებისათვის ბერძნულ კოლმეურნეთა ბრძოლა სისხლიანი პიტლურიზმის წინააღმდეგ ჩვენი ხალხის ძლევისილი ომის ეპოქას, ამით მწერალმა ჩვენი სამშობლოს უმაგალითო მთლიანობის, საბჭოთა ხალხის სწორეუპოვარი ერთსულოვნების იდეა განასახიერა და თვალნათლივ გვიჩვენა, რომ კახეთის მთიანეთის ერთი პატარა სოფლის ცხოვრებაშიც ფეთქებს მთელი საქართველოს, მთელი საბჭოეთის მძლავრი და დაუცხრომელი მიჯისცემა.

დიდი დრამატისმით, გულის სიღრმეში ჩაშვებლივ გმოკიური დაძაბულობით, მაღალი პოეტური შთაგონებით მოგვითხრო მწერალმა თავის გმირთა მღელვარე ცხოვრების ისტორია, წარმოგვისაბა მათი ყოფა-ცხოვრების კოლორიტული სურათები, მათი მოქმედების სარბიულა — საქართველოს დიდებული ბუნების ფერადოვანი პანორამა.

„ვაზის ყვავილობა“ ქართული საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების ამსახველი რომანია, მაგრამ მის გმირს მარტო ჩვენი გლეხობა როდი წარმოადგენს, მასში საბჭოთა სოფლის აღამიანების გვერდით ცხოვრობენ, აზროვნებენ და მოქმედებენ პროფესორები, ექიმები, აგრონომები, მწერები, ტრაქტორისტები, ინჟინრები, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, ჯარისკაცები და ოფიცრები, მრავალი სხვადასხვა პროფესიისა და მდგომარეობის აღამიანები, რომლებიც განუყოფლად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ჩვენი სამშობლოს დიდებისათვის თავდადებულ შრომასა და ბრძოლაში. რომანი ჩვენი სამშობლოს უძლეველობის, ჩვენი ხალხის დი-

დი საბრძოლო საქმის გარდაუვალი გამარჯვების ურყევი რწმენით, ნათელი პოეტური აზრის შთაგონებული. წიგნის ეს მასულდგმულბელი იდეა, მისი მორალი, მისი ფილოსოფია მკვეთრადაა გამოთქმული წიგნის დასკვნით სტრიქონებში.

სოფლის თავზე ამყარდ მღვარი ათასწლოვანი ბერძნების ქვეშ ბრძოლის ველიდან გოდერძი ელანძის ცოცხლად დაბრუნებისა და მისი განკურნების აღსანიშნავად მკირე სუფრია გაშლილი. სოფლის უხუცესი პაპა მიქელას მოწვევით აქ შეკრებილან რომანის ის გმირები, რომელთაც ვაჟკაცურად გამოუვლიათ და გადაუტანიათ კაცობრიობის ისტორიაში ცნობილი უდიდესი ომის ქარ-ცეცხლი. ბუნებრივია, რომ ისინი პირველ ყოვლისა ომში დაღუბულ გმირთა სახსენებელს სვამენ. „ბოლოს გოდერძიმ ასწია თავი და სთქვა“.

— ეს გაუმარჯოს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს, მე კიდევ დამრჩა ორი თითი მარჯვენა ხელზე და თუ საჭირო იქნა, ავტომატის ჩახმახს ესეც ეყოფა“.

პაპა მიქელამ ორივე ხელით იყვანა პატარა მიქელა და აჩვენა იგი ზეციერ მნათობს, თანაც ისე გახარებული იყო ბედნიერა მოხუცი, თითქოს საკუთარი თვალთ ენახა მზე...

კვილინდებურად საამოდ შობილებდა ბერძენხა, შეუდრეველი ბერძენხა, რომელიც მარად დარჩება ჩემს წარმოდგენაში, როგორც სიმბოლოა ქართველი ხალხის უყვადვი და შეუმუსერელი სულისა“.

ამ სიტყვებით ამთავრებს მწერალი „ვაზის ყვავილობას“. ამ წიგნით მან ჩვენი ხალხის ეს უყვადვი და შეუმუსერელი სული გამოხატა და შთაგონებულად უმღერა მას.



ვიორჯი ბრწყინვალის სამართალი



ქართული ფეოდალიზმის შესწავლის არა-დამაკმაყოფილებელი დონის ერთ-ერთი მიზეზი უთუოდ ისაა, რომ არაა გამოკვლეული და გამოკვლეულია შესაბამისების საქართველოს სოციალ-ეკონომიური ცხოვრების ამსახველი იურიდიული ძეგლები. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში არ ყოფილა ისტორიკოსთა ძლიერი „იურიდიული სკოლა“. ამჟამად უკვე ტარდება პირველადი წიგნებითი სამუშაოები, თანდათან ჩნდება იურიდიული მონოგრაფიები, დაიწყო იურიდიული ძეგლების გამოცემა.

ამ ცოტა ხნის წინათ პროფ. ი. დოლიძემ გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი ნაშრომი — „ვიორჯი ბრწყინვალის სამართალი“.

ვიორჯი ბრწყინვალის სამართლის სახელით ცნობილი ძეგლის დადება პარტიკულარული კანონმდებლობაა, რომელსაც, როგორც სამართლიანად აღნიშნავს შრომის ავტორი, ზუსტად განსაზღვრული ლეგალური დანიშნულება ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ძეგლი სერიოზული შესწავლის ღირსია.

ძეგლის შემადგენელი ნორმების მიხედვით უფლებრივი ინსტიტუტების შესწავლა და იურიდიულ ურთიერთობათა გამოკვლევა, ამ ნორმების „სპექტრალური ანალიზი“ აღმოგვიჩვენს იმ „ფრაქციონაციის ხაზებს“, რომლებიც მათ გამოიწვევი კლასობრივი საზოგადოების სოციალურ არსზე და კულტურულ დონეზე მივითითებენ.

სარეცენზიო ნაშრომი შედგება ოთხი თავისაგან. ნაშრომის პირველ თავში პროფ. ი. დოლიძე იყვლება ძეგლის შედგენის დროს და მოქმედების ტერიტორიას.

საუფორელიანი არგუმენტების მოტანის შემდეგ ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ძეგლის დადება შედგენილი უნდა იყოს 1334 — 1335 წლებში. ძეგლის ტექსტში დაცული ცნობების ანალიზის საუფქველზე შრომის ავტორი ცხადყოფს, რომ ძეგლის დადება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ქსნისა და არაგვის ხეობათა სჯულმდებლობად, როგორც ეს დღემდე იყო აღიარებული მეცნიერულ ლიტერატურაში. ძეგლის მოქმედება ქსნის ხეობაზე არ ვრცელდებოდა. ძეგლის მოქმედების ტერიტორ-

იული საზღვრები იყო არაგვის ხეობის შემდეგი პუნქტები: ჩრდილოეთით ჯეჯას გადასავალი, სამხრეთით — სოფელი მენესო, აღმოსავლეთით — ზანდუჯის ხევი, სამხრეთ დასავლეთით — რადა-ცხოტი. სამართლის წიგნის შესავალში კანონთა სამოქმედო ასპარეზი განსაზღვრულია ასეთი თანმიმდევრობით: „ჯუართა უელს აქეთ, კიდა — ცხოტს, ზანდუჯის ხევეს, კიბეთ ქუეშეთ და მენესოს ზემოთ ეს განაჩენი დაედევით“. ძეგლის მოქმედების ტერიტორიული ფარგლები აქ ზუსტად არის განსაზღვრული. ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ მთიელები და, მამასადამე, მთიელების საზღვრები ზემოხსენებულ გეოგრაფიულ პუნქტებში თავსდებადა. ძეგლში ნახსენები ტერიტორია ამჟამადაც მთიულეთად იწოდება (გვ. 24).

ნაშრომის მეორე თავში — „ძეგლის წყაროები და სისტემა“ ავტორი მეტად მნიშვნელოვან დასკვნებს აყენებს. როგორც ირაკლია, ძეგლის წყაროებიდან უმთავრესი იდგილი აღმოაჩინებ სამართლის ეკუთვნის. მთიულთა აღმოაჩინებ სამართლიდანაა ძეგლი შესული და ლეკონებელი შერისძიების უფლება, სისხლის დაურთება, გაქვება, გაპარსვა და სხვ. (გვ. 30). ამავე დროს, ძეგლი უშვებს შერისძიებას მეტად შეზღუდული ფორმით. აქ შერისძიება მთელი გვირის მოვალეობას არ წარმოადგენს. შერისძიებლად უშვალოდ და-ზარალდებული ან მისი შემკვიდრე გამოღის და შერისძიებელი მხოლოდ დამნაშავეს პირადად მისა და მისი ქონების წინააღმდეგაა მიმართული. ამასთანავე, შერისძიება მოვალეობას არ წარმოადგენს (გვ. 31). ცნობილია, რომ რიგი ფეოდალური სამართლის ძეგლები შერისძიებას სავალდებულოდ კი თვლიან (მაგ. „არუსკიაი პრავდა“).

ძეგლის დადების შედგენა მთიულეთში შექმნილი მდგომარეობით იყო გამოწვეული. რამდენადაც სამართლის წიგნის მიხედვით შეიძლება ეიმსჯელოთ, თუმცა ერთობის რღვევისა და სოციალური უთანასწორობის პროცესი ვალდებულად და შორს წასულა მეფის ადვილობრივი მოხელეები — არაგვის ერისთავი, ხევის გამგებელი და ხევისხერნი ცდილობენ

ძელებით დაამკვიდრნენ მთიულეთში ფერდარ-
ღური წესები, შემოიღონ ბეგარა და საშახტო-
რი მეფის ხელისუფლების სასარგებლოდ, გა-
ნამტკიცონ სახელმწიფოებრიობის საწყისები (გვ. 15). კანონმდებელმა გამოაყენა მთიულეთის
ადამების ნაწილი და ისინი კანონის ზარის-
ხში აიყვანა. სამართალთან ერთად, ბუნებრი-
ვია, გაჩნდა მისი მუდმივი თანამგზავიც —
საჯარო ხელისუფლება, რომელიც მთიულეთის
ცხოვრების ეკონომიური პირობების და ბარის
საქართველოს სახელმწიფოებრიობის გავლენით
შეიქმნა და განმტკიცდა.

ამრიგად, კანონმდებლის ხელში ადამი წარ-
მოადგენდა უპირველეს საშენ მასალას სამარ-
თლის წიგნის შესაქმნელად.

სარეცენზიო ნაშრომის აზრით, ძველის და-
დების მეორე მნიშვნელოვან წყაროს კანონ-
მდებლობა შეადგენს. აღსანიშნავია, რომ,
პროფ. ი. დოლიძის დაკვირვებით, ძველის
დადებამზე გავლენა მოუხდენია მე-13 ს. ბოლო-
სა და მე-14 საუკუნის დასაწყისში შედგენილ
ბექა მანდატურთუხუცესის სამართალს. მთიულ-
ეთის და სამცხე-საათაბაგოს სოციალ-ეკონო-
მიური წყობის სხვადასხვაობის მიუხედავად,
ეს გავლენა ფაქტია. ნაშრომის ავტორს ბექის
სამართლის გავლენა შემწვეული აქვს ძველის
თ მუხლებზე (მ. მ. 17, 21, 24, 25, 31, 32, 36,
38, 40, 43).

მოვიყვანოთ ერთი დამახასიათებელი მაგა-
ლითი. ბექის სამართლის 21-ე მუხლში ნათქვა-
ნია: „თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დაავდოს,
სისხლის ნახევარი მისცეს“. ძველის დადების
29-ე მუხლი კი ადგენს: „კაცმან თუ ცოლი
დაავდოს უბრალოდ... ნახევარი სისხლი დაუ-
თრეოს“.

პროფ. დოლიძის გამოკვლევის შემდეგ დად-
გენილად უნდა ჩაითვალოს ქართული სამართ-
ლის ძველების გენეზისური კავშირი ერთმანეთ-
თან. მტკიცდება, რომ ბაგრატიის სამართლის
ძიგნი (11 ს.) გავლენას ახდენდა ლეგალურ
ძიგლებზე, ვიდრე მე-16 საუკუნემდე. ბექის
ამართალმა გავლენა მოახდინა ვიორჯი
ბრწყინვალის ძველის დადებამზე, ხოლო ბე-
ქისა და აღბუღას კანონმდებლობამ ერთად —
ვახტანგის სამართალზე.

მეტად საინტერესოა, რომ სარეცენზიო ნაშ-
რომის ავტორს დადგინდა აქვს ძველის
სისტემა, რაც დღემდე არ ყოფილა შემწვეუ-
ლი.

ნაშრომის შესაძვე თავში ავტორი იკვლევს
ძველის ზოგიერთ იურიდიულ ტერმინს (სა-
ქონელი, სანივთო, სასაქმო, ვაპატყევა, უარ-
ზანგობა, უღუსობა, პეროვანი).

პროფ. ი. დოლიძის გამოკვლევის შემდეგ
საბოლოოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს,
რომ ძველ ქართულ სამართალში ტერმინი

„საქონელი“ მხოლოდ უსულო მოძრავი ქონე-
ბის მნიშვნელობით იხმარებოდა. ნაშრომის ავ-
ტორი ადგენს, რომ ქართული სამართალის სა-
მართლისათვის დამახასიათებელია ქონებთა
კლასიფიკაცია უძრავ, მოძრავ და თვითმოძრავ
ნივთებზე, რაც ქართული სამართლის მდლალ
დონეზე მითითებებს (გვ. 55).

მონილოთა შემოსევების შემდეგ ქართულ
ენაში შემოდის ტერმინი „ულუსობა“. პროფ.
ი. დოლიძე არკვევს, რომ ამ სიტყვის უსამარ-
თლო ქმედობათა კრებითი მნიშვნელობა ჰქონ-
და მონილოური „ულუსობა“ ქართულ სამარ-
თალში ყოველგვარ დანაშაულს აღნიშნავს
(გვ. 80).

ავტორი არკვევს, რომ ძველის მიხედვით
„სანივთო“ ნიშნავს ნადავლს, ნაძარცვ ქონებას,
ყოველგვარ საქონელს, რომელიც მგობრებებმა
ნაიადეს ხელში ძარცვა-გლეჯის შედეგად (გვ.
61). დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ
„სასაქმო“ ეწოდებოდა ყოველგვარ სადავო, სა-
საჩნლო საქმეს, როგორც სისხლის სამართლის
საქმეს, ისე სამოქალაქო ხასიათის დავის (გვ.
68).

სარეცენზიო ნაშრომის ავტორის მიერ გა-
მორკვეულია მხოლოდ და მხოლოდ ძველის
დადებამში მოხსენებული ტერმინის — „პერო-
ვანის“ სოციალური შინაარსი. როგორც ცნო-
ბილია, „პეროვანი“ სწორად ვერ განმარტებს
ბაქრაძემ, ფრანგელმა, კარტაძე, ფორდონამ.
სწორედ მოიქცა ავტორი, როცა „პეროვანის“
სოციალური შინაარსის გასარკვევად ძირითად
კრიტერიუმად მისი სისხლის ფასი აღი-
ო. დოლიძის აზრით, „პეროვანი“ ერის, ნა-
ხის წარმომადგენლები, ხევის სოფლებისა და
თემების თავაყები, ხალხისაგან (სოფლომთა-
ვან) გამორჩეული პირები იყვნენ, რომლებაც
თემის უბრალო, მდაბიო ხალხისაგან განსხვავ-
დებოდნენ, მაგრამ პრივილეგიურ, წარჩინე-
ბულ ჯგუფს არ შეადგენდნენ (გვ. 85).

ნაშრომის მეოთხე თავში ავტორი იხილავს
ძველის გამოცემებსა და თარგმანებს. გიორგი
ბრწყინვალის სამართალი დღემდე ორჯერ
იყო გამოცემული — ს. კავაბაძისა და ს. მკვა-
ლათიას მიერ. არც ერთი ეს გამოცემა არ
იღვა დამაკმაყოფილებელ დონეზე. არსებობს
ძველის თარგმანი ინგლისურ, ფრანგულ და
რუსულ ენებზე. გიორგი ბრწყინვალის სამარ-
თლის არც ერთ თარგმანში არ შეიძლება და-
მაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, რადგან ისინი
დღნის მეცნიერულ გამოცემას არ ეყრდნო-
ბოდნენ.

სარეცენზიო ნაშრომს დართული აქვს ძვე-
ლის დადების ტექსტის მეცნიერული პუბლი-
კაცია და ლექსიკონი.

როგორც ძველის დადების ტექსტის გამო-
ცემა, ისე მისი ლექსიკონი საესებით ამაყო-

ფილებზე მეტწიერების თანამედროვე მოთხოვნილებებს.

ამრიგად, გადაუჭარბებლად შეიძლება იტყვას, რომ დღეს არსებობს გიორგი ბრწყინვალის სამართლის ტექსტის მეტწიერული გამოცემა და მისი საიმედო ვასალები სარეცენზო ნაშრომის სახით.

საჭიროდ ვთვლით ვაგვიეთოთ ამ ნაშრომის მიმართ ზოგჯერ შეინიშნა.

პირველ ყოვლისა, შენიშნას იწვევს ის ვარაუდები, რომ ავტორმა საჭიროდ არ მიიჩნია ძველს დადებამი გათვალისწინებული სამართლის ინსტიტუტებისა და თანამდებობის პირების უფლებამოსილებათა განხილვა და ამ საკითხებით დინტერესებულ მკითხველს გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოცემულ ნ. ურბნელის ნაქალაქებზე მიუთითა (გვ. 4). მართალია, ნ. ურბნელი ნიჭიერი მკვლევარი იყო, მაგრამ თუ მიუდგომელი შემფასებელი ვიქნებით, აღმოჩნდება, რომ მის აზრებს შრკად საკითხზე დაზუსტება, შესწორება და ახალი მასალით გამდიდრება სჭირდება. ნ. ურბნელის ნაშრომში „ძველის დადება მეფე გიორგი ბრწყინვალისა“, რომელიც 1890 წელსაა გამოცემული, ქართული სიგელ-გუჯრებიდან მხოლოდ ფურცელაძის მიერ გამოცემული საბუთებია გამოყენებული. დღეს კი ქართული ისტორიოგრაფია ფართოდ იყენებს სიგელ-გუჯრებსა და სხვა ისტორიულ საბუთებს ჩვენი ხალხის წარსულის სწორი სურათის აღსადგენად.

სასურველი იქნება, რომ შრომის ახალი გამოცემის შემთხვევაში ავტორმა ნ. ურბნელის შრომაში წარმოდგენილი სამართლის უველა ინსტიტუტი და მოხელე უფრო დეტალურად განიხილოს, აგრეთვე შეეხოს საოჯახო სამართლის საკითხებს ძველის მიხედვით.

ნაშრომის ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ თამარის შემდეგ ფეოდალურ საქართველოს არ ჰყოლია სახელმწიფოს ისეთი ძლიერი საკუთმფარობელი, როგორიცაა გიორგი ბრწყინვალე, რომ მისი მეფობის დროს ქვეყანა ეკონომიურად და ქონებრივად გაძლიერდა (გვ. 5,9).

ავტორს გარკვევით უნდა აღნიშნა, რომ მონღოლთა შემოსევამ იმდენად მძიმე ჭრილობა მიაყენა ფეოდალურ საქართველოს, რომ მან თამარის ეპოქის კულტურულ-ეკონომიური განვითარების დონე მე-14 საუკუნის პირველ ნახევარშიაც ვერ აღიღწინა. წარმოებით ურთიერთობის დონე თამარის მეფობის ეპოქაში უფრო მაღალი იყო გიორგი ბრწყინვალის დროსთან შედარებით. თუ თამარის ეპოქა სიკვდილით დასჯის მოსპობის, დამასახიზრებელ სასჯელთა ამოკვეთის და დანაშაულთა სუბიექტური მხარის ღრმა დამუშავების შესაძლებლობას იძლეოდა, გიორგი მეხუთის დროს ამკარაა დაქვემდებარების ნიშნები. ამის დამამტკიცებელ საბუთს მრავალს ევაოვით ძველის დადებამაც. საჭირო იყო, ავტორი აღნიშნულ მომენტზე შეჩერებულიყო.

არ შეიძლება, აგრეთვე, არ შევნიშნოთ, რომ ნაშრომის ავტორი რატომღაც ძუნწობს შედარებით ხასიათის მასალების გამოყენების სტერეოტიპს. ავტორს შეეძლო ასეთის გამოყენება თუნდაც მის მიერვე გამოქვეყნებული დასავლეთ-ევროპის ფეოდალური სამართლის ძეგლებიდან, აგრეთვე კავკასიის ხალხთა საადათო სამართლის სფეროდან.

აღნიშნული ზოგადი ხასიათის შენიშვნები ოდნავადაც არ ამცირებენ სარეცენზო ნაშრომის ღირებულებას.

გიორგი ნადაკიშვილი

ქართული ზღაპრები გერმანულ ენაზე



„მდიდარი ფანტაზიით და ფერთა სიუხვითაა აღბეჭდილი, ცხოვრების ღრმა სიბრძნითა და ძარღვიანი ჰუმორითაა გამსჭვალული უძველესი კულტურის მქონე ქართველი ხალხის ზღაპრები. ამას ადასტურებს წინამდებარე წიგნი, ქართული ფოლკლორის უმშვენიერესი, უთავისებურესი ზღაპრების კრებული...“

„Die Zauberkrone“ — Georgische Märchen. Verlag Kultur und Fortschritt Berlin 1957.

ასეთი შესავლით იხსნება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცემლობის „კულტურ უნდ ფორშრიტის“ მიერ ბერლინში გერმანულ ენაზე გამოცემული ქართული ხალხური ზღაპრების კრებული — „უჩინაშინის ქული“.

ქართული ზღაპრების თარგმანი შესრულებულია რუსული დედნიდან, რომელიც მოაზრდა და გამოცემის „ზარია ვოსტოკას“ გამოცემლობამ. გერმანულ თარგმანში მოთავსებულა 49 ზღაპარი, მათ შორის შეტანილია უველა ჩვენგანისათვის

ქრებილი ქართული ზღაპრები: „უჩინმანის ქედნი“, „გუტუნარი ხელმწიფის ზღაპარი“, „მონადირე და არწივი“, „ოსტატი და შეგირდი“, „ეშმაკი მელა“, „ცხრა ძმანი“, „წიქარა“, „სამნი ძმანი“, „მეცხველი და გველი“, „რწყილი და ქანკველი“ და სხვა.

ქართული ერის მრავალსაუკუნოვან ფოლკლორს დღენიადაც კვებავდა და აცოცლებდა ხალხის უმრტიტი ფანტაზია. თვით ხალხი კი შრომასა და ბრძოლაში იჭრებოდა და ყალიბდებოდა, იძინდა ხასიათსა და ნებისყოფის სიმტკიცეს, მტრის მტრულად უხვდებოდა, მოყვარეს კი მოყვარულად. ხალხი თავის ცხოვრების შემოქმედი თვით იყო და ამიტომ, რომ საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი მასალა ასახავს, ერთი მხრივ, ხალხის შემოქმედებითი შრომის პროცესს და, მეორე მხრივ, ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ყოველივე ამან თავისებური ასახვა პოვა ზღაპარში. ზღაპარი ხალხური სიბრძნის გამოვლენის ერთი მხარეა, სადაც ძირითადად წარმოდგენილია ადამიანის ბრძოლა არსებობისათვის, მისი მტაცე და ურყევი რწმენა, რომ „ბოროტსა სძლია კეთილმა“. გერმანული თარგმანის ძირითადი ლიტერატურა, სწორედ ისაა, რომ მთარგმნელი ქართული ზღაპრის სელიტრ არის და შინაგან ბუნებას კარგად ჩასწვლავს. აქ, შესავალშიც არის აღნიშნული: „ქართული ზღაპრები მოგვითხრობენ გარდასულ დღეთა ქართული ადამიანების ცხოვრებისა, მათი ნატურისა და მისწრაფების შესახებ უკეთესი ცხოვრებისაგან. ისინი გადმოგვცემენ უშუალო გმირებისა და მათი გმირული თვისებებისა შესახებ, გვიამბობენ მათ ბრძოლაზე გველ-ვეშაპებისა და მრავალთავიანი უჩინებლების წინააღმდეგ, გვიყვებან ლამაზ მოჯადოებულ ქალწულებზე, რომელნიც თავისუფლებიან ბოროტი კუდიანი ქალების ჯადოსაგან; მიამბე მყვებზე, რომელნიც თავიანთ ვერაგ და ხარბ მრჩეველებს უჯერებენ და თავიანთი სისუღელისათვის ისჯებიან, კეთილ და შეწვე ცხოველებზე რომელნიც ადამიანებს გასაპირში ეხმარებიან. გუგონარი განძის მომნიჭებელია უჩინმანის ქედი. ველის სისწრაფით შეუძლია მას შეასრლოს ყოველგვარი სერვილი, მხოლოდ ის ჩიაგდებს ზელში სიმდიდრეს, ვინც შელოცვის საიდუმლოება იცის. ჩვენი ბატარა მეთვალეები, აგრეთვე ზღაპართა მოწოდელი მეგობრებიც, რომელთათვისაც ზღაპრული სიმყარა დაუშრეტელი სიხარულის წყაროა, იღუპილების საბურველს ახიან უჩინმანის ქედლის ზღაპრებს. და ისინი ეხმარებიან იმ საუნჯეს, რომელსაც ქართული ხალხი საუკუნეთა განმავლობაში თავის წიაღში ატარებდა“.

საერთოდ, ქართულ ხალხურ ზღაპრებს ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ: ერთ ჯგუფს ვანე-

კეთდება ჯადოსნური ზღაპრები, მეორეს — ცხოველების შესახებ შემქმნელი ზღაპრები. გერმანულ თარგმანში ორივე ჯგუფის ზღაპრები ერთმანეთშია შერეული, თუმცა შემოინათვამის მიხედვით ზღაპრების დიფერენციაციას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ზღაპრების მეცნიერული შესწავლის დროს, მაშინ როდესაც გვინდა გაგარკვეოთ მათი სოციალური სიმახვილე და მხატვრული ლირსებანი.

ზღაპარი ბავშვებისათვის და „მოწიფული მეგობრებისათვისაც“ უმესანძინავს ლიტერატურულ მასალას წარმოადგენს.

სქართველოს მრავალ კუთხეში გავრცელებულ უამრავ ზღაპარს, რომელთაც გააჩნია ორიგინალური და მკვეთრად გამოკეთილი მხატვრული სახეები, მაღალი და დახვეწილი სტილი, უმდიდრესი ლექსიკური მასალა, მსოფლიოს ზღაპრების სავანძირში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ყოველივე შემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, აღმოჩნდება, რომ გერმანული მთარგმნელი საკმაოდ სიმძნელებს წინაშე იდგა, (ამას დამატებთ ის, რომ მთარგმნელს ორიგინალზე ხელი არ მიუწვდებოდა), როდესაც ხელს ჰკიდებდა ასეთ როულ და საპატიო საქმეს. მაგრამ, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ძირითადი და მთავარი სიმძნელება კარგათ აქვს დაძლეული მთარგმნელს.

ქართული ზღაპრების გერმანული თარგმანი ხასიათდება ხალხობრივითა და თხრობის თავისუფალი მანერით. დილოგები გადმოცემულია ქართული ენისათვის ჩვეული, სხარტი და მოკვეთილი ფრაზებით. გერმანულ თარგმანში ზღაპრების დასაწყისი ძალზე ახლო დგას ქართული ხალხური ზღაპრების ტრადიციულ დაწყებასთან „იყო და არა იყო რა“... მართალია, გერმანულში სხვადასხვანაირად არის გადატანილი, მაგრამ ყველა შემთხვევაში ერთი და იმავე მნიშვნელობის მატარებელია:

„Ob wahr oder nicht...“ ან კიდევ „Wahr oder nicht wahr...“ ან არა და „Es war und war doch nicht...“ და სხვა. აგივე ითქვის ქართული ზღაპრების ორიგინალურ დასასრულზე:

„ქირი იქა, ლხინი იქა
ქატო, იქა, ფქვილი იქა“

რაც გერმანულად შემდგენიარად არის თარგმნილი: „Dem einen Weizen und Fest, dem andern Klee und Pest“, რაც ნიშნავს: ერთს პური და ლხინი, (მზიარულება), მეორეებს — ქატო და ქობია.

და ბატარა, მაგრამ, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვან დეტალშიც კარგად იგარჩნობა თარგმანის სიახლოვე ქართულ ხალხურ მეტყველებასთან.

ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ გერმანული მთარგმნელი ახერხებს ზღაპრის

ყველა პერსონაჟს მოუძებნოს თავისი შესაფერისი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმა და ამით ქართულ ზღაპრების გმირები გერმანულ თარგმანში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მხოლოდ მოქმედებითა და აზრობით შექმნილია ექთარებით, არამედ მრავალფეროვანი დიალოგებითაც, რომლებიც გერმანული ორიგინალური მეტყველებისათვის დამახასიათებელია და გადატანილი.

ქართული ზღაპრების თარგმანი ახლოს დგას ორიგინალთან. მთარგმნელი ცდილობს ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში ზუსტად გადმოიღოს დედნისათვის დამახასიათებელი ნიუანსები და ქარაგმული თქმები, რის საშუალებასაც კი იძლეოდა რუსული დედანი. მიუხედავად ამისა, ზუსტ თარგმანს სრულებითაც არ მივყავართ ზრმა სიზუსტემდე, ანდა აზრობრივ დამახინჯებამდე. მთარგმნელი, უპირველეს ყოვლისა გვევლინება, როგორც მხატვარი და შემოქმედი. დაკმაყოფილებით მხოლოდ ერთი მაგალითის მოტანით. ქართული წინადადება: „მეგობარო ერთი ამაღამ უნდა კარგად დავლიოთ, აბა რომელი ვაჯობებოთ“ გერმანულში ასეთ სახეს იღებს:

„Laß uns heute Wein trinken, wir wollen sehen wer den andern unter den Tisch trinkt“ — გვ. 62. გერმანული გამოთქმა: *ქ-ი unter den Tisch trinken* — ზუსტად გამოხატავს დედნის აზრს: რაც ნიშნავს ვინმესთვის ღვინის დაღვებაში ჯობინება, ვინმესი დათრობა. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, რაც უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართული ხალხური ზღაპრების მთარგმანი, მიუხედავად ამისა, რომ ისინი უშე-

ალოდ დედნიდან არ არიან თარგმნილნი, დამაჯერებლად და ზუსტად გადმოგვეყვანს, ამა თუ იმ ზღაპრის მხატვრულ ღირსებას და იდეურ ჩანაფიქრს.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანულ თარგმანში წარმოდგენილი ზღაპრების ილუსტრაციებში (მხატვარი ვერპარდ ვოსმანი) როგორც სასახლეების არქიტექტურული გაფორმება, ასევე მოქმედი გმირები თავიანთი ჩაცმულობითა და შექურცილობით აღმოსავლური ზღაპრების გმირებს უფრო მოგვაგონებენ, ვიდრე ქართული ხალხური ზღაპრების გმირებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველაფერი ეს, ისე ბრწყინვალედ და კარგადაა შესრულებული, რომ საყვედურის ვრანობა კრებულის გადათვალერების დროს გვიტყვება კიდევ.

ქართული ხალხური ზღაპრების გერმანულ ენაზე თარგმანი და გამოცემა მეტად ღირსშესანიშნავე მოვლენაა, რადგანაც ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი და დაგროვილი საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებების, ხალხური სიბრძნისა და ენის სიმდიდრის გაცნობის საშუალებას აძლევს უცხო ქვეყნის ადამიანებს.

საკუთვლათაოდ ცნობილია, რომ გერმანელებს მსოფლიოში ყველაზე მდიდარი თარგმნითი ლიტერატურა მოეპოვებათ. ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის ყოველი მუგობრისა და პატივისმცემლისათვის მეტად სასიამოვნო და გასახარებელი ის ფაქტი, რომ ქართული ზღაპრები გრიმებისა და პუფის ენაზეც იქნა ამტყველებული. ამიერიდან გერმანული შეიხვეული ეზიარება ქართულ ზღაპრულ საგანძურსაც.

ნოდარ რუხაძე



ახალი წიგნები



საგროსო მწერალი



- ირაკლი აბაშიძე — ინდოეთის გზაზე. რედ. რ. თვარაძე. გვ. 97, ფასი 2 მან. 60 კაპ.
- შალვა აფხაძე — ვახუშტის მელოდები. რედ. ი. ნონეშვილი. გვ. 134, ფასი 3 მან.
- ალექსანდრე ბეიშვილი — ჩრეული. რედ. თ. შავეიშვილი. გვ. 596, ფასი 19 მან. 60 კაპ.
- რახულ გამაზრავი — ჩრეული ლექსები. რედ. ირ. აბაშიძე, ან. თევზაძე. გვ. 220, ფასი 4 მან 50 კაპ.
- რუსუდანიანი — ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით. გვ. 812, ფასი 35 მან.
- შალვა რადიანი — მიხეილ ჯავახიშვილი. (ცხოვრება და შემოქმედება) რედ. ლ. კალანდაძე. გვ. 80, ფასი 1 მან. 30 კაპ.
- გრიგოლ ცეცხლაძე — ლექსები, პოემა. რედ. ს. ჩიჭოვანი. გვ. 222, ფასი 6 მან. 30 კაპ.
- შოთა ძიძიგური — მწერლის ენა. რედ. ზ. ჭუმბურაძე. გვ. 206, ფასი 4 მან. 20 კაპ.
- რედაქცია — ლირიკა. თარგ. შავალი თოდუასი. რედ. დ. კობაძე. გვ. 104, ფასი 1 მან 40 კაპ.
- თენგიზ გოგოლაძე — კარგი დღე. რედ. გრ. ჩიჭოვანი. გვ. 260, ფასი 5 მან. 90 კაპ.
- ეთერიანი — პ/მგ. გამოშვებისათვის ან. თევზაძე. გვ. 28, ფასი 50 კაპ.
- ელიზბარ შაისურაძე — ქართლს საღამოები რედ. ერ. ქარელიშვილი. გვ. 158, ფასი 2 მან. 80 კაპ.
- ალექსანდრე სულავა — წერილები. რედ. ბ. ფლენტი. გვ. 148, ფასი 3 მან. 60 კაპ.
- ოლეგ ბაბიუკანი — ლესია უკრაინკა საქართველოში. თარგ. რ. ქეზულაძისი. რედ. თ. კობლაძე. გვ. 124, ფასი 3 მან.
- ირაკლი აბაშიძე — თარგმანები. რედ. კ. კალაძე. გვ. 166, ფასი 6 მან. 10 კაპ.
- ვახილ გვიტაძე — გზები და დღეები. რედ. მ. ლეხანაძე. გვ. 61, ფასი 1 მან.
- სევტრიან ისიანი — ყველაფერს გზედავ. რედ. ან. თევზაძე. გვ. 100, ფასი 2 მან. 70 კაპ.
- თედორე შავეიშვილი — ფიგურალური სიტყვა-თქმების კრებული. რედ. სიმონ ყაუხჩიშვილი. გვ. 170, ფასი 5 მან. 90 კაპ.
- ალექო ხანდირაძე — ცქაასხუთელი პარტიზანები. რედ. ლ. კალანდაძე. გვ. 72, ფასი 2 მან. 80 კაპ.
- დომენტო ახიზაძე — წემი მისამართი. რედ. ა. შირტლუვა. გვ. 105, ფასი 1 მან. 60 კაპ.
- სოი ხიდისთაველი — მუშის სიმღერები. რედ. ან. თევზაძე. გვ. 62, ფასი 90 კაპ.
- კ. გოგიაშვილი — შოლოდ ზოგიერთებს. რედ. აკ. ბულაშვილი. გვ. 139, ფასი 2 მან. 10 კაპ.
- მკრტიან ასლანიანი — მშობა. რედ. ნ. ზომერკი. გვ. 256, ფასი 6 მან. 10 კაპ.
- ვახო ბიაძე — იღვა და ოსტატობა. რედ. გ. ნატროშვილი. გვ. 152, ფასი 3 მან. 85 კაპ.

საბავშვები

- მიხეილ ჯავახიშვილი — მოთხრობები. რედ. გ. ჯიბლაძე. გვ. 209, ფასი 10 მან. 50 კაპ.
- დავით გაჩეჩილაძე — ტყუილს მოკლე ფეხი აქვს. რედ. მ. ჭავჭავაძე. გვ. 21, ფასი 2 მან. 30 კაპ.
- ანდრო თევზაძე — მოედითართ, მოგვიხარია! რედ. ე. ბეჭუაძე. გვ. 74, ფასი 2 მან. 30 კაპ.
- ივანე ფრეზურელაშვილი — დედისეული საათი. რედ. გ. შატერაშვილი. გვ. 155, ფასი 5 მან 50 კაპ.
- ოთარ კუპრაძე — შვე შინა და შვე გარეთა. რედ. ე. ძიძიგური. გვ. 52, ფასი 2 მან.
- ვახო გვიტაძე — გადარჩენი. რედ. ა. შენგელია. გვ. 90, ფასი 2 მან. 50 კაპ.
- ქართული ზღაპრები — რედ. ა. გომიაშვილი. გვ. 79, ფასი 2 მან. 50 კაპ.
- დავით ხუროძე — ოქროს ხელები. რედ. გ. კაჭხიძე. გვ. 82, ფასი 2 მან. 40 კაპ.
- ვახტანგ კახაძე — ბეჭეო და ბეჭელა. რედ. ქ. კუპრაშვილი. გვ. 68, ფასი 2 მან. 25 კაპ.

81

ფასი 8 ლ.

35/160

3.49/163



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕლო»